

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტი

ზრდასრულთა განათლების როლი ინფორმირებული საზოგადოების

ჩამოყალიბებაში

(ზრდასრულთა ტრენინგების პოტენციალის გაზრდა მასწავლებელთა
პროფესიული მხარდაჭერის საკმეში)

სადისერტაციო ნაშრომი

განათლების მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად

დოქტორანტი - ნინო შარვაშიძე

სამეცნიერო ხელმძღვანელი – პროფესორი შორენა საძაგლიშვილი,
ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი

თბილისი

2012 წელი

სარჩევი:

I თავი: შესავალი ----- გვ. 4

II თავი: დისერტაციის ზოგადი დახასიათება და მნიშვნელობა გვ. 14

- 2.1. ზრდასრულთა განათლებასთან და ზრდასრულთა ტრენინგთან დაკავშირებული ცნებები და აქტივობები ----- გვ. 17
- 2.2. კვლევის მიზანი, ჰიპოთეზა, პრობლემის გადაწყვეტის გზები და ლიმიტაციები ----- გვ. 22
- 2.3. კვლევის ბენეფიციარები, აქტუალობა და სიახლე ----- გვ. 28

III თავი: ზრდასრულთა განათლების ზოგადთეორიული საფუძვლები
(ლიტერატურის მიმოხილვა და დისკუსია)

- 3.1. ზრდასრულთა განათლების ისტორია ----- გვ. 31
- 3.2. ზრდასრულთა განათლება საქართველოში ----- გვ. 46
- 3.3. საერთაშორისო გამოცდილება და საერთაშორისო კონფერენციები ზრდასრულთა განათლების როლის, ინსტიტუციური მოწყობის, მისი საკანონმდებლო და ფინანსური საფუძვლების შესახებ ----- გვ. 60

IV თავი: ზრდასრულთა განათლების სოციალურ-პედაგოგიური როლის შეფასება შრომის ბაზრის ახალი მოთხოვნების

საპასუხოდ (სტატისტიკის მიმოხილვა და დისკუსია)

- 4.1. ზრდასრულთა განათლების როლი შრომის ბაზრის ახალი მოთხოვნების დაკმაყოფილებაში ----- გვ. 93
- 4.2. მასწავლებლთა პროფესიული განვითარების გაუმჯობესების დაფინანსების პროგრამა - საქართველოში 2010-2014 წ.წ. მასწავლებელთა სერტიფიცირებისთვის 2009 წლის მოსამზადებელი ტრენინგების შეფასება ----- გვ. 108

- 4.3. ზრდასრულთა სასწავლო პროცესებში ზრდასრულთა სწავლების
პრინციპების გათვალისწინებით მოდულირებული მიდგომის
უპირატესობა ----- გვ. 136

V თავი: კვლევის მეთოდოლოგია

- 5.1. კვლევის ეტაპები ----- გვ. 143
- 5.2. ზრდასრულთა განათლებაში მოსახლეობის ჩართულობისა და
ინფორმირების დონის კვლევა 2010-2014 წ.წ. მასწავლებელთა
სერტიფიცირების წინა პერიოდში ----- გვ. 147
- 5.3. ზრდასრულთა ტრენინგის პოტენციალის ზრდისა და ზრდასრულთა
განათლების პრინციპების გამოყენების მიზან-შედეგობრივი კავშირის
კვლევა მასწავლებელთა ტრენინგების მაგალითზე ----- გვ. 153

VI თავი: კვლევის ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები

----- გვ. 162

VII თავი: ნაშრომის რეზიუმე ინგლისურ ენაზე (Thesis Summary in English Language) ----- გვ. 173

ბიბლიოგრაფია ----- გვ. 182

დანართები ----- გვ. 190

I თავი: შესავალი

„ცოდნა არის სოციალური ცვლილებების ძრავა“ – ნიკო სტერი, 1986

ბრაზილიაში ბელემის ზრდასრულთა განათლების UNESCO-ს კონფერენციამ, CONFINTEA VI-მ ზრდასრულთა განათლებას მცოდნე (ინფორმირებული) საზოგადოების (Knowledge Society) და ცოდნის ეკონომიკის (Knowledge Economy) ჩამოყალიბებაში პრიორიტეტული მნიშვნელობა მიანიჭა და მოსთხოვა მონაწილე ქვეყნების მთავრობებს, შეასრულონ კონფერენციის, CONFINTEA VI-ის რეზოლუცია (ბრაზილია, 2009 წლის მაისი), რომელიც ძირითადად ზრდასრულთა განათლების როლის უდიდეს მნიშვნელობას ეძღვნება გლობალურ გამოწვევების პირისპირ ბრძოლაში. “დროა, ვიმოქმედოთ ამ მიმართულებით, რადგან უმოქმედობა ძვირი გვიჯდება,” – წერია კონფერენციის დასკვნით რეზოლუციაში¹, რომლის რატიფიცირება 156-მა ქვეყანამ მოახდინა, მათ შორის საქართველომაც.

სახელმწიფო ეკონომიკაში ინფორმაციისა და ცოდნის როლის გაზრდამ და ცოდნის ეკონომიკის (Knowledge Economy) ჩამოყალიბებამ, დღის წესრიგში დააყენა როგორც ახალგაზრდა თაობის, ასევე ზრდასრულ ადამიანთა კომპეტენციების სწრაფი ზრდის, ე.წ. მცოდნე, ინფორმირებული საზოგადოების (Knowledge Society) სწრაფი ჩამოყალიბების აუცილებლობა. ინფორმირებული საზოგადოების ჩამოყალიბების ერთ-ერთი საუკეთესო გზა ზრდასრულთა განათლებაა (Adult Education/ Learning), ზრდასრულთა განათლების ერთ-ერთი სახეობა, ზრდასრულთა ტრენინგი (Adult Training) კი ცოდნის ეკონომიკის ერთ-ერთი მიმართულებაა².

UNESCO-ს კონფერენციის გენერალურმა პრეზიდენტმა დევიდსონ ჰენერმა თავის სიტყვაში კონფერენციის მონაწილეებს ასე მიმართა: „მოგიწოდებთ UNESCO-ს სახელით ყველა დონეზე შემოგვიერთდეთ, როგორც პარტნიორები და UNESCO-ს რესურსების გამოყენებით ყველა თქვენი ძალისხმევა მიმართოთ ისეთი

¹ CONFINTEA VI, Sixth International Conference on Adult Education, Final Report: www.unesco.org/.../confintea/pdf/.../confinteavi_final_report_engl_online

² *Towards Knowledge Society*. 2005. UNESCO Publishing ISBN 92-9-204000-X

საზოგადოების ჩამოყალიბებისკენ, სადაც არა მარტო არც ერთი ბავშვი, არამედ არც ერთი ზრდასრული ადამიანი არ ჩამორჩება“³.

განვითარების გარდამავალ ეტაპზე მყოფი ქვეყნებისთვის, მათ შორის საქართველოსთვის, ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ინფორმირებული საზოგადოების ნაკლებობაა, რაც რეფორმების განხორციელების წარმატების ხელისშემშლელ პირობას წარმოადგენს. ამის ერთ-ერთი მაგალითია სკოლის ასაკოვანი მასწავლებლები, რომელთაც ინფორმირებულობა აკლიათ მათთვის მნიშვნელოვან სფეროში. მათ უმეტესობას არ უსწავლია განათლებისა და განვითარების დასავლური თეორიები, როცა პედაგოგის კვალიფიკაციას იძენდნენ უმაღლეს სასწავლებლებში, ხოლო რეფორმამდელ განათლების სისტემაში ამ დეფიციტის გათვალისწინება არ მომხდარა. ბუნებრივია, ამ ცარიელი სივრცის შევსების გარეშე რეფორმები განათლების სისტემაში წარმატებული ვერ იქნება და ამ მიმართულებით ეფექტური ღონისძიებების განხორციელება ძალიან მნიშვნელოვანია.

ცოდნის ეკონომიკა ინფორმირებული საზოგადოების ჩამოყალიბების მიზნების მისაღწევად განიხილავს ზრდასრულთა როგორც ფორმალურ, ასევე არაფორმალურ განათლებას. ფორმალური განათლება ინფორმირებულობის პირდაპირპროპორციული ყოველთვის არ არის. ინფორმირებული საზოგადოების ჩამოყალიბების საქმეში არანაკლები, თუ უფრო მეტი არა, ბერკეტები აქვს არაფორმალურ განათლებას⁴. საჭიროა ყველა ამ ბერკეტის გამოყენება და როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლების სისტემის დროული და სწორი ჩამოყალიბება, რათა რეფორმებზე გადებული თანხები ეკონომიურად და ეფექტურად განაწილდეს და გამართლებული იყოს ამ მიმართულებით გაწეული ყველა ხარჯი. დღეს ბევრს საუბრობენ განათლების რეფორმაში არსებული ფინანსური რესურსების არაეფექტურ განკარგვაზე. ასე რომ არ მოხდეს, პირველ რიგში, საჭიროა განათლების პოლიტიკის მესვეურთა დროული და სწორი ინფორმირება, თუ როგორ უნდა შეუწყონ ხელი ცოდნის ეკონომიკისთვის საჭირო

³ CONFINTEA VI, Sixth International Conference on Adult Education, Final Report.

⁴ UNESCO PROAP, Publisher: UNESCO PROAP. Publication 2001-03-14 Bangkok Location. “Non-formal adult education facilitators: handbook. Module 1: Community Mobilization.

უნარების განვითარებას და ინფორმირებული საზოგადოების ჩამოყალიბების საქმეს⁵. ამ მიზნით, მოცემული კვლევის ავტორი მათ სთავაზობს პრობლემის გადაჭრის ერთ კონკრეტულ გეგმას მასწავლებელთა ტრენინგების მაგალითზე, რამაც, შესაძლოა მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს სკოლის მასწავლებელთა ინფორმირებულ საზოგადოებად ჩამოყალიბების საქმეში.

დღეს ქართული საზოგადოება ახალი გამოწვევების წინაშე დგას. მთელი რიგი რეფორმების გატარების შემდეგ სოციალური ფონი განსხვავდება ასაკობრივ კატეგორიებში. უმუშევრობის საშიშროების წინაშე დადგა ზრდასრული მოსახლეობის დიდი ნაწილი (ასაკობრივი კატეგორია 45-65 წ.). დღევანდელი მთავრობა ცდილობს, ახალი ინიციატივებით გამოვიდეს⁶ და ასაკოვანი სპეციალისტების დასაქმების მიმართულებით და ამ გზით მიაღწიოს სოციალურ ეფექტს. ქვეყნის გარდამავალ პერიოდში ბევრი განათლებული და შრომისმოყვარე ადამიანი დარჩა უმუშევარი და სკოლის მასწავლებელთა მთელი არმია დღესაც დგას ამ საშიშროების წინაშე. სახელმწიფო ვალდებულია პირდაპირი თუ ირიბი გზებით იზრუნოს ამ ასაკობრივი სეგმენტის წარმომადგენელი ადამიანების შრომის ბაზართან დაკავშირებაზე. დღის წესრიგში დადგა ზრდასრულთა გადამზადების პროგრამების შემუშავების საკითხები, იხარჯება საკმაოდ დიდი თანხები ამ მიმართულებით. განათლების სამინისტროში ჩამოყალიბდა გარკვეული მეთოდოლოგია, თუ როგორ დაეხმაროს ასაკოვან ადამიანებს მათი შრომის ბაზართან მორგების საქმეში. ამის მაგალითია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების გაუჩერული დაფინანსების პროგრამა⁷, რაც (ნაწილობრივ) მასწავლებელთა გადამზადებისთვის საჭირო ტრენინგების ორგანიზებას გულისხმობს. არის თუ არა ეს მეთოდოლოგია ეფექტური და/ან რა შემთხვევაშია ეფექტური, ეს კვლევის საგანია.

⁵ ა. დავითულიანი, ლ. ჩიკვაიძე, თ. დადიანი, შ. ძოწენიძე “ზრდასრულთა განათლების განვითარება საქართველოს წინსვლის საწინდარია”. მომზადდა და გამოიცა OSCE-ODIHR-ის ფინანსური მხარდაჭერით. თბილისი 2005წ.

⁶ საქართველოს მთავრობის სტრატეგიული „ათბუნქტიანი გეგმა“ მოდერნიზაციისა და დასაქმებისათვის (2011-2015) - http://www.government.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=234&info_id=33014

⁷ მასწავლებლის პროფესიული განვითარების ფინანსური მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა - http://www.tpdg.ge/index.php?option=com_content&view=article&id=41&Itemid=109

მოცემული კვლევის მიზანი იყო, საქართველოში მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის (2010-2014) მოსამზადებელი ტრენინგების მაგალითზე დაედგინა, როდის არის მასწავლებელთა (ზრდასრულთა) ტრენინგის შედეგები უფრო ეფექტური და როგორ შეიძლება მათი პოტენციალის გაზრდა მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერის საქმეში. კვლევის შედეგებმა თვალნათლივ აჩვენა, რომ ზრდასრულთა განათლებაში ზრდასრულთა სწავლების პრინციპებზე აგებული მიდგომები ზრდასრულთა სწავლებისას ბევრად ეფექტურს ხდის მიღწეულ შედეგებს.

პოსტსაბჭოთა სივრცეში ზრდასრულთა განათლება შედარებით ახალი სამეცნიერო მიმართულებაა⁸. მისი პრინციპების დამკვიდრება და განვითარება დღევანდელ საქართველოში მოცემულ კვლევაში აქტუალურ პრობლემად არის მიჩნეული. მოცემული პრობლემის სამეცნიერო ანალიზმა აჩვენა, რომ ზრდასრულთა განათლებასთან დაკავშირებული საბჭოთა და გარდაქმნის პერიოდის ისტორიულ-პედაგოგიური ნაშრომები, მიმდინარე მოვლენების გათვალისწინებით, ვერ იწინასწარმეტყველებდნენ ისეთ რადიკალურ სოციალურ და ეკონომიკურ ცვლილებებს და მათ თანმხლებ კატაკლიზმებს, რასაც ადგილი ჰქონდა საქართველოში 1991-2003 წ.წ. ისინი უმთავრესად წინა ათწლეულებში შექმნილ სტერეოტიპებზე იყვნენ ორიენტირებულნი. იმ დროს ზრდასრულთა განათლება საქართველოში ძირითადად პროფესიული კვალიფიკაციის ამადლებას გულისხმობდა⁹. პიროვნების შემოქმედებითი პოტენციის განვითარებას და რეგიონალურ თავისებურებებს ყურადღება ნაკლებად, ან სრულებით არ ექცეოდა.

მსოფლიო გამოცდილება აჩვენებს, რომ ტექნოლოგიური რევოლუციებით გამოწვეულ ნახტომებს მოსახლეობა ხშირად და უფრო წარმატებულად ზრდასრულთა არაფორმალური განათლების მეშვეობით აკეთებს¹⁰. ადამიანი გამუდმებით უნდა ცდილობდეს საკუთარი თავის სრულყოფას, რათა არ მოექცეს

⁸ И.Ф. Колесникова, А.Е. Марон, Е.П. Тонконогая и др. «Основы Андрагогики». Издательский Центр «Академия» 2003 г. ISBN 5-7695-0978-3

⁹ კ. რამიშვილი. “ზრდასრულთა განათლების პედაგოგიკა, კვლევის ობიექტი”. ჟურნალი “სკოლა და ცხოვრება” № 6. 1990 წ. გვ. 178

¹⁰ თ. გრძელიძე. “განათლების რეფორმა საქართველოში, რას წარმოადგენს და როგორი უნდა იყოს სინამდვილეში”. გამომცემლობა “მეცნიერება”, 1998 წ. გვ. 36. (შიფრი 2 K 83-318, მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკა).

სოციალურ იზოლაციაში. ამაში მას ხელი სახელმწიფომაც უნდა შეუწყოს. ამ მხრივ ჩვენი ქვეყანა ჩამორჩება მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებსაც და ზოგიერთ ყოფილ სოციალისტურ ქვეყანასაც.

კვლევის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ დღეს ქვეყანაში ზრდასრულთა განათლების სისტემა თავიდან ყალიბდება და მოთხოვნილება მასზე მოსახლეობაში ისევ იჩენს თავს. მართალია, მიმდინარეობს რეფორმები განათლების სისტემაში, მაგრამ ეს პროცესები გარკვეულ პრობლემებს აწვევს. მიმდინარე ეტაპზე სირთულეებს განიცდის არსებული საგანმანათლებლო სივრცე. უკვე რამდენიმე წელია, მსოფლიოში ტარდება კვლევა წიგნიერების დონის შესახებ, მათ შორის საქართველოშიც, სადაც საგანგებო მდგომარეობაა ამ მხრივ. 2006-2007 წლებში ორგანიზაციებმა PIRLS-მა და PISAM-მ საქართველოში ჩაატარეს კვლევა 9-10 და 14-15 წლის ბავშვებში წიგნიერების დონის შესახებ. კვლევა ტარდებოდა წერიითი მეტყველების გამოყენებისა და წაკითხულის გააზრების მეთოდით. კვლევის შედეგებით ქართველი მოსწავლეები წიგნიერების დონით ბოლო ოთხეულში არიან (სულ 45 ქვეყანა მონაწილეობდა)¹¹, რაც იმის ნიშანია, რომ სკოლის მასწავლებლები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საჭიროებენ გადამზადებას. ამ პრობლემების არსებობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი დაკავშირებულია კულტურულ-საგანმანათლებლო მემკვიდრეობისა და ღირებულებების გლობალურ ცვლილებასთან. ხდება შემობრუნება პრინციპულად ახალი სოციალურ-კულტურული ტიპის საზოგადოებისკენ, რომელიც ხდება რაციონის ეკონომიკის ნაწილი, დაფუძნებულია გარკვეული ცოდნის სისტემაზე. ამ ცოდნის მობილიზაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საშუალებად განათლების სხვა სფეროებთან ერთად, ჩვენს ქვეყანაშიც ზრდასრულთა განათლება უნდა იქნეს მიჩნეული.

მოცემული კვლევა მსოფლიოში ზრდასრულთა განათლების განვითარების სწორედ ამ ახალ პირობებს ითვალისწინებს, განიხილავს ზრდასრულთა განათლებას ისტორიულ ჭრილში, იკვლევს მასწავლებელთა სერტიფიცირებასთან დაკავშირებულ არსებულ გამოცდილებას და ბოლოს, იკვლევს ზრდასრულთა განათლების შედარებით ვიწრო სფეროს, მასწავლებელთა, როგორც

¹¹ **PIRLS 2006 Technical Report**, Edited by Michael O. Martin, Ina V.S. Mullis, and Ann M. Kennedy (2007), Chestnut Hill, MA: TIMSS & PIRLS International Study Center, Boston College.

ზრდასრულთა ტრენინგს, როგორც ინფორმირებული საზოგადოების ჩამოყალიბების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რგოლს დღევანდელ საქართველოში.

მსოფლიო საზოგადოებისთვის ზრდასრულთა განათლების როლის ახლებურად გააზრებისთვის მნიშვნელოვან მოვლენად იქცა 1997 წელს იუნესკოს ორგანიზებით ქალაქ ჰამბურგში გამართული ზრდასრულთა განათლებისადმი მიძღვნილი მე-5 მსოფლიო კონფერენცია CONFINTEA V. ამ კონფერენციაზე საერთაშორისო ფორუმზე დაკარაში (სენეგალი, 2000), გერმანიის სახალხო უნივერსიტეტების ასოციაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტის (IZZ DVV) ეგიდით ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციებზე, ზრდასრულთა განათლება მიჩნეულ იქნა XXI საუკუნის განვითარების საკვანძო ფაქტორად¹². ამ და სხვა კონფერენციების მონაწილეთა საერთო დასკვნა მდგომარეობდა იმაში, რომ ზრდასრულთა განათლება წარმოადგენს ბევრი პრობლემის მოგვარების, კერძოდ, ახალი ტექნოლოგიების დანერგვით მუდმივად ცვალებად პირობებთან მოსახლეობის შეგუება-ადაპტაციის, უმუშევრად დარჩენილი და სოციალურ იზოლაციაში მოქცეული ადამიანებისთვის თვითგადარჩენისა და თვითრეალიზაციის, თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და დემოკრატიის განვითარების ხელშეწყობის საშუალებას. მე-20 საუკუნის პოლონელი განმანათლებელის, სოლარკის სიტყვებით რომ ვთქვათ, ზრდასრულთა განათლების “უმნიშვნელოვანესი ფუნქცია არის და ყოველთვის იქნება, ასწავლოს ადამიანს, იცხოვროს აქტიური ცხოვრებით, რათა იპოვოს საკუთარი ბილიკი ცხოვრების გზაზე, რათა შეძლოს საკუთარი თავის საზოგადოებასთან ინტეგრირება, თვითონ აიმაღლოს თვითშეგნება, რადგან თითოეული ადამიანი კაცობრიობის ისტორიის უმნიშვნელოვანესი ნაწილია”¹³.

2009 წელს CONFINTEA VI კონფერენციაზე ბრაზილიაში, სადაც საქართველომ პირველად მიიღო მონაწილეობა, ზრდასრულთა განათლებას ცოდნის ეკონომიკისთვის საჭირო ინფორმირებული საზოგადოების ჩამოყალიბებაში აქტიური როლის შესრულების აუცილებლობა საზგასმით გამოიკვეთა.

¹² CONFINTEA V materials: www.unesco.org/education/uie/confintea/

¹³ ნორბერ ფ.ბ. გრეგერი და ევა პრუიბილსკა “ზრდასრულთა განათლება პოლონეთში” ?????????

კონფერენციისთვის მზადების პროცესში საქართველოში შეიქმნა ზრდასრულთა განათლების პრობლემატიკისადმი მიძღვნილი ინტერსექტოლარული დიალოგი. მასში მონაწილეობდნენ როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო სექტორების წამომადგენელი დაინტერესებული პირები (მათ შორის მოცემული ნაშრომის ავტორიც) და მისი მიზანი იყო ქვეყანაში ზრდასრულთა განათლების მდგომარეობის შესახებ ანგარიშის მომზადება.¹⁴

საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ეროვნული პროგრამის განხორციელების განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინდივიდუალურ მიმდინარე სამოქმედო გეგმაში წერია: “ევროკავშირის ქვეყნების ბოლო ათწლეულის აქტივობა განათლების სფეროში მიმართულია საერთო საგანმანათლებლო სივრცის შექმნისაკენ. ამ მიზნით საჭიროა სტრუქტურული, შინაარსობრივი და საკანონმდებლო გარდაქმნები”¹⁵. შინაარსობრივი ცვლილებების ჩამონათვალში სხვა საკითხებთან ერთად ჩამოთვლილია შემდეგიც, რომ (1) უნდა დაინერგოს დასავლეთ ევროპაში ბოლო დროს მეტად პოპულარული სტრატეგია “სწავლა სიცოცხლის მანძილზე” (მსოფლიო პრაქტიკაში “სწავლა სიცოცხლის მანძილზე” და “ზრდასრულთა განათლება” სინონიმებად გამოიყენება), რაც პიროვნებას საშუალებას აძლევს კონკურენტუნარიანი გახდეს ახალი ტექნოლოგიების გამოყენებაში, გაიადვილოს სოციალური ურთიერთობები, შეიქმნას თანასწორი შესაძლებლობები და გაიუმჯობესოს ცხოვრების ხარისხი; და (2) საქართველო აქტიურად უნდა ჩაერთოს საერთაშორისო პროგრამაში “განათლება ყველასათვის”, რაც საშუალებას მისცემს მას შეინარჩუნოს ის მიღწევები, რომელიც აქამდე ჰქონდა და სასწრაფოდ დაძლიოს ის უარყოფითი ტენდენციები, რომელმაც ბოლო დროს იჩინა თავი.

საქართველოში მასწავლებელთა 2010-2014 წ.წ. სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული მასწავლებელთა პროფესიული განვითარების გაუქმებული დაფინანსების პროგრამა ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ეროვნული პროგრამის განხორციელების

¹⁴ AEAG Georgia and divv international , “ზრდასრულთა განათლება საქართველოში და CONFINTTEA VI” - ISBN 978-9941-0-1419-2

¹⁵ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა: www.mes.gov.ge

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინდივიდუალური მიმდინარე სამოქმედო გეგმის განხორციელების ერთ-ერთი შემაჯავლი აქტივობაა.

პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, ხშირად მხოლოდ ზრდასრულთა განათლების თეორიულ საფუძვლებს განიხილავენ მაშინ, როცა ზრდასრულთა განათლების დაწესებულების რეალური არსებობა მნიშვნელოვანწილად იმ ადამიანების ცოცხალ, პრაქტიკულ საქმიანობას წარმოადგენს, რომლებიც სხვადასხვა ტიპის კურსების, სასწავლო პროგრამებისა და სემინარების ორგანიზებას ახდენენ¹⁶. საქართველოს ხელისუფლება ხშირად მხარს უჭერს კერძო ინიციატივებს ქვეყანაში, ცდილობს შეზღუდოს სახელმწიფოს ჩარევა იქ, სადაც კერძო სექტორი უფრო კომპეტენტური და სანდო შეიძლება იყოს. იგივე მოხდა განათლების და ზრდასრულთა ტრენინგის სფეროშიც. კერძო ტრენინგ-პროვაიდერი ორგანიზაციები აქტიურად ჩაერთვნენ მასწავლებელთა განათლების პროცესებში მიმდინარე სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის მოსამზადებლად¹⁷. მაგრამ პროვაიდერი ორგანიზაციების ტრენერებს არ მოეთხოვებათ სპეციალური უნარები, რასაც ზრდასრულთა სწავლების პროცესები მოითხოვენ.

საქართველოში დღესდღეობით მხოლოდ ერთადერთი ორგანიზაცია არსებობს, რომელიც ზრდასრულთა განათლების სპეციალისტ-პრაქტიკოსს ამზადებს. ეს არის კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი CTC. არსებობს კიდევ ერთჯერადი ტრენინგები ტრენერთათვის კონკრეტული მიმართულებით, რომელსაც საერთაშორისო ორგანიზაციების პროგრამების ფარგლებში ატარებენ დასავლური ქვეყნებიდან მოწვეული ექსპერტების მეშვეობით.

CTC წარმოადგენს პირველ ქართულ ორგანიზაციას ზრდასრულთა განათლების სფეროში, რომელმაც 2004 წელს მიიღო საერთაშორისო ხარისხის მართვის სერტიფიკატი ISO- 9001-2000. აქ ატარებენ კურსებს, სადაც ასწავლიან

¹⁶ Рамишвили К. К. «Вопросы обучения взрослых в народных университетах» Тбилиси. Издательство Тбилис. Госуниверситета. 1986 – 211 с.

¹⁷ Aleksandra Duda, Terence Clifford-Amos. *Study on Teacher Education for Primary and Secondary Education in six Eastern Partnership Countries: Armenia, Azerbaijan, Belarus, Georgia, Moldova and Ukraine*. Final Report. Agreement nr EAC-2011-0301 (Negotiated procedure EAC/28/2011). European Commission, Directorate-General for Education and Culture. September 2011

„ზრდასრულთა სასწავლო პროგრამების შემუშავებას და ზრდასრულთა სასწავლო პროცესის წარმართვის უნარ-ჩვევებს“.

CTC-ის ვებგვერდზე თქვენ წაიკითხავთ: „ნებისმიერი ტრენინგ პროგრამის წარმატება დიდად არის დამოკიდებული ტრენერზე: სწორედ მას შეუძლია პროგრამა სრულ კატასტროფად ან გასაოცარ სასწავლო გამოცდილებად აქციოს. თავის მხრივ, ტრენერის მუშაობის ხარისხს განსაზღვრავს მისი უნარი, სწორად შეარჩიოს ზრდასრულთათვის ცოდნის ეფექტურად გადაცემის მეთოდები, ზოგადად შექმნას სწავლისთვის ხელისშემწყობი გარემო. ამდენად კურსის მიზანია, დაეხმაროს ტრენერებს თავიანთი პროგრამების უფრო ეფექტურ დაგეგმვასა და განხორციელებაში¹⁸“. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს კურსები თავისი ღირებულების გამო არც ისე ადვილი ხელმისაწვდომია ბევრისთვის.

სათანადო დაფინანსების შემთხვევაში, ქვეყნის უნივერსიტეტებს საკუთარი ინტელექტუალური რესურსების გამოყენებით შეუძლიათ მოამზადონ ისეთი სპეციალისტები, რომლებიც ზრდასრულთა განათლების სოციალურ-პედაგოგიური პრინციპების ამუშავებას მოახდენენ. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერის ცენტრი¹⁹ აქტიურად ჩაება სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების გაუჩერელი დაფინანსების პროგრამაში და მუშაობს მასწავლებელთა საგნობრივი და პროფესიული უნარების სწავლების მიმართულებით. გარდა ამისა, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ცოდნის ეკონომიკის კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც ასევე მუშაობს ზრდასრულთა ტრენინგის კვლევის მიმართულებით.

ნაშრომის სტრუქტურა

ნაშრომი შედგება შესავლისა და შვიდი ძირითადი თავისგან, რომლებშიც ლიტერატურისა და სტატისტიკის მიმოხილვის და კვლევის მეთოდოლოგიის აღწერის შემდეგ გამოკვეთილია კვლევის საერთო დასკვნები და რეკომენდაციები. ნაშრომს თან ახლავს რეზიუმე ინგლისურ ენაზე და გამოყენებული ლიტერატურის სია (ბიბლიოგრაფია). შესავალში ხდება კვლევის პრეზენტაცია და

¹⁸ <http://www.ctc.org.ge/?lang=geo&page=118>

¹⁹ http://www.iliauni.edu.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=588

წარმოდგენილია თეზისი. საუბარია იმაზე, თუ რაში მდგომარეობს პრობლემა და რატომ არის საჭირო მისი გადაწყვეტა. ნაშრომის მომდევნო თავში განმარტებულია ძირითადი ტერმინები, ჩამოყალიბებულია კვლევის ჰიპოთეზა და პრობლემის გადაწყვეტის გზები; დასაბუთებულია საკვლევი პრობლემის აქტუალობა, კვლევის მიზანი და საგანი; დახასიათებულია კვლევის მეცნიერული სიახლე, ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. კვლევის წყაროებზე დაყრდნობით *(მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკის²⁰, საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ბიბლიოთეკის, საქართველოს სახელმწიფო არქივის ფონდის²¹, ილიას სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკის და პროფესორების კერძო ბიბლიოთეკების, UNESCO-CONFINTEA-ს 1997-2009 წლების კონფერენციების, საქართველოს განათლების სამინისტროს ვებგვერდზე და ინტერნეტში მოპოვებული სხვა მასალები)* დისერტაციის მომდევნო თავებში განხილულია ზრდასრულთა განათლების ისტორია, მისი განვითარების ეტაპები, თავისებურებები და ფუნქციები. თემა განიხილავს და ასაბუთებს ზრდასრულთა სასწავლო პროცესებში ზრდასრულთა სწავლების პრინციპების გათვალისწინებით მოდულირებული მიდგომის უპირატესობას ამ მიმართულებით გაწეული დაფინანსებების ეფექტურად გამოყენების საქმეში და ზოგადად ზრდასრულთა განათლების პროგრამების დაგეგმვის საქმეში. კვლევის მეთოდოლოგიის ნაწილში დეტალურად არის აღწერილი კვლევის მიზნით ჩატარებული ექსპერიმენტებისა და მათი ანალიზის შედეგები. ნაშრომი მთავრდება კვლევის ძირითადი დასკვნებითა და რეკომენდაციებით, რომლებიც გამიზნულია ზრდასრულთა განათლების მესვეურებზე მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებთან მიმართებაში და ზოგადად.

²⁰ შიფრის ნომრები: K 25-26-27 და AK 65-75

²¹ ფონდის ნომრები: 14-22

II თავი: დისერტაციის ზოგადი დახასიათება და მნიშვნელობა

აბსტრაქტი: ზრდასრულთა განათლების შინაარსი, მართვა და სასწავლო პროცესები და ასევე, ზრდასრულებისთვის ახალი უნარ-ჩვევების მიღების ხელმისაწვდომობა მოითხოვს კვლევასა და გაუმჯობესებას. მოცემული კვლევის ავტორი ეყრდნობა ზრდასრულთაგან, კერძოდ, სკოლის მასწავლებლებისგან მიღებული მონაცემების ანალიზს. კვლევის ავტორმა საეურადღებოდ მიიჩნია შეესწავლა მასწავლებელთა აღქმა, არის თუ არა თანხვედრა მიმდინარე სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის ორგანიზებული ტრენინგებსა (საქართველო, 2010-2014) მასწავლებელთა სწავლის მოტივაციასთან და მათი კმაყოფილების ან უკმაყოფილების დონეებს შორის; და მოახდენს თუ არა ზრდასრულთა განათლების შესაბამის პრინციპებზე აგებული ტრენინგები ზეგავლენას ტრენინგების შედეგებზე. კვლევა ჩატარდა იმ მიზნით, რომ გამოეველინა ზრდასრულთა განათლების პრინციპების მიზეზ-შედეგობრივი კავშირი მასწავლებელთა დამოკიდებულებასთან სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის ორგანიზებული მოსამზადებელი ტრენინგებისადმი; მოეხდინა მასწავლებელთა პედაგოგიური რწმენებისა და პრაქტიკის ტრანსფორმირებისა და ურთიერთზემოქმედების ხარისხის შემოწმება; და ასევე, შეესწავლა ზრდასრულთა განათლების როლი ინფორმირებული საზოგადოების (Knowledge Society) ჩამოყალიბების საქმეში.

მოცემული კვლევა ბევრად ადრე დაიწყო, ვიდრე კვლევის საგანი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სამოქმედო გეგმაში და ბრაზილიაში CONFINTEA VI –ზე წარსადგენ ეროვნულ ანგარიშში აისახებოდა – საქართველოში ზრდასრულთა სწავლებისა და განათლების განვითარების და მდგომარეობის შესახებ. იგი აგებული იყო პრაქტიკულ საქმიანობაზე და მხოლოდ შემდეგ მიიღო პუბლიკაციებისა და თეორიული ნაშრომის სახე და ამდენად, თავისი წვლილიც შეიტანა აღნიშნული ანგარიშის ცალკეული თავების მომზადებაში. დისერტაციაში ჩამოყალიბებულია ზრდასრულთა განათლების პედაგოგიკის საფუძვლები და წინასწარ გაწეული პრაქტიკული საქმიანობის შედეგად ფორმირებული ახალი სოციალურ-პედაგოგიური პრინციპები; მოცემულია სტატისტიკა და ინფრომაცია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ვაუჩერული დაფინანსების პროგრამის შესახებ. აქვე განსაზღვრულია ზრდასრულთა განათლების, როგორც პედაგოგიკის ახალი მეცნიერული

მიმართულების დამკვიდრების პირობები, რაც შემდგომ ზრდასრულთა განათლების სისტემისა და მასში შემავალი ცალკეული რგოლის საფუძველი უნდა გახდეს. ზრდასრულთა განათლების კონცეფციას, მეთოდიკას, ფსიქოლოგიურ საკითხებს, ზრდასრულთა განათლების სისტემისადმი ზოგადი და კონკრეტული მიდგომების დიალექტიკას და მასთან დაკავშირებულ ფინანსურ ასპექტებს მოცემული თემა, ნაწილობრივ, ისტორიულ ჭრილში განიხილავს და ადგენს მათი განვითარების პერსპექტივებს. ზემოთ ჩამოთვლილი ასპექტები სხვა მეკლევარების კვლევის საგნადაც შეიძლება იქცეს. მოცემულ კვლევაში გამოკვეთილია ზრდასრულთა ტრენინგებისა და ზრდასრულთა განათლების პრინციპებზე აგებული მოდულირებული სწავლების მიდგომის უპირატესობა ზრდასრულთა სწავლების პროცესებში.

მაშინ, როცა თითქმის მთელ მსოფლიოში გამუდმებით ვითარდება ზრდასრულთა განათლების სხვადასხვა მიმართულება [ტრენინგები სხვადასხვა უნარებში, დისტანციური განათლება, ახალი საბაზო განათლება, სწავლის გაგრძელება, სწავლა სიცოცხლის მანძილზე, ზრდასრულთა არაფორმალური განათლება, საქართველოში მეტწილად საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ხორციელდება მსგავსი პროგრამები. ამ მოძრობას უსისტემო ხასიათი აქვს და მხოლოდ რამდენიმე მიზნობრივი ჯგუფისკენ არის მიმართული. ზრდასრულთა განათლების კურსების ის მცირე რაოდენობა კი, რაც ადგილობრივი იურიდიული, ან კერძო პირების მიერ შეიქმნა, ძვირადღირებულია და რეგიონებში სოციალურ იზოლაციაში მოქცეულ მოსახლეობას მათზე ხელი არ მიუწვდება²².

რეფორმები არ შეიძლება შემოიფარგლებოდეს მხოლოდ სტრუქტურების განახლებით და ახალი ტექნოლოგიების შემოტანით. საჭიროა ძველ სისტემაში მიღებული განათლების მქონე პირების ახალ საბაზრო ეკონომიკასთან, ცოდნის ეკონომიკასთან ადაპტაციის სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების ამუშავება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამის გაკეთება რეგიონებში (რეფორმა ქვემოდან), სადაც მოსახლეობა სოციალურ იზოლაციაშია მოქცეული. საჭიროა განათლების ახალი მიმართულების გამოვლინება და ქვეყნის უზარმაზარი

²² “საქართველოს ზრდასრული მოსახლეობის განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების კურსები” – მონაცემთა ბაზა. მოამზადა და გამოსცა ორგანიზაციამ IZZ-DVV, 2004 წელს. ISBN 99928- 995- 4- 9

საგანმანათლებლო და ინტელექტუალური პოტენციალის გამოყენება ამ მიმართულებით, რათა ახალ შრომის ბაზარზე პროფესიონალური და ამავე დროს სათემო მობილიზაცია მოხდეს²³.

ზრდასრულთა განათლების თანმხლები სოციალურ-პედაგოგიური პრინციპები ბევრი სხვა ქვეყნის განათლების სისტემაში ცალკე თეორიად ყალიბდება და იმ უმაღლესი სასწავლებლების პროგრამების საგნად იქცევა (მაგ. ჩრდილოეთ ამერიკისა და ევროპის ქვეყნებში, მათ შორის ბალტიისპირეთის ქვეყნებში და რუსეთის ფედერაციაში), რომლებიც ზრდასრულთა განათლების სპეციალისტებს, ტრენერებს ამზადებენ. ამ ქვეყნებში მთავარ გამოწვევად რჩება ზრდასრულთა განათლებაში მონაწილეობის გაზრდის აუცილებლობა. რეალობა გვიჩვენებს, რომ ზრდასრულთა სწავლება ხორციელდება უფრო ფორმალური სასწავლო გარემოს მიღმა, როგორც არაფორმალური, ისე ინფორმალური სწავლების გზით.

²³ დავით გზირიშვილი “საქართველოში სათემო ორგანიზაციების სიტუაციური ანალიზი” – სიღარიბის დაძლევის და ეკონომიკური ზრდის განხორციელების ანგარიში. მოამზადა და გამოსცა. 2003 წ. იხილეთ ვებ-გვერდი: www.un.org/reports

2.1. ზრდასრულთა განათლებასთან და ზრდასრულთა ტრენინგთან დაკავშირებული ცნებები და აქტივობები

1997 ჰამბურგში ზრდასრულთა განათლებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო CONFINTEA V-ის მიერ მიღებულ დეკლარაციაში ზრდასრულთა განათლება შემდეგნაირად არის განმარტებული: ის “წარმოადგენს ფორმალური ან არაფორმალური განათლების იმ სფეროებს, სადაც ადამიანები, რომლებსაც საზოგადოება მიიჩნევს ზრდასრულად, განავითარებენ თავის უნარებს, იმდიდრებენ ცოდნას, იმაღლებენ თავიანთ ტექნიკურ თუ პროფესიულ კვალიფიკაციას ან მიმართავენ მათ ახალი მიმართულებით, რათა მოახდინონ მათი თანხვედრა საკუთარ და საზოგადოების (ბაზრის) მოთხოვნებთან²⁴”. ზრდასრულთა განათლებისადმი მიძღვნილმა მომდევნო საერთაშორისო კონფერენციამ CONFINTEA VI –მა ბელემში (ბრაზილია) ზრდასრულთა განათლებას მცოდნე (ინფორმირებული) საზოგადოების (Knowledge Society) და ცოდნის ეკონომიკის (Knowledge Economy) ჩამოყალიბებაში პრიორიტეტული მნიშვნელობა მიანიჭა და მოსთხოვა მონაწილე ქვეყნების მთავრობებს, მათ შორის საქართველოს, შეასრულონ კონფერენციის რეზოლუცია, რომელიც ძირითადად ზრდასრულთა განათლების როლის გაზრდას ეძღვნება გლობალური გამოწვევების პირობებში.

ზრდასრულთა განათლება არის „განათლების ნებისმიერი პროცესი, რომელიც შექმნილია იმ ადამიანებისთვის, ვისაც ასაკიდან გამომდინარე აქვს მუშაობის, ხმის მიცემის, ქორწინებისა და ჯარში სამსახურის უფლება“ (*ზრდასრულთა განათლების ნაციონალური ინსტიტუტის ანგარიში. ინგლისი, 1970 წელი*).

ფორმალური განათლება გულისხმობს (ზრდასრულთა შემთხვევაში) პროფესიულ სკოლებსა და უნივერსიტეტებში აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამის ათვისების შედეგად მიღებულ განათლებას და ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომის) მიღებას.

²⁴ Hamburg Declaration in 1997, CONFINTEA V

არაფორმალური განათლება გულისხმობს სწავლების კურსის დამთავრების სერტიფიცირებულ, არადიპლომირებულ შეფასებას და ნიშნავს ორგანიზებულ, სტრუქტურირებულ და მიზანმიმართულ საგანმანათლებლო ღონისძიებებს, ანუ სწავლის პროცესს, რომელიც ხორციელდება ფორმალური განათლების (სასკოლო და საუნივერსიტეტო განათლება) მიღმა (მაგალითად, ტრენინგებზე).

ინფორმალური განათლება გულისხმობს მიზანმიმართულ, მაგრამ ნაკლებად ორგანიზებულ და სტრუქტურირებულ სწავლის პროცესს, რომლის შეფასების მიზნით არ გაიცემა დიპლომა ან სერტიფიკატი (ან გაიცემა სიმბოლური ხასიათის მატარებელი დიპლომი და სერტიფიკატი). ასეთი პროცესი შეიძლება მიმდინარეობდეს ოჯახში, სამუშაო ადგილას, ან ყოფით გარემოში.

ზრდასრულთა ტრენინგი გარკვეული ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების შეძენას ემსახურება. მას გააჩნია კონკრეტული მიზნები, გააუმჯობესოს ადამიანთა ჯგუფის ნიჭიერება, გონებრივი თუ ფიზიკური უნარები და მოქმედება მათთვის სასარგებლო მიმართულებით.

ყველა ზემოაღნიშნული სასწავლო პროცესი უნდა მოიცავდეს სწავლის გარკვეულ სტრატეგიას, რომელიც ზრდასრულებისთვისაა გათვალისწინებული, ხოლო თვითონ პროცესს, რომელიც ზრდასრულ მსმენელებს სწავლის ამ სტრატეგიებთან აკავშირებს, სამეცნიერო წრეებში ანდრაგოგიკას უწოდებენ²⁵.

ტერმინი **ანდრაგოგიკა** გერმანელმა პედაგოგიკის ისტორიკოსმა ა. კაპმა თავის ნაშრომებში ზრდასრულთა განათლების შესახებ ჯერ კიდევ 1833 წელს, ტერმინ “პედაგოგიკის” ანალოგად შემოიტანა. ბერძნული წარმოშობის სიტყვების “ანდროს” – მამაკაცი და “აგოგეინ” – ტარება, შერწყმით. სიტყვასიტყვით თუ გადავთარგმნით, ანდრაგოგიკა ნიშნავს “ზრდასრული ადამიანის მცოდნეობას,” მაგრამ ვინაიდან ტერმინი ანდრაგოგიკა გაჩნდა პედაგოგიური მოღვაწეობის სინამდვილეში, საუბარია ზრდასრული ადამიანის მცოდნეობაზე განათლების ჭრილში²⁶. ტერმინების “პედაგოგიკა” და “ანდრაგოგიკა” ნათესაობა და ურთიერთკავშირი მრავალი წელია, პროფესიული კამათის საგანია და რადგან აზრობრივი მემკვიდრეობა პედაგოგიკისგან მიიღო და ადამიანის განათლებას

²⁵ Кузьмина Н.В. «Предмет акмеологии». СП акмеологическая академия.1995.-24с.

²⁶ И.Ф. Колесникова, А.Е. Марон, Е.П. Тонконогая и др. «Основы Андрагогики». Издательский Центр «Академия» 2003 г. ISBN 5-7695-0978-3

ეხება, მეცნიერების უმეტესობა დღემდე მას აღიქვამს, როგორც პედაგოგიკის ერთ-ერთ მიმართულებას. სხვები მას მიიჩნევენ სოციალური პრაქტიკის სფეროდ, სასწავლო დისციპლინად, ერთი ნაწილი მეცნიერული ცოდნის ცელკე სფეროდაც მიიჩნევს²⁷. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ანდრაგოგია, როგორც ზრდასრულთა განათლების შემსწავლელი პედაგოგიური მეცნიერება, დიდი ხანია, ქართველი მკვლევარების ყურადღების ცენტრში მოექცა, რადგან ის უშუალო კავშირშია ადამიანური კაპიტალის განვითარების საქმეში.

ადამიანური კაპიტალის ცნება განიხილება, როგორც ინვესტიციების ერთობლიობა ადამიანში, რომელიც მის შრომის უნარს აძლიერებს. ესაა განათლება და პროფესიული ჩვევები. განათლებული და ინფორმირებული ადამიანი დაცული ადამიანია და წარმოადგენს მცოდნე (ინფორმირებული) საზოგადოების საფუძველს.

მცოდნე (ინფორმირებული) საზოგადოება (Knowledge Society) ის საზოგადოებაა, სადაც ინფორმაციის შექმნა, გამოყენება, გავრცელება, ინტეგრაცია და მანიპულაცია მნიშვნელოვან ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ აქტივობას წარმოადგენს განვითარების თვალსაზრისით. ნიკო სტერი წიგნში „**The Knowledge Society**“ ამბობს, რომ ინფორმირებულ საზოგადოებაში საქმიანობის უმეტესი ნაწილი მოიცავს მეცნიერულ და ტექნოლოგიურ ცოდნაზე დამყარებულ სამუშაოს და რომ მეცნიერული ცოდნა არის სოციალური ცვლილებების მამოძრავებელი.²⁸

1966 წელს თავის წიგნში „Effective Executive“ მენეჯმენტის ცნობილმა ამერიკელმა მკვლევარმა პიტერ დაკერმა პირველად წარუდგინა მსოფლიო საზოგადოებას ტერმინი **ცოდნის ეკონომიკა** (გვ. 2). მან აღწერა განსხვავება ფიზიკურად მომუშავესა და გონებრივად მომუშავეს შორის: ფიზიკურად მომუშავე თავისი ხელებით მუშაობს და აწარმოებს პროდუქციას ან მუშაობს მომსახურების სფეროში, ხოლო გონებრივად მომუშავე თავით მუშაობს და იდეებს, ცოდნასა და ინფორმაციას ქმნის²⁹.

²⁷ Knowles, Malcolm S. *The Modern Practice of Adult Education; Andragogy versus Pedagogy*. The Association Press, 291 Broadway, New York, N.Y. 10007, 1970

²⁸ Gernot Bohme and Nivo Stehr „*The Knowledge Society*“. D. Reidel publishing Company, ISBN 90-277-2305/ ISBN 90-277-2306-0. Introduction, 1986

²⁹ Peter F. Drucker – *The Effective Executive*. Collins (2005) - Paperback - ISBN 0060833459

აკადემიკოს ა. ბოდალევის (რუსეთი) აზრით, **ზრდასრულთა ასაკობრივი გრადაცია** რამდენიმე სტადიას მოიცავს: 1) ადრეული ზრდასრულობის ასაკი (18-30 წ.), როდესაც ადამიანი ეცნობა და ასრულებს თავის იურიდიულ და სოციალურ მოვალეობებს; 2) საშუალო ზრდასრულობის ასაკი (30-45 წ.), როდესაც ადამიანი სრულყოფს და ასრულებს თავის პროფესიულ და სოციალურ მოვალეობებს; 3) გვიანი ზრდასრულობის ასაკი (45-55 წ.), როდესაც ადამიანი მაღალკვალიფიციური ხდება თავისი პროფესიული და სოციალური ფუნქციის შესრულებაში; 4) წინა საპენსიო ასაკი (55-65 წ.), ეს პერიოდი ხშირად მოტივაციის ცვლილებებით აღინიშნება; 5) საპენსიო ასაკი (60-65 წლის და ზევით)³⁰.

საქართველოს ეკონომიკისა და განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, მოსახლეობის ასაკობრივი გრადაცია შემდეგ სტადიებს მოიცავს: (1) 0-14 წლის, (2) 15-24 წლის, (3) 25-64 წლის და (4) 65 და ზევით. აღნიშნულ დეპარტამენტში ამ ასაკობრივი გრადაციის საფუძველზე ხდება მონაცემთა გადანაწილება³¹. მოცემული კვლევისთვის ჩატარებულმა გამოკითხვებმა კი აჩვენა, რომ ზრდასრულთა არაფორმალური განათლების სასწავლო პროცესებზე დასწრების მსურველთა ქვედა ზღვარი მეტწილად 25 წელია, ხოლო ზედა ზღვარი - 65 წლის ასაკსაც ცდება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დღეს საქართველოში უმუშევრობის რისკის წინაშე მდგომი ადამიანების მაჩვენებლები 45-65 წლის ასაკობრივ სეგმენტში ბევრად მაღალია. ყოველივე ზემოაღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ მოთხოვნა ზრდასრულთა განათლებაზე საშუალოდ 25-65 წლის ადამიანებზე მოდის და ზრდასრულთა განათლების ძირითადი სტრატეგიები სწორედ მათზე უნდა იყოს გათვლილი.

ზრდასრული ადამიანები გამოირჩევიან იმით, რომ მათ შეუძლიათ აიღონ პასუხისმგებლობა თავიანთ პროფესიულ განვითარებაზე; შეუძლიათ ცვალებად პირობებთან ადაპტირება; აქვთ მოტივაცია და გააჩნიათ გარკვეული გამოცდილება, ანუ შესაბამისი ცოდნის ბაზა; შეუძლიათ კრიტიკის მიღება; აქვთ შედარებით მაღალი პროფესიული, მორალური და ეთიკური სტანდარტები; აქვთ

³⁰ Бодалев А.А. «Актуальные проблемы изучения взрослых. Мир психологии». Научно-методический журнал. №2(18). МПСИ. М.-В.1999.с6-11.

³¹ ეკონომიკის განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტის 2003 წ. ანგარიში

სურვილი, გაიუმჯობესონ სოციალური პირობები; კარგად აცნობიერებენ იმ პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ პირობებს, რომლებშიც უწევთ მუშაობა.

ეფექტიანი სწავლებისა და სწავლის დროს ზემოთ მითითებული ასაკის ზრდასრული მსმენელები კონცენტრირებულნი არიან, აქვთ მზაობა და სწავლის სურვილი, ისწრაფვიან თვითრეალიზაციისკენ, ანუ მოტივირებულნი არიან. სწავლება მიმდინარეობს სწორად და შეესაბამება მათ გამოცდილებას, ცოდნასა და აღქმის უნარს და ბოლოს, ზრდასრული მსმენელები აქტიურად არიან ჩართულნი ერთობლივ მუშაობაში.

ეფექტიანი სწავლებისა და სწავლის გარანტიას ზრდასრულთა განათლების პრინციპებზე აგებული სასწავლო პროცესი იძლევა.

ზრდასრულთა განათლების პრინციპები ეხმარება პრაქტიკას, რომელიც ეხება დაგეგმვას, პრაქტიკაში გატარებასა და ზრდასრულთა განათლების აქტივობების შეფასებას³². სწავლის პროცესის შემსუბუქების მიზნით ზრდასრულთა განმანათლებლებს უნდა ესმოდათ ზრდასრულთა სწავლების პროცესი. ზრდასრულთა ტრენინგების ორგანიზების პროცესებში ზრდასრულთა განათლების პრინციპები სახელმძღვანელოა გადაწყვეტილების მიღებისთვის. ასეთ გადაწყვეტილებებზე კი დამოკიდებულია ზრდასრულთა განათლების შედეგების ეფექტურობა, რაც, თავის მხრივ, ინფორმირებული საზოგადოების ჩამოყალიბების გარანტიაა. ზრდასრულთა განათლების კონკრეტული პრინციპების ჩამონათვალი მოცემული კვლევის მომდევნო თავებშია მომხილული (იხილეთ ქვეთავი 3.3.), ხოლო მათი გამოყენების აუცილებლობის საკითხი წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილი პრობლემის გადაწყვეტის გზებსა და კვლევის მეთოდოლოგიაში მოწოდებულ მთავარ ცვლადებს შორის კორელაციის კოეფიციენტის დადგენის საგანს (საშუალებას).

³² *Teaching and Learning - Towards the Learning Society* - White paper on education and learning, COM(95) 590, Luxembourg: Office for Official Publications of the European Communities, 1995

2.2. კვლევის მიზანი, ჰიპოთეზა, პრობლემის გადაწყვეტის გზები და ლიმიტაციები

ზრდასრულთა არაფორმალური განათლების მსოფლიოში ერთ-ერთ გაერცხლებულ ფორმას წარმოადგენს ზრდასრულთა ტრენინგი. მოცემული თემის კვლევის მთავარი მიზანია, მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის (2010-2014 წ.წ. საქართველო) მოსამზადებელი ტრენინგების მაგალითზე დაადგინოს, არის თუ არა ზრდასრულთა განათლების პრინციპებზე აგებული მოდულირებული სწავლების შედეგები უფრო ეფექტური. ზრდასრულთა განათლების პრინციპები, როგორც შესავალში აღვნიშნეთ, არის ის, რისი გათვალსიწინებითაც უნდა მოხდეს ზრდასრულთა სწავლების პროცესების დაგეგმვა, პრაქტიკაში გატარება და ამ მიმართულებით ჩატარებული აქტივობების შეფასება.

კვლევის მიზნით საჭირო გახდა, გამოვლენილიყო ზრდასრულთა განათლების პრინციპების მიზეზ-შედეგობრივი კავშირი იმასთან, თუ რა დამოკიდებულება აქვთ მასწავლებლებს სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის ორგანიზებული ტრენინგების მიმართ და შემდეგ ორი განსხვავებული ტიპის ტრენინგის შედეგების ერთმანეთთან შედარება. ამ გზით კვლევის ავტორმა სცადა მოეხდინა მასწავლებელთა პედეგოგიური და პრაქტიკის ტრანსფორმირებისა და ურთიერთზემოქმედების ხარისხის შემოწმება და მასწავლებელთა ტრენინგის პოტენციალის გაზრდის გზების გამოკვეთა მათი პროფესიული მხარდაჭერის საქმეში.

კვლევის მიზანია ასევე, დაასაბუთოს, რომ ქვეყანაში რეფორმების წარმატებული განხორციელების, ძველი და ახალი მემკვიდრეობის ურთიერთდაკავშირების, უმუშევართა სოციალური იზოლაციიდან თავის დაღწევის მნიშვნელოვან საშუალებას ზრდასრულთა არაფორმალური განათლება წარმოადგენს. ამ მიზნით კვლევის ავტორმა შეისწავლა ზრდასრულთა არაფორმალურ განათლებაში მოსახლეობის ჩართულობის მიმართება მცოდნე (ინფორმირებული) საზოგადოების (Knowledge Society) ჩამოყალიბების პროცესებთან.

ზრდასრულთა განათლების შინაარსი, მართვა და სასწავლო პროცესები და ასევე, ზრდასრულებისთვის ახალი უნარ-ჩვევების მიღების ხელმისაწვდომობა

მოითხოვს კვლევასა და გაუმჯობესებას. მოცემული კვლევის ავტორი ეყრდნობა ზრდასრულთაგან, კერძოდ, სკოლის მასწავლებლებისგან მიღებული მონაცემების ანალიზს. **პრობლემა** ისაა, რომ სკოლის მასწავლებლების დამოკიდებულებამ სასერტიფიკაციო გამოცდებისა და ამ გამოცდებისთვის მოსამზადებელი ტრენინგების გაუჩერული დაფინანსების პროგრამის მიმართ სკეპტიკური ხასიათი მიიღო. მათ გაუჩნდათ გამოცდების წარუმატებლად ჩაბარების და შესაბამისად უმუშევრად დარჩენის შიში. ყოველივე ამის მიზეზი ის არის, რომ ისინი არ არიან საკმარისად ინფორმირებულები ამ გამოცდების მიზნების შესახებ და არც სხვა ქვეყნებში ანალოგიური გამოცდილების შესახებ. გარდა ამისა, აღნიშნული ტრენინგები, ბევრი მიზეზის გამო, სკოლის მასწავლებლები დიდი ნაწილისთვის მშრალ სასწავლო პროცესად აღიქმება. უკვე ჩატარებული გამოცდების შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, მათ სკეპტიციზმსა და შიშს გარკვეული საფუძველი გააჩნია და გაუჩერული დაფინანსების პროგრამის ფარგლებში ბევრად მეტის გაკეთება შეიძლება ეფექტურობის თვალსაზრისით.

მოცემული კვლევის **ჰიპოთეზა** ასეთია: მასწავლებელთა (ზრდასრულთა) ტრენინგების დროს ზრდასრულთა განათლების პრინციპებზე და საზოგადოების ინფორმირებულობის იდეაზე აგებული მოდულირებული სწავლების მიდგომა ბევრად ეფექტურ შედეგებს იძლევა, ვიდრე მშრალი, გამოცდებზე ორიენტირებული სწავლების მიდგომა, ზრდასრულთა განათლების პრინციპების გათვალისწინების გარეშე.

დამტებით, კვლევა ასკვნის, რომ ტრენინგისადმი და სასერტიფიკაციო გამოცდებისადმი (2010-2014, საქართველო) დადებითი დამოკიდებულებისა და მოლოდინების მქონე მასწავლებელთა რიცხვის ზრდა ზრდასრულთა განათლების პრინციპების გათვალისწინებით მოდულირებული სწავლების მიდგომის შედეგად მოხდება, რაც გამოკითხვის შედეგებით შეგვიძლია შევამოწმოთ.

ამასთან, კვლევის ავტორი ასაბუთებს შემდეგს: იმ ფაქტორების გათვალისწინებით, რომ თანამედროვე ეტაპზე მიმდინარეობს სახელმწიფო სისტემის რადიკალური ცვლილება და რომ ჩნდება მოთხოვნა განათლებაზე ქვეყნის ზრდასრულ მოსახლეობას შორის, ზრდასრულთა განათლებას შეუძლია სოციალური რეაბილიტაციის ფუნქცია შეასრულოს. ინფორმირებულობა მისცემს

პიროვნებას საშუალებას, გაიადვილოს სოციალური ურთიერთობები, შეიქმნას თანასწორი შესაძლებლობები და გაიუმჯობესოს ცხოვრების ხარისხი. ზრდასრულთა განათლების სხვადასხვა მიმართულებებს შეუძლია მიაწოდოს მოსახლეობას საგანმანათლებლო მომსახურების მრავალფეროვანი სპექტრი იმ თვალსაზრისით, რომ უზრუნველყოფს მათ კონკურენტუნარიანობასა და პროფესიონალურ მობილურობას შრომის ბაზარზე, რასაც თავის მხრივ შეუძლია, ხელი შეუწყოს ადგილობრივი რესურსების ამოქმედებას, თუ იქნება დაკმაყოფილებული შემდეგი საორგანიზაციო და პედაგოგიური წინაპირობები:

- დასაბუთებული იქნება ზრდასრულთა საგანმანათლებლო სისტემის ყველა დამახასიათებელი ნიშნის ოპტიმალური თანხვედრა, რაც განსაზღვრავს სისტემის მოქნილობასა და მრავალფუნქციონირებას.
- გამოკვლეული და შესწავლილი იქნება შრომის ბაზარზე არსებული პრობლემები და დასაქმებით უზრუნველყოფის სოციალურ-საგანმანათლებლო პირობები, რათა თითოეულ ადამიანს მიეცეს სოციალურ იზოლაციაში მოხვედრის თავიდან აცილების შესაძლებლობა
- მოხდება კვალიფიკაციის ხარისხის გაზრდის ძირითადი მიმართულებების სოციალურ-პედაგოგიური დახასიათება დამქირავებელების და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.
- შესაძლებელი იქნება ზრდასრულთა განათლების სისტემის პედაგოგიური მიზნების, მეთოდების, შინაარსის კომპლექსური სასწავლო-მეთოდური უზრუნველყოფა ზრდასრულთა კატეგორიისა და ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით.
- დამუშავებული იქნება ზრდასრულთა განათლების მიზნობრივი პროგრამები საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით.

პრობლემის გადაწყვეტის მიზნით, კვლევის ავტორი გეთავაზობს, რომ ზრდასრულთა (ამ შემთხვევაში მასწავლებელთა) ტრენინგები აგებული უნდა იყოს ზრდასრულთა განათლების იმ პრინციპებზე, რომელიც მოემსახურება მათ თვითაქტუალიზაციას, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით. მაგალითად, (1) ტრენინგები არ უნდა ტარდებოდეს უშუალოდ მხოლოდ სასერტიფიკაციო

გამოცდების წინ და არ უნდა იყოს ორიენტირებული მხოლოდ ამ გამოცდების შედეგებზე; (2) ტრენინგის პროვაიდერები (ორგანიზაციები/პირები) უნდა იყვნენ ლიცენზირებული ზრდასრულთა განათლების სფეროში; (3) ზრდასრულთა განათლების მოძრაობაში განათლების სამინისტროსთან ერთად აქტიურად უნდა იყვნენ ჩართული მუნიციპალიტეტები და ადგილობრივი მთავრობები, რადგან მათ რესურსები მეტი აქვთ იმისათვის, რომ ზრდასრულთა განათლება ხელმისაწვდომი გახადონ ყველასთვის.

კვლევის ძირითადი ამოცანები:

- ზრდასრულთა განათლების პედაგოგიკის (ანდრაგოგიკის) საფუძვლების მოკვლევა, მისი განვითარების ძირითადი ეტაპებისა და ახალი ტენდენციების გამოვლენა.
- ზრდასრულთა განათლების სფეროში საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის თეორიული მემკვიდრეობისა და თანამედროვე საქართველოსთვის მისი დანიშნულების გათვალისწინებით ახალი სოციალურ-პედაგოგიური პრინციპების ფორმირება.
- საქართველოს პედაგოგიურ წრეებში ზრდასრულთა განათლების სტრატეგიის ეფექტური რეალიზაციის პირობების გამოვლენა და ზრდასრულთა განათლების კულტურის ამაღლება საქართველოში.
- ზრდასრულთა არაფორმალური განათლების, როგორც პედაგოგიკის ახალი მეცნიერული მიმართულების კვლევა და დამკვიდრება ადგილობრივი განათლების სისტემაში.
- ზრდასრულთა არაფორმალური განათლების მოდულირებული სწავლების ფუნქციის, ამოცანებისა და ადგილის განსაზღვრა საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმაში მითითებული სტრატეგიების დანერგვის საქმეში.
- ზრდასრულთა განათლების მეთოდების რეალიზაციაში პედაგოგიური წრეების ჩართვისა და მათი ერთობლივი საქმიანობის ოპტიმიზაციისათვის სამეცნიერო-პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს კონკრეტულ კვლევასთან ერთად წარმოადგენს ფილოსოფოსების, პედაგოგების, სოციოლოგებისა და ფსიქოლოგების კონცეპტუალური დებულებები, ადამიანის დასაქმების არსი და მისი შემოქმედებითი აქტიურობა.

კვლევის მეთოდებად გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი და ხარისხობრივი კვლევის შემდეგი სახეები: პირისპირ ინტერვიუები და მათი ანალიზი და ლიკერტის შკალა. გარდა ამისა, **ლიტერატურის მიმოხილვის** მიზნით, მოხდა ზრდასრულთა განათლებაზე საქართველოში არსებული კვლევის წყაროების მოძიება და შესწავლა; ამ მიმართულებით საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება (ვიზიტები: გერმანიისა და დანიის ზრდასრულთა განათლების ცენტრებში 2003 წ., კერძო მოწვევა: კრაკოვის მესამე თაობის უნივერსიტეტის კვლევით ლაბორატორიაში პოლონეთში 2005 წ. და ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ სან-დიეგოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში 2008 წ.); საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობა (გერმანული ორგანიზაცია **effe-ს** მიერ განათლებაში თავისუფლების საკითხებისადმი მიძღვნილ კონფერენცია ბოვენაუში, გერმანია, 2003 წ.; ორგანიზაცია **iiz-dvv-ს** მიერ ზრდასრულთა განათლების კვირეულების ჩარჩოში ჩატარებული კონფერენციები თბილისში, 2003-2005 წ.წ. **AEAE** და **dvv international**, მიერ ორგანიზებული საერთაშორისო კონფერენცია “ახალგაზრდებისა და ზრდასრულთა განათლება და სწავლება სიცოცხლის მანძილზე” ერევანში, სომხეთი, 2010 წ.; კონსულტაციების გაწევა საქართველოს ანგარიშის მოსამზადებელ ეტაპზე საერთაშორისო კონფერენციისთვის **CONFINTEA VI** ბელემში, ბრაზილია, 2009წ.)

კვლევის ლიმიტაციები. ხელისუფლების მხრიდან ამ საკითხების იგნორირება წარმოადგენს იმ რისკს, რომლის წინაშეც შეიძლება ზრდასრულთა განათლების იდეა დადგეს; გარდა ამისა, არსებობს რისკი ე.წ. “ცხოვრებისული კრიზისებისა”, რომელმაც შესაძლოა ხელი შეუშალოს ზრდასრული ადამიანების გარკვეულ კატეგორიას, მონაწილეობა მიიღოს ზრდასრულთა განათლებაში; და ბოლოს, უხარისხო სწავლებამ და კურსების არაორგანიზებულობამ შესაძლოა გული აუცრუოს ზრდასრულ ადამიანს არაფორმალური განათლების პერსპექტივაზე.

მოცემულ კვლევაში ჩამოყალიბებული დასკვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება ხელს შეუწყობს აღნიშნული რისკების თავიდან არიდებას და გაუიოლებს შესაბამის სტრუქტურებსა და ორგანიზაციებს ზრდასრულთა განათლების საქმის წარმატებით განხორციელებას.

2.3. კვლევის ბენეფიციარები, აქტუალობა და სიახლე

მოცემული კვლევის ბენეფიციარები არიან სკოლის მასწავლებლები, ასაკოვანი ადამიანები, ზრდასრულთა განათლების პრაქტიკოსები და ამ მიმართულებით გადაწყვეტილების მიმღები ორგანიზაციები, ხოლო მოცემული კვლევის უშუალო ბენეფიციარებს მასწავლებელთა სასერტიფიკატო გამოცდებში მონაწილე სკოლის მასწავლებლები წარმოადგენენ.

აზიისა და ევროპის ქვეყნების უმეტეს ნაწილში ზრდასრულთა (ფორმალური თუ არაფორმალური) განათლების სამიზნე ჯგუფებად მიჩნეულნი არიან ახალი უნარების შეძენის მსურველი ასაკოვანი ადამიანები, სოციალურად დაუცველი ჯგუფები და ასევე ზრდასრულები, რომლებიც სისტემური ცვლილებების გამო უმუშევრობის სასიშროების წინაშე არიან. ამ სამიზნე ჯგუფში შედიან აგრეთვე ისინი, რომლებსაც პენსიაზე გასვლის შემდეგ უზრუნველყოფის თვითრეალიზაციის სურვილი რომელიმე სხვა მიმართულებით, გარდა თავისი ძირითადი პროფესიისა. მოქნილობა არის მთავარი საორგანიზაციო პრინციპი იმ ქვეყნებისთვის, სადაც პრაქტიკაშია ინდივიდებზე გათვლილი კურსები, სწავლის დამოუკიდებელი შესაძლებლობები, სიმეტრიული პედაგოგიკა, მოხერხებული ადგილმდებარეობა, სწავლის შესაძლებლობების დაგეგმვა და სწავლების სათანადო დაფინანსება³³.

კვლევის აქტუალობა და მეცნიერული სიახლე ის არის, რომ დისერტაციაში ზრდასრულთა განათლება პირველადაა განხილული, როგორც პედაგოგიური, სოციალური და ეკონომიკური საქმიანობის ინტეგრაციის პროცესი; გამოყოფილი და დახასიათებულია ინოვაციური ტენდენციები ამ სფეროში; და დასაბუთებულია რეგიონალური თავისებურებების გათვალისწინებით მოდულირებული სწავლების მიდგომაზე დაყრდნობილი ზრდასრულთა განათლების უპირატესობა, როგორც ზოგადად, ასევე კერძოდ, 2010-2014 წ.წ. მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის გაუქმებული დაფინანსების პროგრამის ფარგლებში ორგანიზებული მასწავლებელთა ტრენინგების დროს, რომელიც ქვეყნის ისტორიაში პირველად ტარდება და ამდენად, ამ მიმართულებით კვლევა მეტად აქტუალურია.

³³ Helen Keogh – “Summary Report Adult Learning and Education (ALE) in the UNESCO Region of Europe, North America and Israel” - Adult Education In Georgia and CONFINTEA VI, ISBN 978-9941-0-1419-2

მოცემული ნაშრომის **თეორიული მნიშვნელობა** იმაში მდგომარეობს, რომ მასში სისტემატიზებულია პედაგოგიური და სოციოლოგიური კვლევის მონაცემები საქართველოს დღევანდელ სოციალურ-ეკონომიკური წინაპირობებისა და საქართველოს განათლების სამინისტროს ახალი პოზიციის გათვალისწინებით; ჩამოყალიბებულია საქართველოში ზრდასრულთა განათლების განვითარების კონცეფცია და შედგენილია ზრდასრულთა განათლებაში მოდულირებული სწავლების ეფექტური მეთოდიკა. გამოვლენილია ქვეყანაში მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ზრდასრულთა არაფორმალური განათლების სოციალურ-პედაგოგიური პრინციპების ურთიერთკავშირი. ყოველივე ეს კი ხელს შეუწყობს ზრდასრულთა განათლების საქმის განვითარებას და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სამოქმედო გეგმის წარმატებით განხორციელებას ამ მიმართულებით.

კვლევის **პრაქტიკული ღირებულება** კი ის არის, რომ მის საფუძველზე შემუშავებულია რეკომენდაციები, რომელიც ეყრდნობა კვლევის შედეგებს და რომელიც ხელს შეუწყობს მასწავლებელთა ტრენინგების ეფექტურად წარმართვას, ამ მიმართულებით გაღებული დაფინანსებების ეფექტურად განკარგვას და ზრდასრულთა, კერძოდ კი სკოლის მასწავლებელთა ტრენინგების ეფექტურობის გაზრდას.

II თავის დასკვნა

წინამდებარე ნაშრომის მიზანშეწონილობა განპირობებულია მასში განხილული კვლევის ობიექტის, საგნის, მიზნებისა და ამოცანების, დებულებებისა და აპრობაციის შედეგებით, აგრეთვე სიახლით ქვეყანაში მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებისა და მათი ტრენინგების გაუჩერელი დაფინანსების პროგრამის სახით. მნიშვნელობა და აქტუალობა კი იმაში მდგომარეობს, რომ ახალი პედაგოგიური, სოციალური და ეკონომიკური ინტეგრაციის პირობებში თავს იჩენს მოსახლეობის დაინტერესება ზრდასრულთა განათლების მიმართ, რაც ეთანხმება განათლების სამინისტროს სამოქმედო გეგმაში ზრდასრულთა განათლებასთან დაკავშირებით განსაზღვრულ სასურველ სტრუქტურულ და შინაარსობრივ ცვლილებებს და ზოგადად ევროკავშირთან დაახლოების მიზნით განხორციელებულ სახელმწიფო რეფორმებს.

ზრდასრულთა განათლების პრინციპებზე აგებული სწავლის მოდულირებულ მიდგომაზე დამყარებული ზრდასრულთა განათლება ის ახალი მიმართულებაა, რომელიც დღეს საქართველოს სჭირდება იმ ინოვაციური თუ სოციალური ბარიერების გადასალახავად, რაზედაც ბევრადაა დამოკიდებული მიმდინარე რეფორმების ეფექტურად განხორციელება.

ნაშრომის პირველ თავში კვლევის მიზნების, ზრდასრულთა განათლების მიმართულებით არსებული პრობლემების გადაწყვეტის საკითხებისა და კვლევის მოსალოდნელი შედეგების განხილვისას შემოთავაზებულია ზრდასრულთა განათლების პრაქტიკული რეალიზაციის გზები, რომელიც აგებულია იმ ემპირიულ გამოცდილებასა და კონკრეტულ ექსპერიმენტებზე, რაზეც მომდევნო თავებში იქნება საუბარი.

III თავი: ზრდასრულთა განათლების ზოგადთეორიული საფუძვლები

(ლიტერატურის მიმოხილვა და დისკუსია)

3.1. ზრდასრულთა განათლების ისტორია

ზრდასრულთა განათლების ისტორია ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში იღებს სათავეს ძველ საბერძნეთსა (პლატონის იდეები განათლების შესახებ - 427-347 წ.წ. ჩვენს ერამდე) და რომში (კვინტილიანეს იდეები უწყვეტი განათლებისა და თვითგანათლების შესახებ 42- 118 წ.წ. ჩვენს ერამდე). პლატონის პედაგოგის, სოკრატეს (470-399 წ.წ. ჩვენს ერამდე) შეხედულებით, „ცოდნა სათნოების საფუძველია. იგი ეხმარება ადამიანს, როგორც პირად, ასევე საზოგადოებრივ საქმიანობაში. ადამიანის ერთ-ერთი ღირსებაა საკუთარი თავის შეცნობის უნარი, რომელიც შესაძლებელია ფართო განათლების საფუძველზე, გაუნათლებელი ადამიანი ხშირად ბოროტია³⁴.“ უდავოა, რომ სოკრატეს ზრდასრული ადამიანები ჰყავდა მხედველობაში, ფართო განათლებაზე რომ საუბრობს და მდგომარეობის გამოსწორებისკენ მოუწოდებს განათლების გზით.

მარკ ტულიუს ციცერონი (106-43 წ.წ. ჩვენს ერამდე) ცნობილი ორატორი, ფილოსოფოსი და პედაგოგი თავის ფილოსოფიურ ტრაქტატში “ორატორის შესახებ” ამბობს: „აღზრდის იდეალია სრულყოფილი ორატორი, სიტყვის ხელოვანი და საზოგადო მოღვაწე. ერთ-ერთი გზა ამ სრულყოფისკენ არის სისტემატური და უწყვეტი განათლება და თვითგანათლება³⁵“.

ჩვენი წელთაღრიცხვის მე-5 საუკუნეში პლატონის მიმდევრებმა (ნეოპლატონელებმა) აღზრდასა და სწავლებას ახალი ორიენტაცია მისცეს: არა გარესამყაროს შეცნობა, არამედ შეცნობა საკუთარი სულისა, რადგან ჭეშმარიტება სწორედ მასშია ჩამალული . . . გარესამყაროს შეცნობა მხოლოდ გზაა ღმერთის შეცნობისკენ, ამიტომ საერო მეცნერებების შესწავლა არა

³⁴ნ. ვასაძე, ვ. გაგუა, ი. ბიბილეიშვილი, გ. სიხარულიძე, თ. მგალობლიშვილი, ა. ჩხიკვაძე. *პედაგოგიის ისტორია* – საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სახელმძღვანელო, 2000წ. გვ. 31

³⁵ იქვე, გვ. 41

თვითმიზანია, არამედ ჭეშმარიტი რეალურობის შეცნობის საშუალება“³⁶, – ასეთი იყო ბასილ კესარიელის (ჩვენი წელთაღრიცხვის 335-395 წ.წ.) მოსაზრება. როდესაც საუბარია ასეთ ღირებულებებზე, არ შეიძლება არ გულისხმობდნენ ზრდასრული ადამიანებს.

ბიზანტიის ქრისტიანული იმპერიის საბოლოო დამკვიდრების შემდეგ განათლება ეკლესიის პრეროგატივა გახდა და ძირითადად ადამიანის ქრისტიანულ-ზნეობრივ ფორმირებას ემსახურებოდა. დასაწყისში ბიზანტიის პედაგოგიური აზრი ემთხვეოდა ანტიკური სამყაროს პედაგოგიურ აზრს, შემდგომში იგი შეერწყა აღმოსავლეთის მართლმადიდებლური ეკლესიის პედაგოგიურ იდეებს და ეს ორმაგი ხასიათი ბოლომდე შეინარჩუნა.

მოგვიანებით, მე-16, მე-17 სს. რომაულ-კათოლიკური რელიგიის მიმდევრები ყველაფერს აკეთებდნენ, რათა ამოეძირკვათ შემოქმედი, თვითგანვითარებად ადამიანის იდეალი. ინდივიდუალობასა და საკუთარი თავის შეცნობაზე საუბარიც კი აკრძალული იყო. თუმცა დასაქმების პრობლემის გადასაწყვეტად ეკლესია ზრდასრულებს, მოზარდების გვერდით ასწავლიდა ხატწერას, ჰიმნოგრაფიას, ღვთისმეტყველებას და წერა-კითხვას საღვთო წიგნების გადასაწერად. ყველაფერი ეს კი მხოლოდ ეკლესიისთვის მსახურების მიზნით კეთდებოდა.

ზრდასრულთა განათლებას, როგორც განათლების ცალკე სფეროს, ე.წ. სახალხო უნივერსიტეტების, ანუ არაფორმალური განათლების სისტემის სახით, საფუძველი სკანდინავიის ქვეყნებში დაედო მე-18 საუკუნეში. დანიაში – 1783-1872 წლებში მოღვაწეობდა მოძღვარი ნიკოლაი გრუნდტვიკი³⁷, რომლის მოძღვრებებზეც აიგო ევროპის ქვეყნების ზრდასრულთა განათლების სისტემა. ევროპაში ამ მიმართულების ისტორიის შემდგომი განვითარების საინტერესო მაგალითს პოლონეთის ზრდასრულთა განათლების სისტემის განვითარების ისტორია იძლევა.

³⁶ ნ. ვასაძე, ვ. გაგუა, ი. ბიბილეიშვილი, გ. სიხარულიძე, თ. მგალობლიშვილი, ა. ჩხიკვაძე. *პედაგოგიის ისტორია* – საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სახელმძღვანელო, 2000წ. გვ. 50-51

³⁷ AOF Denmark (Adult Education Center in Copenhagen, NGO) *Annual Report*, 2003

ზრდასრულთა განათლება პოლონეთში³⁸, ისტორია

პოლონეთში, კრაკოვის იაგილონენის უნივერსიტეტში უკვე 1776-1780 წლებში გამოიყო ბიუჯეტი, რათა ხელოსნებისთვის პოპულარული მეცნიერებები ესწავლებინათ. იმ განათლების კონცეფცია, რომელიც პოლონეთის ზრდასრულ მოსახლეობას ეხება, სათავეს იღებს ჯერ კიდევ “სახალხო განათლების კომისიის” რეფორმებიდან, რომლის ინიციატორებიც იყვნენ პოლონელი მოძღვრები და ყოფილი იეზუიტები. პირველი ნაბიჯები უკვე 1776 წელს გადაიდგა კრაკოვის უნივერსიტეტში, როდესაც ადგილობრივ ხელოსნებს შესთავაზეს გაეცნოთ გარკვეული ხანგრძლივობის კურსები და დასწრებოდნენ სემინარებს პოპულარულ მეცნიერებებში. 1780 წელს კი მექანიკის ფაკულტეტის პროფესურამ დაფინანსება მოიპოვა და ამ მიმართულებით საკუთარი პროგრამის დასაფინანსებლად სპეციალური ბიუჯეტი შეადგინა. ორი წლის შემდეგ შეიქმნა პრაქტიკული მექანიკის ფაკულტეტის პროფესორთა საბჭო, რომლის წევრებიც ზემოაღნიშნული პროგრამის ფარგლებში ამცადინებდნენ ზრდასრულ მსმენელებს უნივერსიტეტის გარეთ. ამცადინებები ძირითადად ტარდებოდა შემდეგი მიმართულებებით: სახლების (კოტეჯების) მშენებლობა; ქაღალდის გადამუშავება; ნახერხის პროდუქციების წარმოება; სახელოსნოების მართვა; გამოცდილების, ცოდნის და უნარების განახლება და გამოყენება; მოდელების გამოყენება; ხატვა და სხვა. მათ შორის, პოლანდიისა და საფრანგეთის გამოცდილების გამოყენება. ამცადინებები კვირობით ტარდებოდა. მსმენელთა შორის იყვნენ კრაკოველი ხელოსნები და, ამევე დროს, უნივერსიტეტის და საშუალო სკოლების სტუდენტებიც. 1883 წელს ზემოაღნიშნულ ინიციატივას ცალკე განყოფილების შექმნა მოყვა და უნივერსიტეტის დებულებაში შევიდა, როგორც სწავლების ახალი სფერო.

კრაკოვის უნივერსიტეტის მსგავსად, პოპულარულ მეცნიერებებში ლექციების ჩატარება ზრდასრულთათვის დაიწყო ვარშავისა და ვილნის უნივერსიტეტებშიც. ვილნის უნივერსიტეტმა ბევრად უფრო გაფართოებული პროგრამა შესთავაზა

³⁸ Norbert F.B., Ewa Przyłska. *Adult Education in Poland* – Copyright: 2001 IIZ-DVV (ქართულად თარგმნა: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტმა ნინო შარვაშიძემ).

მოსახლეობას. ეს იყო ორ-სემესტრიანი ლექციების ციკლი, რომელშიც შედიოდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მედიცინა, მათემატიკა, ფილოლოგია, ხელოვნება და ისტორია. ამასთან ერთად, უნივერსიტეტი ლექციების ტექსტებს პოპულარული მეცნიერებების საკითხებზე ვილნის ყოველდღიურ გაზეთში აქვეყნებდა.

სახალხო განათლების კომიტეტის თავდაპირველი და მთავარი მიზანი იყო მოსახლეობაში განათლების დონის ამაღლება. იგი მუშაობდა მოსახლეობაში ცოდნის გავრცელების მიმართულებით და უმაღლესი განათლების ინსტიტუტებისგან მოითხოვდა უზრუნველყო მოსახლეობა ცოდნის მიღების შესაძლებლობებით. მოკლე პერიოდის განმავლობაში კომიტეტმა კიდევ უფრო გააფართოვა თავისი პროგრამა და დაახლოებით 2 500³⁹ სახალხო სკოლა დააარსა სხვადასხვა თემის ეკლესიის მრევლისთვის. რელიგიურ აღზრდა-განათლებასთან ერთად მათი მიზანი იყო მოსახლეობისთვის ესწავლებინათ უნარები, რომლებიც ცხოვრებაში გამოადგებოდათ. დაფინანსების სიმცირემ სერიოზული საფრთხე შეუქმნა ზემოხსენებული სკოლების არსებობას. დაბალი ფენებისთვის სახალხო სკოლების შესანარჩუნებლად კომიტეტი დოტაციების მოპოვებას შეძლებული მოქალაქეებისგან ცდილობდა.

პირველი, ე.წ. სახალხო განათლების სახლი, სადაც წერა-კითხვას ასწავლიდნენ სოფლის ზრდასრულ მოსახლეობას, ქალაქ მერეცში დაარსდა მისი უწმინდესობა პაველ კსავერი ბრჟოსტოვსკის მიერ. ეს ქალაქი დღევანდელი ლიტვის ტერიტორიაზე მდებარეობს. თავისი პროგრამის განსახორციელებლად ბრჟოსტოვსკი ფინანსურ დახმარებას ადგილობრივი ფერმერებისგან იღებდა. აკრეფილი ფულით იგი სკოლებს აშენებდა, სადაც ბავშვებთან ერთად ზრდასრულებსაც უნდა ესწავლათ სხვადასხვა საგანი. ბრჟოსტოვსკი იმ საგნებს არჩევდა, რომელიც სოფლის მაცხოვრებლისთვის იქნებოდა საინტერესო. კერძოდ, ხელოვნებას, ეთიკას და მორალს, ჰიგიენას და სოფლის მეურნეობის გარკვეულ დარგებს, ამავე დროს, ისტორიას და გეოგრაფიას. საკუთარ სასწავლო პროგრამის სწავლებასთან ერთად ბრჟოსტინსკი ცდილობდა ამ საქმეში ჩაერთო

³⁹ Norbert F.B., Ewa Przyłska. *Adult Education in Poland* – Copyright: 2001 IIZ-DVV (ქართულად თარგმნა: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტმა ნინო შარვაშიძემ).

მეცნიერები და სხვა პროფესიონალები, გამოექვეყნებინა წერილობითი მასალები და სახელმძღვანელოები.

ბრუსტოვსკის ეს ძალისხმევა იქცა ზრდასრულთა განათლების განვითარების მოდელად ქვეყანაში. მან ქვეცნობიერად გაუქვალა გზა ანდრაგოგიკის განვითარებას⁴⁰.

1867 წელს “სახალხო განათლების საზოგადოება” ლვოვშიც შეიქმნა. ამ ინიციატივის ჩარჩოს ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მშრომელებისა და ფერმერებისთვის განათლების მიღების შესაძლებლობის გაუმჯობესებას.

1886 წელს ზრდასრულთა განათლების მესვეურთა რამდენიმე ჯგუფმა პლონეთში გააერთიანა საკუთარი ძალები, რათა შეექმნა საზოგადოება სახელად “მფრინავი უნივერსიტეტი”. უნივერსიტეტს “მფრინავი” იმ ფაქტის გამო დაერქვა, რომ მეცადინეობისთვის შეხვედრის ადგილი გამუდმებით იცვლებოდა, რათა მსმენელები დაცული ყოფილიყვნენ დევნისაგან. მსმენელთა უმეტესობა ქალები იყვნენ, თუმცა ლექციებს უნივერსიტეტის და საშუალო სკოლის სტუდენტებიც ესწრებოდნენ. იატაკქვეშა მოღვაწეობის წარმართვისთვის ქალებმა შეიმუშავეს ორგანიზაციის საკუთარი სისტემა, რომელიც არსებულ პოლიტიკურ და სოციალურ პირობებს მიესადაგებოდა. სქემის ძირში მათ ე.წ. დამოუკიდებელი სასწავლო ჯგუფები განალაგეს. თითოეული ჯგუფი რამდენიმე მსმენელისგან შედგებოდა. „ისინი ვერ ახერხებდნენ კვირაში ერთზე მეტი მეცადინეობის ჩატარებას ერთსა და იმავე ადგილას და გამუდმებით ეძებდნენ ახალ-ახალ ადგილებს სამეცადინოდ, რათა გზა-კვალი აერიათ პოლიციისთვის”, – გვიამბობს მარი სკლოდოვსკა-კიური, ნობელის პრემიის ორგზის ლაურეატი ფიზიკასა და ქიმიაში, რომელიც “მფრინავი უნივერსიტეტის” ერთ-ერთი მსმენელი იყო.

1898 წელს დიდი პოლონელი პოეტის, ადამ მიცკევიჩის 100 წლისთავის აღსანიშნავად, პატრიოტი სტუდენტების ჯგუფმა დააარსა მისი სახელობის სახალხო უნივერსიტეტების საზოგადოება კრაკოვსა და ლვოვში, რითიც მათ სურდათ პატივი მიეგოთ პოეტის ხსოვნისთვის. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ იმ დროისთვის ავსტრიის მმართველობის ქვეშ მყოფ გალიციაში

⁴⁰ Norbert F.B., Ewa Przyłska. *Adult Education in Poland* – Copyright: 2001 IIZ-DVV (ქართულად თარგმნა: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტმა ნინო შარვაშიძემ) გვ. 14

ლეგალურად შეიძლებოდა ამ მიმართულებით მოღვაწეობა, ზემოაღნიშნულ საზოგადოებას უკვე შეუზღუდავად შეეძლო ფართოდ გაეშალა თავისი საქმიანობა. წლიური პროგრამის ფარგლებში მათ მშრომელებისა და ფერმერებისთვის დაახლოებით 700-მდე ღონისძიების ჩატარება ჰქონდათ განსაზღვრული. ამასთან ერთად, ისინი აქვეყნებდნენ ნაშრომებს ზრდასრულთა განათლების თეორიაზე, რომლის ავტორებიც იყვნენ იმ პერიოდის ცნობილი განმანათლებლები: ელენა რადინსკა, ლუდვიკ კრჟვიცკი და ოსპია დაჯზინსკა-გოლინსკა. მათი ნაშრომები დღემდე აქტუალურია. საზოგადოებამ გამოსცა პირველი საგანმანათლებლო ჟურნალი “ცოდნა ყველასათვის”, რომლის პირველი ეგზემპლარი 1899 წელს ლვოვში გამოჩნდა. ასევე გამოიცა პირველი სახელმძღვანელო ზრდასრულთა განათლების მუშაკთათვის, სახელწოდებით “საგანმანათლებლო მუშაობა – ამოცანები, მეთოდები და ორგანიზაცია”.

სახალხო უნივერსიტეტების მიზნები, როგორც ამას მათი დამფუძნებლები ხედავდნენ, კარგად არის ჩამოყალიბებული ელენა რადინსკას სიტყვებში: “გამოვადვიოთ მილიონობით ადამიანი, დავანახოთ მათ დღის სინათლე, გავათავისუფლოთ ისინი ფანატისმის სიბნელისგან და გავუძღვეთ მათ მომავლის მზიანი გზისკენ მიმავალ ბილიკებზე”.

1902 წელს სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოების ფილიალები 15 სხვადასხვა ადგილზე მოქმედებდა. საზოგადოებამ დაიწყო სახალხო უნივერსიტეტების სოფლებში გახსნა. მან ასევე დააარსა საკონსულტაციო ცენტრები მათთვის, ვინც თვითგანათლებას ესწრაფოდა. გახსნეს სალექციო დარბაზები, დაიწკეს გარკვეული თვალსაჩინოების პოპულარიზება და ხელს უწყობდნენ ფიზიკურ მომზადებას. 1926 წელს ზემოხსენებულმა საზოგადოებამ თავისი ძალები გააერთიანა მშრომელთა უნივერსიტეტების საზოგადოებასთან.

მსგავსი საქმიანობით იყო დაკავებული ვარშავის სახალხო უნივერსიტეტი, რომელიც 1906 წელს დაარსდა. უნივერსიტეტში მუშაობდა სხვადასხვა განყოფილებები პასუხისმგებლობის დიფერენცირების მიხედვით: მართვის განყოფილება; პედაგოგიკის განყოფილება; სასწავლო მასალების და ლექციების მომზადების განყოფილება; კულტურული პროგრამების მომზადების განყოფილება; ფინანსური და ადმინისტრაციის განყოფილება. ამ უნივერსიტეტის სასწავლო

პროგრამაში შემდეგი საგნები შედიოდა: პოლონური ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, კომერციული ბუღალტერია, პოლონეთის ისტორია, მსოფლიოს ისტორია, სოციალური მეცნიერებები, სოციალური ეკონომიკა, პოლიტიკური მეცნიერება, საბუნებისმეტყველო მეცნიერება, ყოველდღიური ქიმია; ადამიანის აგებულება და ფიზიოლოგია, ჰიგიენა და პირველადი დახმარება; ქალის ჰიგიენა, მექანიკა (ძრავები, მეტალზე მუშაობა, ელექტროობა), ხატვა, ხაზვა, ხელოვნება. ამის გარდა უნივერსიტეტი სთავაზობდა მსმენელებს კურსს ზოგადი განათლების მისაღებად ფოლკლორსა და ახალ ტექნოლოგიებში. 1907 წლისთვის ვარშავის სახალხო უნივერსიტეტის მსმენელთა რიცხვი 2000 უდრიდა.

1924 წელს კრაკოვთან ახლოს მდებარე სოფლის ახალგაზრდების ინიციატივით გაიხსნა ადგილობრივი სოფლის სახალხო უნივერსიტეტი. იგი წარმოადგენდა ზრდასრულთა განათლების ტიპურ სასოფლო ცენტრს, რომელიც პოლონეთში ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდში იყო გავრცელებული. ცენტრის ხელმძღვანელი იგნაცი სოლარჟი შემდგომში ზრდასრულთა განათლების ერთ-ერთი ცნობილი თეორეტიკოსი გახდა (სოლარჟი დაიბადა 1891 წელს, ხოლო 1940 წელს უკვალოდ დაიკარგა. ვარაუდობენ, რომ გესტაპოში წამებით გარდაიცვალა).

იგნაცი სოლარჟის მთავარი მიზანი იყო სოფლის მოსახლეობის ინტელექტუალური და კულტურული დონის ამაღლება. იგი სახალხო განათლების ახალი კონცეფციის ჭეშმარიტი ავტორი იყო. თავის ანალიტიკურ ნაშრომებში ტერმინს ზრდასრული ადამიანის “თვითრეალიზაცია” იგი განმარტავდა, როგორც ადამიანის პარმონიულ ურთიერთობას ბუნებასთან, საზოგადოებასთან, ისტორიასა და კულტურასთან. იგი იყო პირველი თეორეტიკოსი პოლონეთის ზრდასრულთა განათლების სფეროში, რომელიც აღწერს პიროვნების კრეატიულობას, როგორც ზრდასრულობაში, თვითრეალიზაციის პროცესში მიღწეულ შედეგს. ანდრაგოგიკაში თეორიული მუშაობის ჩატარების შედეგად, იგი ანალიზს უკეთებს განათლების გარეშე დარჩენილი სოფლის მოსახლეობის ფატალიზმს და მიუთითებს, რომ უვიცობისა და ძალადობის გავლენა ადამიანზე იმ პირობებს ქმნის, რომელიც შემდგომში მართავს მთელ მის ცხოვრებას. სკანდინავიელი თეორეტიკოსების გამოცდილების საფუძველზე, განსაკუთრებით კი დანიაში ზრდასრულთა განათლების დამფუძნებლის, ნიკოლაი გრუნდტვიგის (მე-18 ს.)

აღწერების გათვალისწინებით, მან ჩამოაყალიბა კონკრეტული იდეები სახალხო უნივერსიტეტების მიზნების შესახებ. სოლარუი საკუთარ წიგნში “სახალხო უნივერსიტეტი სოფლის მოსახლეობისთვის (1937 წ.), რომელშიც გამოკვეთილია მის მიერ ჩამოყალიბებული კონცეფციები, წერს: “იმისათვის, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი არ დარჩეს ინერტულ მასად, რომელიც “ზემოდან” თავზე მოხვეული მიმართულებით მიედინება, რაც მათ ხდის უუნაროს, იმის ნაცვლად, რომ საკუთარ შეგნებასა და მიზანმიმართულობაზე დაყრდნობით საკუთარი ცხოვრება თავადვე მოიწყონ. უნივერსიტეტებმა უნდა აიძულონ მათ, რომ არ იყვნენ სათამაშო კუბიკები, არამედ გახდნენ ინდივიდები, რომელთა გონებაც განსხვავებულად აზროვნებს, იციან, რა უნდათ და შეუძლიათ თავად აანთონ ცხოვრების ის ნაპერწკალი, რომელიც გაუნათებს გზას საკუთარი ძალების მოსაძიებლად.” სოლარუის სწავლების მთავარი მიზანია - “. . . დაეხმაროს მოაზროვნე ადამიანს იპოვოს საკუთარი მიზანი, საკუთარი ვარსკვლავი, საკუთარი ბილიკი ცხოვრებაში, რათა ის ცხოვრებისული ფილოსოფია, რომელიც მან ამოირჩია, არა მარტო მის გონებაში პოვებდეს ასახვას, არამედ მის ცოდნაში, მის უნარებში, მის გაგებაში და ბოლოს, გამჭდარი ჰქონდეს სისხლში, რათა გრძნობდეს საკუთარი შესაძლებლობის ყველა ნიუანსს, რაც საშუალებას მისცემს აღმოაჩინოს და გამოიყენოს ყველა ის კრეატიული შესაძლებლობა, რაც მასში არსებობს”.

საზოგადოებასთან და თემთან მიმართებაში, რასაც სოლარუი არაორაზროვნად უსვამს ხაზს, განათლება უნდა ემსახურებოდეს ხალხის უნარების განვითარებას, რათა ისინი გახდნენ მცოდნე, შემოქმედებითი, მგრძნობიარე და აქტიური ინდივიდები. მისი კონცეფციის მიხედვით, ადამიანისთვის ახალი კულტურული ღირებულებების შექმნაში მონაწილეობა ისევე მნიშვნელოვანია, როგორც უბრალოდ კულტურაში მონაწილეობის მიღება. თითოეული ადამიანი გარკვეული, აქტიური ან პასიური, კულტურული გამოცდილების მატარებელია, რაც მას აძლევს საშუალებას ჩათვალოს თავი ღირსად, იყოს კულტურის ნაწილი, რაც მის შრომას ღირსებას მატებს და, რაც მას სოციალურად თავისუფალს ხდის.

საკუთარ სტატიაში “რა ქმნის სახალხო უნივერსიტეტს ჭეშმარიტ სახალხო უნივერსიტეტად” სოლარუი წერს: “ჩვენ არც პოლიტიკა გვაინტერესებს და არც

ეკონომიკური წყობა, არამედ გვანტერესებს მასების გამბედაობა და შესაძლებლობა საკუთარი კულტურის მშენებლობაში აქტიური მონაწილეობის მისაღებად”. მოგვიანებით იგი ასევე წერს: ”მთელ მოსახლეობას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა ისწავლოს ყველაზე მნიშვნელოვანი ჰუმანური და კულტურული იდეალების ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენება”

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ (1945-1989) პოლონეთში გარკვეული ზომები იქნა მიღებული ზრდასრულთა განათლების ტრადიციების აღსადგენად. 1945-1948 წლებში სპონტანურად იზინეს თავი ინიციატივებმა ზრდასრულთა არაფორმალური განათლების კერების შესაქმნელად. ამ მოძრაობაში აქტიურად ჩაებნენ ისინი, ვინც ომის გამო, იძულებული იყო სწავლა შეეწყვიტა.

აღსდგა მშრომელთა უნივერსიტეტები და სახალხო უნივერსიტეტები. 1945 წელს შეიქმნა “სახალხო უნივერსიტეტების საზოგადოება”. ამ უნივერსიტეტებს განათლების სამინისტრო აფინანსებდა. 1945 წლიდან 1948 წლამდე სახალხო უნივერსიტეტების რაოდენობა 15-დან 63-მდე გაიზარდა. საზოგადოება ასევე ქმნიდა საღამოს სკოლებს ზრდასრულთათვის. 1948 წელს არსებობდა 60 ე.წ. სოფლის უმაღლესი სკოლა ზრდასრულთა არაფორმალური განათლებისთვის, 104 საკვირაო სკოლა, 63 სახალხო უნივერსიტეტი და 19 სოციალურ მუშაკთა სკოლა, რომლებსაც სხვადასხვა სპონსორი აფინანსებდა.

დემოკრატიულ პრინციპებსა და ხალხურ ტრადიციებზე დაარსებულმა ზრდასრულთა განათლების კერებმა მხოლოდ 1950 წლამდე გააგრძელეს არსებობა პოლონეთში. სამწუხაროდ, ბევრი ტრადიციული სკოლის ლიკვიდაცია მოხდა. ეკლესიებიც იძულებული გახადეს, შეეწყვიტათ თავისი აქტიურობა ამ მიმართულებით. ზრდასრულთა განათლების ცენტრები ან დაიხურა, ან სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ მოექცა. სოციალისტური სისტემის დამკვიდრების შემდეგ ტრადიციული სკოლები ახალ დაარსებულ “ზრდასრულთა განათლების პოლონურ ასოციაციას” გადაეცა. ამ პერიოდში ზრდასრულთა განათლების სისტემა პოლონეთში, ფაქტიურად, გადაიქცა საწარმოების მუშების, კოლმეურნეების და არმიის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების სისტემად. ყოველივე ამის მიზეზი პოლონეთზე იმდროინდელი სოციალისტური რუსეთის, ანუ საბჭოთა კავშირის ზეგავლენაში მდგომარეობდა.

ზრდასრულთა განათლების ისტორია რუსეთსა და საბჭოთა კავშირში

თვითონ რუსეთში, როგორც ამის შესახებ შესავალში აღვნიშნეთ, ზრდასრულთა განათლების თემაზე პირველი ნაშრომები XIX საუკუნის ბოლოს გამოქვეყნდა (ა. აბრამოვი, დ. აღჩევსკაია, პ. კაზანცევი, ვ. ჩერნოუსკი და სხვ.)⁴¹. ამ პერიოდში ზრდასრულთა განათლების პრობლემები პირველად გახდა მეცნიერული განხილვის საგანი. დაიწეს მსჯელობა მის ისტორიულ ფორმებზე, სხვადასხვა ტიპის სასწავლო დაწესებულების თავისებურებებსა და ფინანსურ ასპექტებზე. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ თავი იჩინა ზრდასრულთა განათლებისადმი თეორიულ-მეთოდოლოგიურმა მიდგომამ (ნ. კრუპსკაია, ა. ლუნაჩარსკი, ნ. გრიგორიევი).

საბჭოთა კავშირის პერიოდში სახელმწიფო ზრდასრულთა განათლების სისტემა საკმაოდ კარგად იყო განვითარებული, თუმცა ძირითადად სახელმწიფო შეკვეთაზე იყო აგებული და იფარგლებოდა სპეციალისტებისთვის კვალიფიკაციის ამაღლების და გადამზადების კურსებით. დიდი პოპულარობით სარგებლობდა პოლიტიკური განათლების კურსები პარტიული მუშაკებისთვის და ე.წ. საზოგადოება “ცოდნა”, რომელიც მეტწილად ცოდნის პოპულარიზაციის ემსახურებოდა. არსებობდა და ახლაც არსებობს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემა, რომელიც თანდათან სახეს იცვლის და ხვეწს ტექნიკურ პროფესიებში მომზადების და გადამზადების პროგრამებს. ზრდასრულთა განათლების სისტემის მაშინდელ მიზნობრივ ჯგუფებში არ შედიოდა პენსიონერთა, დაუსაქმებელი ადამიანების და სათემო მოსახლეობის კატეგორიები. 60-80-იან წ.წ. გამოქვეყნდა კვლევები ზრდასრულთა განათლების თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებზე (ბ. ანანიევი, ც. ვერშლოვსკი, ა. გორნოსტაევი და სხვ.).

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ზრდასრულთა განათლების სისტემა თითქმის დაიშალა. მხოლოდ 90-იანი წლების ბოლოს გაჩნდა ზრდასრულთა განათლების ახალი მიმართულებების განვითარებით დაინტერესებული წრეები და

⁴¹ Рамишвили К. К. «Вопросы обучения взрослых в народных университетах» Тбилиси. Издательство Тбилис. Госуниверситета. 1986 – 211 с.

მეცნიერები ხელახლა შეუდგნენ კვლევას ამ მიმართულებით (ა. ბოდალევი, ვ. პოდობედი, ა. ჟილინა, ა. მარონი, ნ. კუზმინა, ნ. ლიტვინოვა)⁴²

გარდაქმნის პერიოდის რუსეთის პედაგოგიურ მეცნიერებაში, იმ თანამედროვე მეცნიერების თეორიულ და მეთოდოლოგიურ შრომებში, როგორებიც არიან პ. ატუტოვი, ს. ბატიშევი, ა. ბელიავსკი, ვ. ბესპალკო, ბ. გერშუნსკი, ო. ფედეროვა, კ. კაზიმოვის ი. ხოტუნცევი და სხვანი, ძირითადად ყურადღება გამახვილებულია ისევ ზოგადი და პროფესიული პედაგოგიკის მიმართულებებზე⁴³, პროფესიულ მომზადებასა და გადამზადებაზე.

1989 წელს, სანქტ-პეტერბურგში საქმიანობა წამოიწყო “ზრდასრულთა განათლების აკადემიამ”, რომელიც იმ პერიოდში განათლების სისტემის სპეციალიზებული პროგრამული უზრუნველყოფით იყო დაკავებული და ინგლისური ენის შესწავლის ე.წ. მულტი-მედია პაკეტებს ამუშავებდა ახლა კი ძირითადად საინფორმაციო ტექნოლოგიების და მენეჯმენტის სწავლებით არის დაკავებული⁴⁴.

1996 წელს სანქტ-პეტერბურგის გერცენის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში საბჭოთა პერიოდში შექმნილი პროფ-ტექნიკური განათლების პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრის ბაზაზე შეიქმნა აკმეოლოგიის კათედრა⁴⁵, რომლის წესდების პრეამბულაში აკდემიკოსს ნინა კუზმინას მოჰყავს ქართველი ფილოსოფოსის მერაბ მამარდაშვილის მიერ პოსტსაბჭოთა სივრცეში გავრცელებული ტერმინი „აკმე“, რაც ძველ ბერძნულად ნიშნავს “მწვერვალს”, “სიმწიფეს” “განვითარების საუკეთესო პერიოდს” და “ადამიანის სურვილს, ისწრაფოდეს მწვერვალისკენ”, რაც ემთხვევა მოცემული კვლევის აქტუალობის ერთ-ერთ მახასიათებელს, ადამიანი უნდა გამუდმებით ცდილობდეს საკუთარი თავის სრულყოფას, რათა არ იქნეს სოციალურად იზოლირებული. ძნელია მწვერვალზე საუბარი, როდესაც სიღარიბის ზღვარზე ხარ, მაგრამ როგორც ერთმა ბრძენმა კაცმა თქვა, “ერთადერთი, რასაც ვერავინ

⁴² Научный редактор проф. Литвинова Н.П.. «Общественные организации в системе образования взрослых»ю «Высшая народная школа: вчера, сегодня, завтра.» Том 1.-СПб,ИОВ РАО,1999-с.200.

⁴³ Хатунцев Ю.Л., Кожина О.А. Развитие творческих способностей учащихся в образовательной области “технология” .:М.:ИОСО.РАО.МИПКРО.1999г.

⁴⁴ Международная Академия Образования Взрослых. Санкт-Петербург: <http://www.maov.org>.

⁴⁵ Кузьмина Н.В. «Предмет акмеологии». СП акмеологическая академия.1995.-24с

წაართმევს ადამიანს, ეს არის ინიციატივა და სურვილი, ისწრაფოდეს მწვერვალისკენ”. ყველა ადამიანს აქვს თავისი დასაღლაშქრი მწვერვალი, რის მიღწევაშიც დიდი როლი ენიჭება ზრდასრულთა განათლებას. სწორედ ზრდასრულთა არაფორმალური განათლების სისტემა არეგულირებს იმ ადამიანთა თვითრჩენისა და თვითრეალიზაციის საკითხებს, რომლებიც ეკონომიკური რეფორმების კატაკლიზმების შედეგად სოციალურ იზოლაციაში ექცევიან.

სანქტ-პეტერბურგის გერცენის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის აკემოლოგიის კათედრის (პირობითად მას კვლევითი ლაბორატორიაც შეგვიძლია ვუწოდოთ) შექმნის ისტორია ძალზე მიმანიშნებელია მოცემული კვლევის არსის გასაშიფრად: 1988 წელს პროფ-ტექნიკური განათლების პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრამ (რომელსაც მოგვიანებით აკემოლოგიის კათედრა ეწოდა) თავისი არსებობა განაგრძო ამავე ინსტიტუტის ე.წ. ინდუსტრიალურ-პედაგოგიურ ფაკულტეტზე. ამ პერიოდისთვის კათედრის თანამშრომლები აქტიურად იკვლევდნენ შრომითი სწავლების პედაგოგების პროფესიულ-პედაგოგიური საქმიანობის სუბიექტად გარდაქმნის პრობლემას. კვლევის შედეგად მოხდა აღნიშნული ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა პროფესიული მომზადების ჰუმანიზაცია და ჰუმანიტარიზაცია; გამომდინარე იქიდან, რომ გაიზარდა ახალი ტექნოლოგიების დანერგვასთან დაკავშირებული სამეწარმეო საქმიანობის თუ გამოყენებითი ხელოვნების არეალი, შემუშავდა ფაკულტეტის ახალი სამუშაო გეგმა, რომელიც ეყრდნობოდა ახალი ტექნოლოგიების შესწავლაში და პროფესიულ-პედაგოგიურ საქმიანობაში პიროვნების თვით-რეალიზაციის იდეებს⁴⁶, რომელსაც გააჩნდა კულტუროლოგიური მიმართულება. ეს მდგომარეობდა შემდეგში: გაჩნდა სურვილი, განახლებულიყო ფსიგოლოგიურ-პედაგოგიური და ზოგად-ტექნოლოგიური დისციპლინების შინაარსი ამ ფაკულტეტზე და მომხდარიყო განათლების სისტემის სპეციალისტების სწავლება ინდივიდზე ორიენტირებული ტექნოლოგიების გამოყენებით. გამომდინარე აქედან ფაკულტეტის დღის წესრიგში დადგა თანამედროვე დონის სპეციალისტის, ტექნოლოგიისა და სამეწარმეო საქმიანობის მასწავლებლის მომზადება.

⁴⁶ Хатунцев Ю.Л., Кожина О.А. «Развитие творческих способностей учащихся в образовательной области «технология». М.: ИОСО.РАО.МИПКРО.1999.

1996 წლიდან მოყოლებული რუსეთის გერცენის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის აკმეოლოგიის კათედრის ყურადღების ცენტრში დგას უმაღლესი პროფესიონალური პედაგოგიური განათლების პირობებში სპეციალისტის მრავალსაფეხურიანი მომზადების მეცნიერულ-მეთოდური უზრუნველყოფა. კათედრა მუშაობს კვლევაზე: “განათლების სფეროში სპეციალისტის მომზადების აკმეოლოგიური უზრუნველყოფა (სპეციალობით 03.06.00 – ტექნოლოგია და სამეწარმეო საქმიანობა⁴⁷).”

სამწუხაროდ, პოსტსაბჭოთა სივრცეში, მათ შორის რუსეთში, ხშირად მხოლოდ ზრდასრულთა განათლების თეორიულ საფუძვლებს განიხილავენ მაშინ, როცა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის განვითარებულ თუ განვითარებად ქვეყნებში პრაქტიკულად ავითარებენ ზრდასრულთა განათლების ალტერნატიულ სახეობებს და ზრდასრულთა სათემო დონეზე განათლების მიზნით ქმნიან ფართო საგანმანათლებლო ქსელს. რუსეთში ქვეყნის მასშტაბით აქა-იქ უკვე გამოჩნდა ზრდასრულთა განათლების ცენტრები⁴⁸, თუმცა ერთიან სისტემაზე საუბარი ჯერ ნაადრევია.

ზრდასრულთა განათლების მიმართულებების განვითარება დასავლურ სამყაროში

ზრდასრულთა განათლების სისტემა თანამედროვე გაგებით ყველაზე განვითარებულია ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპის ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა დიდი ბრიტანეთი, დანია, შვედეთი, ფინეთი, ავსტრია, გერმანია, პოლონეთი და სხვ.

ზრდასრულთა განათლებისადმი საერთაშორისო კონფერენციების ისტორია მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდიდან იწყება, თუმცა მათ წინამორბედად მიჩნეულია ალბერტ მენსბრიჯის მიერ 1929 წელს ორგანიზებული ზრდასრულთა განათლების მსოფლიო ასოციაციის (World Association for Adult Education) საერთაშორისო კონფერენცია კემბრიჯში⁴⁹. UNESCO-ს ზრდასრულთა

⁴⁷ Кафедра акмеологии образована в РГПУ им. А. И. Герцена: <http://akmeo.rus.net>

⁴⁸ Additional Country papers, Finland: <http://koktozero.karelia.ru/fep/komplekt/pr6/shtml>

⁴⁹ The International Quarterly of **Adult Education**: Volumes 1-2, 1932. Library at San Diego University, Ca, USA

განათლებისადმი მიძღვნილი ერთერთი პირველი კონფერენციები (ჰელსინგიორის 1949წ., მონრეალის 1960 წ., ტოკიოს 1972 წ.) მეტწილად ზრდასრულთა განათლების პროფესიულ-მეცნიერული ძალების დემონსტრირებას წარმოადგენდნენ⁵⁰. ამ კონფერენციათა მესვეურნი ზრდასრულთა განათლებას გარკვეულ კრიზისულ ფენომენთა გადასაწყვეტად არსებულ გამოყენებით და პრაქტიკაზე მიბმულ საგანმანათლებლო აქტივობად მიიჩნევდნენ და არ განიხილავდნენ მას ცალკე მეცნიერებად. 21-საუკუნის ზღურბლზე მოთხოვნები ზრდასრულთა განათლების მიმართ გაიზარდა ცოდნის ეკონომიკისა და ინფორმირებული საზოგადოების განვითარების საქმეში და ეს სფერო თანდათან ინტენსიური კვლევის საგანი გახდა.

საზოგადოებისთვის ზრდასრულთა განათლების როლის ახლებურად გააზრებისთვის მნიშვნელოვან მოვლენად იქცა 1997 წელს იუნესკოს ორგანიზებით, ქალაქ ჰამბურგში გამართული ზრდასრულთა განათლებისადმი მიძღვნილი მსოფლიო კონფერენცია CONFINTEA V. ამ კონფერენციაზე ზრდასრულთა განათლება განვითარების საკვანძო ფაქტორად გამოცხადდა; მიღებული იქნა დეკლარაცია და დამტკიცებული იქნა მომავლის დღის წესრიგი; შექმნეს კონცეფციის ჩარჩო, რომელიც ითვალისწინებს ყოველი მოქალაქისთვის შესაძლებლობის მიცემას, ჩამოყალიბდეს საკუთარ თავში დარწმუნებულ და პასუხისმგებლობით გამსჭვალულ საზოგადოების აქტიურ წევრად. 2000 წელს CONFINTEA V-ის ძირითადი მოთხოვნები, 21-ე საუკუნის მიჯნაზე მდგარი ევროპის წინაშე არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, გაზიარებული იქნა ევროკომისიის მიერ გამოქვეყნებულ მემორანდუმში „სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე“⁵¹. ამ მემორანდუმში ზრდასრულთა განათლების კონცეფციის რეალიზებისთვის ექვსი მთავარი პრინციპი დასახელდა:

- (1) ახალი საბაზო განათლებისა და უნარ-ჩვევების ყველასათვის მიცემა;
- (2) ადამიანურ რესურსებში ინვესტიციების გაზრდა;
- (3) სწავლების ინოვაციური მეთოდის დამკვიდრება;

⁵⁰ Joachim H. Knoll, “Th History of the UNESCO International Conferences on Adult Education – from Helsingor (1949) to Hamburg (1997): International Education Policy through People and Programmes”, 2009, *dvv International* ISBN 978-9941-0-1419-2

⁵¹ Bund-Länder Commission for Educational Planning and Research Promotion Secretariat “Strategy for Lifelong Learning”. Bonn. ISBN 3-034850-57-X

- (4) ცოდნისა და უნარების ახლებური შეფასებების სისტემის დანერგვა;
- (5) სწავლების სხვადასხვა შესაძლებლობების შესახებ კონსულტაციების მიღების სისტემის გაფართოება;
- (6) განათლების მიღების საშუალების თითოეულის საცხოვრებელ ადგილთან დაახლოება.

იუნესკოს განათლების ინსტიტუტის ორგანიზებით, 2003 წელს ბანგოკში ჩატარდა მომდევნო საერთაშორისო კონფერენცია (Midterm Review Meeting), რომლის მიზანი 1997 წლის კონფერენციის შემდგომი შუალედური შედეგების გაანალიზება იყო⁵². კონფერენციის საბოლოო დოკუმენტში აღინიშნა, რომ CONFINTEA V-ის მოთხოვნებს, როგორც ნაციონალური მთავრობების, ასევე საერთაშორისო პროგრამების დონეზე, არასათანადო ყურადღება ექცევა და სამი ახალი მოთხოვნა წამოაყენა:

- ზრდასრულთა განათლება უნდა გათვალისწინებული იქნას განვითარების ყველა პროგრამაში, რადგან გლობალიზაციის პრობლემების დაძლევა ზრდასრულთა განათლებისა და სწავლების გარეშე წარმოუდგენელია;
- ზრდასრულთა განათლება უნდა იქცეს ეროვნული საგანმანათლებლო პოლიტიკის შემადგენელ ნაწილად და განხილული იქნას, როგორც ინვესტიცია მომავალში და არა, როგორც სოციალური ხარჯი;
- ზრდასრულთა განათლება უნდა გახდეს პრიორიტეტული, როგორც სათემო დონეზე, ასევე მოსახლეობის სოციალურად დაუცველ ჯგუფებთან მუშაობისას.

2009 წელს CONFINTEA VI კონფერენციამ, ბრაზილიაში, რომელშიც საქართველომაც მიიღო მონაწილეობა, ზრდასრულთა განათლების მესვეურებს ახალი მოთხოვნები წამოუყენა, რაც მომდევნო თავებში ვრცლად იქნება განხილული.

⁵² UNESCO Institute for Education –“Recommitting to Adult Education”. Synthesis Report of the CONFINTEA V Midterm Review Meeting, September 2003. Bangkok, Thailand

3.2. ზრდასრულთა განათლება საქართველოში

ზრდასრულთა განათლებას, გარკვეული ფორმით, ჯერ კიდევ ძველ საქართველოში ეწეოდნენ. მაგალითად, ცნობილი რიტორიკის სკოლა კოლხეთში ქრისტიანობის დამკვიდრებამდე. პეტრე იბერის სირიული სკოლა ადრე ქრისტიანულ ხანაში და სხვ. მე-4 საუკუნის ბერძენი ფილოსოფოსის თემისტოხის (317-188 წწ.) ერთ-ერთ წერილში წერია, რომ ფაზისის (დღევანდელი ფოთის) მახლობლად რიტორიკის სკოლა არსებობდა, სადაც თემისტოხის მამას და თვით მასაც “რიტორიკული განათლება” მიუღიათ. აღნიშნული სასწავლებლიდან იმდენად განათლებული და განსწავლული პირები გამოდიოდნენ, რომ თურმე რიტორიკაში დახელოვნებულ ბერძნებს ეჯიბრებოდნენ და ჯობნიდნენ კიდევ. სამწუხაროდ, არ არსებობს ცნობები იმის შესახებ, თუ რა სახის პროგრამებით მიმდინარეობდა სწავლა ან ვინ ასწავლიდა კოლხეთის “რიტორიკულ” სასწავლებელში.

იმდროინდელი მსოფლმხედველობის შემცველმა ცნობებმა ფრაგმენტულად მოაღწია ჩვენამდე და მთლიანობაში მათი მოძღვრებების გააზრების საშუალებას არ იძლევა, მაგრამ თავისთავად ორატორობა, აშკარაა, გარკვეულ უნარების ცოდნას მოითხოვდა. ცნობილი რომაელი ორატორისა და პოლიტიკური მოღვაწის, ციცერონის შეხედულებით, ორატორი უპირველესად დაუფლებული უნდა ყოფილიყო ფილოსოფიურ მეცნიერებებს. აღნიშნულ საკითხზე ციცერონის შეხედულება გაიზიარა და შემდგომ განავითარა პირველი საუკუნის ცნობილმა ფილოსოფოსმა კვინტილიანემ, რომელმაც რიტორიკული ხელოვნების საკითხებს 12 წიგნისაგან შემდგარი ტრაქტატი უძღვნა. კვინტილიანეს ტრაქტატი ფართო სარეკომენდაციო ლიტერატურას წარმოადგენს (მხატვრულს, ფილოსოფიურს და იურიდიულს), რომელსაც უნდა ეყრდნობოდეს ორატორის საერთო განათლება. რიტორიკულ სკოლამდე, კვინტილიანეს მიხედვით, აღსაზრდელი ჯერ გრამატიკულ სკოლაში უნდა სწავლობდეს, ხოლო რიტორიკულ სკოლაში სწავლების ვადა განსაზღვრული არა არის. ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ საამისოდ რამდენად მომზადებული იქნება მოსწავლე. ამ შემთხვევისათვის მოსწავლის ასაკი კი არაა აღებული კრიტერიუმად, არამედ სწავლაში წარმატება.

რომის იმპერიაში ჩვ.წ.ად-მდე II-I და ჩვ.წ.ად-ით I-II საუკუნეებში არსებული რიტორიკული სკოლების სასწავლო პროგრამები ძირითადად ციცერონისა და კვინტილიანეს მოთხოვნების შესაბამისად ხორციელდებოდა. ისწავლებოდა ბერძნული და რომაული ლიტერატურა, მათემატიკის ელემენტები, ასტრონომია, მუსიკა, სამართლის საფუძვლები და ფილოსოფიის ვრცელი კურსი. თემისტოისის წერილში დაცულ ცნობას თუ ყურადღებით ჩაუყუკირდებით, გასაგები უნდა იყოს, რომ კოლხეთის რიტორიკული სკოლა თავისი შინაარსით და მიზანდასახულობით ბევრად არ განსხვავდებოდა ძველბერძნული და რომაული რიტორიკული სკოლებისაგან, სადაც მსგავსი პროგრამებით ხორციელდებოდა სწავლება. თემისტოისის განცხადებდან გარკვევით ჩანს, რომ აქაც სწავლების ძირითადი მიზანი “რიტორიკულ ხელოვნებაში გაწვრთნა” ყოფილა⁵³. ეს უკანასკნელი კი ცოდნის იმავე მინიმუმის დაუფლებას მოითხოვდა, რაც ციცერონისა და კვინტილიანეს შეხედულებებითაა გათვალისწინებული. ისევე როგორც რომაულ რიტორიკულ სასწავლებელში, კოლხეთის რიტორიკულ სკოლაშიც სასწავლო პროგრამა ლიტერატურის, ასტრონომიის, შესაძლოა, მუსიკის და მათემატიკის ელემენტების ძირითადად კი ფილოსოფიისა და სამართლის საფუძვლების ციკლს შეიცავდა. სწორედ ასეთი განათლება იყო საჭირო, რომ ორატორს “ელინთა დღეობებზე” გამოჩენის უფლება მიეპოვებინა.

რიტორიკული მეცნიერება იმჟამინდელ საქართველოში, ისე, როგორც ბერძნულ და რომაულ სამყაროში, წმინდა პრაქტიკული მიზნებითაც იყო მოწოდებული. აქ მხოლოდ “ელინთა დღეობებზე” ორატორული ხელოვნებით თავის გამოჩენა არ იგულისხმებოდა. ამის დამადასტურებელი საბუთები ბიზანტიელ მწერლებთანაც გვხვდება. ამ მხრივ აღსანიშნავია აგათია სქოლაქტიკოსის (536-582 წწ.) საისტორიო თხზულებაში დაცული ცნობა ბიზანტიელი სარდლების მიერ გუბაზ მეფის ვერაგული მკვლელობის გამო კოლხეთში მოწვეულ სახალხო კრებაზე ქართველი ორატორების გამოსვლის თაობაზე. აღნიშნულ კრებაზე ორი პოლიტიკური ორიენტაცია (ირანული და ბიზანტიური) დაუპირისპირდა ერთმანეთს. აგათია სქოლაქტიკოსი დაწვრილებით გადმოგვცემს სხვადასხვა

⁵³ ს. გამსახურდია. “სწავლა-განათლება ძველ საქართველოში” გამომცემლობა “განათლება” 1984 წ. M- 608 (08) - 84

ორიენტაციის მქონე ქართველი წარჩინებულების – აიეტისა და ფარტაზის სიტყვებს, რომლებიც ღრმა პოლიტიკური აღდგომა, ლოგიკური დასკვნებით და სიტყვაკაზმულადაა წარმოთქმული. საქმე ისე წარიმართა, რომ ქვეყნის პოლიტიკური ბედი (სახელდობრ, ის, თუ რა გზას დასდგომოდნენ კოლხები და რა ორიენტაცია აერჩიათ) გამოსულ ორატორთა სიტყვების დამარწმუნებელ ძალას უნდა გადაეწყვიტა.

რიტორიკულ სასწავლებელში ბერძნული ენის მცოდნე ახალგაზრდა უნდა მისულიყო, სადაც ამ ცოდნას შემდგომ გააღრმავებდა და განამტკიცებდა. ბერძნულ ენას, ისევე, როგორც სხვა გარკვეულ დისციპლინებს, წარჩინებულთა შვილები სპეციალური, გრამატიკული სწავლებით თუ აითვისებდნენ. თვით ის ფაქტი, რომ 1-4 საუკუნეების კოლხეთში უმაღლესი საფეხურის რიტორიკული სკოლა არსებობდა (რაც შესაძლოა ერთადერთი არ იყო), მოსამზადებელი საფეხურის სკოლების არსებობაზეც მიგვითითებს. ასეთი სკოლები იმ “აყვავებულ ქალაქებში” იქნებოდა მიმოხვეული, რომლებზეც პლინიუსი, სტრაბონი და სხვა ბერძენი ისტორიკოსები მოგვითხრობენ.

საქართველოს ნებით თუ უნებლიეთ უწევდა აღმოსავლურ და დასავლურ კულტურულ მიმდინარეობებთან შეხება და გარკვეული წვლილის შეტანა მათი კულტურის განვითარებაში. ამ მხრივ განსაკუთრებული როლი წინა აზიისა და საბერძნეთის ტერიტორიებზე აღმოცენებულმა ქართული კულტურის კერებმა შეასრულეს.

ქართველი ფილოსოფოსები ცნობილი იყვნენ საქართველოს ფარგლებს გარეთაც, წინა აზიისა თუ საბერძნეთში. მაგალითად, ცნობილი იყო ვინმე ბაკური, რომელიც მე-4 საუკუნეში მოღვაწეობდა და მისი სახით ფართო ერუდიციის მქონე, ნეოპლატონური მიმართულების ფილოსოფოსი წარმოგვიდგება; მე-5 საუკუნეში მოღვაწე პეტრე იბერი, რომელმაც გარკვეული მიმდინარეობის სკოლა შექმნა სირიაში.

პეტრე იბერის სირიულ სკოლასთან იყვნენ დაკავშირებული მე-6 საუკუნის საქართველოში შემოსული ასურელი მამები, რომლებიც თეოლოგიურ-ფილოსოფიური ცოდნით იყვნენ აღჭურვილნი. საქართველოში მათი საქმიანობა

ქრისტიანობის განმტკიცებასა და წინა აზიური ცოდნის შემოტანა-გავრცელებას ისახავდა მიზნად.

ადრეული ხანის ქართული აზროვნებითი კულტურის შესწავლა რთულდებოდა გარკვეული ისტორიული ვითარებისა და მასალების ნაკლებობის გამო. ყოველი რელიგიურ-იდეოლოგიური მიმდინარეობა ხშირად პოლიტიკურ ელფერს იღებდა. ასეთი რთული პოლიტიკური ვითარების გამო გარკვეული პერიოდებისათვის ზრდასრულთა სწავლა-განათლების შესახებ ცნობების ამოკრება მხოლოდ გვიანდელი მეტაფრასული თხზულებებიდან თუ შეიძლება (IX-X სს.).

რა თქმა უნდა, ადრეურობადღური ხანის ფილოსოფიური და საზოგადოებრივ-ისტორიული აზროვნება, რომელიც, თავის მხრივ, XI-XII საუკუნეების საქართველოს კულტურული აღორძინების მომამზადებელი ეტაპი იყო, გარკვეული ტრადიციული გზის გაგრძელება უნდა ყოფილიყო ამ მიმართულებით. ზრდასრულთა სწავლება ძირითადად ეკლესია-მონასტრებთან წარმოებდა და მას უპირველეს ყოვლისა, პრაქტიკული საქმიანობა ჰქონდა მიზნად, კერძოდ, მწიგნობარი ბერ-მონაზვნის, ეკლესიის მსახურის აღზრდა, ისევე, როგორც ეს ხდებოდა ქრისტიანულ სამყაროში საერთოდ და, კერძოდ, ნიზიბინის სკოლაში. მაგრამ ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, სადაც სასწავლო პროგრამა ძირითადად ეგზეგეტიკასა და ლიტურგიკას მოიცავდა, საქართველოში თეოლოგიურ-ფილოსოფიური მეცნიერების შესწავლაც ხდებოდა.

ეკლესია-მონასტრებთან არსებულ სკოლებში გარდა ფილოსოფიისა და თეოლოგიისა, ერთ-ერთი შესასწავლი საგანი გალობა იყო. ამისათვის გამოყენებული იყო ჰიმნოგრაფიული ნაწარმოებები. ჰიმნოგრაფიას რომ ცალკე ასწავლიდნენ, ამას გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების აღწერილობა გვისურათებს. გრიგოლის შესასწავლ საგნებში დასახელებულია “ხმითა სასწავლო სწავლაი”. პროფ. ვ. ჭანტურია მიიჩნევს, რომ აქ ხმით დასწავლის მეთოდთან უნდა გვქონდეს საქმე. ჩვენი აზრით, “ხმითა სასწავლო სწავლაი” უფრო ჰიმნოგრაფიის შესწავლაზე და საერთოდ, ლიტურგიკაზე უნდა მიგვითითებდეს, ვიდრე ხმით დასწავლის მეთოდზე.

შატბერდის კრებული ერთ-ერთი “სასწავლო წიგნი” კი ერთგვარ წარმოდგენას გვაძლევს იმის შესახებ, თუ რა სახის სახელმძღვანელოები

არსებობდა XIX-XX საუკუნეების საქართველოში. შატბერდი კულტურის ერთ-ერთი კერა იყო, ისევე, როგორც ამ დროის საქართველოში არსებული სხვა სამონასტრო ცენტრები. როგორც ჩანს, აქ სასწავლო ცენტრიც არსებობდა. თუ შატბერდის კრებულში შეტანილი სხვა შრომებითაც ვიმსჯელებთ (კერძოდ, გრიგოლ ნოსელის ადამიანის ბუნების შესახებ ცოდნის შემცველი თხზულება – “კაცისა შესაქმისათვის”; საისტორიო მატიანე – “მოქცევაი ქართლისაი”⁵⁴; ბასილი დიდის ცხოველთა ქცევების შემცველი თხზულება; იპოლიტე რომაელის ძველი და ახალი საღმრთო წერილების შესახებ მოცემული განმარტებები; ეპიფანე კვიპრელის ნაშრომი თორმეტი ძვირფასი თვლის შესახებ; ამას ემატება დავითის ფსალმუნების დაჩისეული თარგმანი, ქრონოლოგიური ცნობები გამოჩენილ ებრაელთა, სპარსთა, რომაელთა და ბიზანტიელ მეფეთა შესახებ და ბოლოს “სასწავლო წიგნი”, სადაც ებრაულ და ბერძნულ ანბანზე და ძველი აღთქმის წიგნთა შესახებ გვხვდება მსჯელობა), მაშინ V-X საუკუნეების საქართველოში არსებული სასწავლო პროგრამების შესახებ საკმაოდ ნათელი წარმოდგენა გვექმნება. ამის მიხედვით, გარდა იმ საგნებისა, რომლებზეც ზემოთ გვქონდა საუბარი (თეოლოგია, ფილოსოფია, გალობა, უცხო ენები), ისწავლებოდა საქართველოს ისტორია, რომლისთვისაც მოკლე ცნობების შემცველი სახელმძღვანელო წიგნი “მოქცევაი ქართლისაი” იყო განკუთვნილი. ასევე, საზღვარგარეთის ქვეყნების (გამოჩენილ ებრაელ, სპარსთა, რომაელ და ბიზანტიელ მეფეთა) მოკლე ქრონოლოგიური ცნობების შემცველი ისტორიაც. ზემოაღნიშნული თხზულებები, როგორც სახელმძღვანელოები, საშუალო განათლების მისაღებად იყო განკუთვნილი. ისინი თავიანთი შინაარსით და თხრობის მეთოდით ზრდასრული ასაკის მოსწავლეთათვის სავსებით გასაგებია. ახასიათებთ თხრობის ლაკონურობა, საკითხების შინაარსს ძირითადი არსის წარმოჩენით გადმოსცემენ. ზრდასრულთათვის სასწავლოდ განკუთვნილი სახელმძღვანელო წიგნები ჯერ კიდევ ასურელი მამების დროს იწერებოდა. მათ შორის იყო, მაგალითად, შიო მღვიმელის ორიგინალური სახელმძღვანელო.

⁵⁴ ს. გამსახურდია. “სწავლა-განათლება ძველ საქართველოში” გამომცემლობა “განათლება” 1984 წ. M- 608 (08) - 84

უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ IX-X ს.ს. საქართველოში ეკლესიას, როგორც ძლიერ ფეოდალურ ინსტიტუტს, მეტად მტკიცედ ჰქონდა ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ფეხი გადგმული, რისი მკაფიო დადასტურებაცაა თვით მერჩულეს, ან გინდაც ბასილი ზარზმელის თხზულებები. სწავლა-განათლების საქმეც ამ დროს ეკლესიის ხელში იყო. სავარაუდოა, რომ ზრდასრული ადამიანებიც ეკლესიასთან მსახურობაში იღებდნენ განათლებას.

ამავე პერიოდში ყალიბდება და გავრცელებულ სახეს იღებს ხელოსანთა ამქრული, პროფესიონალური გაერთიანება. ხელოსნობას საქართველოში ოდითგანვე მისდევდნენ. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური გათხრების მასალები, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე ეპოქას მიეკუთვნება, იმაზე მიუთითებს, რომ აქ ხელოსნობა მაღალ დონეზე იყო განვითარებული.

ქართველ ხელოსანთა ნაკეთობები იმდენად დიდ მოწონებას იმსახურებდა, რომ ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში საბერძნეთშიც კი გაჰქონდათ. შემდგომ ხანებში ის კიდევ უფრო განვითარდა და XI-XII საუკუნეებში განვითარების უმაღლეს დონეს მიაღწია. აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი ადრეფეოდალური ხანის საქართველოში განვითარებული ხელოსნობის რამდენიმე სახეს გამოჰყოფს, რომლებიც მოხსენებულია აღმოჩენილ წარწერებსა და სიგელებში. ხელოსნობის ეს სახეებია: ხატწერა, ოქრომჭედლობა, იარაღის წარმოება, მჭედლობა და სხვ. ხელოსნები მოხსენებული არიან XIV-XVII ს.ს. დოკუმენტებში. მაგალითად, “ხელმწიფის კარის გარიგებაში” ნახსენებია “შეკერვალთა უხუცესი”, რომელსაც შეგიძლება ოსტატი მეკრავები ჰყავდა. ასევე მოხსენებულია “ხაბაზი”, “მეტყავენი” და სხვ. პროფესორი გიორგი გამყრელიძე სამართლიანად აღნიშნავს: “რაკი მეფის კარზე ხელოსანთა იმდენად მნიშვნელოვანი რიცხვი მოიპოვებოდა, რომ მათ საგანგებო “უხუცესები” განაგებდნენ, უნდა ვიფიქროთ, რომ ცალკეული ბატონის მამულშიც იმყოფებოდნენ სხვადასხვა ხელობის ადამიანები. მაგალითად, XVI საუკუნის 40-იან წლებში ზოგიერთი ბატონის მამულში ვხვდებით გარკვეულ ფენას, ე.წ. “მსახურებს”, რომელთა შორის არიან მეწაღეები, მჭედლები, თუ ხარაზები. ასეთი ხელობის ადამიანები მსახურობდნენ, როგორც მეფის კარზე, ისევე თავადებისა

და აზნაურების მამულებშიც. ხელოსნები, როგორც აღვნიშნეთ, ნახსენები არიან XIV-XVII ს.ს. დოკუმენტებში და განსაკუთრებით ხშირად გვხვდებიან – XVII-XVIII ს.ს. საქართველოში. კერძოდ, თბილისში, რომელიც ხელოსნური წარმოების მსხვილ ცენტრად იქცა, იმდროისათვის არსებული ხელოსნობის ყველა სახეობა ყოფილა გავრცელებული. ამავე პერიოდში ყალიბდება და გავრცელებულ სახეს იღებს ხელოსანთა ამქრული, პროფესიონალური გაერთიანება. ასეთი გაერთიანებები XVI საუკუნეზე გაცილებით ადრე უნდა შექმნილიყო საქართველოში, რაზედაც თვით ტერმინი “უხუცესი” მეტყველებს (მაგალითად, “მანდატურთუხუცესი”, “მხატვართუხუცესი”, ასევე “ოსტატი” - უფროსის მნიშვნელობით). ეს ტერმინები X-XII საუკუნეების წყაროებშიც გვხვდება. აღნიშნული ტერმინები ხელოსანთა გაერთიანების უფროსის აღმნიშვნელია. ამავე დროს, ხელოსანთა ამქრული გაერთიანება გარე მიზეზთა გავლენის შედეგად კი არ წარმოიშვა, როგორც ამას ზოგი მკვლევარი მიიჩნევს, არამედ საქართველოში ფეოდალური ურთიერთობების განვითარების, “მთელი ქვეყნის ფეოდალური ორგანიზაციის”, საქალაქო ცხოვრების განვითარების, “ქალაქსა და სოფელს შორის დაპირისპირებისა და ბრძოლის”, სასაქონლო წარმოების შედეგად⁵⁵.

სამწუხაროდ, იმის შესახებ, თუ როგორ ხდებოდა ხელოსნობის შესწავლა ადრეული ხანის საქართველოში, წყაროებში გარკვევით არაფერია ნათქვამი. ამ მხრივ შედარებით ნათელ წარმოდგენას გვიანი ხანის ამქართა შესახებ არსებული დოკუმენტები გვიქმნიან. ისე, როგორც საერთოდ გვიანი ხანის საქართველოში, ადრეული ხანის საქართველოშიც ხელობას მსახურების სანაცვლოდ შეგირდად მიბარებით ასწავლიდნენ. ხელოსანი შეგირდს შრომის პროცესში განუმარტავდა და ასწავლიდა ხელობას. ერთ-ერთ დოკუმენტში ავგაროზ ბანდაისძე მოგვითხრობს, თუ როგორ დაეუფლა იგი წიგნის გადაწერასთან დაკავშირებული ხელობის ზოგიერთ სახეობას, მაგალითად, ტყავის კერვას. აქ წიგნის გადაწერის ტექნიკის შესწავლაც კი ხელოსნობის შესწავლადაა განხილული.

ყურადღებას იპყრობს ტერმინი “შეგირდი”. იგი სპარსული წარმოშობის სიტყვაა და ხელოსნობის შემსწავლელ მოწაფეს ნიშნავს. აღნიშნული ტერმინი ამ

⁵⁵ ს. გამსახურდია. “სწავლა-განათლება ძველ საქართველოში” გამომცემლობა “განათლება” 1984 წ. M- 608 (08) - 84

მნიშვნელობითაა მოხსენებული ვახტანგის “დასტურლამაღში”. შეგირდად იყენებდნენ ყმა-გლეხთა შვილებს და მსახურებს. XVII-XVIII ს.ს. დოკუმენტების შესწავლით აშკარა ხდება, რომ ხელოსნობა საქართველოში ფრიად გავრცელებული იყო და დაბალი სოციალური წრის წარმომადგენლები ცდილობდნენ ამ საქმიანობაში ჩაბმულიყვნენ.

რა თქმა უნდა, ხელოსნური აღზრდა წმინდა პრაქტიკული მიზნებით იყო გაპირობებული და ზნეობრივი აღზრდის გარკვეულ ელემენტებსაც შეიცავდა. ხელოსანთა გარკვეულ ჯგუფს კი, რომელიც წიგნთან დაკავშირებულ საქმიანობას ეწეოდა, გონებრივ აღზრდასთანაც ჰქონდა საქმე. ეს ჯგუფი ძირითადად საეკლესიო წრეში მზადდებოდა და ხელოსნობასთან ერთად წერა-კითხვას, გრამატიკას და საერთოდ, ქართულ მწიგნობრობას სწავლობდა.

XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი, ე.ი. პერიოდი, როდესაც ვახტანგ VI “სწავლული კაცებთან” ერთად კულტურულ საქმიანობას ეწეოდა, აღორძინების ხანის ყველაზე შემოქმედებითი, კულმინაციური ეტაპი იყო.

ვახტანგ VI-ის, სულხან-საბა ორბელიანის, ვახუშტისა და სხვა “სწავლულ კაცთა” საქმიანობა პირველ რიგში მიზნად ისახავდა იმ კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენას, რომელიც მონღოლების, ყიზილბაშებისა და ოსმალების მიერ შეირყვნა და განადგურდა. აგრეთვე ამ კულტურული მემკვიდრეობის ახალი მსოფლმხედველობრივი მიღწევებით შევსებას და თანადროულობის სამსახურში ჩაყენებას.

ვახუშტის დროს სწავლა-განათლების საქმე იმდენად დაკნინებული იყო, რომ წიგნის კითხვა და წერა თურმე დიდ ცოდნად მიიჩნეოდა. იმ უბედურების შემდეგ, რაც საქართველომ გადაიტანა, დროგამოშვებით მართლაც შეიძლება ყოფილიყო ასეთი მდგომარეობა. ვახტანგ VI და მისი კულტურული დასი განსაკუთრებული მონდომებით შეუდგა ახალ სახელმძღვანელოთა შედგენას. ვახტანგ VI-ის მიერ დაწყებული საქმის გაგრძელება იყო შემდეგ ანტონ I-ის თაოსნობით გაჩაღებული მუშაობა, რომელიც საქართველოში სახელმძღვანელოთა გამრავლებას ემსახურებოდა. ვახტანგ VI-ის და ანტონ I-ის მიზანი იყო არა მარტო ძველად არსებული სახელმძღვანელოების აღდგენა, არამედ სრულიად ახალი სახელმძღვანელოების შექმნა, რაც ხელს შეუწყობდა საქართველოში ახალი

დარგების გაცნობასა და შესწავლას. ასე, რომ ქართული მწიგნობრობის, საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიის, თეოლოგიის, ასტროლოგიისა და ასტრონომიის გვერდით ჩვენ უკვე ვხვდებით მსოფლიო გეოგრაფიის, ქიმიის, კოსმოგრაფიის და გეოდეზიის დარგში შექმნილ თხზულებებს. ანტონის დროს, XVIII ს. მეორე ნახევარში, კიდევ უფრო გაფართოვდა ინტერესთა არე და ფიზიკის, ფსიქოლოგიის, ფილოსოფიისა და სხვა დარგებიც მოიცვა. ითარგმნებოდა სახელმძღვანელო წიგნები სპარსულიდან, სომხურიდან, უმეტესად კი რუსული ენიდან, რადგან ევროპისაკენ მიმავალ გზაზე თურქეთი კედელივით იყო აღმართული. მხოლოდ რუსეთის გავლით თუ შეიძლებოდა ევროპასთან კულტურული კავშირების დამყარება.

აღნიშნული საქმიანობა გარკვეულ ერუდიციასა და ინტენსიურ შრომას მოითხოვდა. ქართველი განმანათლებლები სწორედ ასეთი ინტენსივობით, დაუღალავი შრომითა და რუდუნებით შეუდგნენ ამ დროისათვის მეტად რთული მოვალეობის შესრულებას. თვით ვახტანგ VI-ს იმდენად აუცილებელ და გადაუდებელ ამოცანად მიაჩნდა სახელმძღვანელოთა შექმნისა და გამრავლების საქმე, რომ თავადაც შესდგომია მათ შედგენას.

ზრდასრულთა განათლებამ, როგორც განათლების ცალკე სფერომ საქართველოში XIX საუკუნის 60-80 წ.წ. იჩინა თავი და თანდათან პოპულარობაც მოიპოვა. ამის წინაპირობები იყო: ბატონყმობის მოსპობა და კაპიტალიზმის პირველი ჩანასახის გამოჩენა ქვეყანაში; ქართული ინტელექტუალური მიერ ევროპაში მიღებული განათლება; რუსი დემოკრატების ზეგავლენა; და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა.

ზრდასრულთა განათლების იდეა აღიარებდნენ დემოკრატიული ინტელექტუალური წარმომადგენლები, რომელთაც მიზნად დაისახეს საკუთარი ქვეყნის მოსახლეობის განათლების და კულტურული ღონის ამაღლება. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში იღია ჭავჭავაძემ სამოციანელთა სხვა გამოჩენილ წარმომადგენლებთან ერთად, როგორიც არიან აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე და სხვები, დააფუძნა რამდენიმე საგანმანათლებლო საზოგადოება, მათ შორის, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. ამ პერიოდში საზოგადოებრივი ინტერესის გაღვივება სახალხო განათლების ინსტიტუტებისადმი გამოწვეული იყო

კლსობრივი ომისა და სისტემის შეცვლით, ევროპული გამოცდილების გაზიარებით. უპირატესობას ანიჭებდნენ ზრდასრულთა სახალხო განათლების იმ ასპექტს, რომ შედარებით მცირე სახსრებით შეიძლებოდა მოსახლეობაში პროგრესული იდეების, ელემენტარული და საბაზო ცოდნის გავრცელება და ამით კულტურული დონის ამაღლება.

ქართველი განმანათლებლები არ შემოიფარგლებოდნენ მხოლოდ რუსეთისა და ევროპის ქვეყნების გამოცდილებით. მათ ზრდასრულთა განათლების განვითარებაში შექონდათ საკუთარი წვლილიც რეგიონების თავისებურებების გათვალისწინებით. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა განათლებისა და კულტურის ისეთი მოღვაწეების შრომებს, როგორებიც არიან: იაკობ გოგებაშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, დიმიტრი ყიფიანი, ივანე მაჩაბელი, იაკობ ნიკოლაძე, რაფაელ ერისთავი და სხვ. მათი დაუღალავი შრომის წყალობით იხსნებოდა დამატებითი განათლების სკოლები, ბიბლიოთეკები, სახალხო უნივერსიტეტები, ეთნოგრაფიული მუზეუმები და სხვ.

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში ქართული გაზეთების გვერდებზე ჩნდებოდა სტატიები და ჩანაწერები, რომლებიც ზრდასრულთა განათლებას ეძღვნებოდა. ამ მხრივ გამოირჩეოდა ეგნატე ნინოშვილის “როგორი განათლება გვჭირდება” (1893 წ.) და იაკობ გოგებაშვილის “როგორ გავაუმჯობესოთ კავკასიური სახალხო სკოლა” (1903 წ.). აქ საუბარია აუდიტორიის ასაკობრივ თავისებურებებზე, სასწავლო პროცესებისადმი შემოქმედებით დამოკიდებულებაზე, საკვირაო სკოლებზე და ა.შ.

გარდა ზემოაღნიშნული საკითხებისა, ქართველი განმანათლებლები ამ პერიოდში მსჯელობდნენ ზრდასრულთა განათლების მეცნიერულ ხასიათზე და მის ხელმისაწვდომობაზე; სახალხო უნივერსიტეტების ორგანიზაციულ მხარეზე. ისინი ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ სახალხო უნივერსიტეტებში საგნის სწავლების მკაცრად გამოკვეთილი სამეცნიერო-პედაგოგიური მიმართულება უნდა ჰქონდეს.

XX საუკუნის 20-40-იან წლებში, საბჭოთა ერის დასაწყისში, ზრდასრულთა განათლება ძირითადად მშრომელთა შორის წერა-კითხვის უცოდინრობის აღმოფხვრას ემსახურებოდა. 1921 წლის 4 ივლისს გამოიცა საქართველოს

“რეგომის” დეკრეტი “მოსახლეობაში წერა-კითხვის” ლიკვიდაციის შესახებ, რომლის მიხედვით 14-დან 50 წლის ასაკის ყველა ის ადამიანი, რომელმაც წერა-კითხვა არ იცოდა, ვალდებული იყო ესწავლა. ამ მიზნით სახალხო უნივერსიტეტები გაიხსნა თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, გორში, ჭიათურაში, ფოთში, სენაკში, ზუგდიდში, ხონში, თელავში, სიღნაღსა და ახალციხეში.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ზრდასრულთა საგანმანათლებლო ორგანიზაციები ძირითადად ფართო პროპაგანდული და სამხედრო-პატრიოტული სწავლების ადგილად იქცა.

ომის შემდგომ პერიოდში გაჩნდა კულტურულ-საგანმანათლებლო და მეცნიერულ-პოლიტიკური განათლების ცენტრების ქსელი, რომელიც შემდგომში საზოგადოება “ცოდნად” ჩამოყალიბდა. ეს ქსელი სახელმწიფო შეკვეთაზე იყო აგებული და განათლებისადმი ინდივიდუალურ და შემოქმედებით მიდგომას არ ითვალისწინებდა.

XX საუკუნის 60-80-იან წლებში საზოგადოება “ცოდნის” სახალხო უნივერსიტეტების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა (139-დან 502-მდე) და ათი ათასობით ადამიანი გახდა მათი მსმენელი. ლექციებს გამუდმებით პოლიტიკური ელფერი დაჰკრავდა და მათზე დასწრება სავალდებულო ხასიათს ატარებდა. საზოგადოება “ცოდნას” პროპაგანდისტული მიზანი ჰქონდა და მსმენელთა მომზადების ხარისხი არ შეესაბამებოდა დროის მოთხოვნებს. საბჭოთა პერიოდის ზრდასრულთა განათლების სისტემა სოციალისტური შრომის პრინციპებზე იყო ორიენტირებული, საბაზრო ეკონომიკის თავისებურებებს არ ითვალისწინებდა და თემატიკაც ხშირად მეორდებოდა. მოკლედ, შეიძლება ითქვას, რომ ზრდასრულთა განათლების სისტემა საბჭოთა პერიოდში არ შედგა.

პოსტსაბჭოთა სივრცეში ქართველი ფილოსოფოსის მერაბ მამარდაშვილის მიერ გავრცელდა ტერმინი “აკმეოლოგია” ზრდასრულთა განათლების მიმართებაში (“აკმე” ძველ ბერძნულად ნიშნავს “მწვერვალს”, “სიმწიფეს”), რაც შემდეგ აკდემიკოსმა ნინა კუზმინამ სანქტ-პეტერბურგის გერცენის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში შეიქმნილი აკმეოლოგიის კათედრის წესდების პრეამბულაში გამოიყენა. მერაბ მამარდაშვილმა ყურადღება მიმართა

“ადამიანის სურვილსკენ, ისწრაფოდეს მწვერვალისკენ”⁵⁶, რაც ემთხვევა მოცემული კვლევის აქტუალობის ერთ-ერთ მახასიათებელს - ადამიანი უნდა გამუდმებით ცდილობდეს საკუთარი თავის სრულყოფას, რათა არ იქნეს სოციალურად იზოლირებული.

მამარდაშვილის თეორიული ნაშრომების როლი ზრდასრულთა განათლების განვითარებაში მეტად მნიშვნელოვანია და მას საქართველოშიც გაუჩნდნენ მიმდევრები. ამ სფეროში თავისი ნამუშევრები გამოქვეყნებული აქვთ პროფესორებს კ. რამიშვილს, ნ. იმედაძეს, ლ. ჩიკვაიძეს ე. დავითულიანს და სხვ. თუმცა, გარდამავალ პერიოდში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებების თანმდევი კატაკლიზმების გამო, მკვლევარებს არ მიეცათ პრაქტიკული ნაბიჯების გაკეთების საშუალება განათლების სისტემაში ზრდასრულთა განათლების განვითარების მიმართულებით.

მხოლოდ 2000 წლიდან, საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშეწყობით, გახდა შესაძლებელი ამ მიმართულებით გარკვეული ექსპერიმენტების ჩატარება, რომელშიც უშუალოდ მიიღო მონაწილეობა ახლად შექმნილმა საქართველოს ზრდასრულთა განათლების ორგანიზაციების ასოციაციამ. ამ ასოციაციის წევრებმა მოახერხეს და ქართული სახელმწიფოსა და საზოგადოების ყურადღება მიაპყრეს ზრდასრულთა განათლების მნიშვნელობისკენ⁵⁷.

2002 წლის ოქტომბერში IIZ/DVV-ის (ახლა უკვე *dvv international*) წარმომადგენლობის ინიციატივით, საქართველოში პირველად გაიმართა ზრდასრულთა განათლების დღეები დევიზით „სწავლა სიბერემდე“. მომდევნო 2003 წელს ღონისძიება ფესტივალში გადაიზარდა, რომლის ცენტრალური ღონისძიება ზრდასრულთა არაფორმალური განათლების ორგანიზაციათა პირველი გამოფენა იყო. გამოფენის ფარგლებში მოეწყო ღია გაკვეთილები, სემინარები და მრავალრიცხოვანი პრეზენტაციები ზრდასრულთა განათლების სხვადასხვა თემებზე. დიდი ინტერესი გამოიწვია ფესტივალის კულტურულმა პროგრამამაც. მთლიანობაში, ფესტივალში მონაწილე პირთა რიცხვმა 3.000-ს მიაღწია.

⁵⁶ Мамардашвили М.К. «Необходимость себя». Лекции. Статьи. Философские заметки. Под общей редакцией Ю.П.Сенокосова.-Издательство «Лабиринт», Москва.-1996г.-432.

⁵⁷ ლ. ჩიკვაიძე, “პედაგოგიის საკითხები უფროსების განათლებაში”. მოამზადა და გამოსცა ორგანიზაციამ IZZ-DVV, 2004 წელს. BBK 88.5 /78

ფესტივალში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ზრდასრულთა განათლების ორგანიზატორებმა აზერბაიჯანიდან, გერმანიიდან და სომხეთიდან. 2004 წელს ზრდასრულთა განათლებისადმი მიძღვნილი მთავარი ღონისძიება იყო ივნისში გამართული საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „ზრდასრულთა განათლება და სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე სამხრეთ კავკასიაში - არსებული ვითარება და განვითარების პერსპექტივები“. კონფერენციაში, რომელიც იუნესკოს განათლების ინსტიტუტისა (პამბურგი) და ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ (OSGF) ფინანსური მხარდაჭერით ჩატარდა, 12 ქვეყნის 120-ზე მეტმა სპეციალისტმა მიიღო მონაწილეობა. აღნიშნული კონფერენცია საქართველოს ზრდასრულთა განათლების ორგანიზაციებისათვის იქცა სერიოზულ იმპულსად და მათ 2004 წლის ნოემბერში დააფუძნეს საქართველოს ზრდასრულთა განათლების ასოციაცია (AEAG) და პირველად საქართველოში გამოაქვეყნეს მონაცემთა ბაზა ზრდასრულთა განათლების მსურველთათვის⁵⁸. 2005 წლიდან ასოციაცია IIZ/DVV-ის მთავარი პარტნიორი და კვირეულის სრულუფლებიანი თანაორგანიზატორია.

ამავე წელს გერმანიის სახალხო უნივერსიტეტების საერთაშორისო ასოციაციის კავკასიის ფილიალმა საქართველოს განათლების სამინისტროს დაწესებულებით პროფესიული განათლების დეპარტამენტთან და პროფესიული განათლების მუშაკთა ასოციაცია „პირამიდასთან“ ერთად გახსნა დამატებითი პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრი. ასევე, ქალთა ორგანიზაციების კოალიციის განათლების სამუშაო ჯგუფმა გერმანულ ორგანიზაციას IZZ/DVV მხარდაჭერით გამოაქვეყნა საქართველოში დღეს არსებული საგანმანათლებლო ფასიანი კურსების საინფორმაციო ბაზა ზრდასრულთათვის.

2006 წლის ნოემბერში საქართველოს მთავრობასა და ევროკომისიას შორის შედგა საქართველო-ევროკავშირის ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შეთანხმება, რომელიც თანამშრომლობის სტრატეგიული მიზნებისა და

⁵⁸ „საქართველოს ზრდასრული მოსახლეობის განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების კურსები“ – მონაცემთა ბაზა. მოამზადა და გამოსცა ორგანიზაციამ IZZ-DVV, 2004 წელს. ISBN 99928- 995- 4- 9

შესაბამისი პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტების განხორციელებას უწყობს ხელს. გაჩნდა ე.წ. ევროდირექტივები განათლების სფეროში რეფორმების გატარების დროს გასათვალისწინებლად ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მიზნით⁵⁹. შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობით, ყოველწლიურად ხორციელდება ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამეზობლო გეგმის (ENP AP) განხორციელების ანგარიშის მომზადება. გამომდინარე აქედან, 2009 წელს, როგორც შესავალში აღვნიშნეთ, საქართველომ პირველად მიიღო მონაწილეობა ზრდასრულთა განთლებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაზე ბრაზილიაში, CONFINTEA VI. ერთი წლით ადრე კონფერენციისთვის მზადების პროცესში საქართველოში შეიქმნა ზრდასრულთა განათლების პრობლემატიკისადმი მიძღვნილი ინტერსექტოლარული დიალოგი. მასში მონაწილეობდნენ როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო სექტორების წამომადგენელი დაინტერესებული პირები (მათ შორის, მოცემული ნაშრომის ავტორიც) და მისი მიზანი იყო ქვეყანაში ზრდასრულთა განათლების მდგომარეობის შესახებ ანგარიშის მომზადება. კონფერენციაზე საქართველომ სხვა მონაწილე ქვეყნებთან ერთად მიიღო მნიშვნელოვანი მოწოდება ზრდასრულთა განათლების მიმართულებით ეფექტური მოქმედებებისკენ. თუ როგორ უნდა განხორციელდეს ეს მოწოდება, ამაზე მომდევნო თავებში გვექნება საუბარი.

⁵⁹ ENP Country Progress Report 2009 – Georgia, Brussels, 12/05/2010, SEC(2010) 518

3.3. საერთაშორისო გამოცდილება ზრდასრულთა განათლების ინსტიტუციური მოწყობის შესახებ, მისი საკანონმდებლო და ფინანსური საფუძვლები

ბოლონის 1998 წლისა და პრაღის 2001 წლის დეკლარაციებში ევროპის ქვეყნებმა გამოაცხადეს განათლების სისტემის ერთიანი ევროპული სივრცის შექმნის აუცილებლობა, რასაც საქართველოც უერთდება და თავისი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მიზნით, ეროვნული პროგრამის განხორციელების განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2004 წლის ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმაში წერს: “ევროკავშირის ქვეყნების ბოლო ათწლეულის აქტივობა განათლების სფეროში მიმართულია საერთო საგანმანათლებლო სივრცის შექმნისაკენ. ამ მიზნით საჭიროა სტრუქტურული, შინაარსობრივი და საკანონმდებლო გარდაქმნები . . . მათ შორის:

- უნდა დაინერგოს დასავლეთ ევროპაში ბოლო დროს მეტად პოპულარული სტრატეგია “სწავლა სიცოცხლის მანძილზე”, რაც პიროვნებას საშუალებას აძლევს კონკურენტუნარიანი გახდეს ახალი ტექნოლოგიების გამოყენებაში, გაიადვილოს სოციალური ურთიერთობები, შეიქმნას თანასწორი შესაძლებლობები და გაიუმჯობესოს ცხოვრების ხარისხი.
- საქართველო აქტიურად უნდა ჩაერთოს საერთაშორისო პროგრამაში “განათლება ყველასათვის”, რაც საშუალებას მისცემს მას შეინარჩუნოს ის მიღწევები, რომელიც მას აქამდე ჰქონდა და სასწრაფოდ დაძლიოს ის უარყოფითი ტენდენციები, რომლებმაც იზიდავს თავი ბოლო დროს.
- უნდა შეიქმნას დისტანციური განათლების ცენტრები და საქართველომ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს ამ სწავლებაში საკუთარი კურსებისა და მოდულების შეთავაზების გზით⁶⁰”.

საქართველოს განათლების სამინისტროს აქტიური ჩართვა ზრდასრულთა განათლების განვითარების საქმეში ქმნის ახალ შესაძლებლობებს და ამ მიმართულების ფინანსური მხარდაჭერის პერსპექტივებს სახავს. ქართული

⁶⁰ იხილეთ საქართველო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებგვერდი: www.mes.gov.ge

პედაგოგიკის მეცნიერებმა თავისი წვლილი უნდა შეიტანონ განათლების სამინისტროს სამოქმედო გეგმაში დასახული სტრუქტურული და შინაარსობრივი ცვლილებების განხორციელებაში, მათ შორის ზრდასრულთა განათლების განვითარების საქმეში. საერთაშორისო გამოცდილების კვლევა ამ მიმართულებით მიგვითითებს მრავალ მაგალითზე, როგორც უნდა მოხდეს ზრდასრულთა განათლების ინსტიტუციური მოწყობა, როგორც უნდა იყოს მისი საკანონმდებლო და ფინანსური საფუძვლები და, ბოლოს, როგორ წარიმართოს ზრდასრულთა განათლების სასწავლო პროცესები.

ჩვენში ნაკლებად ცნობილი ზრდასრულთა განათლების ისეთი ფორმები, როგორიც არის ზრდასრულთა არაფორმალური განათლება (Adult Non-formal Education), დისტანციური სწავლება (Distant Learning), განათლება ყველასათვის (Learning for All), განათლება სიცოცხლის მანძილზე (Learning for Life), დამატებითი განათლება (Additional Education) და სხვ. თანამედროვე მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული პრაქტიკული საქმიანობაა და უამრავი მკვლევარი მუშაობს თანამედროვე ეტაპზე მათი განვითარებისთვის.

სახალხო უნივერსიტეტები და სხვა ზრდასრულთა განათლების ცენტრები ევროპაში სამი ტიპის პროგრამაზე არიან კონცენტრირებული:

- ზოგადი განათლების სასკოლო პროგრამა, რომელიც გათვალისწინებულია მათთვის, ვისაც მხოლოდ დაწყებითი განათლება აქვთ მიღებული.
- ისტორიის, იურიდიული, საბუნებისმეტყველო და სოციალური მეცნიერებების სასწავლო პროგრამა, რომელიც გათვალისწინებულია მათთვის, ვისაც მიღებული აქვს ზოგადი განათლება.
- პროფესიულ-ტექნიკურ განათლების პროგრამა ყველასათვის, სადაც ასწავლიან, მაგალითად: მშენებლობის ტექნოლოგიებს, სარემონტო ტექნოლოგიებს, ბუღალტერიას, წიგნით ვაჭრობის საქმეს და სხვ.

ამასთან ერთად, გაიზარდა მოთხოვნა თემაზე ორიენტირებულ სასწავლო საგნებზე, რის საფუძველზეც გაიხსნა სასწავლო კურსები საბუნებისმეტყველო, ეკონომიკური და ფსიგოლოგიური მეცნიერებების შესასწავლად, ჯანმრთელობისა და ჰიგიენის საკითხების შესასწავლად, ხელოვნებისა და კულტურის

შესასწავლად. გაიზარდა ზრდასრულთა განათლების მიღების მსურველთა ასაკიც. ევროპის ქვეყნებში საპენსიო ასაკის ადამიანები ხშირად სწავლობენ ახალ უნარებს და საჭიროების ან სურვილის შემთხვევაში მომსახურების სფეროში იწყებენ მუშაობას.

ჩამოყალიბდა მეცნიერული მიმდინარეობაც, რომელიც მუშაობს ზრდასრულთა განათლების კვლევაზე და რომლის მთავარი ამოცანაა უფრო დეტალურად დააზუსტოს ზრდასრულთა განათლების მიზნები. მაგალითად, მიმდინარე მეცნიერულმა კვლევამ ევროპაში ჩამოაყალიბა სახალხო უნივერსიტეტების ოთხი მთავარი მიზანი:

- მოამზადონ მსმენელები სათანადო დონეზე, რათა მათ შეძლონ ცხოვრებასთან ადაპტირება;
- ასწავლონ მსმენელებს დამოუკიდებელი ინტელექტუალური საქმიანობა;
- დაეხმარონ მსმენელებს მოახდინონ თვითრეალიზაცია, გაერკვნენ საკუთარ ინტელექტუალურ მოთხოვნებში;
- მოამზადოს მსმენელები იმისთვის, რომ მათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივი ურთიერთობების მექანიზმების მუშაობაში.

ამერიკული ჟურნალის “უმაღლესი განათლების გამოცემები”⁶¹ მიხედვით აშშ-ში სათემო ორგანიზაციების ბაზაზე არსებული ზრდასრულთა განათლების სკოლებს ნაწილობრივ აფინანსებს ადგილობრივი მმართველობის ბიუჯეტი, ტექნიკურ მხარდაჭერას უწევს ადგილობრივი და სახელმწიფო განათლების სააგენტოები (მათ შორის უნივერსიტეტები) და ნაწილ თანხას გაიღებს კერძო სტრუქტურები. აქვე აღნიშნულია, რომ ასეთი სკოლის პედაგოგები სერტიფიცირებას ამერიკის უნივერსიტეტებში იღებენ.

ამერიკელი მეკვლევარები კოსტას მეტაქსიოტისი და ჯონ პსარასის⁶² მეკვლევარები უმაღლეს სასწავლებლებს სთავაზობენ, თავად შექმნან ზრდასრულთა განათლების ასეთი ცენტრები და თავად აწარმოონ ცოდნის

⁶¹ Black Issues in Higher Education (authors are not indicated). 1/29/2004, Vol 20 Issue 25; p.7 ½ p. *Project Surveys Community Based Schools* Article <ephost@epnet.com> Database: Academic Search Premier.

⁶² Kostas Metaxiotis and John Psarras 2003, *Applying Knowledge Management in Higher Education: The Creation of a Learning Organizations*. *Journal of Information and Knowledge Management*. Vol. 2 No 4 353-359

მენეჯმენტი, ანუ გამოიყენონ საკუთარი რესურსები იმ მიზნით, რათა შექმნან სათანადო სასწავლო მასალები და მოამზადონ ზრდასრულთა განათლების სპეციალისტები. ისინი გვთავაზობენ ცოდნის მენეჯმენტის ასეთ მიდგომას:

- მოვიპოვოთ და გადავაქციოთ ინფორმაცია ცოდნად (1), ანუ ვაწარმოოთ გამოკითხვა, შევისწავლოთ მოთხოვნები ადგილზე, აღვწეროთ ადგილობრივი შრომის ბაზარი და მიღებული ინფორმაცია ვაქციოთ ცოდნად.
- განვსაზღვროთ და შევამოწმოთ ცოდნა (2), ანუ ანალიზი გავუკეთოთ გამოკითხვის შედეგებს და მიღებულ ინფორმაციას და განვსაზღვროთ სასწავლო პროფილები;
- შევინახოთ ცოდნა (3), ანუ მიღებული შედეგები შევიტანოთ შესაბამის მონაცემთა ბაზაში, საინფორმაციო ბანკში და ვაქციოთ ინფორმაციის წყაროდ;
- გავუკეთოთ ორგანიზება ცოდნას (4), ანუ ჩამოვაყალიბოთ შესაბამისი სოციალურ-პედაგოგიური პრინციპები, შევიმუშაოთ მეთოდოლოგია ფსიქოლოგიური ასპექტების და რეგიონალური თავისებურებების გათვალისწინებით;
- ჩამოვაყალიბოთ ცოდნა (5), ანუ შევარჩიოთ და მოვამზადოთ შესაბამისი სასწავლო-მეთოდური მასალა;
- კომპინირება გავუკეთოთ ცოდნას (6) ანუ დავაკომპლექტოთ მასალები კონკრეტული პროფილებისთვის, შევქმნათ სასწავლო მოდულები;
- შევექმნათ ცოდნა (7), ანუ დავგეგმოთ სასწავლო პროცესი, განვსაზღვროთ სწავლების მოცულობა და სტრუქტურა;
- გავუცნოთ ცოდნას (8), ანუ მოვამზადოთ სპეციალისტი: პედაგოგი, ტრენერი ან ინსტრუქტორი;
- გავცეთ ცოდნა (9), ანუ ვასწავლოთ.

ზრდასრულთა განათლების ინსტიტუციური მოწყობა თანამედროვე საკანდინავიის ქვეყნებში

2003 წელს დანიაში კოპენჰაგენის ზრდასრულთა განათლების ცენტრის, AOF-ის სტუმრობის დროს, მოგვეცა საშუალება გავცნობოდით სკანდინავიის ქვეყნების ზრდასრულთა განათლების სისტემას. მივიღეთ ინფორმაცია ამ სისტემის განვითარების, საკანონმდებლო და ფინანსური ბაზის შესახებ. დანიელმა კოლეგებმა მოგვაწოდეს ლიტერატურა, დაგვასწრეს მეცადინეობის პროცესს და გაგვაცნეს სასწავლო ცენტრის მონაწილეები. იქ წარმოებული კვლევის შედეგად ჩავერთეთ ზრდასრულთა განათლების ცენტრების ქსელში და ინტერნეტის საშუალებით მოვიპოვეთ შემდგომი კვლევისთვის საჭირო მასალები მოცემულ თემასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

დანიაში 1991 წელს მიიღეს ზრდასრულთა განათლების ხელშეწყობის აქტი⁶³, რომელიც მომზადებული იქნა არასამთავრობო ორგანიზაციების და სათემო ორგანიზაციების მიერ და დაეფუძნა მათ მიერ გაწეული კვლევების და განვითარებისთვის წარმოებული მუშაობის შედეგებს.

ფინეთში ზრდასრულთა განათლების ცენტრების მართვა რეგულირდება მათივე წესდებით⁶⁴, თუმცა მზადდება რეფორმა საკანონმდებლო ბაზაში ზრდასრულთა განათლების სფეროს გათვალისწინების მიზნით. არსებული კანონი განათლების შესახებ მოიცავს რამდენიმე მუხლს ზრდასრულთა განათლების რეგულირების შესახებ, რომელიც განსაზღვრავს სად და ვის მიერ შეიძლება ზრდასრულთა განათლების ორგანიზება.

ზრდასრულთა განათლება ფინეთში 1000-მდე დაწესებულებაში იმართება. აქედან ნაწილი დაკავებულია უშუალოდ ზრდასრულთა განათლებით, ხოლო ნაწილი ეწევა ორივე მიმართულებით განათლებას, როგორც ზრდასრულთათვის, ასევე მოზარდებისთვისაც. ზრდასრულთა განათლების ცენტრები ფუნქციონირებენ უნივერსიტეტებში, პროფესიულ სასწავლებლებში, სპეციალურ ცენტრებში, იმ

⁶³ FOVU, a steering group under the Nordic Council of Ministers Action Plan 2000-2004 Nordic "Folkeopplysning" and Adult Education 2000-2004

⁶⁴ Blomqvist, I.; Niemi, H.; Ruuskanen, T. *Participation in adult education and training in Finland*. Helsinki: Statistics Finland, 1998. (Adult education survey 1995)

საშუალო სკოლებში, სადაც მაღალი კლასები სწავლობენ, სახალხო და საზოგადოებრივი უნივერსიტეტებში, სპორტულ და მუსიკალურ დაწესებულებებში. ზრდასრულთა განათლების სპეციალურ ფორმას წარმოადგენს “ზრდასრულთა დასაქმების ტრენინგ ცენტრები”, სადაც ამ ცენტრის მესვეურები უზრუნველყოფენ დაუსაქმებელ, ან შემცირების საშიშროების წინაშე მდგარ მოსახლეობას უნივერსიტეტებიდან და სპეციალური ინსტიტუტებიდან სამუშაოზე ორიენტირებული ნაყიდი კურსებით.

საბაზო განათლება ზრდასრულთათვის ფინეთში უფასოა⁶⁵. მას უზრუნველყოფს სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტი. რაც შეეხება ზრდასრულთა პროფესიონალურ ტრენინგებს, მათ სხვადასხვა სისტემა აფინანსებს ერთდროულად. დამქირავებლები, განათლების და ტრენინგის მიმწოდებლები, ადგილობრივი თვითმმართველობა და კერძო სტრუქტურა.

ფინეთში ზრდასრულთა განათლების კატეგორიები მათ მიზანზეა დამოკიდებული: (ა) საბაზო განათლება, (ბ) თვითმობილური განათლება და ტრენინგი, (გ) შრომის ბაზარზე ორიენტირებული ტრენინგი, და სხვ.

შედეგში რეგულაციები ზრდასრულთა განათლების შესახებ თავმოყრილია კანონში სკოლის შესახებ (UFB SOS 1996) და მიზნობრივ ჯგუფებში გათვალისწინებული ყავს 19 წლიდან ზემოთ ასაკის ადამიანები. ზრდასრულთა განათლების მთლიანი სისტემა შედგება მუნიციპალური ზრდასრულთა განათლების და ემიგრანთთა განათლების სისტემებისგან⁶⁶. ე.წ SFI, KOMVUX პროგრამებში მონაწილე უცხოელები და ემიგრანტები სწავლის სფასურისგან გათავისუფლებულნი არიან. ადგილობრივი მოსახლეობას ნაწილობრივ მუნიციპალიტეტი აფინანსებს, ნაწილობრივ თავად იხდიან სწავლების საფასურს. შედეგში ასევე არსებობს ამ მიზნით გრანტის მიღების პრაქტიკა კერძო სტრუქტურებისგან.

წინამდებარე ნაშრომის ავტორს ზრდასრულთა განათლების ინსტიტუციური განვითარების უფრო ვრცლად შესწავლის შესაძლებლობა პოლონეთის

⁶⁵ *The financing of lifelong learning. Finland's country report for the OECD*. Helsinki: Ministry of Education, 1998.

⁶⁶ OECD. *Thematic review of the transition from initial education to working life: Sweden country note*. Paris: Organisation for Economic Co-operation and Development, 1999.

მაგალითზე მიეცა ქალაქ კრაკოვის ეგილენონის უნივერსიტეტის ზრდასრულთა განათლების მიმართულებების მენეჯმენტის გაცნობის დროს. ეს ქვეყანა კვლევისთვის ბევრად უფრო საინტერესო აღმოჩნდა, რადგან ყოფილი სოციალისტური ქვეყნის შიგნით მომხდარი ისტორიული კატაკლიზმები ანალოგად გამოდგებოდა საქართველოსთვის. მოპოვებული მასალები დეტალურად გვაცნობს ზრდასრულთა განათლების სისტემის განვითარების, მისი საკანონმდებლო და ფინანსური ბაზის შესახებ პოლონეთში. მოცემულ პარაგრაფში სწორედ ამ ქვეყნის ზრდასრულთა განათლების თანამედროვე სტატუსია დეტალურად აღწერილი.

ზრდასრულთა განათლების ინსტიტუციური მოწყობა თანამედროვე პოლონეთში⁶⁷

პოლონეთში ოცი წლის წინ დაწყებული რეორიენტაციის შემდეგ ჯერ საკმარისი დრო არ გასულა იმისათვის, რომ დავასკვნათ, მყარად დამკვიდრდა თუ არა ქვეყანაში უწყვეტი განათლების სტრუქტურები, რომელთაც შეუძლიათ ქვეყანაში ზრდასრულთა განათლების ფუნქციის შესრულება. თუმცა შეიძლება ითქვას, რომ არასამთავრობო ზრდასრულთა განათლების ორგანიზაციები, განსაკუთრებით კი ის ორგანიზაციები, რომლებიც არ არიან მოგებაზე ორიენტირებულნი, ცდილობენ, თავიანთი საქმიანობა მდგრადი გახადონ და შეძლებისდაგვარად გააფართოონ იგი. ამ მხრივ ძალზე სასარგებლოა ლიბერალული, საშუალო და უმაღლესი განათლების პოლიტიკის გატარება, ვინაიდან ეს იძლევა კერძო, სახელმწიფოს მიერ აკრედიტირებულ საშუალო და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა ჩამოყალიბების საშუალებას. კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ნაწილობრივ დაფინანსებას ღებულობენ სახელმწიფოსგან (ადმინისტრირებისთვის), ხოლო სასწავლო პროგრამებს აფინანსებენ სწავლების გადასახადებით, ფინანსურ ბაზას სპონსორების საშუალებით ივსებენ.

⁶⁷ Norbert F.B., Ewa Przyłska. *Adult Education in Poland* – Copyright: 2001 IIZ-DVV

პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და სოციალურმა სიტუაციამ პოლონეთში ძირფესვიანი ცვლილებები განიცადა 1989 წელს. ცვლილებები განხორციელდა ყველა სფეროში, განათლების ჩათვლით. თავისუფალი საბაზრო ეკონომიკური სისტემის დანერგვის შედეგად უწყვეტი განათლების სექტორს სახელმწიფო დაფინანსება უმეტესწილად შეუწყდა. ვინაიდან უწყვეტი განათლების დაწესებულებები თითქმის აღარ ღებულობდნენ დაფინანსებას სახელმწიფოსაგან, ისინი იძულებულნი გახდნენ, ჩაბმულიყვნენ თავისუფალ კონკურენციაში და მოეხდინათ საკუთარი რესურსების სრული მობილიზაცია თვითგადარჩენის მიზნით. ბევრი მათგანი დაიხურა, ზოგმა კი უწყვეტი პროფესიული მომზადების კუთხით გააძლიერა მუშაობა; ძირითადად ქურადღებას ამახვილებდნენ უცხო ენების, განსაკუთრებით ინგლისურისა და გერმანულის სწავლებაზე. ზრდასრულთა განათლების სისტემისათვის ძალზე რთული აღმოჩნდა გარდამავალი პერიოდის შოკთან გამკლავება, ახალ და უფრო თანამედროვე ცოდნაზე მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, ზრდასრულ ადამიანთათვის პროფესიონალიზმის და კვალიფიკაციის, ასევე შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში დახმარების გაწევა. განათლების სამინისტროში ხელმძღვანელ პირთა ხშირი შეცვლა უარყოფითად მოქმედებდა უწყვეტი განათლების განვითარებაზე. 1990 წლიდან მოყოლებული განათლების მინისტრი რვაჯერ შეიცვალა და თითოეულმა საკუთარი პრიორიტეტები წარმოადგინა. უკანასკნელი ათი წლის გამოცდილებამ აჩვენა, რომ მიუხედავად გარკვეული პროგრესისა, საჭირო იქნება მნიშვნელოვანი ძალისხმევა უწყვეტი განათლების სტრუქტურების განსავითარებლად, რომლებიც პრობლემას გადაწყვეტენ რეგიონალურ დონეზე.

პრაქტიკულად, ზრდასრულთა განათლება კვლავ თავისუფალი ბაზრის მექანიზმების ხელშია. მართალია, განათლების სამინისტრომ 90-იანი წლების შუაში გარკვეული ნაბიჯები გადადგა ზრდასრულთა განათლების შესახებ საკანონმდებლო ბაზის შესაქმნელად, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი. თუმცა ამასობაში წარმომადგენელთა ჯგუფმა სეიმში წარადგინა კანონპროექტი, რომლის საფუძველზეც ამ საკითხის ირგვლივ პოლიტიკური დებატები გაიმართა. იმის მიუხედავად, თუ რა ბედი ეწევა კანონპროექტს, უკვე ცხადია, რომ დაფინანსების

საკითხი ძირითადად უცვლელი დარჩება. კანონპროექტით გათვალისწინებულია მხოლოდ განათლების სამინისტროს მიერ წარდგენილი უწყვეტი განათლების პროექტების დაფინანსება და დაფინანსების ტრადიციული წყაროები (შრომითი ორგანიზაციები, დაფინანსება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანთათვის, დამსაქმებლის ფინანსები და სწავლების გადასახადები, რაც უწყვეტი განათლების დაფინანსების ძირითად ნაწილს წარმოადგენს).

მართალია, პოლონეთის განათლების სამინისტრომ ძალიან ადრე გააცნობიერა ზრდასრულთა და უწყვეტი განათლების განვითარების საჭიროება, მაგრამ მთავრობის მხრიდან დაფინანსების შესაძლებლობა საკმაოდ შეზღუდული იყო. 1992 წელს განათლების სამინისტროს ინიციატივის თანახმად, პარლამენტმა მიიღო რამდენიმე დადგენილება, რომელშიც განსაზღვრული იყო უწყვეტი განათლების ძირითადი პრინციპები და ამოცანები. ამ დადგენილებებში აღწერილი სწავლების ფორმები შეიცავს ინსტრუქტაჟს და ძირითად და შემდგომ სწავლებას დღის და საღამოს კურსების, დამატებითი და დისტანციური სწავლების და კომბინირებული სწავლების ფორმების ჩათვლით. სწავლების კურსების ორგანიზებას ახორციელებს მთავრობა და ზრდასრულთა განათლების არასამთავრობო ორგანიზაციები, მაგალითად, “დისტანციური განათლების ეროვნული ცენტრი” და უწყვეტი სწავლების ცენტრები, ასევე არასასკოლო დაწესებულებები სახალხო უნივერსიტეტების ჩათვლით. დადგენილების თანახმად, ზრდასრულთა განათლება მოიცავს შემდეგი სახის ღონისძიებებს:

- პროფესიული საღამო სკოლები და დისტანციური სწავლება;
- საშუალო საღამო სკოლები და საშუალო დისტანციური განათლება;
- უმაღლესი განათლების საღამო და დისტანციური სკოლები;
- დიპლომის შემდგომი სწავლება;
- სხვადასხვა კურსები ცოდნის ასამაღლებლად და შესავსებად, ახალი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შესაძენად და შემდგომი პროფესიული სწავლება.

მიიღეს სპეციალური დადგენილება დისტანციური სწავლების შედეგად სასკოლო დიპლომებისა და პროფესიული კვალიფიკაციების მინიჭების

პროცედურათა დასარეგულირებლად. “დისტანციური სწავლების ეროვნულ ცენტრს” დაევალა:

- დისტანციური სწავლებისათვის ახალ ტექნოლოგიათა შემუშავება და პოპულარიზაცია;
- ლექტორებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებათა პედაგოგებისათვის ძირითადი და უწყვეტი განათლების ორგანიზება და კოორდინირება პოლონეთის და სხვა ქვეყნების წარმომადგენელთა მონაწილეობით;
- მეთოდოლოგიისა და დიდაქტიკის შესახებ სასწავლო მასალის მოწოდება;
- დისტანციური სწავლების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით კვლევის ჩატარება;
- უცხოური სწავლების პროგრამების და მასალების ადაპტირება;
- აუდიო-ვიზუალური სასწავლო მასალების მომზადება;
- დისტანციური სწავლების საინფორმაციო სისტემათა შემუშავება.

ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები პოლონეთის საგანმანათლებლო სისტემაში 1999 წლის რეფორმის დროს განხორციელდა. 1998 წლამდე სახელმწიფო პოლიტიკა უწყვეტ განათლებასთან დაკავშირებით ძირითადად ორიენტირებული იყო უწყვეტი განათლების ცენტრების ადმინისტრაციის ფინანსურ მხარდაჭერაზე და დისტანციური სწავლების სისტემის ჩამოყალიბებაზე. რეგიონალური რეფორმის დანერგვასთან ერთად, ახალმა მთავრობამ სკოლები და მათ განვითარებაზე პასუხისმგებლობა ადგილობრივ და რეგიონალურ თვითმმართველობებს გადააბარა. შესაძლებელია ამ ცვლილებებმა დადებითი შედეგები გამოიღოს უწყვეტი განათლებისთვის. ადგილობრივი და რეგიონალური თვითმმართველობის ორგანოებს შეუძლიათ სამინისტროზე უკეთ შეაფასონ საზოგადოებრივი ან საზოგადოების მხარდაჭერით შექმნილი უწყვეტი განათლების დაწესებულებების საჭიროება. რა თქმა უნდა, შესაბამის მუნიციპალიტეტებს, ოლქებს და პროვინციებს თავიანთ განკარგულებაში უნდა ჰქონდეთ ამისათვის სათანადო ფინანსური რესურსები. მაგრამ განათლების ბიუჯეტი კვლავინდებურად დეფიციტს განიცდის და ჯერ კიდევ გასარკვევია, თუ

როგორ განვითარდება განათლების სისტემა თვითმმართველობის ორგანოთა მიერ მართვის შემთხვევაში.

1994 წლიდან 1998 წლამდე განათლების სამინისტრო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა დისტანციური სწავლების სისტემის ჩამოყალიბებას. ეს გარკვეულწილად ფინანსური მოსაზრებებით იყო განპირობებული, ვინაიდან დისტანციური სწავლების პროგრამების ღირებულება შესაბამისი საუნივერსიტეტო პროგრამების ღირებულების მხოლოდ 30 პროცენტს შეადგენს. განათლების სამინისტროს შეხედულებით, ზრდასრულთა განათლების უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს დაინერგოს ძირითადი და უწყვეტი განათლების ახალი ფორმები, განსაკუთრებით კი დისტანციური სწავლებისა, რათა ცოდნისა და პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებელი პროგრამები ყველასთვის ხელმისაწვდომი იყოს; გაუმჯობესდეს ამ პროგრამების ხარისხი და ამადლდეს დარგის სპეციალისტთა პროფესიონალიზმი.

1998 წელს ახალმა მთავრობამ მიიღო დადგენილება, რომელიც ძალაში შევიდა 1999 წლის იანვარში, და რომელიც მიზნად ისახავდა “დისტანციური განათლების ეროვნული ცენტრის” მასწავლებელთა სწავლების ეროვნულ ინსტიტუტად ტრანსფორმირებას. ცენტრის უმთავრეს ამოცანად იქცა პროგრამების შემუშავება ზოგადი განათლებისათვის და სახელმძღვანელოების მომზადება. ცენტრის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად კვლავაც რჩება დისტანციური განათლების განვითარება. ეს გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა, კონფერენციებისა და სემინარების ორგანიზებას ავტორთა და დისტანციური განათლების პროგრამის დიზაინერთათვის; დისტანციური განათლების პროგრამათა მიწოდებას დისტანციური განათლების დაწესებულებებისთვის.

1992 წელს მიღებული დადგენილების თანახმად, დაიწყო “უწყვეტი სწავლების ცენტრების” შექმნა. 2001 წლისათვის პოლონეთში 51 ასეთი ცენტრი მოქმედებდა. 1999 წელს გატარებული ადმინისტრაციული და განათლების სისტემის რეფორმის თანახმად, მუნიციპალიტეტებმა, ოლქებმა და ზოგ შემთხვევაში პროვინციებმა მიიღეს სკოლების მართვის უფლება, რაც ადრე მთავრობის კომპეტენციაში შედიოდა. ამ რეფორმათა გატარების შედეგად უწყვეტი განათლების ცენტრების

საქმიანობაზე პასუხისმგებელობა ახლა საოლქო დონის თვითმმართველობის ცენტრებს დაეკისრა. ამ ცენტრთა უფლება-მოვალეობაში კი შედის:

- ზრდასრულთა ძირითადი და შემდგომი განათლება ოფიციალური და არაოფიციალური პროგრამების ფარგლებში;
- სასწავლო მასალების შემუშავება და გამოცემა;
- ამა თუ იმ რეგიონში მოქმედ უწყვეტი განათლების სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და მათი მხარდაჭერა.

სამთავრობო სკოლების წესდება წარმოადგენს უწყვეტი განათლების ცენტრების მოქმედების საფუძველს, რომელთაც შეუძლიათ ყველა სახის სასკოლო პროგრამების განხორციელება ყველა დონეზე. გარდა ამისა, ეს ცენტრები გვთავაზობენ ფართო სპექტრის არასასკოლო პროგრამებს. ხშირად ისინი მჭიდროდ თანამშრომლობენ შრომით დაწესებულებებთან და ბიზნეს ორგანიზაციებთან.

ძირითად პრობლემას წარმოადგენს ის, რომ ბევრ ცენტრს არ გააჩნია საკუთარი აღჭურვილობა. პროვინციებში, სადაც ამ ცენტრებს საკუთარი ოფისები აქვთ, ცდილობენ, დანერგონ ინფრასტრუქტურა, რომელიც დაეხმარებათ უწყვეტი განათლების თანამედროვე ტიპის ორგანიზაციებად ჩამოყალიბებაში.

ადრე უწყვეტი განათლების ცენტრები კონტროლდებოდა პირდაპირ განათლების სამინისტროს მიერ. ოფიციალური სასკოლო პროგრამები ფინანსდებოდა სახელმწიფო რესურსებით, ხოლო კერძო პროგრამები გადახდილი სწავლის საფასურით. განათლების სფეროში გატარებული რეფორმის შედეგად უწყვეტი განათლების ცენტრები საოლქო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა კომპეტენციაში გადავიდა და შესაბამისად სუბსიდიებიც უკვე საოლქო ბიუჯეტებშია გათვალისწინებული.

პრაქტიკული უნარ-ჩვევების სწავლებაზე ორიენტირებული პროფესიული მომზადების ცენტრები, ე.წ. “პრაქტიკული სწავლების ცენტრები”, უკვე 1996 წლიდან ჩნდება “უწყვეტი განათლების ცენტრებთან” ერთად. მათი რაოდენობა უფრო მცირეა იმის გათვალისწინებით, რომ უფრო ძვირად ღირებული სასწავლო მასალა ესაჭიროებათ. განათლების რეფორმის შემდეგ გარდა “უწყვეტი

განათლების ცენტრებისა”, უმაღლესი განათლების ყველა სამთავრობო სკოლას აქვს უწყვეტი განათლების პროგრამების ჩატარების უფლება. ამასთანავე, თვითმმართველობის ორგანოებს აქვთ შესაბამისი უფლებამოსილება ამ სფეროში სათანადო პირობების შესაქმნელად. იმდენად, რამდენადაც ცენტრალიზებულიდან დეცენტრალიზებულ სისტემაზე გარადამავალ პერიოდში ფინანსური სიტუაცია ჯერ კიდევ საკმაოდ გაურკვეველია, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ჯერ არ გააჩნიათ სათანადო ფინანსური სახსრები თავიანთ განკარგულებაში და, შესაბამისად, მუნიციპალურ და საოლქო ადმინისტრაციებს მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობები აქვთ განათლების სექტორის განვითარებისათვის აუცილებელი ინვესტიციების განსახორციელებლად.

“საბაზო და უწყვეტი სწავლების ცენტრი” მდებარეობს რადომში და იგი წარმოადგენს სახელმწიფო სამეცნიერო ინსტიტუტს, რომელიც 1986 წელს დაარსდა. ცენტრი დაკავებულია საბაზო და უწყვეტი პროფესიული სწავლების პროგრამების მომზადებით. მისი საქმიანობაა პროფესიული სწავლების პროგრამების მომზადება სახელმწიფო დაწესებულებებისათვის; უწყვეტი განათლების სფეროში სამეცნიერო კვლევის წარმოება; განათლების ეფექტურობის კვლევა; სამეცნიერო პუბლიკაციების გამოცემა. ცენტრში ტარდება კვლევები პროფესიული სწავლების შესახებ და მუშავდება პროფესიული მომზადების მოდელები ევროპული კვალიფიკაციების სისტემისა და ხარისხის სტანდარტების გათვალისწინებით. 1994 წლიდან 1998 წლამდე ცენტრში განხორციელდა სამეცნიერო კვლევათა ცენტრის მიერ დაფინანსებული ორი პროექტი. ერთი მათგანი მოიცავდა პროფესიული სწავლების კურსების შემუშავებას, მეორე კი მულტიმედიური პროფესიული სწავლებისათვის სანიმუშო სახელმძღვანელოს მომზადებას. ამჟამად ცენტრი მუშაობს სახელმწიფო პროფესიული სწავლების სისტემის ჩამოყალიბებაზე, პროფესიული განათლების სტანდარტიზაციასა და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაზე. ცენტრი ასევე დახმარებას უწევს განათლების სამინისტროს კურსების შინაარსისა და შეფასების პედაგოგიური ექსპერიმენტების ჩატარებაში. ცენტრმა მნიშვნელოვანწილად შეითავსა იმ პროფესიული სწავლების სახელმწიფო ინსტიტუტის ფუნქცია, რომელიც 1992 წელს დაიხურა. ცენტრის საქმიანობაში

განსაკუთრებული როლი უჭირავს პუბლიკაციებს. არსებობის მანძილზე მან დაახლოებით 400 დოკუმენტი გამოსცა.

არასამთავრობო საგანმანათლებლო დაწესებულებებს პოლონეთში სახელმწიფო არ აფინანსებს. ისინი იღებენ სამთავრობო სახსრებს მხოლოდ სპეციალური პროექტებისათვის. სტატისტიკის ცენტრალური ბიუროს მიერ გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, 1998 წელს არსებობდა 2151 რეგისტრირებული ზრდასრულთა განათლების ინსტიტუტი, რომელიც 17 კატეგორიად იყოფოდა. 1466 მსხვილი საგანმანათლებლო ცენტრი, სადაც 41068 სხვადასხვა კურსი ტარდება, კერძო დაწესებულებებს წარმოადგენს. ეს ცენტრები საგანმანათლებლო ორგანიზაციათა საერთო რაოდენობის 70 პროცენტს შეადგენს. მათგან მხოლოდ 15 პროცენტი არ არის მოგებაზე ორიენტირებული. დანარჩენები კი ფინანსდება ეკლესიის, ადმინისტრაციული და კოოპერაციული ორგანიზაციების მიერ. ყველა ვერ აკმაყოფილებს ხარისხის სტანდარტებს. უფრო მეტიც, ბევრ მათგანს არა ჰყავს კვალიფიცირებული მასწავლებლები, გარდა უფრო მსხვილი არასამთავრობო, არამომგებიანი ორგანიზაციებისა, როგორიც არის “ზრდასრულთა განათლების პოლონური ასოციაცია”, “შემდგომი პროფესიული განათლების საზოგადოება”, “სახალხო უნივერსიტეტების საზოგადოება”, “უმაღლესი განათლების თავისუფალი პოლონური სკოლების საზოგადოება”, “ეკონომიკის საზოგადოება” და “ტექნოლოგიის ცენტრალური ასოციაცია”, არსებობს ასევე მცირე ზომის კერძო ინსტიტუტები. 1989 წლის შემდეგ, პოსტსოციალისტურ პერიოდში, შესაძლებელი გახდა საეკლესიო სახალხო უნივერსიტეტების ხელახლა გახსნა. ასეთებია:

1. “სახალხო უნივერსიტეტების საზოგადოება”. საზოგადოებას აქვს 20-ზე მეტი ფილიალი, რომლებიც თავიანთ რეგიონებში სახალხო სკოლებს უწევენ ადმინისტრირებას. სკოლები ხალხს სთავაზობენ სწავლების მრავალმხრივ პროგრამას ისეთი კურსების ჩათვლით, როგორიც არის ტრადიციული ხელობა, სასოფლო მეურნეობა, გარემოს დაცვა, სასოფლო და ეკოტურიზმი, მონაცემთა დამუშავება და კულტურული და ჯანდაცვის განათლება. ასევე არსებობს სპეციალური პროგრამები თვითონ ამ სკოლების მასწავლებლებისათვის.

2. ვიელკოპოლსკის სახალხო უნივერსიტეტების საზოგადოება. ეს საზოგადოება, ემსახურება ქვეყნის დასავლეთ ნაწილს, რომელიც სემინარებს ატარებს ძირითადად შაბათ-კვირას რეგიონის სხვადასხვა ნაწილში. სემინარების მთავარ თემას წარმოადგენს სოფლის მეურნეობა, ეკონომიკა და გარემოს დაცვა.
3. მასოვიის სახალხო უნივერსიტეტების ასოციაციის პლოკის სახალხო უნივერსიტეტი. ეს დაწესებულება ემსახურება ქალაქ პლოკში და მის მახლობლად მცხოვრებ მოსახლეობას. გარდა ამისა იგი აწეობს საზაფხულო არდადეგებს საზღვარგარეთ მცხოვრები პოლონელებისთვის.
4. პრევეორსკას კოოპერაციული სახალხო უნივერსიტეტი. როგორც საცხოვრებელი ცენტრი, ეს ინსტიტუტი ატარებს კურსებს ახალგაზრდებისათვის სოფლის მეურნეობის კონკრეტული საკითხების შესახებ. იგი აწეობს საკვირაო სემინარებსა და საზოგადოებრივ ღონისძიებებს სოფლის მოსახლეობისათვის. პროგრამაში ჩართულია ზოგადი განათლების საკითხები, განსაკუთრებით კი საოჯახო განათლებაზე მახვილდება ყურადღება.
5. ვიეჟიცა/სტარბიენინოში მდებარე კაშუბის სახალხო უნივერსიტეტი. კაშუბის სახალხო უნივერსიტეტს მართავს კაშუბისა და პომერანიის ასოციაცია. აქ ტარდება კურსები რეგიონალური კულტურისა და ხალხური ხელოვნების, ეკოლოგიისა და ბიზნესის მართვის შესახებ.
6. წმინდა ჯერის სახალხო უნივერსიტეტი ამელიოვკაში. წმინდა ჯერის სახალხო უნივერსიტეტი არ წარმოადგენს კათოლიკურ უნივერსიტეტს. სახელი აღნიშნავს იმ რეგიონს, რომელსაც იგი ემსახურება. ინსტიტუტის სპეციალიზაციას წარმოადგენს გარემოს დაცვის საკითხები და იგი რეგიონში ყველაზე მნიშვნელოვანი ორგანიზაციაა ეკოლოგიის სფეროში.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ პოლონეთის ზრდასრულთა განათლების ინსტიტუტებმა სწრაფად განაახლეს და განავრცეს თავიანთი საქმიანობა. მსგავსი ინსტიტუტები გაიხსნა ყოფილ გერმანულ ქალაქებშიც, მაგალითად, შჩეცინსა (გერმანულად შტეტენი) და ოლჟტინში (გერმანულად

აღენშტანინი). ინსტიტუტს სახელი შეეცვალა და თავდაპირველად დაერქვა “ხელობის სწავლების ასოციაცია”, ხოლო 1962 წელს ეწოდა “შემდგომი პროფესიული სწავლების ასოციაცია”.

სახელის შეცვლასთან ერთად შეიცვალა ინსტიტუტების სპეციალიზაცია. ინსტიტუტებმა ყურადღება გაამახვილეს დაოსტატებული მუშების შემდგომ დახელოვნებაზე. სოციალისტურ პერიოდში სწავლების ცენტრთა რიცხვი ჩვიდმეტამდე გაიზარდა. ისინი საკმაოდ ძლიერ საგანმანათლებლო დაწესებულებებად ჩამოყალიბდნენ. ჰქონდათ საკუთარი შენობები და სახელოსნოები და საკმაოდ ფართო პროფილის ძირითადი და შემდგომი განათლების პროგრამებს სთავაზობდნენ ადგილობრივ მოსახლეობას. ამის გამო უფრო გაუადვილდათ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, რადგან შესაძლებლობა მიეცათ შრომითი ბაზრის ცვალებადი მოთხოვნილებების შესაბამისად შეეცვალათ საკუთარი საქმიანობის პროფილი. 1989 წლის შემდეგ ინსტიტუტთა რაოდენობა ოცდახუთამდე გაიზარდა. დღესდღეობით ისინი მნიშვნელოვან როლს თამაშობენ იმ შრომით ორგანიზაციებთან პარტნიორობაში, რომლებიც დაუსაქმებელი მოსახლეობის პროფესიულ გადამზადებაზე ზრუნავენ.

“პოლონელ განმანათლებელთა ასოციაცია” წარმოადგენს სახალხო განმანათლებელთა ინტერესებს ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. ამ ორგანიზაციის არსი და ფუნქცია ხელახლა იქნა გადააზრებული კომუნიზმის დაცემის შემდეგ. 1991 წელს ასოციაციამ მიიღო დეკლარაცია, რომლის თანახმადაც იგი შორს იყო ყოველგვარი იდეოლოგიისაგან. ასოციაციის მიზნები შემდეგნაირად იქნა ჩამოყალიბებული: “პოლონელ განმანათლებელთა ასოციაცია” წარმოადგენს ნებაყოფლობით ორგანიზაციას კერძო და იურიდიულ პირთათვის, რომლებიც ისწრაფვიან უწყვეტი სწავლების იდეის დანერგვისაკენ საგანმანათლებლო, კულტურული და ეკონომიკური საქმიანობის გზით. ასოციაცია ყველასათვის ღიაა მიუხედავად ეროვნებისა, ან მრწამსისა. იგი აღიარებს ევროპული და მსოფლიო კულტურის მარადიულ ღირებულებებს. ცდილობს, შექმნას სათანადო პირობები პიროვნების თავისუფალი განვითარებისათვის. უწყვეტი განათლების იდეა თანამედროვედ ორიენტირებული საგანმანათლებლო სისტემის საფუძველს წარმოადგენს.

უკვე 1990-იანი წლების დასაწყისში ნათელი გახდა, რომ ტრანსფორმაცია, რომელსაც პოლონეთში საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო განიცდიდა, ზრდასრულთა განათლების სპეციალისტებისაგან ინტელექტუალური ორიენტაციის ახლებურად მიმართვასა და აზროვნების ახალი გარემოებებისათვის მორგებას მოითხოვდა. სწორედ ამ მოსაზრების საფუძველზე ასოციაციამ სპეციალიზებული სემინარების ჩატარება დაიწყო ზრდასრულთა განათლების ორგანიზატორთა და მასწავლებელთათვის. სემინარების პირველ კურსს “ლუნა” ეწოდა. ამას მოყვა საზაფხულო სკოლის კურსები ანდრაგოგიკის სფეროში. ასოციაციის საქმიანობა ძალზე ეფექტური და ნაყოფიერი იყო იმ თვალსაზრისით, რომ ის მასწავლებლები, რომლებიც ამ კურსებს ესწრებოდნენ, შემდგომ თვითონ ატარებდნენ სემინარებს ზრდასრულთა განათლების შესახებ. ამ ტიპის საქმიანობა ამჟამადც ასოციაციის საქმიანობის ძირითად ნაწილს წარმოადგენს. ვარშავაში ზრდასრულთა განათლების სფეროში ძალზე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ზრდასრულ განმანათლებელთა კლუბმა, სახელწოდებით “ალი”. ამ კლუბმა, რომელიც სკანდინავიური, ამერიკული და ბრიტანული გამოცდილებების, ასევე სახალხო უნივერსიტეტების პრაქტიკის საფუძველზე ჩამოყალიბდა, დიდი ხანი ვერ იარსება და მალევე დაიშალა. თუმცა კლუბის იდეა ჯერ კიდევ ცოცხალია და აღდგენის შემთხვევაში, ოღონდ მოდიფიცირებული ფორმით, ალბათ საკმაოდ სასარგებლო გახდება ასოციაციის წევრთათვის. ასოციაციამ წარმატებულად გამოიყენა ახალი კანონმდებლობის თანახმად, გაჩენილი შესაძლებლობა და გახსნა კერძო სკოლები და უმაღლესი განათლების დაწესებულებები. მას აქვს უწყვეტი განათლების 48 სკოლა და უმაღლესი განათლების სამი ინსტიტუტი.

1994 წელს პოლონეთში დაარსდა სახალხო უნივერსიტეტების ეროვნული საბჭო სხვადასხვა ტიპის სახალხო უნივერსიტეტების ორგანიზაციათა გასაერთიანებლად. საბჭოს აქვს კონსულტაციების ჩატარების უფლებამოსილება და ფაქტიურად გამოცდილებათა და იდეათა გაცვლა-გამოცვლის ადგილს წარმოადგენს.

პოლონეთში სპეციალურ უნივერსიტეტებს ასაკოვანთათვის “მესამე თაობის უნივერსიტეტები” ეწოდება. ისინი ძირითადად უმაღლესი განათლების ინსტიტუტების ფარგლებში არსებობენ, მაგრამ ზოგიერთ მათგანს მოქმედების ავტონომია აქვს. პირველი “მესამე თაობის უნივერსიტეტი” ფიზიკური განათლების უნივერსიტეტში დაარსდა ვარშავაში 1975 წელს. შემდგომში გაიხსნა თერთმეტი ასეთი უნივერსიტეტი. ლექციები და სემინარები ტარდება ყველა აკადემიურ დისციპლინაში. პროგრამის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს პრევენციული ჯანდაცვის, მედიცინისა და გერონტოლოგიის კურსები. ტარდება ფიზიკური გამაჯანსაღებელი ვარჯიშები, ასევე გასართობი ღონისძიებები და სასწავლო ექსკურსიები.

“მესამე თაობის უნივერსიტეტები” უწყვეტი განათლების ძალზე მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. ასეთ უნივერსიტეტებში სწავლის მსურველთა რაოდენობა წლიდან წლამდე იზრდება. სტუდენტთა 80 პროცენტზე მეტი ქალია. საშუალოდ 70% 60-დან 70 წლამდე ასაკისაა. გარდა საუნივერსიტეტო კურსებისა, მონაწილეები ხშირად აწყობენ ღონისძიებებს საკუთარი ინიციატივით და ეხმარებიან ხალხს საქველმოქმედო საქმიანობაში.

“ზრდასრულთა განათლების პოლონური ასოციაცია” 1950 წლის 5 მაისს დაარსდა მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული დადგენილების საფუძველზე. მის მიზანს წესდების თანახმად, განათლების, ტექნოლოგიისა და ხელოვნების გავრცელება, ასევე განათლებისა და ხელოვნების პოპულარიზაცია წარმოადგენდა. საზოგადოების საქმიანობას ღრმა საფუძვლები ჰქონდა – ზრდასრულთა განათლების ტრადიცია მოდიოდა ჯერ კიდევ პოლონეთის დაყოფის, მსოფლიო ომებისა და პოლონეთის ოკუპაციის დროიდან. საზოგადოებაში გაერთიანდნენ ზრდასრულთა განათლების ორგანიზაციები და იგი ჩამოყალიბდა მემარცხენე მუშათა და რადიკალურ ფერმერთა მოძრაობის მემკვიდრედ, რომლის მიზანსაც ზრდასრულთა განათლების კომუნისტური იდეოლოგიის შესაბამისად ადაპტირება წარმოადგენდა.

არსებობის პირველ წლებში საზოგადოება აქტიურად ატარებდა ლექციებს. პუბლიკაციებში გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, 1950-51 წლებში სულ 27000 ლექცია ჩატარდა. საინტერესოა, რომ ამ ლექციების თემებს წარმოადგენდა:

“როგორ იწყება ცხოვრება”, “ადამიანური საწყისის შესახებ”, “სამყაროს სტრუქტურის შესახებ”, “რა არის ელვა”, ან “კლიმატის ცვლილება, მიწისძვრები და მათი ზეგავლენა”. ლექციები იმართებოდა ასევე მიმდინარე აქტუალური საკითხების შესახებ და ისეთი სოციალ-პოლიტიკური თემების შესახებ, როგორიც არის ექვსწლიანი რეკონსტრუქციის გეგმა და ომისშემდგომი პოლიტიკური ტრანსფორმაცია.

გარდა ლექციების ჩატარებისა, საზოგადოება ასევე გამოსცემდა ფართო პროფილის პუბლიკაციებს. უკვე 1950 წელს საზოგადოებამ დაიწყო ისეთი პერიოდული გამოცემების გამოშვება, როგორიც იყო “პრობლემები” და “ცოდნა და ცხოვრება”. საზოგადოებამ ასევე დაიწყო ე.წ. მცირე საბიბლიოთეკო სერიის გამოცემა, რომელშიც განხილული იყო ინტელექტუალური და კულტურული ცხოვრების ყველა სფერო: საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, ტექნოლოგია, გეოგრაფია, ისტორია, სოციალური პოლიტიკა, ეკონომიკა, ლიტერატურა და კულტურა. 1958 წლისათვის თითოეულ ამ სფეროში დაიბეჭდა ტომები დაახლოებით ათიათასიანი ტირაჟით. 1957 წელს აღდგა ე.წ. “ხალხური სკოლები”, როგორც უწყვეტი განათლების ადგილობრივი ცენტრები. დაარსდა ორასი ასეთი ცენტრი და მათი რაოდენობა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. ცენტრების საქმიანობა ძირითადად ლექციების ჩატარებით შემოიფარგლებოდა და ძალზე ცოტა ჰქონდა საერთო სახალხო უნივერსიტეტების ადრე არსებულ ტრადიციასთან. დადებითი გამოწვევის წარმოადგენდა უცხო ენის კურსები. ეს სკოლები ზოგჯერ სწავლის დასრულების საშუალებას აძლევდა იმ ადამიანებს, რომლებმაც თავის დროზე სკოლაში სწავლას დაანებეს თავი.

70-იან წლებში საზოგადოება უფრო ღია გახდა და დაიწყო კავშირების დამყარება დასავლეთ ევროპის არასოციალისტურ ქვეყნებთან და მსოფლიო ორგანიზაციებთან. ამან გამოიწვია მისი საქმიანობის პროფილის გაფართოება, კერძოდ კი, სასკოლო დიპლომების მოსამზადებელი, ასევე ძირითადი და შემგომი პროფესიული განათლების კურსების ჩართვა პროგრამაში.

1989 წელს კომუნიზმის დაცემის შემდეგ ახალი გარემოებება სისტემის რესტრუქტურისაციას მოითხოვდა. ყოფილი პროვინციული ფილიალები გადაკეთდა დამოუკიდებელ იურიდიულ ერთეულებად, რომლებიც ამა თუ იმ

კონკრეტულ რეგიონს ემსახურებოდა. დღესდღეობით ეროვნული აღმასრულებელი კომიტეტი მხოლოდ საზოგადოების წარმომადგენლობით ფუნქციას ასრულებს. გასული ათწლეულის განმავლობაში “საზოგადოების” ტრანსფორმაციის პროცესი დიდი სისწრაფით მიმდინარეობდა და მისი პროფილი ძირფესვიანად შეიცვალა, როგორც შინაარსობრივი, ასევე სტრუქტურული თვალსაზრისით. 1989 წელს მხოლოდ ორმოცდაცხრა პროვინციული ფილიალი არსებობდა. 1995 წელს ეს რიცხვი ჯერ ოცდაერთამდე შემცირდა, შემდგომ კი გაიზარდა და ოცდათერთმეტი გახდა. ფილიალების უმეტესობა ამჟამად რეგიონალურ საფუძველზე მუშაობს. ათი მათგანი დამოუკიდებელი იურიდიული ერთეული გახდა და ამჟამად აქვთ საკუთარი შენობები, ან ადმინისტრაციული ოფისები და საკლასო ოთახები. ინსტიტუტის მიდგომა და მეთოდები ძირფესვიანად გადაისინჯა. ადრე აქტუალური ე.წ. “სალექციო” მეთოდი დღეს აღარ გამოიყენება. ამის ნაცვლად იმ ადამიანებს, ვინც ადრეულ ასაკში მიატოვა სკოლა, უფრო მეტი საშუალება ეძლევათ, დაასრულონ სწავლა. ყურადღება ექცევა ტექნიკური კოლეჯებისა და უმაღლესი განათლების სკოლების შექმნას და უცხო ენების არასასკოლო კურსებისა და პროფესიული სწავლების კურსების ჩატარებას. განსაკუთრებით გაიზარდა კონკურენცია უცხო ენების სწავლების ბაზარზე და ამ ფონზე ასოციაციის მიერ ჩატარებული უცხო ენების კურსების რაოდენობა 30 %-ით შემცირდა. ამის გამო ასოციაციისათვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა პროგრამაში ახალი კურსების ჩართვა – სემინარები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის, კომპიუტერული დიზაინის კურსები, სწავლება უძრავი ქონების აგენტთათვის, ეკონომიკის კურსები სპეციალურ სფეროებში, როგორიც არის იმპორტი, ექსპორტი, საბაჟო და საგადასახადო რეგულირება და აუდიტი.

1999/2000 აკადემიური წლის განმავლობაში ასოციაციის ოთხ ინსტიტუტში ოცი ათასი სტუდენტი სწავლობდა (ინსტიტუტებს სახელმწიფო აღმასრულებელი კომიტეტი და ასევე შჩეცინის, ვროცლავისა და ოლჟინის რეგიონალური ფილიალები მართავს); უცხო ენების კურსებზე ექვსასი სტუდენტი სწავლობდა ინგლისურ და გერმანულ ენებს; სხვადასხვა რეგიონალური ფილიალების 266 საშუალო სკოლაში კი, 17 ათასი მოსწავლე სწავლობდა.

რეორგანიზაციის თანმიმდევრულმა პროცესმა “საზოგადოებას” საშუალება მისცა საკუთარი ადგილი დაემკვიდრებინა განათლების ბაზარზე და მნიშვნელოვანი წვლილი შეეტანა კერძო განათლების სფეროში.

წესდების თანახმად, “უმაღლესი განათლების თავისუფალი პოლონური სკოლების საზოგადოება” სამეცნიერო და სოციალურ ორგანიზაციაა, რომლის მიზანსაც მეცნიერების პოპულარიზაცია წარმოადგენს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა უწყვეტ განათლებას ისეთ სფეროებში, როგორიც არის სოციალური პოლიტიკა, კულტურა და გარემოს დაცვა. მისი საქმიანობა “უმაღლესი განათლების თავისუფალი პოლონური სკოლების” ტრადიციებს ეფუძნება. ამ საზოგადოების წევრები განსხვავებული სამეცნიერო სფეროებიდან მოდიოდნენ. წესდების მიხედვით საზოგადოების მიზანს წარმოადგენს: ჰუმანისტური ხასიათის პროგრესული იდეალების მხარდაჭერა; სამეცნიერო ცოდნის გავრცელება და მისი გამოყენება პრაქტიკაში; აგრეთვე სწავლების მოტივაციის ამაღლება მოსახლეობაში.

საზოგადოება თავისი მიზნების მიღწევას ცდილობს კვლევითი პროექტების განხორციელების, სამეცნიერო სემინარების ჩატარების, პუბლიკაციების გამოცემის და სოციალურ-კულტურული პროგრამების ჩატარების გზით. საზოგადოებას თერთმეტ პროვინციაში თორმეტი ცენტრი აქვს.

1996 წელს უწყვეტი განათლების ათმა ორგანიზაციამ პოლონეთში ხელი მოაწერა **“თანხმობის ქარტიას ზრდასრულთა განათლების ორგანიზაციათა შორის”**. განათლების სამინისტროში ხელმძღვანელი თანამდებობის პირების ხშირი ცვლის გამო უწყვეტი განათლების სექტორი ხშირად ყურადღების ნაკლებობას განიცდიდა. ქარტია კი მიზნად ისახავდა ზრდასრულთა განათლების სამოქალაქო ორგანიზაციათა ძალისხმევის გაერთიანებას ამ პრობლემის გადასაჭრელად. ქარტიის მიზანს წარმოადგენს ზრდასრულთა განათლების ორგანიზაციათა ერთობლივი ქმედებების მხარდაჭერა საერთო მიზნების მისაღწევად. ეს ითვალისწინებს მიზნებისა და პრიორიტეტების განსაზღვრას, ასევე ამ მიზნების მიღწევისათვის საჭირო მეთოდების შემუშავებას. გაერთიანებას ზრდასრულთა განათლების შესახებ თავიანთი ინტერესების წარსადგენად სამთავრობო ორგანოების წინაშე სახელმწიფო და ადგილობრივ დონეზე და ასევე

სხვა საზოგადოებრივი დაჯგუფებების წინაშე. შესაბამისად ქარტიის ხელისმომწერი ორგანიზაციები ერთად ატარებენ კვლევებს, ერთად ამზადებენ და ავრცელებენ პუბლიკაციებს, აწვებენ კონფერენციებს, სიმპოზიუმებს, სემინარებსა და საერთაშორისო კონგრესებს. რეგულარული კონსულტაციები, რომლებიც, როგორც წესი, წელიწადში ორჯერ ტარდება, თანამშრომლობის ერთ-ერთ უმთავრეს ფორმას წარმოადგენს. ქარტიის ხელისმომწერი ორგანიზაციები არიან: “პოლონელ განმანათლებელთა საზოგადოება”, “მუშათა უნივერსიტეტების საზოგადოება”, “უმაღლესი განათლების თავისუფალი პოლონური სკოლების საზოგადოება”, “სახალხო უნივერსიტეტების საზოგადოება”, “ზრდასრულთა განათლების პოლონური ასოციაცია”, “შემდგომი პროფესიული განათლების ცენტრი”, “უწყვეტი განათლების ცენტრთა დირექტორების ეროვნული ასოციაცია”, “აღმასრულებელ პირთა განათლებისა და უწყვეტი განათლების ცენტრი”, “სამეცნიერო ორგანიზაციათა ასოციაცია” და “პოლონური ხელობის ასოციაცია”.

ქარტიის წევრები კვარტალურად გამოსცემენ ჟურნალს, რომელიც ძირითადად პროფესიული სწავლების საკითხებს შეეხება. პირველად ჟურნალი გამოვიდა სახელწოდებით “ზრდასრულთა განათლება”. ამჟამად კი მას “მოზარდთა უწყვეტი განათლება” ეწოდება.

1998 წელს ქარტიის გავლენით პარლამენტმა განათლების აქტში მნიშვნელოვანი ცვლილება შეიტანა. კერძოდ, აქტში შეიტანეს შემდეგი სიტყვები: “საზოგადოებები და ფონდები, რომელთა მიზანს წარმოადგენს მოზრდილთა განათლების უზრუნველყოფა, განათლების სისტემის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ.” ეს დებულება ცნობს ზრდასრულთა განათლების კანონირებას და უზრუნველყოფს მისთვის იურიდიულ საფუძველს პოლონეთის განათლების სისტემაში. ამდენად, ეს უდავოდ პროგრესის მაჩვენებელია. ქარტიის ხელისმომწერთა მიერ დასახულ ამოცანებს შორის არის საპარლამენტო აქტის მიღება უწყვეტი განათლების მართვისა და შესაბამისი ინსტიტუტის დაარსების შესახებ.

“ზრდასრულთა განათლების არამომგებიანი ორგანიზაციების კატეგორია” ასევე მოიცავს პროფესიული სწავლების ორგანიზაციებს, როგორიც არის “პოლონელ ბუღალტერთა ასოციაცია”. ამ ასოციაციის ძირითად ამოცანას

წესდების თანახმად, წარმოადგენს ბუღალტერთა ძირითადი და შემდგომი სწავლება. ასოციაციამ დააარსა “პროფესიული სწავლების ცენტრი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ატარებდა დისტანციური სწავლების კურსს ბუღალტერიასა და საბუღალტრო აღრიცხვაში სხვადასხვა დონეზე საოლქო ორგანიზაციათა ბაზაზე.

კომუნიზმის დაცემის შემდეგ ასოციაციას მნიშვნელოვანი ცვლილებების გატარება მოუხდა, როგორც კურსების შინაარსის, ასევე მათი სტრუქტურისა და ორგანიზების თვალსაზრისით. ზრდასრულთა განათლების თანამედროვე თეორიებისა და მეთოდების ათვისების შედეგად ასოციაციამ შეიმუშავა ახალი კონცეფციები და ტექნოლოგიები. ასოციაცია ატარებს გრძელვადიან კურსებს ბუღალტერთა პროფესიონალურ დონეზე მომზადების უზრუნველსაყოფად. გარდა არამომგებიანი ასოციაციებისა და ორგანიზაციებისა, არსებობს ასევე რამდენიმე ფონდი, რომელიც განათლების სფეროში ეწევა საქმიანობას. ასეთია, მაგალითად, “სასოფლო კულტურული ფონდი”. ამ ფონდის ხედვით, სოფლის ფერმერთა კულტურა ეროვნული კულტურისა და იდენტურობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

ფონდის მუშაობის უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს სოფლის ღირებულებათა კულტივირება, შენახვა და გავრცელება. შესაბამისად იგი განსაკუთრებით უჭერს მხარს ისეთი თანამედროვე მხატვრების, თეატრალური და მუსიკალური ჯგუფების საქმიანობას, რომელიც სოფლის ტრადიციებთანაა დაკავშირებული. იგი თავის საქმიანობას წარმართავს სემინარების, ლექციების, პრეზენტაციებისა და სხვა ღონისძიებების საშუალებით. ფონდი ასევე გამოსცემს ენციკლოპედიებს, ვიდეო და აუდიო ჩანაწერებს. ფონდს აქვს კვარტალური ჟურნალი “რეგიონები”, სადაც ქვეყნდება სოფლის ცხოვრების კულტურის ამსახველი ესეები, პოეზია და პროზა. ფონდი თავის საქმიანობას აფინანსებს კერძო პირებისა და დაწესებულებებისგან მიღებული შემოწირულობებითა და დახმარებით.

კრაკოვში მდებარე იაგიელონიანის უნივერსიტეტს უწყვეტი განათლების, როგორც დამოუკიდებელი დისციპლინის, შესწავლის საკმაოდ ხანგრძლივი გამოცდილება აქვს. 1945 წლის შემდეგ ეს ტრადიცია მასწავლებელთა სწავლების კოლეჯთან ერთად გაგრძელდა. ზრდასრულთა განათლების პირველი კათედრა

დაარსდა კრაკოვის უნივერსიტეტში. სწორედ აქ ტარდებოდა ყველაზე მნიშვნელოვანი სამეცნიერო კვლევები და მათი შედეგებიც აქ ქვეყნდებოდა. მაქსიმილიან სიემენსკიმ განსაზღვრა ის ძირითადი თავისებურებები, რომლებიც ანდრაგოგიკას განასხვავებს სხვა პედაგოგიური და ჰუმანიტარული მეცნიერებებისაგან. ასეთ თავისებურებებს წარმოადგენს შინაარსის და ფორმების ანალიზი, ზრდასრულთა განათლების მეთოდები და განათლების პროცესის ზეგავლენა ზრდასრულთა მორალურ და ინტელექტუალურ განვითარებაზე და მათ თვითრეალიზაციაზე საზოგადოებაში. სიემენსკი მიიჩნევდა, რომ ტერმინი “ზრდასრულთა განათლების თეორიები” უფრო მრავლისმომცველი იყო, რადგანაც ანდრაგოგიკა გულისხმობს უფრო კონკრეტულ საკითხებს, როგორებიც არის პროგრამები, მეთოდები და ფორმები, რომლებიც ხელს უწყობენ ზრდასრულთა განათლების პროცესს. ფრანჩისეკ ურბანჩიკის კვლევები ძირითადად ზრდასრულთა სწავლების ფსიქიურ და მოტივაციურ ფაქტორებს შეეხებოდა. მან ზრდასრულთა განათლების სოციალური ფუნქცია განსაზღვრა, როგორც ადაპტაციური, ინტეგრაციული, კომპენსაციური, ეკონომიკური, რევოლუციური და პოლიტიკური.

უმაღლესი განათლების მეორე უნივერსიტეტი, რომელმაც ზრდასრულთა განათლების, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინის შესწავლა დაიწყო, იყო ლოდის უნივერსიტეტი. ამ უნივერსიტეტში ასწავლიდნენ ზრდასრულთა განათლების ცნობილი ექსპერტები ელენა რადლინსკა და ალექსანდრე ამინსკი. ელენა რადლინსკამ გამოიკვლია ზრდასრულთა განათლების სოციალური ასპექტი და ის სოციალური გარემოებები, რომლებიც ხელს უწყობს, ან პირიქით, აფერხებს იმ ზრდასრულ ადამიანებს, რომლებსაც სურთ თვითრეალიზაცია მოახდინონ. ელენა რადლინსკას სტუდენტი, ალექსანდრე კამინსკი კი გართობის საშუალებით განათლებისა და ხანდაზმულთა განათლების ფუძემდებლად ითვლება.

ზრდასრულთა განათლების სფეროში სამეცნიერო კვლევა ვარშავის უნივერსიტეტში შედარებით მოგვიანებით ჩატარდა. კერძოდ, 1960 წელს. კვლევები ტარდებოდა სხვა მნიშვნელოვან ცენტრებშიც, მაგალითად, პოზნანის უნივერსიტეტში, ვროცლავში, ტორუნსა და ლიუბლინში. სოციალისტური ეპოქის

დროს ზრდასრულთა განათლება, როგორც სამეცნიერო სფერო არ წარმოადგენდა პრიორიტეტს, რადგანაც ინდივიდების კვლევა ვერ თავსდებოდა სოციალისტურ იდეოლოგიასთან.

კვლევები ძირითადად შეეხებოდა წერა-კითხვის სწავლებას, ზრდასრულთა განათლების თეორიულ საფუძვლებს, ზრდასრულთა სკოლებს, მეთოდოლოგიასა და დიდაქტიკას, ასევე დამოუკიდებელ, თვითმომტივირებულ სწავლებას და ზრდასრულთა სწავლების ისტორიასა და შედეგებით კვლევას.

მაშინ, როცა სხვა ქვეყნებში ზრდასრულთა სწავლების ახალი აკადემიური ფორმები ვითარდებოდა, პოლონეთში ღია უნივერსიტეტის გახსნა სულ უფრო და უფრო რთულდებოდა. უფრო მეტიც, დისტანციური სწავლების სტუდენტთა რაოდენობა 100000-ით შემცირდა. არ ტარდებოდა არანაირი ღონისძიება უწყვეტი განათლების, როგორც სამეცნიერო სფეროს ახალი ფორმის განსავითარებლად და სახალხო სამეცნიერო ლექციების ჩატარება იზღუდებოდა. არ არსებობდა სასწავლო კურსები ზრდასრულთა განათლების ექსპერტთათვის, არც სწავლების კურსები ზრდასრულთა განათლების, როგორც დამოუკიდებელი დისციპლინის შესახებ და ამ სფეროში ლექციების, კვლევებისა და პუბლიკაციების რაოდენობა შეზღუდული იყო. ეს ნიშნავდა არა მხოლოდ უწყვეტი განათლების სამეცნიერო შესწავლის კარგად ორგანიზებული სისტემის მოშლას, რომელიც ომამდე ვითარდებოდა, არამედ მიუთითებდა ზოგადად განათლების სტაგნაციაზე, რადგანაც არ ხდებოდა თეორიული და დიდაქტიკური მასალის განახლება და არსებული საერთაშორისო კავშირებიც გაწყდა. საუნივერსიტეტო ზრდასრულთა განათლების აღდგენა მოხდა მხოლოდ 1989 წლის შემდეგ. ამჯერად კვლევა უკვე ახალ თემებზე იყო ორიენტირებული. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სოციალურ ტრანსფორმაციას და მის ზეგავლენას ინდივიდებზე. დღესდღეობით მნიშვნელოვან საკითხთა სიაში შედის სოციალური სისტემების კვლევა, გასატარებელი ცვლილებები და განათლების როლი გარდამავალი პერიოდის პრობლემათა გადაჭრაში. გარდა ამისა, მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს იმ გზების მოძიება, რომელსაც ეკონომიკის სტიმულირება, რეგიონალური კულტურის განვითარება და დემოკრატიული პროცესების მხარდაჭერა შეუძლია. პოლონეთის განათლების სისტემა დებატებისა და კამათის საგნად იქცა და მეტი ყურადღება

მიექცა არასასკოლო განათლების განვითარებას. სახალხო უნივერსიტეტების ფუნქციების გადააზრებასთან, პროგრამებისა და კურსების შინაარსის შეცვლასთან ერთად ხდებოდა ახალი კონცეფციების დანერგვა. მიმდინარეობდა განხილვები და მსჯელობები ომებს შორის პერიოდში წარმოქმნილი საგანმანათლებლო ტრადიციების აღდგენასთან დაკავშირებით.

განხილვის კიდევ ერთ საგანს წარმოადგენდა “პროფესიონალიზაცია”. ზრდასრულთა განათლების სპეციალისტებს უტარდებოდათ ძირითადი და შემდგომი აკადემიური სწავლება, ხდებოდა სამეცნიერო კონცეფციების დამუშავება და სხვადასხვა პროფილის მქონე სპეციალისტების სწავლება. ამასთან დაკავშირებით მოხდა ზრდასრულთა განათლების სპეციალისტთა როლისა და იდეალური პირადი თვისებების გადაფასება. უწყვეტი განათლების სისტემის სტაბილიზირების მიზნით ხდება ახალი წინადადებების შემუშავება და წარდგენა.

პოლონელი ზრდასრულთა განათლების სპეციალისტები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ საერთაშორისო გამოცდილების შესწავლას, კერძოდ კი, განათლების სისტემათა სხვადასხვა ტიპების და ევროპის სხვადასხვა ქვეყნების პრაქტიკას, ზრდასრულთა განათლების განსაკუთრებულ ტიპებს და კონკრეტული ჯგუფებისათვის არსებულ განსაკუთრებულ კონცეფციებს, როგორიც არის, მაგალითად, ქალთა განათლება გერმანიაში.

უწყვეტი განათლების სფეროში გაჩნდა ახალი თემების შესწავლის ინტერესი. მაგალითად, სულ უფრო მეტი და მეტი კვლევა ტარდება ჯანდაცვისა და ეკოლოგიური განათლების სფეროში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მესამე თაობის განათლებას, ასევე კონკრეტული ფოკუს-ჯგუფების კვლევას. ბევრი სამეცნიერო კვლევა გამოქვეყნდა ანდრაგოგიკის სტატუსით. ეს სფერო არ ექვემდებარება მთავრობის გავლენას, მაგრამ კვლევა ამ სფეროში დაფინანსებულია სახელმწიფო სექტორის მიერ. საჭიროა შემდგომი კვლევისა და ანალიზის ჩატარება ადგილობრივ შრომით ბაზრებზე სიტუაციისა და პროფესიულ სწავლებაზე მოთხოვნის დასადგენად. გასარკვევია ზრდასრულთა განათლების სპეციალისტთა კვალიფიკაციისა და სტატუსის საკითხი, ასევე შესამუშავებელია სასწავლო პროგრამათა მოდულები. ჩასატარებელია კვლევა

არასასკოლო განათლების სფეროში, ასევე ახალ აქტუალურ სფეროებში, როგორც არის ჯანდაცვის განათლება, ახალი ტექნოლოგიები, ან ოჯახური განათლება.

“ანდრაგოგიკის აკადემიური საზოგადოება”, რომელიც 1993 წელს დაარსდა, ზრდასრულთა განათლების სისტემის რეორგანიზაციის პროცესში მნიშვნელოვან ორგანიზაციას წარმოადგენს. საზოგადოების წევრები არიან, როგორც მეცნიერები, ასევე ამ სფეროს პრაქტიკოსები. საზოგადოების მიზანს წარმოადგენს ანდრაგოგიკის აკადემიური ფორმების ინსტიტუციონალიზაცია, ზრდასრულთა განათლების სპეციალისტთა სწავლება, ზრდასრულთა განათლების თეორიის შემუშავება და ამ სფეროს პოპულარიზაცია პუბლიკაციებისა და სხვადასხვა გამოცემების საშუალებით. გარდა ამისა, საზოგადოება თანამშრომლობს ზრდასრულთა განათლების ორგანიზაციებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სახელმწიფო სექტორში ზრდასრულთა განათლების ინტერესებს წარმოადგენს. საზოგადოება აწეობს ყოველწლიურ სემინარებს და 1993 წლიდან აქვეყნებს კვარტალურ ჟურნალს სახელწოდებით “ზრდასრულთა განათლება”. გამოცემათა სერიაში “ზრდასრულთა განათლების ბიბლიოთეკა” საზოგადოება აქვეყნებს საკონფერენციო მასალებსა და სამეცნიერო კვლევების შედეგებს. სულ გამოცემულია ამ სერიის 22 ტომი. 1994-1998 წლებში საზოგადოება ასევე ხელმძღვანელობდა ერთწლიან დიპლომის შემდგომ კურსს ზრდასრულთა განათლებაში ტორუნის უნივერსიტეტში. საზოგადოებამ დაიწყო საზაფხულო სემინარების ჩატარება ამ სფეროს ახალგაზრდა პროფესიონალებთან. ეს სემინარი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ზრდასრულთა განათლების სპეციალისტთა სწავლებაში. ზრდასრულთა განათლების შესახებ კონფერენციები ეწეობა არა მხოლოდ ამ საზოგადოების, არამედ პოლონეთის სხვადასხვა უნივერსიტეტებისა და უმაღლესი სასწავლებლების პროფესორთა მიერ. ლოდისა და ჰანოვერის უნივერსიტეტებმა, ასევე ვარშავისა და ჰუმბოლდტის უნივერსიტეტებმა თანამშრომლობა 80-იან წლებში დაიწყეს და იგი კვლავაც გრძელდება. საგრძნობლად გაფართოვდა საერთაშორისო კონტაქტები. უკანასკნელი წლების განმავლობაში პოლონური უნივერსიტეტები ჩაებნენ ევროპისა და მსოფლიოს უნივერსიტეტების ინიციატივებსა და კვლევით

პროექტებში. ერთ-ერთი ასეთი პროექტი, რომელიც ტორუნის უნივერსიტეტისა და ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის მიერ განხორციელდა, შეეხებოდა ქალთა განათლების საკითხებს პოლონეთსა და გერმანიაში.

პოლონეთის განათლების სექტორში შეინიშნება ერთი მნიშვნელოვანი ტენდენცია: მცირდება იმ პროგრამებში მონაწილეობის მსურველთა რიცხვი, რომლებიც იმათთვის არის განკუთვნილი, ვინც ადრეულ ასაკში მიატოვა სკოლაში სწავლა. სანაცვლოდ, იზრდება პროფესიული მომზადების, უწყვეტი განათლებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებში მონაწილეობის მსურველთა რიცხვი. ძირეული ცვლილებები ადასტურებს, რომ ზრდასრულთა განათლება უკვე აღარ წარმოადგენს ოფიციალური სასწავლო პროცესის ალტერნატივას, არამედ სრულიად დამოუკიდებელი სფეროა განათლების სისტემაში. ამ მონაცემების მიხედვით პოლონეთში ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი იმისათვის, რომ აქაური ზრდასრულთა განათლების სისტემა ევროპულ სტანდარტებს გაუთანაბრდეს. მიუხედავად იმისა, რომ დიდი ცვლილებები გატარდა უკანასკნელი წლების განმავლობაში, უწყვეტი განათლება ჯერ კიდევ მეორეხარისხოვან როლს თამაშობს. სამთავრობო პოლიტიკის გამტარებლებს ჯერ კიდევ არ გაუცნობიერებიათ ზრდასრულთა განათლების დიდი პოტენციალი, როგორც საზოგადოების მომავლის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორისა. საჭიროა ხალხს მიეცეს საშუალება, გამოხატოს თავიანთი ინტერესები, იზრუნოს საკუთარ პროფესიულ კარიერაზე და აქტიური მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. აუცილებელია მთავრობამ გარკვეული ზომები მიიღოს. ქვეყანაში სასწრაფოდ უნდა შემუშავდეს სათანადო საკანონმდებლო ბაზა უწყვეტი განათლებისათვის. უწყვეტი განათლების პროგრამებზე ხელი უნდა მიუწვდებოდეს საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელს, განსაკუთრებით კი ღარიბ და დაუცველ მოსახლეობას. აუცილებელია შესაბამისი ზომების მიღება უწყვეტი განათლების კომერციალიზაციის მზარდი ტენდენციის საპასუხოდ.

საგანმანათლებლო პროგრამებზე მოსახლეობის საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად საჭიროა სრულიად ახალი სტრუქტურების ჩამოყალიბება, განსაკუთრებით ეს შეეხება სოფლებსა და პატარა

ქალაქებს. რეგიონალიზაციის ტენდენცია და საგანმანათლებლო დაწესებულებებზე პასუხისმგებლობის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის გადაცემა ამ პროცესს საგრძნობლად შეუწყობს ხელს. თუმცა ასევე მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ზრდასრულთა განათლების სამოქალაქო ორგანოებს. მიზნის მისაღწევად ასევე საჭიროა ზრდასრულთა განათლების სპეციალისტთა კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმის ამაღლება.

რამდენადაც ზრდასრულთა განათლება ზემოთ აღწერილი პროცესის ნაწილს წარმოადგენს, მან ასევე უნდა მოახდინოს დაუცველი ჯგუფების – ფიზიკური ნაკლის მქონე პირების, სოციალურად დაუცველი პირების, ქალთა, სოფლის მოსახლეობის, ასევე პატარა ქალაქების მოსახლეობის ინტეგრაცია სისტემაში. საჭიროა სახალხო უნივერსიტეტების ინფრასტრუქტურის განვითარება და მათ შორის კავშირების დამყარება. ეს ითვალისწინებს ამ უნივერსიტეტებისა და მათი პროგრამების რეორგანიზებას შრომითი ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად. საუბედუროდ, დისტანციური განათლების სისტემაში დიდი პროგრესი არ შეინიშნება. არადა ეს ის დარგია, რომელსაც დიდი პოტენციალი აქვს ძირითადი და შემდგომი პროფესიული სწავლების განვითარების საქმეში.

უწყვეტი განათლების წამყვან ორგანიზაციებს შორის არის “შეცენის ზრდასრულთა განათლების პოლონური ასოციაცია”, რომელმაც 1993 წელს მიიღო “რეგიონალური ფილიალის” იურიდიული სტატუსი და დაიწყო თავისი საქმიანობის გავრცელება რეგიონში. ასოციაციის სახელით გადაწყვეტილებებს იღებს მისი გენერალური ასამბლეა და აღმასრულებელი საბჭო. საზოგადოებას ჰყავს დირექტორი და ხუთი მუდმივი თანამშრომელი. 1999 წელს ასოციაციაში გაწევრიანებული იყო სხვადასხვა პროფესიისა და კვალიფიკაციის მქონე 471 წევრი. ასოციაციის საქმიანობას აფინანსებს ოცზე მეტი საწარმო. მათ აქვთ “მხარდამჭერი წევრების” სტატუსი. გენერალური ასამბლეა იკრიბება წელიწადში ერთხელ. აღმასრულებელი საბჭოს სხდომა, რომელიც 7 წევრისაგან შედგება, ჩვეულებრივ წელიწადში ექვსჯერ იმართება. ასოციაციის მნიშვნელოვან ორგანოს წარმოადგენს მრჩეველთა საბჭო, რომელიც 17 წევრისაგან შედგება, თითოეული მათგანი პასუხისმგებელია საქმიანობის ამა თუ იმ კონკრეტულ სფეროზე,

როგორც არის, მაგალითად, საწარმოებთან ურთიერთობა, კონცეფციის დიზაინი, ან სოციალური და კულტურული განათლება.

გარდა დიპლომის შემდგომი განათლებისა და უცხო ენის კურსებისა, ასოციაცია ასევე ატარებს პროგრამებს სხვადასხვა სპეციფიკურ საკითხებზე. 1998/1999 წლებში ჩატარდა სულ 509 ასეთი პროგრამა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 10 949 ადამიანმა. აქედან 373 ჩატარდა უცხო ენების პროგრამის სახით. ასოციაცია ცდილობს, განათლების დასრულების საშუალება მისცეს იმ ადამიანებს, ვინც ეს ადრე ვერ შეძლო და მიატოვა სკოლა. ამისათვის ასოციაციას აქვს საღამო სკოლები და დისტანციური საშუალო განათლების პროგრამები. ასოციაცია ასევე ატარებს პროფესიული სწავლების პროგრამას ზრდასრულთათვის. ამ პროგრამის ფარგლებში სულ 58-მა ადამიანმა მიიღო დიპლომი. გარდა ამისა, იგი ატარებს პროფესიული სწავლების პროგრამებს საშუალო სკოლადამთავრებულთათვის მონაცემთა დამუშავებაში, ასევე სამუშაო უსაფრთხოებასა და ჰიგიენაში. 1999 წელს ამ ორი პროგრამის ფარგლებში 64-მა ადამიანმა მიიღო დიპლომი. გარდა ამისა, ასოციაცია სხვა პროგრამებსაც ახორციელებს.

რაც შეეხება უწყვეტი განათლების პროგრამებს და თავისებურებებს, 1996 წელს შეეჩინის რეგიონალურ ფილიალში დაარსდა ჰუმანიტარული კოლეჯი, რომელშიც გაერთიანებულია 4 ფაკულტეტი: სამუშაო ადგილის პედაგოგიკა, დაწყებითი სკოლის პედაგოგიკა, სოციალური პედაგოგიკა და განათლების თეორია. 1998-1999 აკადემიურ წელს კოლეჯში 1026 სტუდენტი სწავლობდა. ინსტიტუტი ასევე აწეობს სასწავლო მივლინებებს. კოლეჯს აქვს საკმაოდ კარგი ადგილმდებარეობა გერმანული დაწესებულებების წარმომადგენლებთან შეხვედრების ჩასატარებლად. ასეთი პროგრამები ხშირად ტარდება განსაკუთრებით გეოგრაფიის, კულტურისა და უცხო ენების სწავლების დარგში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კოლეჯსა და გერმანულ საზოგადოებრივი უწყვეტი განათლების ცენტრებს შორის არსებული მჭიდრო თანამშრომლობა.

არსებულ სახალხო უნივერსიტეტებს შორის სანიმუშო უწყვეტი განათლების დაწესებულებას წარმოადგენს “რეზიდენტული სახალხო უნივერსიტეტი ლუბიევოში”. უნივერსიტეტი მდებარეობს ვარშავის ჩრდილო-აღმოსავლეთით

მდებარე პროვინციაში. იგი განთავსებულია ყოფილი სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის შენობაში. სკოლას აქვს ექვსი საკლასო ოთახი და საცხოვრებელი ადგილი 40 სტუდენტისათვის. უნივერსიტეტი 1993 გაიხსნა და იგი ეფუძნება ეკოლოგიური სახალხო უნივერსიტეტის იდეას. უნივერსიტეტში ტარდება სემინარები და საკვირაო ღონისძიებები ეკოლოგიურ საკითხებზე, როგორიც არის ეკოლოგიური ჰუმანიზმი, სოფლის მეურნეობის ეკოლოგიური და ბიოდინამიკური კონცეფციები, მშენებლობის ეკოლოგიურად გამართლებული მეთოდები, საშინაო მეურნეობა, აქტიური გარემოს დაბინძურება, მიწის დამუშავების შედეგად ნიადაგის დაბინძურება და განახლებადი რესურსები. საკლასო ოთახები აღჭურვილია ეკოლოგიური საკითხების შესასწავლად და საშინაო მეურნეობის კურსების ჩასატარებლად. გარდა ამისა, რამდენიმე მცირე ზომის ეკოლოგიური საკანალიზაციო სისტემა, რომელიც სხვადასხვა ადგილას დამონტაჟდა, იძლევა ნარჩენი წყლების დასუფთავების პროცესის შესწავლის საშუალებას. რეზიდენტული სახალხო უმაღლესი სკოლა ასევე ატარებს ენის კურსებს და სხვადასხვა ღონისძიებებს სოფლის ცხოვრებისა და კულტურის შესახებ. ამ კურსებსა და პროგრამებში დაახლოებით 700 სტუდენტი იღებს მონაწილეობას.

“ტორუნის უწყვეტი განათლების ცენტრი” 1978 წელს დაარსდა რამდენიმე სკოლის გაერთიანების შედეგად. ცენტრს ჰყავს საკუთარი პედაგოგიური და ადმინისტრაციული პერსონალი, ასევე აღჭურვილობა, მათ შორის საგამომცემლო დანადგარები. მრავალი წლის განმავლობაში ინსტიტუტი უმნიშვნელო როლს თამაშობდა განათლების სისტემაში. მხოლოდ 1990-იან წლებში აღიარა ცენტრი განათლების სამინისტრომ უწყვეტი განათლების დაწესებულებად მიერ და მოხდა მისი ფუნქციების ხელახალი განსაზღვრა. 1992 წლის შემდეგ ცენტრმა თანდათან დაიწყო განვითარება. ამჟამად მის განკარგულებაში არის სამი შენობა 54 საკლასო ოთახით, ექვსი თანამედროვე კომპიუტერული ლაბორატორიით, საბეჭდი საკლასო ოთახით, პრაქტიკული მეცადინეობის კაბინეტით, ორი ბიბლიოთეკით (რომელშიც 40 ათასი წიგნია), ასევე ადმინისტრაციული ოთახებითა და თანამედროვე საგამომცემლო დანადგარებით. აქ იბეჭდება სასწავლო მასალა არა მხოლოდ ცენტრის შიდა გამოყენებისათვის, არამედ პოლონეთის უწყვეტი განათლების სხვა დაწესებულებებისთვისაც. გარდა ამისა, ცენტრს აქვს

სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი. დაგეგმილია სასტუმრო ოთახების მოწყობაც მოწვეული ექსპერტებისთვის. ეს ოთახები ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ საჭირო შემთხვევაში მათი გამოყენება სასწავლო პროცესისთვისაც შეიძლებოდეს.

120 კაცისგან შემდგარი თანამშრომლების შტაბით ტორუნის უწყვეტი განათლების ცენტრი ემსახურება რამდენიმე ჯგუფს. გარდა 13 სხვადასხვა დასახელების ხელობისა, აქ ისწავლება ეკონომიკა, ბიზნესი, სხვადასხვა ტექნოლოგიები და აგრეთვე შესაძლოა ზოგადი განათლების სკოლის პროგრამის შესწავლაც. ცენტრში მოქმედებს 16 სხვადასხვა პროფესიის შემსწავლელი ორწლიანი კურსი სკოლადამთავრებულთათვის და კურსები სწავლის გაგრძელების ნებისმიერი ასაკის მსურველთათვის. ეს უკანასკნელი ორ კატეგორიას მიეკუთვნებიან: ისინი, ვისაც დამოუკიდებლად სურთ რამე სპეციალობის შესწავლა, ან ისინი, ვინც დამჭირაველების მიერ არიან მივლინებულნი სამსახურებიდან გარკვეული უნარების გასავითარებლად. ცენტრში ასწავლიან კომპიუტერულ პროგრამებს, მონაცემთა ბაზის შედგენას, ბუღალტერიას, მარკეტინგს და თვითონ ზრდასრულთა განათლების პედაგოგიკას. ამასთან ერთად, ცენტრს გააჩნია ათი საკონსულტაციო ცენტრი სხვადასხვა პროვინციაში, რომლებიც თავის მხრივ ამზადებენ მსურველებს მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად.

იმის გამო, რომ ზრდასრულთა განათლების მნიშვნელობა სულ უფრო და უფრო იზრდება უმაღლესი განათლების დასავლურ სახელმწიფო დაწესებულებებში ზრდასრულთა განათლებამ მოახერხა, რომ დამოუკიდებელ დისციპლინად ჩამოყალიბებულიყო, რასაც ჯერ-ჯერობით ვერ ვიტყვიტ ჩვენს ქვეყანაზე.

III თავის დასკვნა

ზრდასრულთა განათლების ისტორია ანტიკური ხანიდან იღებს სათავეს, მაგრამ ინსტიტუციურ სახეს მე-18 საუკუნეში იღებს. პირველი სახალხო უნივერსიტეტები გაჩნდა სკანდინავიის ქვეყნებში, გერმანიაში, პოლონეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში. ხშირად ამ მიმართულების განვითარება ქვეყანაში მოსახლეობის ეროვნული ან სოციალური თავისუფლების მოპოვებასთან იყო დაკავშირებული. დიდი როლი ეკავა ზრდასრულთა განათლების განვითარების საქმეში ეკლესია-მონასტრებს. განათლების ამ სისტემის დეგრადაცია კი, ხშირ შემთხვევაში, ქვეყნის ოკუპაციასთან, ან კომუნისტური სისტემის დამკვიდრებასთან იყო დაკავშირებული.

ზრდასრულთა განათლება მე-20 საუკუნის საქართველოში, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნის დროს სახელმწიფოს დაკვეთაზე ააგეს და მიმართავს მხოლოდ პროფესიული კვალიფიკაციის ამღლებისკენ. გარდაქმნის პერიოდში გაჩნდა საქართველოში მოღვაწე მკვლევართა პირველი თეორიული პუბლიკაციები დასავლეთში გავრცელებული ზრდასრულთა განათლების მიმართულებების შესახებ, მაგრამ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებების თანმდევი კატაკლიზმების გამო, მათ არ მიეცათ საშუალება პრაქტიკულად შეესხათ ხორცი თეორიულად ჩამოყალიბებული იდეებისთვის. მხოლოდ მეორე ათასწლეულის დასაწყისში გახდა შესაძლებელი საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით გადაგმულიყო პირველი პრაქტიკული ნაბიჯები.

21-ე საუკუნის მიჯნაზე ამ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში, საქართველო ევროპისა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან ინტეგრაციის მიზნით, განათლების მიმართულებით სამოქმედო გეგმაში ზრდასრულთა განათლების მიმართულების განვითარების საკითხების ჩართვა და გათვალისწინება მოუწევს.

მოცემულ თავში დეტალურად არის აღწერილი ზრდასრულთა განათლების ინსტიტუტების განვითარების ეტაპები ევროპაში მე-20 საუკუნეში, თუმცა ამ მიმართულებამ, ახალი შრომის ბაზრის მოთხოვნების საპასუხოდ, ახალი ღირებულებები შეიძინა, რაზეც საუბარი იქნება მომდევნო თავებში.

IV თავი: ზრდასრულთა განათლების სოციალურ-პედაგოგიური როლის შეფასება შრომის ბაზრის ახალი მოთხოვნების საპასუხოდ (სტატისტიკური მიმოხილვა და დისკუსია)

4.1. ზრდასრულთა განათლების როლი შრომის ბაზრის ახალი მოთხოვნების დაკმაყოფილებაში

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის 2010 წლის მონაცემებით საქართველოში უმუშევრობა დაახლოებით 17% შეადგენს. ექსპერტთა შეფასებით უმუშევრობის რეალური დონე ქვეყანაში სულ ცოტა 30-35%-ია⁶⁸, რადგან ოფიციალურ მონაცემებს დაემატა ბოლო წლების რეფორმებით გათვალისწინებული საჯარო ინსტიტუტების პროფესიული და სტრუქტურული რეორგანიზაცია-რესტრუქტურის შედეგად სამუშაოს გარეშე დარჩენილ მოსამსახურეთა რიცხვი, რომელთა ერთი ნაწილი შეთავსებით ეწეოდა გარკვეულ საქმიანობას (თვითდასაქმების მიმართულებით) და აგრძელებს კვლავ, მაგრამ მეორე ნაწილი დარჩა აბსოლუტურად უმუშევარი (მათი რაოდენობა ჯერ აღრიცხული არ არის, მიმდინარეობს ხელახალი ატესტაციები და კონკურსები საჯარო სამსახურებში გამოცხადებულ ვაკანსიებზე) და თვითდასაქმებას ეწევა. ქვემოთ მოცემულია ორი ცხრილი, რომელიც ადასტურებს ოფიციალურ და არაოფიციალურ მონაცემებს უმუშევრობის შესახებ.

ცხრილი 1: უმუშევართა და დასაქმებულთა რაოდენობა 2004-2010


დასაქმება და უმუშევრობა	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010
ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა), ათასი კაცი	2041.0	2023.9	2021.8	1965.3	1917.8	1991.8	1944.9
დასაქმებული, ათასი კაცი	1783.3	1744.6	1747.3	1704.3	1601.9	1656.1	1628.1
უმუშევარი, ათასი კაცი	257.6	279.3	274.5	261.0	315.8	335.6	316.9
უმუშევრობის დონე, პროცენტებში	12.6	13.8	13.6	13.3	16.5	16.9	16.3

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

⁶⁸ ეკონომიკის განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტის 2003 წ. ანგარიში

გარდამავალ პერიოდში მეოფ ქვეყნებში ასაკოვანი ადამიანები (45-65), როგორც წესი უმუშევრობის საშიშროების წინაშე მდგარი ადამიანების დიდ სეგმენტს წარმოადგენენ. სოციალური კვლევის სტატისტიკურ მონაცემთა ანალიტიკურმა კვლევამ ასეთი სურათი გვიჩვენა:

ცხრილი 2: სოციალური კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები დასაქმების შესახებ 2011 წლისთვის



წყარო: NDI-ის კვლევა, დაფინანსებული შვედეთის საერთაშორისო განვითარების და თანამშროლობის სააგენტოს (Sida), ევრაზიის პარტნიორული ფონდის (Eurasia Foundation) და დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს საელჩოს მიერ, 2011 წლის მარტი.

დასაქმების სტატისტიკის მაჩვენებლებში ზემოანიშნული ასაკობრივი ჯგუფები ძირითადად თვითდასაქმებულთა რიცხვში ხვდებიან.

ცხრილი 3: უმუშევართა და დაუსაქმებელთა რაოდენობა ასაკის მიხედვით 2010 წლის მაჩვენებლები⁶⁹

დასაქმების დონე (პროცენტებში)	9.6	33.5	51.1	58.3	67.0	70.7	71.7	71.8	70.3	62.9	39.7	52.9
2010												ათასი კაცი სულ
სულ აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა)	44.1	162.2	182.1	184.3	193.3	195.3	232.1	212.7	179.4	135.4	224.2	1944.9
დასაქმებული	31.4	100.0	131.6	139.7	156.3	169.8	204.4	188.7	158.6	124.9	222.6	1628.1
დაქირავებული	5.3	45.1	70.2	72.1	74.0	71.9	82.0	73.6	60.6	38.5	25.3	618.6
თვითდასაქმებული	26.0	54.5	61.1	67.5	82.0	97.8	121.9	114.9	97.9	86.4	197.2	1007.1
გაურკვეველი	0.1	0.4	0.3	0.2	0.4	0.2	0.4	0.2	0.1	0.1	0.1	2.4
უმუშევარი	12.8	62.2	50.6	44.5	36.9	25.5	27.8	23.9	20.8	10.4	1.6	316.9
მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეშე	227.7	108.2	64.6	49.5	37.5	36.0	46.0	44.1	51.4	60.9	357.3	1083.3
უმუშევრობის დონე (პროცენტებში)	28.9	38.3	27.8	24.2	19.1	13.0	12.0	11.2	11.6	7.7	0.7	16.3
აქტიურობის დონე (პროცენტებში)	16.2	60.0	73.8	78.8	83.7	84.4	83.4	82.8	77.7	69.0	38.6	64.2
დასაქმების დონე (პროცენტებში)	11.5	37.0	53.3	59.8	67.7	73.4	73.5	73.5	68.7	63.7	38.3	53.8


წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (ცხრილებში მოცემული მაჩვენებლები მიღებულია შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევებიდან)

ერთი სისტემიდან მეორე სისტემაზე გადასვლის გამო, შრომის ბაზრის სფეროში გაჩნდა დისბალანსი. მიუხედავად იმისა, რომ დასაქმების მაჩვენებელი მკვეთრად დაეცა, გარკვეულ წილად გაჩნდა პროფესიონალურად მომზადებული კადრების დეფიციტიც; მოსახლეობის დიდ ნაწილს არ გააჩნდა სათანადო უნარ-ჩვევები იმისთვის, რომ კონკურენტუნარიანი ყოფილიყო; თავისუფალ საბაზრო

⁶⁹ იხილეთ “სოცალური მიმართულებები საქართველოში 2004 წლისთვის”. გვ. 24. შიფრი: საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი. თბილისი, 2004 წელი

ეკონომიკაზე გადასვლამ გამოიწვია ხელფასების მზარდი დიფერენცია, ხოლო შესაბამისი კანონმდებლობის უქონლობის გამო სამუშაო ადგილები დაუცველი აღმოჩნდა; მნიშვნელოვნად ზრდის დაუსაქმებელი ადამიანების რაოდენობას ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთა რიცხვი და ის ფაქტი, რომ 1989 წლიდან მოყოლებული ქვეყანა ყოველწლიურად საშუალოდ 2.2-2.6 პროცენტით მცირდება მოსახლეობის საზღვარგარეთ მიგრაციის გამო. და ბოლოს, 2008 წლის მოვლენებმა დადი დაასვა განვითარების პროცესებს ქვეყანაში, რაზეც მეტყველებს ქვემოთ მოცემული ცხრილი:

ცხრილი 4: როგორ შეიცვალა სიტუაცია საქართველოში 2008 წლის იანვრის მდგომარეობასთან შედარებით, უკეთესობისკენ, უარესობისკენ თუ იგივეა.



წყარო: NDI-ის კვლევა, დაფინანსებული შვედეთის საერთაშორისო განვითარების და თანამშროლობის სააგენტოს (Sida), ევრაზიის პარტნიორული ფონდის (Eurasia Foundation) და დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს საელჩოს მიერ, 2011 წლის მარტი.

საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლი ამბობს: "ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფლად განვითარების უფლება"⁷⁰. ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი კი დღეს მოკლებულია ამ უფლებას, რადგან ხელი არ მიუწვდება დამატებით განათლებაზე. მიმდინარე პერიოდში ირღვევა ადამიანის შრომის უფლებაც. ქვემოთ მოცემული სტატისტიკური მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, მიმდინარე რეფორმების თანმდევი კატაკლიზმების, ეკონომიკის სხვადასხვა სფეროების პროფილის შეცვლის, სახელმწიფო მმართველობისა და სხვა საჯარო ინსტიტუტების რესტრუქტურიზაციის შედეგად ეროვნულ მეურნეობაში დასაქმებულთა რიცხვი ერთ მილიონზე მეტი კაცით შემცირდა, რაც ქვეყნისთვის უმწვავეს სოცალურ-ეკონომიკურ გამოწვევად იქცა. ყოველივე ზემოთქმულს ემატება ტექნოლოგიური და კომუნიკაციური რევოლუციის შედეგად შეცვლილი შრომის ბაზრის მოთხოვნები.

ადგილი აქვს სერიოზულ დისბალანსს სამუშაო ძალაზე მოთხოვნასა და მის მიწოდებას შორის, როგორც რაოდენობრივი, ისე სტრუქტურული და ხარისხობრივი თვალსაზრისით. უმუშევრობას კიდევ უფრო ამწვავებს პროფესიების, კვალიფიკაციის და ასაკის მიხედვით სამუშაო ძალაზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის არსებული დისბალანსი. შრომის ბაზარზე მოთხოვნა ჭარბობს შედარებით დაბალკვალიფიციურ და არაკვალიფიციურ შრომაზე, როგორიც არის: რეალიზატორი, მიმტანი, მძღოლი, მშენებელი მუშა, მცხობელი, მზარეული, მომვლელი, დამსუფთავებელი და სხვ., ხოლო მიწოდებაში ჭარბობს უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტები, რომელთა დიდი პროცენტი ცუდად ან საერთოდ არ იცნობს თანამედროვე ეკონომიკაში დანერგილ ახალ ტექნოლოგიებს, რომელიც საქართველოშიც იკიდებს ფეხს. არ არსებობს ადამიანური რესურსების გამოყენების სამსახურები, თუ არ ჩავთვლით შრომის, ჯანმრთელობისა და სოცალური დაცვის სამინისტროსთან არსებულ დასაქმების დეპარტამენტს, რომელსაც ლიმიტირებული მონაცემთა ბაზა გააჩნია და ისიც მხოლოდ დედაქალაქით შემოიფარგლება. საქართველოს მოსახლეობას არ გააჩნია დაბალი კვალიფიკაციის პროფესიების ათვისების არც საშუალება და ჯერ-

⁷⁰ საქართველოს კონსტიტუცია, თავი II, მუხლი 16, გვ. 5

ჯეროებით ნაკლებია მათი მსურველთა რაოდენობაც გარკვეული ფსიქოლოგიური ბარიერის გადაულახაობის გამო.

საზოგადოება ახალი სოციალური გამოწვევის წინაშე დგას. სოციალური ფონი განსხვავდება ასაკობრივ კატეგორიებში. სჭარბობს დაუსაქმებელთა რაოდენობა ტექნიკური და უმაღლესი განათლების მქონეთა შორის. იმავდროულად გაჩნდა კადრების დეფიციტი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ არსებულ კვალიფიკაციაზე მოთხოვნა აღარ არის და საჭიროა ახელი უნარების და ცოდნის შეძენა, რათა დაკმაყოფილდეს შრომის ბაზრის ახალი მოთხოვნები. ბევრი განათლებული და შრომისმოყვარე ადამიანი დარჩა უმუშევარი და დღესაც დგას ამ საშიშროების წინაშე. ქვეყნის ხელისუფლება ინიციატივებით გამოდის, რათა პირდაპირი თუ ირიბი გზებით იზრუნოს ზრდასრულთა ამ ასაკობრივი სეგმენტის ადამიანების ახალ შრომის ბაზართან დაკავშირებაზე. ასაკოვანი სპეციალისტების დასაქმების მიმართულებით, ისინი კერძო ბიზნესს გარკვეული სტიმულების პაკეტის და შეღავათების (გარკვეული პერიოდით საშემოსავლო გადასახდიდან გათავისუფლება, კადრების გადამზადება და სხვ.) სანაცვლოდ ასაკოვანი (45-60 წლის) ადამიანების დასაქმებას სთავაზობენ, რათა გარკვეულ სოციალურ ეფექტს მიაღწიონ. ამ მიზნით იხარჯება გარკვეული თანხები სხვადასხვა სახელისუფლო ორგანიზაციების მიერაც. საქართველოს განათლების სამინისტროში ჩამოყალიბდა კონკრეტული მეთოდოლოგია, თუ როგორ დაეხმაროს სკოლის მასწავლებლებს მათი შრომის ახალ ბაზართან მორგებაში (რეფორმირებული განათლების სისტემის მიმართულებით). სხვა საკითხია, რამდენად ეფექტურია შედეგი და სწორად არის თუ არა ეს ხარჯები გაღებული. უნდა შეიქმნას ისეთი მეთოდოლოგია, რომ არ იყოს ტყუილად დახარჯული თანხები. გარდა ამისა, საქართველოში ისევე, როგორც სხვა დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის და ასევე, აზიის განვითარებულ ქვეყნებში, ყველა ასაკის ადამიანს უნდა ჰქონდეს საშუალება, მუდმივად იღებდეს განათლებას და ერგებოდეს თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებს.

განათლების სამინისტროს მიერ ორგანიზებული მასწავლებელთა პროფესიული განვითარების გაუქმრული დაფინანსების პროგრამა, რომელიც საჯარო სკოლის მასწავლებლების სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის მოსამზადებლად 2009

წლიდან ტარდება, ყველა ასაკის პედაგოგს ვერ გაუჩინა ამ გამოცდების ჩაბარების მოტივაცია. თუ შევადარებთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებ პედაგოგების რაოდენობას საჯარო სკოლებში 2009-2010 და 2010-2011 სასწავლო წლებს შორის, დაინახავთ საჯარო სკოლებში დასაქმებული მასწავლებლების რაოდენობის კლების ტენდენციას, რაც, სავარაუდოდ 2010-2014 წლებში დაგეგმილი მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებისადმი ასაკოვანი მასწავლებლების დამოკიდებულების შედეგი უნდა იყოს (იხილეთ ქვემოთ მე-4 თავი, კვლევის მეთოდოლოგია).

ცხრილი 5: პედაგოგების რაოდენობა საჯარო სკოლებში

	სასწავლო წლის დასაწყისისათვის, კაცი				
	2006/2007	2007/2008	2008/2009	2009/2010	2010/2011*
პედაგოგები, სულ	69718	68779	69444	79891	63512
აქედან ქალები	61344	58649	59202	68587	54962
მათ შორის I-VI კლასში:	47171	45724	45941	52010	...
აქედან ქალები	40274	40217	39478	46405	...
VII-XII კლასში	49755	67909	48131	54956	...
აქედან ქალები	39478	56257	39354	46058	...

წყარო: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

* 2011 წლის 5 აპრილის მდგომარეობით

ზემოთ მოცემული ცხრილები მაჩვენებლები მეტყველებს იმაზე, რომ ასაკობრივ კატეგორიებს შორის უმუშევრობის დონე ასაკოვან ადამიანებში ბევრად მაღალია. ეს იწვევს სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის გაღრმავებას, რაც თავის მხრივ საფრთხეს უქმნის მოსახლეობის კეთილდღეობას.

ამასთან, მოსახლეობის დიდი ნაწილი ვერ ახერხებს თვითრეალიზაციას. ზოგი მათგანი ადრე მიღებული განათლებასა და კვალიფიკაციას ვერაფერში იყენებს. ზოგიც არჩეულ (ან იზულებით არჩეულ) საქმიანობაში ვერ ხედავს თავის თავს.

შეშფოთებას იწვევს ის ფაქტიც, რომ გლობალიზაცია და ახალი ტექნოლოგიები უდიდეს გავლენას ახდენს მოსახლეობის პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტზე. ახალი ტექნოლოგიები ითხოვს

ნაკლებ მუშახელს და მაღალ პროფესიონალიზმს, ხოლო ამ ტექნოლოგიების ათვისებისთვის საჭირო გადამზადების კურსები ან არ არსებობს, ან ძნელად ხელმისაწვდომია.

ინფორმაციულ ვაკუუმში მოქცეული რეგიონების მოსახლეობა სოციალურ იზოლაციაში ექცევა და განიცდის ფრუსტრაციას. გლობალიზაციის პროცესების და ტექნოლოგიების განვითარებით გამოწვეული ახალი უნარ-ჩვევების განვითარების საჭიროება და ადამიანის ცხოვრების მანძილზე მიმდინარე მუდმივ ცვალებად პირობებთან აუცილებელი ადაპტაცია ითხოვს ხელმისაწვდომობას ზრდასრულთა განათლების სხვადასხვა ფორმებზე.

ყველას უნდა ახსოვდეს, რომ სოციალურ იზოლაციაში მოქცევის საშიშროების გათვალისწინებით, ადამიანი გამუდმებით უნდა იყოს მოვლენათა ეპიცენტრში და თვითრეალიზაციის მიზნით, მან გამუდმებით უნდა სრულყოს საკუთარი შესაძლებლობები, ორიენტაცია, კარიერა და პარტნიორობა ქსელი, ანუ დაიცვას საკუთარი თავი სოციალურად, გადალახოს ინოვაციური ბარიერები და დასძლიოს სიღარიბე. მან უნდა დაიკავოს თავისი ადგილი შრომის ბაზარზე ზრდასრულთა განათლების “უმნიშვნელოვანესი ფუნქცია არის და ყოველთვის იქნება ასწავლოს ადამიანს, იცხოვროს ჯანმრთელი და აქტიური ცხოვრებით, რათა იპოვოს საკუთარი ბილიკი ცხოვრების გზაზე, რათა შეძლოს საკუთარი თავის საზოგადოებასთან ინტეგრირება, თვითონ აიმაღლოს თვითშეგნება, რადგან თითოეული ადამიანი კაცობრიობის ისტორიის უმნიშვნელოვანესი ნაწილია”⁷¹.

როგორც აღვნიშნეთ, უმუშევრობის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით, დამჭირავებლებს გაუჩნდათ ახალი მოთხოვნები. ქვეყანაში გაჩნდა ახალი სპეციალობები, რომელთა შესწავლის შესაძლებლობა სათანადო სახსრებისა თუ შესაბამისი განათლების უქონლობის გამო საქართველოს რეგიონების მოსახლეობას არ გააჩნია. დამჭირავებელსა და დამჭირავებულთა შორის არსებული ვაკუუმის ამოვსება ზრდასრულთა განათლების ერთ-ერთი ამოცანაა.

⁷¹ ნორბერ ფ.ბ. გრეგერი და ევა პრუიბილსკა “ზრდასრულთა განათლება პოლონეთში”

ამერიკელი მკვლევარების ლინდა დელპის და მირანდა აუთმენ-კრამერის⁷² აზრით, 21-ე საუკუნის დასაწყისში ჩრდილო ამერიკელ მშრომელებს პესიმიზმის საკმაო მიზეზი აქვთ, რადგან გლობალური ეკონომიკის, ტექნოლოგიური და საკომუნიკაციო რევოლუციის მიღწევები და სარგებელი სულაც არ არის სამართლიანად განაწილებული და გაზიარებული მოსახლეობას შორის.

მაშინ, როცა ჩრდილო ამერიკის მოსახლეობას და განათლების მესვეურებს აქვთ დელგის საბაბი, წარმოიდგინეთ, რაოდენ ღრმად დგას იგივე პრობლემა საქართველოში, იქ, სადაც უფსკრული უბრალო ადამიანებსა და “ე.წ. განათლებულ ელიტას” (იგულისხმება ადამიანების პრივილეგირებული ფენა, რომელსაც ფინანსური შესაძლებლობა გააჩნია შეიღებს განათლება საზღვარგარეთ მისცენ) შორის მიზეზთა და მიზეზთა გამო ისედაც დიდია.

ამერიკელი მკვლევარების აზრით, ეს საკითხი პირველ რიგში განმანათლებლებს უნდა აღელვებდეთ, მათ, ვისაც მიაჩნია, რომ განათლება ერთ-ერთი უმთავრესი იარაღია სოციალური სამართლიანობის აღდგენის საქმეში⁷³.

ტერმინი “განათლებული ელიტა”⁷⁴ დანიელი მღვდლის, ნიკოლაი გრუდტვიგის მიეწერება. იგი, როგორც შესავალში აღვნიშნეთ, სახალხო უნივერსიტეტების ერთ-ერთ დამფუძნებლად ითვლებოდა და მისი მიზანი იყო განათლების გზით იმ “ხიდის” აშენება, რომელიც უბრალო ადამიანებსა და “განათლებულ ელიტას” შორის არსებული უფსკრულის გადალახვაში მოეხმარებოდა ქვეყანას.

ეკონომიკური ცვლილებებით გამოწვეული უმუშევრობა, მიგრაცია, განათლების კრიზისი და სხვ. მეტწილად აისახა 30-60 წლის ადამიანებზე⁷⁵, რომელთაც მოუწიათ საქმიანობის სფეროს, სამუშაო კოლექტივისა და ტექნოლოგიების ცვლა.

⁷² Linda Delp, Miranda Outman-Kramer, S.J. Schrumman and K. Wong *Teaching for Change: Popular Education and the Labor Movement*. Los Angeles, UCLA Center for Labor Research and Education, 2002, 253 p. *Journal Adult Education Quarterly* 2004, Vol 54 No 2.

⁷³ Kwang Kim Westat, Sean Creighton Education Statistics Services Institute, National Center for Education Statistics, November 1999 *Participation in Adult Education in the United States: 1998-1999*.

⁷⁴ Nordic “folkeopplysning” and Adult Education – გამოქვეყნებულია სკანდინავიის ქვეყნების ნორდიული მინისტრთა საბჭოს მიერ. 1997 წ. AKA-PRINT A/S

⁷⁵ ზრდასრულთა ასაკობრივი გრადაციის საკითხი განხილულია მოცემული დისერტაციის მესამე თავის მეორე პარაგრაფში.

ამერიკელი მკვლევარები ლინ კელნერი და დავიდ ჰედადი⁷⁶ თავიანთ კვლევაში წერენ, რომ გამოკითხული რესპონდენტები, რომლებიც წარმოადგენენ პროგრამა “კეთილდღეობა და სამსახურის” მონაწილეებს, მოიცავენ 25-დან 65 და ზევით ასაკის ადამიანები და ისინი აღნიშნავენ, რომ კეთილდღეობის მისაღწევად 12 სფეროდან ერთ-ერთი ზრდასრულთა განათლებაა. გამოკითხულიდან 20% აღნიშნავს, რომ მათ კეთილდღეობას ზრდასრულთა განათლების პროგრამებში მონაწილეობით მიაღწიეს. უნდა ითქვას, რომ ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო გაიზრდება გრძელვადიანი კვლევის შემთხვევაში, ვინაიდან ამ მიმართულებიდან მიღებული მიღწევების შედეგები უფრო გრძელ ვადაზეა გათვლილი.

ამერიკის განათლების დეპარტამენტის⁷⁷ სტატისტიკური მონაცემებით (სატელეფონო გამოკითხვების შედეგად) ზრდასრულთა განათლებაში მონაწილეთა რაოდენობა ბოლო 30 წლის განმავლობაში 46%-ით გაიზარდა. ზოგიერთი მათგანის მიზანია ძირითადი უნარების შეძენა; ზოგის - შრომის ბაზრის შესაბამისობაში მოსვლა, ზოგის - კეთილდღეობის მიღწევა და ზოგის - კარიერის გაკეთება.

1989 წელს კომუნიზმის დაცემის შემდეგ პოლონეთში საზოგადოება საკმაოდ რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ვინაიდან მთავრობის მხრიდან დაფინანსება შეწყდა, საზოგადოება იძულებული გახდა, ჩაბმულიყო თავისუფალ კონკურენციაში თავისუფალ ბაზარზე გამოსულ სხვა ორგანიზაციებთან. მდგომარეობა იმანაც გაართულა, რომ საზოგადოება საკუთარი შენობა-ნაგებობებისა და ოთახების ნაკლებობას განიცდიდა. შესაბამისად ბევრი პროვინციული ფილიალი დაიხურა. მხოლოდ იმ ფილიალებმა გააგრძელეს საქმიანობა, რომელთა მმართველებმაც შესძლეს და სახელმწიფო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციებს კონკურენცია გაუწიეს. ამ ინსტიტუტთა საბედნიეროდ, უწყვეტ განათლებაზე მოთხოვნა საკმაოდ მაღალი იყო და ხალხი სურვილს იჩენდა, თვითონ გადაეხადა სწავლის საფასური. მოხდა ზოგადი,

⁷⁶ Lynne A. Keller and David Haddad with Ann G. Forcier, Sept. 2001, Volume 6 Number 3. “She Even Walked the Dog” *The Roles of Relational Context and Goal Setting in a Welfare to Work Program*. The Qualitative Report <www.nova.edu/ssss/QR/QR6-3/kellner.html

⁷⁷ National Household Education Survey of 1999. *Adult Education Interview Data File*. User's Manual 2000. U.S. Department of Education. Office of Educational Research and Improvement. NCES 2000-077

სოციალური და კულტურული თემების უზულებელყოფა სასწავლო პროგრამაში. ჰუმანიტარული და კულტურული სფეროებიდან სწავლების კონცენტრაცია გადავიდა პრაქტიკულ და გამოყენებით სფეროებსა და უნარ-ჩვევებზე.

ზრდასრულთა განათლების უმნიშვნელოვანესი ამოცანა, რა თქმა უნდა, თანამედროვე საზოგადოებისა და შრომითი ბაზრის მოთხოვნებზე სათანადოდ რეაგირებაა. სტატისტიკური მონაცემებით პოლონეთში საშუალო სკოლადამთავრებულთა 24 % იყენებს უწყვეტი განათლების შესაძლებლობებს. ამ ადამიანთა ერთი ნაწილი არის სოფლის მაცხოვრებელი და მეორე – დაუსაქმებელი მოსახლეობა.

1999 წელს პოლონეთში ზრდასრულთა განათლების სერტიფიკატი მიიღო 279 მსმენელმა, რომელთაც სხვადასხვა პროფესიები შეისწავლეს; 419 სტუდენტმა, რომელთაც შეისწავლეს ზოგადი განათლების კურსი, რაც საშუალო სკოლის დაუმთავრებლობის გამო ვერ გაიარეს თავის დროზე; 223 სტუდენტმა, რომელთაც ჰქონდათ პროფ-ტექნიკური განათლების მიღების სურვილი სკოლის დამთავრების შემდეგ. სერტიფიკატები გაიცა ასევე დაახლოებით 1000 მსმენელზე, რომელთაც გაიარეს ტრენინგ-პროგრამები სხვადასხვა უნარების გასაუმჯობესებლად და 580 მსმენელზე, რომელთაც სურვილი ჰქონდათ ექსტერნად დაესრულებინათ სწავლა საშუალო სკოლებსა თუ სხვადასხვა პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში.

როგორც შესავალში აღვნიშნეთ, 1997 წელს ჰამბურგში (გერმანია) გაიმართა UNESCO-ს განათლების ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო კონფერენცია CONFINTEA-ს, რომელშიც მონაწილეობას იღებდა აფრიკის, აზიის, ევროპის და ლათინური ამერიკის ქვეყნების წარმომადგენლობები. ანგარიში ზემოღნიშნულ კონფერენციაზე დაიბეჭდა ინგლისურ, ფრანგულ, ესპანურ, ჩინურ, რუსულ და არაბულ ენებზე (მოგვიანებით დანიურ, ესტონურ, ფინურ, ლატვიურ და სხვ. ენებზეც), დაეგზავნა მონაწილე ქვეყნებს და გამოქვეყნდა ინსტიტუტის ვებგვერდზე⁷⁸. კონფერენციაზე მიღებული დეკლარაცია მოგვიწოდებს, რომ უნდა მოხდეს:

⁷⁸ www.unesco.org/education/uie

- ყველასათვის მუშაობის და მდგრად საარსებო საშუალებებზე უფლებების აღიარება.
- სამსახურზე ორიენტირებული ზრდასრულთა განათლების უზრუნველყოფა კონკრეტული ცოდნითა და უნარ-ჩვევებით და ამით შრომის ბაზარზე შედევადობისა და პროფესიული მობილურობის ხელშეწყობა.
- დამქირავებელსა და დაქირავებულებს შორის პარტნიორული თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობა.
- არაფორმალურ საფუძველზე მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების სრული აღიარების ხელშეწყობა.
- სხადასხვა მიზნობრივი ჯგუფებისთვის ორიენტირებულ სამსახურზე შედევვის მიზნით ზრდასრულთა განათლების სისტემაში შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.
- სამუშაოზე ორიენტირებული ზრდასრულთა განათლების სისტემის ისეთი განვითარება, რომელიც განხორციელდება ისეთი ღონისძიებების მეშვეობით, როგორიცაა საგანმანათლებლო მომსახურების უზრუნველყოფა მოქალაქეთა უფლებების, საორგანიზაციო მშენებლობის, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების, სასურსათო უსაფრთხოების და რეპროდუქტიული ჯანდაცვის სფეროებში.

კონფერენციის დეკლარაციის მთავარი მოწოდება (მესიჯი) მდგომარობდა შემდეგში: “აქტიური და ინფორმირებული (განათლებული) მოქალაქეების ყოლის გარეშე შეუძლებელი იქნება მსოფლიოში არსებული გლობალური რისკების, ეკოლოგიური რისკების, ჯანმრთელობისთვის საშიში გავრცელებული დაავადებების, კულტურისთვის საშიში მოვლენების (რასიზმი, ქსენოფობია) თავიდან არიდება. მოქალაქეებს ახლავე, გადაუდებლად სჭირდებათ შეიძინონ, ან გაიძლიერონ უნარი საკუთარი ინიციატივების გამოსავლენად. ვერ დაველოდებით იმ დროს, როცა ბავშვები წამოიზრდებიან. ამას 30 წელი დასჭირდება, ეს კი ძალიან დიდი დროა. აუცილებელია შემდგომი განათლების საშუალება მიეცეს ამჟამინდელ ზრდასრულ ადამიანებს, კაცებს და ქალებს. ზრდასრულთა განათლება დღეისთვის ცენტრალური საკითხია. ყველასათვის ნათელია, რომ

ადამიანების შესაძლებლობა, პოტენცია და უნარი, ისწავლოს სიცოცხლის მანძილზე ახალი საუკუნის და ახალი მილენიუმის სწორად ფორმირების ამოცანის შესასრულებლად ცენტრალური საკითხებია. თითოეული მოქალაქის ავტონომიურობის, შემოქმედებითობის და თვითგამოხატულების უნარი დემოკრატიისთვის არა მარტო მიზანია, არამედ პირობაც⁷⁹.

ქვეყანაში კრიზისის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ხშირად დაკავშირებულია კულტურულ-საგანმანათლებლო მემკვიდრეობისა და ღირებულებების გლობალურ ცვლილებასთან. ხდება შემობრუნება პრინციპულად ახალი სოციალურ-კულტურული ტიპის საზოგადოებისკენ, რომელიც დაფუძნებულია გარკვეული ცოდნის სისტემაზე. ამ ცოდნის მობილიზაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საშუალებად, განათლების სხვა სფეროებთან ერთად, ზრდასრულთა განათლება უნდა იქნეს მიჩნეული. მთავარი როლი კი ამ ცოდნის მობილიზაციაში საქართველოში განათლების სისტემამ, კერძოდ კი, უმაღლესმა სასწავლებლებმა უნდა შესრულონ

ამერიკელი მკვლევარები კოსტას მეტაქსიოტისი და ჯონ პსარასი⁸⁰ გვთავაზობენ მიემართოთ ცოდნის მენეჯმენტს უმაღლეს განათლებაში. მათი მიზანია საზოგადოების ყურადღება მიაპყრონ შრომის ბაზარზე არსებულ წნეხზე, რომლის დაძლევის გზად მიაჩნიათ ადამიანის ინტელექტუალური კაპიტალის და ტექნოლოგიების გამოყენება.

სხვადასხვა ევროპული ქვეყნის მაგალითზე კარგად ჩანს, რომ დასავლეთში არაფორმალური განათლების სისტემები იქმნებოდა, რათა უმუშევართათვის გაეწიათ დახმარება, გადაელახათ ახალი ტექნოლოგიების შემოტანით შექმნილი ინოვაციური ბარიერები, დაეცვათ მოსახლეობა სოციალური იზოლაციისგან და სხვ. ამასთან, ზრდასრულთა განათლებას ეწეოდნენ იმ მიზნითაც, რომ ადამიანებს, ვისაც დრო გამოუთავისუფლდათ პენსიაზე გასვლისა თუ სხვა მიზეზის გამო და მათ, ვისაც სურთ ძალები მოსინჯონ სხვა დარგშიც, დამატებით იმ სამუშაო ადგილისა, საიდანაც ძირითად საარსებო საშუალებას იღებენ, მიეცეთ საშუალება მოახდინონ თვითრეალიზაცია.

⁷⁹ Declaration para. 1-2, Agenda for the Future para. 2,4,5,9,11,12,14. CONFITEA Meetings.

⁸⁰ Kostas Metaxiotis and John Psarras 2003, *Applying Knowledge Management in Higher Education: The Creation of a Learning Organizations*. *Journal of Information and Knowledge Management*. Vol. 2 No 4 353-359

ზრდასრულთა განათლების ცენტრები განსაკუთრებით პოპულარულია პატარა ქალაქებსა და სოფლებში, იქ, სადაც მოსახლეობა მოწყვეტილია ზრდასრულთა განათლების ცენტრებს შორი მანძილისა და დროის უკმარისობის გამო, სადაც დასაქმების და სოციალური იზოლაციის პრობლემა უფრო მწვავედ დგას. თუმცა თანამედროვე სკანდინავიური ქვეყნების და ავტონომიების ე.წ. “ჩრდილოური” მინისტრთა საბჭოს⁸¹ სტატისტიკური კვლევების ავტორების აზრით, ზრდასრულთა განათლება უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე მხოლოდ პროფესიული, ან სახელობო მომზადება და ამ სფეროს განხილვისას ე.წ. სოციალურ-კულტურულ განათლებასთან დაკავშირებულ ტერმინებსაც იყენებენ (ანუ, მათი აზრით, ზრდასრულთა განათლება არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ პროფესიული/სახელობო გადამზადებით).

კანადელი მეცნიერის, კერენ ბრათვაიტის⁸² მიხედვით, ზრდასრულთა განათლების სკოლების ერთ-ერთი დამსახურება ის არის, რომ აქ სხვადასხვა რასის, ეთნოსის და მრწამსის ადამიანები ერთად იღებენ განათლებას, რაც ხელს უწყობს მრავალფეროვნულ რეგიონებში მოსახლეობის ურთიერთობების გაუმჯობესებას. ზრდასრულთა განათლების სოციალურ-პედაგოგიური პრინციპების არეალი და მრავალფეროვნება სწორედ სხვადასხვა წარმოშობის ადამიანების გამოცდილების ურთიერთგაზიარების ხარჯზე ხდება⁸³.

ზრდასრულთა განათლების ახალი ხედვა უარყოფს არჩევანის გაკეთებას ადგილობრივ კულტურასა და გლობალურ კონტექსტს შორის, იდენტიფიკაციასა და თანასწორობას შორის. თანასწორობის მიღწევა, სხვებთან დიალოგში თანაბარუფლებიანი ჩართვა შეუძლებელია მოქალაქეებისათვის საკუთარი ფესვების, წარმოშობის და უნარების ცოდნის შეთავაზების გარეშე⁸⁴.

განვითარებული და დემოკრატიის გზას შემდგარი განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობას შეგნებული აქვს ზრდასრულთა განათლების, როგორც ცენტრალური საკითხის მნიშვნელობა, ამიტომ ისინი აქტიურად არიან ჩაბმული ამ

⁸¹ Nordic “folkeopplysning” and Adult Education – გამოქვეყნებულია სკანდინავიის ქვეყნების ნორდიული მინისტრთა საბჭოს მიერ. 1997 წ. AKA-PRINT A/S

⁸² Keren S. Brathwaite. *Access and Equity in the University* Toronto, Canada: Canadian Scholars' Press 2003, 435 pp. *Journal Adult Education Quarterly* 2004, Vol 54 No 2 see the research paper

⁸³ OECD and Statistics Canada. *Literacy in the information age: Final report on the international adult literacy survey*. Paris and Ottawa: Organisation for Economic Cooperation and Development and Statistics Canada, 2000.

⁸⁴ Agenda for Future. para 13, 16, 26, 32, 43-47 – CONFINTEA Meetings

სისტემაში და ხელს უწყობენ მის განვითარებას დემოკრატიის ფორმირების, მოსახლეობის თვითრჩენისა თუ თვითრეალიზაციის მიზნით. ამ მიზნის განხორციელების ერთერთი საუკეთესო გზა კი, როგორც ზემოთ აღინიშნა ზრდასრულთა არაფორმალური განათლებაა, რომლის ერთერთი სახეობაც ზრდასრულთა ტრენინგებია.

მასწავლებლების სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის მოსამზადებელი ტრენინგები, რომელიც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების გაუმჯობესების პროგრამის ფარგლებშია ორგანიზებული თავისთავად წარმოადგენს ზრდასრულთა ტრენინგის მაგალითს და მისი ერთერთი მიზანი ასაკოვანი მასწავლებლების განათლების თანამედროვე ბაზარზე მორგება. მაგრამ ერთია, როცა სახელმწიფო უმუშევრობის აღმოფხვრაზე ზრუნავს და მეორე - როცა ესაუბრობთ ტრენინგის ეფექტურობაზე, რომ არაფერი ვთქვათ განათლების ხარისხზე. თუ განვიხილავთ 2009 წლის განმავლობაში ჩატარებული ტრენინგების შედეგებს (იხილეთ ქვეთავი 3.2) და მასწავლებელთა ამ ტრენინგებისადმი დამოკიდებულების საკითხებს (იხილეთ მე-4 თავი) მივალთ დასკვნამდე, რომ ზრდასრულთა განათლების პრაქტიკოსების მომზადება და ტრენინგის პროგრამების დადგენა სამთავრობო და ლიცენზირებულ არასამთავრობო საგანმანათლებლო დაწესებულებებში უნდა მოხდეს. როგორც აღმოჩნდა, ასეთი ორგანიზაცია დღეს მხოლოდ ერთია (იხილეთ შესავალი), სადაც ზრდასრულთა განათლების პრაქტიკოსებს ზრდასრულთა განათლების პრინციპებს აცნობენ და ტრენინგს უტარებენ ზრდასრულთა განათლების უნარებში.

მოცემული კვლევის მომდევნო ქვეთავში დეტალურად არის აღწერილი საქართველოში 2010-2014 წლებში მასწავლებელთა სერტიფიცირებისთვის საჭირო პროცესები და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ამ მიმართულებით 2009 წლის მოსამზადებელი ტრენინგების შეფასება, სადაც მითითებულია ჩატარებული ტრენინგების პოზიტიური და ნეგატიური მხარეები.

4.2. მასწავლებლთა პროფესიული განვითარების გაუმჯობესების პროგრამა - საქართველოში 2010-2014 წ.წ. მასწავლებლთა სერტიფიცირებისთვის 2009 წლის მოსამზადებელი ტრენინგების შეფასება

რეფორმა განათლების სისტემაში სხვა საგანმანათლებლო საკითხების მოგვარებასთან ერთად ცდილობს უზრუნველყოს საბაზრო მოთხოვნებს ევროკავშირის დადგენილი სტანდარტების მიხედვით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთერთი ასეთი ღონისძიებაა სკოლის მასწავლებლები სერტიფიცირება.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ განათლების რეფორმების ფარგლებში დაიწყო მასწავლებლის სერტიფიცირების პროცესი და სასერტიფიკაციო გამოცდები 2010-2014 წ.წ. პერიოდში ყოველწლიურად ჩატარდება ორი მიმართულებით: საგნობრივი ტესტები და პედაგოგიური (პროფესიული) უნარების ტესტები. 2014 წლამდე სასერტიფიკაციო გამოცდების ჩაბარების უფლება აქვს ყველა მოქმედ მასწავლებელს, იმის მიუხედავად აქვს თუ არა მას პედაგოგიური განათლება, ან პირს, რომელიც ამჟამად არ მუშაობს სკოლაში, მაგრამ აქვს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური საქმიანობის მინიმუმ 1 წლიანი გამოცდილება. ასევე პირს, რომელმაც წარმატებით გაიარა მაძიებლობის 1 წლიანი პერიოდი. 2014 წლამდე სასერტიფიკაციო გამოცდაზე გასვლა ნებაყოფლობითია, 2014 წლიდან კი ყველასთვის სავალდებულო. სერტიფიცირების დებულები 24-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ვადის ამოწურვის შემდეგ პედაგოგიური საქმიანობის გაგრძელებისათვის მასწავლებელი ვალდებულია, განაახლოს მასწავლებლის უფლება და ჩააბაროს სასერტიფიკაციო გამოცდა ან გაიაროს აკრედიტებული პროფესიული განვითარების პროგრამები და დააგროვოს კრედიტები.

პირველი სასერტიფიკაციო გამოცდა 2010 წელს ჩატარდა საბაზო/სასუალო სკოლის მასწავლებლებისთვის ქართულ ენასა და ლიტერატურაში, უცხო ენებში, მათემატიკასა და პედაგოგიურ უნარებში.

პროფესიული უნარებისა და საგნობრივი ტესტების შინაარსს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მოთხოვნების

საფუძველზე მოამზადა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა.

მასწავლებლის სერტიფიცირება მიზნად ისახავს მასწავლებლის პროფესიის სტატუსის ამაღლებას და პედაგოგის როლის გამოკვეთას საზოგადოების ფორმირებასა და განვითარებაში (TPDC)⁸⁵. ის ხელს შეუწყობს მასწავლებლის პროფესიის რეგულირებას, პროფესიულ განვითარების მიზანმიმართულ დაგეგმვას და სწავლების და სწავლის ხარისხის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას. სასერტიფიკაციო გამოცდა მასწავლებელს შესაძლებლობას მისცემს დაადასტუროს თავისი პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების შესაბამისობა დადგენილ სტანდარტთან. გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში მასწავლებელი მიიღებს კვალიფიკაციის შესაბამის სერტიფიკატს, ხოლო წარუმატებლობის შემთხვევაში, მათ მიეცემათ შესაძლებლობა განმეორებით ჩააბარონ გამოცდები.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების გაუჩერული დაფინანსების პროგრამა - მასწავლებელთა ტრენინგები

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების გაუჩერული დაფინანსების პროგრამა (მოსამზადებელი ტრენინგები) 2009 წელს დაიწყო. დაფინანსდა ტრენინგ-პროგრამები იმ საგნებში, რომლებითაც დაიწყო მასწავლებელთა სერტიფიცირების პროცესი. ესენია: პროგრამები განათლების საბაზო-საშუალო საფეხურის ქართულის, მათემატიკის და უცხო ენების მასწავლებლებისთვის. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგები განხორციელდა საქართველოს მასშტაბით. სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერის ინიციატივის ფარგლებში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამა გაიარა დაახლოებით 6500 მასწავლებელმა.

მასწავლებელთა მაღალი აქტიურობის შესაბამისად 2010 წლის იანვარში დაიწყო მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ფინანსური მხარდაჭერის

⁸⁵ http://www.tpdg.ge/index.php?option=com_content&view=article&id=15&Itemid=74

პროგრამის ახალი ეტაპი, რომლის სამიზნე ჯგუფი 2009 წლის პროგრამისგან განსხვავებით გაფართოვდა. გარდა საბაზო-საშუალო საფეხურის ქართული, მათემატიკისა და უცხო ენების მასწავლებლებისა, 2010 წლის ვაუჩერის მიღება (მხოლოდ პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების პროგრამის დასაფინანსებლად) შეეძლო ეროვნული სასწავლო გეგმებით გათვალისწინებული საგნების საბაზო და საშუალო საფეხურის და დაწყებითი საფეხურის ყველა მასწავლებელს. 2010 წლის პროგრამის ფარგლებში მთელი საქართველოს მასშტაბით უკვე 12 ათასზე მეტმა მასწავლებელმა მიიღო ვაუჩერი საგნობრივი და პროფესიული უნარების პროგრამის დასაფინანსებლად.

2009-2010 წ.წ. ვაუჩერული დაფინანსების პროგრამაში მონაწილე მასწავლებლებს პროფესიული საჭიროებიდან გამომდინარე, უფლებამოსილი იყო შეერჩია საგნობრივი და პროფესიული უნარ-ჩვევების, სულ ოთხი კრედიტის ოდენობით (მოცემული ოთხი კრედიტიდან, ორი კრედიტი განსაზღვრულია საგნობრივი და ორი კრედიტი – პროფესიული უნარჩვევების პროგრამების დაფინანსებისთვის), ან დაფინანსებული ოთხივე კრედიტი გამოეყენებინა მხოლოდ საგნობრივი, ან მხოლოდ პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებისთვის. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების (მოსამზადებელი ტრენინგების) ვაუჩერული დაფინანსების პროგრამის მიხედვით, ორკრედიტიანი პროგრამის ღირებულება შეადგენს 80 ლარს. ორკრედიტიანი პროგრამის გავლის შემთხვევაში მასწავლებელი ფინანსდება 160 ლარით.

პროგრამის ფარგლებში ტრენინგებს ატარებენ განმახორციელებელი ორგანიზაციები (ე.წ. პროვაიდერები), რომელთაც მიიღეს აკრედიტაცია შესაბამისი პროგრამების განსახორციელებლად. მასწავლებლის პროფესიული განვითარების აკრედიტებული პროგრამები ემსახურება მასწავლებლების ზოგად პროფესიული უნარ-ჩვევების და საგნობრივი ცოდნის, უნარ-ჩვევების განვითარებას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების გაუმჯობესების პროგრამის მონიტორინგის სამსახურის დაკვირვების ანგარიში⁸⁶

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის გაუმჯობესების პროგრამის მონიტორინგის ანგარიშის პერიოდი მოიცავს 2009 წლის სექტემბერს, ოქტომბერს, ნოემბერსა და დეკემბრის პირველ ნახევარს. მონიტორინგი განხორციელდა საქართველოს 11 რეგიონში.

მონიტორინგის რეგიონული სპეციალისტები იმყოფებოდნენ სკოლებში, რესურსცენტრებსა და ტრენინგ-პროვაიდერ ორგანიზაციებში. მათ განახორციელეს ჩართული დაკვირვება ადგილზე და, დაკვირვების შედეგად შეგროვებული მასალის გამოყენებით, მოამზადეს მონიტორინგის შუალედური ანგარიშები. ასევე, დაესწრნენ საგანმანათლებლო ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ ტრენინგებს. ტრენინგზე მყოფ მასწავლებლებსა და ტრენერებს შეაფასებინეს შეფასების შესაბამისი კითხვარები.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის გაუმჯობესების პროგრამის მონიტორინგის შუალედური ანგარიში წარმოდგენილია ორ ნაწილად: პირველ ნაწილში მოცემულია ჩართული დაკვირვების შედეგად შეგროვებული მონაცემების ანალიზი, გამოყოფილია მონიტორინგის პროცესში საგანმანათლებლო ორგანიზაციებში, სკოლებსა და რესურსცენტრებში აღმოჩენილი, პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული პოზიტიური და ნეგატიური ასპექტები, ხოლო ანგარიშის მეორე ნაწილში მოცემულია მონიტორინგის პროცესში განხორციელებული ტრენინგების შესაფასებლად ჩატარებული მასწავლებელთა შეფასების რაოდენობრივი კვლევის შედეგები.

მონიტორინგის სპეციალისტები იმყოფებოდნენ 132 სკოლასა და 69 რესურსცენტრში. რესურსცენტრები შეამოწმეს სამჯერ, პროგრამის დაწყებისას, შუაში და დასრულების შემდეგ. ასევე შეაფასეს ყველა საგანმანათლებლო ორგანიზაცია, რომელმაც ჩაატარა ტრენინგი გაუმჯობესების პროგრამის ფარგლებში. დაკვირვების პროცესში შეგროვებული მასალის

⁸⁶ www.tpdg.ge კვლევები, 2009 წ.

საფუძველზე გაკეთებულ ანგარიშებში გამოვლენილი პოზიტიური და ნეგატიური მხარეები ოთხი თვის განმავლობაში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. ოთხი თვე არ არის დროის ის მონაკვეთი, რომელიც საშუალებას მოგვცემდა გვესაუბრა რაიმე ტენდენციის განვითარებაზე, ან რაიმე სერიოზულ ცვლილებაზე. ვაუჩერული დაფინანსების პროგრამის განხორციელებაზე დიდი გავლენა იქონია ქვეყანაში არსებულმა ურთიერთობების კულტურამ, სოციალურ-ეკონომიურმა პირობებმა და პედაგოგების განწყობამ. პროგრამის განხორციელებისას გამოვლინდა რამოდენიმე საინტერესო ტენდენცია.

დაკვირვების შედეგად შეგროვებული მასალის ანალიზი (სკოლები)

მონიტორინგის შედეგად აღმოჩენილი, პროგრამის განხორციელების პოზიტიური მხარეები:

1. **პროგრამული ანოტაციების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია.** დაკვირვების პროცესში გამოკვლეული სკოლების უმრავლესობაში საგანმანათლებლო ორგანიზაციების პროგრამული ანოტაციები ხელმისაწვდომი იყო: ციხისძირის სკოლის პედაგოგების თქმით: "დირექტორმა ყველა მათგანს მიაწოდა ინფორმაცია ვაუჩერული დაფინანსების პროგრამის შესახებ. რაც შეეხება პროგრამულ ანოტაციებს, ისინი ნებისმიერი პედაგოგისთვის ხელმისაწვდომია და მაშინ შეუძლიათ გაეცნონ, როცა მოისურვებენ" ; ანანურის საჯარო სკოლაში: "მასწავლებლებთან გასაუბრება მშვიდ და თბილ გარემოში მოხდა. დავასკვენი, რომ ისინი საკმაოდ კარგად არიან ინფორმირებული ვაუჩერული დაფინანსების პროგრამის შესახებ. ანოტაციები ხელმისაწვდომია ყველა მასწავლებლისთვის". ანოტაციების ხელმისაწვდომობაზე მონიტორინგის სპეციალისტების შეფასება გამოკვლეული სკოლების უმრავლესობაში იდენტურია.

2. **მასწავლებელთა მაღალი მოტივაცია.** ვაუჩერული დაფინანსების პროგრამის მიმართ დაინტერესება ოქტომბრის თვეში მნიშვნელოვნად გაიზარდა, შესაბამისად, გაიზარდა პედაგოგების მოტივაცია მიეღოთ ვაუჩერები და ჩართულიყვნენ ტრენინგებში. "რაც შეეხება მასწავლებლების ქცევასა და დამოკიდებულებას ტრენინგისადმი, ჩანს, რომ ისინი ძალიან მონდომებულნი და დაინტერესებულნი

არიან. ჯგუფი სულ 22 მასწავლებლისაგან შედგება. ჩემი ვიზიტის დღეს ყველა მათგანი ადგილზე იმყოფებოდა და, ტრენერის თქმით, ჯერ სემინარი არავის გაუცდენია"; ასევე: "მასწავლებლები მეტად აქტიურები იყვნენ და დაინტერესებით უსმენდნენ ტრენინგს და ყველა მიცემულ დავალებას ხალისით ასრულებდნენ, ეს იყო ჯგუფური სამუშაოები, კითხვა-პასუხი როგორც ტრენერ-მონაწილესთან, ისე თვით პედაგოგებში როლური თამაშებით, და თანაც შეფასება ხდებოდა ტრენერების მიერ ყველა ტრენინგის ბოლოს." მსგავსი შეფასებები ქონდათ ყველა რეგიონის მონიტორინგის სპეციალისტებს. სავარაუდოდ მასწავლებელთა მოტივაცია 2010 წლის პროგრამის განმავლობაში უფრო გაიზრდება, ვინაიდან ამ დროისათვის უფრო მოახლოებული იქნება სასერტიფიკაციო გამოცდები.

3. სკოლის დირექტორები არ შევიდნენ რომელიმე ტრენინგ-პროვაიდერ ორგანიზაციასთან კორუფციულ გარიგებაში. გამოკვლეული სკოლის დირექტორებიდან ყველამ თავი შეიკავა საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან რაიმე სახის მოლაპარაკებაზე. მაგალითად ბათუმის №1 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილის განცხადებით: "სკოლას დაუკავშირდა ერთ-ერთი პროვაიდერი (ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტი) და განაცხადა, რომ თუ დირექცია ჯგუფს დააკომპლექტებს მათი სკოლის მასწავლებლებისგან, ისინი ჩაატარებენ ტრენინგებს. – რაზეც სკოლის დირექციამ უარი განაცხადა". ამ შემთხვევაში დირექციამ თავიდან აიცილა ის საფრთხე, რომელიც გულისხმობს, თავს მოახვიო მასწავლებლებს რომელიმე საგანმანათლებლო ორგანიზაცია, მათი არჩევანის გაუთვალისწინებლად;

მონიტორინგის შედეგად აღმოჩენილი პროგრამის განხორციელების ნეგატიური მხარეები:

1. პროგრამული ანოტაციების პაკეტი სკოლებში არ არის საკმარისი. მართალია ანოტაციების პაკეტი ყველასათვის ხელმისაწვდომია, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც პროგრამული ანოტაციების პაკეტის სიმწირის გამო, პედაგოგები ვერ ახერხებდნენ მის გამოყენებას. ასე, მაგალითად, რუსთავის №2 სკოლაში: "პროვაიდერების პროგრამების ანოტაციები სკოლაში არის, მაგრამ სად არ იცინა. სამასწავლებლოში იდოო და ახლა ვის აქვს არ ვიცითო. შესაბამისად

მასწავლებელთა ნაწილი ანოტაციებს გაცნობილი არ არის"; ასევე ბათუმის №1 სკოლაში: "სკოლის დირექტორის განცხადებით. პროგრამულ ანოტაციების გაცნობა მასწავლებლებს შეუძლიათ სამასწავლებლოში. გადამოწმების პროცესში კი ანოტაციები სამასწავლებლოში არ აღმოჩნდა. ერთ-ერთი მასწავლებლის განცხადებით, ანოტაციები გასაცნობად კათედრის გამგეებმა წაიღეს". ჟინვალის საჯარო სკოლაში, ამ მხრივ, მძიმე მდგომარეობა აღმოჩნდა, პედაგოგებმა არ იცოდნენ რა არის პროგრამული ანოტაცია: "არცერთ პედაგოგს არ ჰქონდა ინფორმაცია პროგრამული ანოტაციების შესახებ. კითხვარების შევსებისას ერთმანეთს ეკითხებოდნენ, ვინმემ ხომ არ იცოდა, თუ რას ნიშნავს პროგრამული ანოტაცია".

2. მასწავლებლები პროგრამული ანოტაციების გაცნობის გარეშე ირჩევდნენ საგანმანათლებლო ორგანიზაციებს: მართალია პროგრამულ ანოტაციებზე ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია, მაგრამ მთლიანობაში პროგრამულმა ანოტაციებმა არ გააძარტლა. ყველა გამოკვლეული სკოლის პედაგოგი აღნიშნავს, რომ მათთვის უმჯობესია საგანმანათლებლო ორგანიზაციებმა მათ სკოლებში ჩაატაროს პროგრამების შესახებ პრეზენტაცია და უშუალოდ მიაწოდონ ინფორმაცია პედაგოგებს პროგრამების შესახებ. პრეზენტაციების ნაკლებობის შედეგად აღმოჩნდნენ პედაგოგები, რომლებმაც საგანმანათლებლო ორგანიზაციაში რეგისტრაცია გაიარეს პროგრამული ანოტაციების გვერდის ავლით: "პედაგოგებს უკვე გავლილი ჰქონდათ რეგისტრაცია ერთ-ერთ ორგანიზაციაში, „სკოლა-ოჯახი-საზოგადოება“, და მალე ტრენინგიც იგეგმებოდა. ჩემს შეკითხვაზე, გაეცნენ თუ არა ისინი პროგრამულ ანოტაციებს, სანამ აღნიშნულ ორგანიზაციაში გაივლიდნენ რეგისტრაციას, მათი პასუხი იყო - არა. მასწავლებლებმა არც კი იცოდნენ, რას ნიშნავს პროგრამული ანოტაცია და არსებობს თუ არა ის საერთოდ".

3. გადაადგილების სირთულე: მონიტორინგის განმავლობაში აღმოჩენილი პრობლემებიდან ყველაზე მკაფიოდ გამოხატული არის "პედაგოგების გადაადგილების პრობლემა". რეგიონში მცხოვრები პედაგოგები ვერ ახერხებდნენ ტრენინგებზე დასწრებას, უსახსრობისა და დროის უქონლობის გამო. „მასწავლებლების განცხადებით, მათთვის მოუხერხებელია ბათუმში ჩატარებულ

ტრენინგებში მონაწილეობა, შესაბამისად, მოუწევთ გაუჩერების აღება იმ პროვაიდერებთან, რომლებიც მათ რეგიონში მოქმედებენ, რაც უზღუდავს მათ არჩევანის საშუალებას და არათანაბარ პირობებში აყენებს ქალაქის მასწავლებლებთან შედარებით"; სოფელში მცხოვრებ მასწავლებლებს ტრანსპორტირების პრობლემა ჰქონდათ რაიონულ ცენტრთან, რომ არაფერი ვთქვათ სხვა რაიონში გადაადგილებაზე. როგორც ანანურის სკოლის პედაგოგები აღნიშნავენ: "მათთვის ძნელია რაიონიდან სხვა რეგიონში გადაადგილება. თუ იქნება შესაძლებელი, მასწავლებელთა უმეტესობას სურს, მთელმა რაიონმა აირჩიოს ერთი ორგანიზაცია, რომელიც ჩამოვა მათ რაიონში და ჩაატარებს ტრენინგებს", იგივე პრობლემა აქვთ სტეფანწმინდის საჯარო სკოლის პედაგოგებს: "სურვილი მართლაც დიდია, მაგრამ არსებობს პრობლემა: მასწავლებლებს აინტერესებთ - როგორ მოხერხდება მათი გადაადგილება ყაზბეგიდან იმ ორგანიზაციის ადგილსამყოფელში, სადაც ტრენინგი ტარდება (თუ მათ მიერ არჩეული ორგანიზაცია არ ჩადის ყაზბეგში). ითქვა, რომ მათ აქვთ მეურნეობა, რომელსაც მოვლა ჭირდება და საცხოვრებელი ადგილების დატოვება არ შეუძლიათ. ასევე თუ ტრენინგების მსვლელობა დაემთხვევა ზამთარს, დიდთოვლიანობის გამო გადაადგილება რეგიონიდან რეგიონში შეუძლებელი გახდება. მასწავლებლებს აინტერესებთ შესაძლებელია თუ არა, რომ საგანმანათლებლო ორგანიზაციებმა, რომლებსაც ისინი აირჩევენ, ყაზბეგში გამოავზავნონ ტრენერები და ტრენინგები მათ ადგილზე ჩაუტარდეთ. თუ ეს შესაძლებელია, რა ევალუბათ ამ შემთხვევაში პედაგოგებს (საფასურის გადახდა, კვება, საცხოვრებელი ადგილი). თუ ეს არ იქნება შესაძლებელი, მიუხედავად დიდი სურვილისა მასწავლებლების უმეტესობა გაუჩერის აღებას არ აპირებს". იგივე პრობლემა დაასახელეს, ჩოხატაურში, "დიდაქტიკის" ტრენინგზე: "სოფელში მოღვაწე მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ ტრენინგის განრიგის გამო (დასრულების დრო), მათ ექმნებოდა პრობლემები ტრანსპორტთან";

4. რეგიონული სპეციფიკა და დამატებითი ხარჯები კვებისა და მგზავრობისათვის: გამოკვლეული მასწავლებლების მოსაზრებით პროგრამაში ჩადებული უნდა იყოს კონკრეტული რეგიონის სპეციფიკა და დამატებით თანხა მგზავრობისა და კვებისათვის. ქვედაში, სკოლა-ოჯახი-საზოგადოების მიერ

ჩატარებულ ტრენინგზე დამსწრე პედაგოგები აღნიშნავენ: "განათლების სამინისტროს უნდა გაეთვალისწინებინა ყოველი რეგიონის რელიეფური თავისებურებანი და ვაუჩერის თანხაში, სოფლის სკოლაში მომუშავე მასწავლებლებისთვის, დამატებითი მგზავრობის და კვების ხარჯები ჩაედო";

5. რეგიონულ დონეზე, პროვაიდერთა პასიურობის შედეგად, პედაგოგებს არა აქვთ ტრენინგების მრავალფეროვანი არჩევანის საშუალება: პედაგოგები უკმაყოფილონი არიან საგანმანათლებლო ორგანიზაციების პასიურობით, ითხოვენ რომ ორგანიზაციებმა მოაწიონ პრეზენტაციები და ჩაატარონ ტრენინგები რეგიონალურ დონეზე: "მასწავლებლები გამოთქვამენ უკმაყოფილებას იმით, რომ მხოლოდ ერთი პროვაიდერი მოქმედებს მათ რაიონში, რის გამოც მათ არ აქვთ არჩევანის საშუალება". ასევე ოზურგეთის რაიონის სოფელ ჭიანეთის სკოლის პედაგოგების განცხადებით: "სასურველია, რომ პროვაიდერებმა მოახდინონ სკოლაში პროგრამების პრეზენტაცია, ვინაიდან პროგრამულ ანოტაციებზე დაყრდნობით ძნელია არჩევანის გაკეთება." ხეშოთ ჩამოთვლილი პრობლემების გამო, პედაგოგებს უწევდათ თავად მორგებოდნენ ვაუჩერული დაფინანსების პროგრამას და არა პირიქით, პროგრამა მორგებოდა მათ მოთხოვნებს და გაეთვალისწინებინა ის ხელისშემშლელი ფაქტორები, რომელიც ზღუდავს პედაგოგების არჩევანის თავისუფლებას.

ვაუჩერული დაფინანსების პროგრამის განხორციელებისას სკოლებში გამოვლენილი ტენდენციები:

1. თბილისთან ახლოს მცხოვრები პედაგოგები ამჯობინებენ ტრენინგების გავლას თბილისში: თბილისთან ახლოს მცხოვრები პედაგოგები ცდილობდნენ თბილისში ჩატარებულ ტრენინგებს დასწრებოდნენ, ამან კიდევ უფრო შეუშალა ხელი პროვაიდერების აქტიურობას რეგიონალურ დონეზე: "ქვემო ქართლის სხვა რაიონებთან შედარებით, აქ უფრო ბევრმა მასწავლებელმა აიღო ვაუჩერი. ეს თბილისთან სოფლების სიახლოვეთაც აიხსნება. მასწავლებლებს საშუალება აქვთ, დედაქალაქში გაიარონ ტრენინგები."

2. ახალგაზრდა მასწავლებლები გულისყურით ეკიდებიან ვაუჩერიზაციის პროცესს, ხოლო შედარებით ასაკოვან პედაგოგებში შეიმჩნევა დაინტერესების

დაბალი დონე; როგორც ბათუმის №4 სკოლის დირექტორი აღნიშნავს: "ვაუჩერიზაციის პროცესი, ძირითადად, აინტერესებთ ახალგაზრდა პედაგოგებს, ხოლო ასაკოვანი პედაგოგები უნდობლობით ეკიდებიან ვაუჩერიზაციის პროცესს." მსგავსი ინფორმაცია აქვთ გამოკვლეული სკოლის დირექტორების უმრავლესობას; ასაკიანი პედაგოგების თქმით სერტიფიცირების გამოვლისათვის ისინი აღარ იქნებიან მოქმედი მასწავლებლები, შესაბამისად არ ქონდათ სურვილი მონაწილეობა მიეღოთ ვაუჩერული დაფინანსების პროგრამაში. ვაუჩერული დაფინანსების პროგრამის მონაწილე პედაგოგების რაოდენობრივი გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ პედაგოგების უმრავლესობა ნაწილდება 28-დან 60 წლამდე ასაკობრივ კატეგორიაში. შედარებით ნაკლებია აქტივობა 17-27 და 60 წელს გადაცილებული პედაგოგების მხრიდან.

3. ერთ-ერთი ძირითადი ტენდენცია, რის გამოც პედაგოგები უარს ამბობენ ვაუჩერების აღებაზე, არის კავშირი ვაუჩერიზაციის პროცესის, სერტიფიცირების გამოცდებთან. პედაგოგებს ეგონათ, რომ ვაუჩერული დაფინანსების გამოყენების შემთხვევაში, აუცილებლად მოუწევდათ სასერტიფიკაციო გამოცდების ჩაბარება. ამ ცრუ ინფორმაციის გამო პროგრამის განხორციელების საწყის ეტაპზე ბევრმა პედაგოგმა უარი განაცხადა მონაწილეობა მიეღო პროგრამაში: "კურდღელაურის სკოლის მასწავლებლები ვაუჩერების აღებას არ აპირებენ იმის გამო, რომ ჰგონიათ ტრენინგების გავლის შემდეგ ვალდებული იქნებიან ჩააბარონ სერტიფიცირების გამოცდები. ისინი კი არ აპირებენ სასერტიფიკაციო გამოცდებში მონაწილეობას და ამიტომ ტრენინგების გავლასაც არიდებენ თავს". თუ რატომ არ აპირებენ მასწავლებლები სერტიფიცირების გამოცდის გავლას, ქვემო ქართლში, კერძოდ რუსთავეში, №2 სკოლაში დაფიქსირდა საინტერესო ტენდენცია: "არც ერთი ცნობა სკოლას არ აქვს გაცემული. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ არ სურთ ამ ეტაპზე გაიარონ სერტიფიცირება, რადგან გამოცდაზე არ გადიან და გამოცდაზე არ გადიან, რადგან არ ელიან ხელფასების მომატებას". პედაგოგების უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ თუ ხელფასი არ გაეზრდებოდა არ მიიღებენ მონაწილეობას სასერტიფიკაციო გამოცდებში. ეს მოსაზრება ლაიტმოტივად გასდევდა ვაუჩერული დაფინანსების პროგრამას.

საინტერესო ფაქტები

1. პედაგოგები განაწყენდნენ ვაუჩერების არსებული რაოდენობის გამო. ვაუჩერული დაფინანსების პროგრამის საწყის ეტაპზე პედაგოგების უმრავლესობამ თავი შეიკავა და არ აიღო ვაუჩერი. შესაბამისად ვაუჩერები აიღეს იმ პედაგოგებმა ვინც თავიდანვე გაიაზრა ამ პროგრამების სარგებლიანობა და დარეგისტრირდა საგანმანათლებლო ორგანიზაციებში. ოქტომბრის მეორე ნახევარში უკვე იკლო ვაუჩერების რაოდენობამ და სწორედ ამ დროს წარმოიქმნა უკმაყოფილო პედაგოგების ფენა, რომლებმაც არ აიღეს ვაუჩერი ან ვერ მოასწრეს ვაუჩერების აღება: "ჩემი იქ ყოფნის განმავლობაში მოვიდა 2 პედაგოგი ვაუჩერის ადმინისტრირებისათვის მაგრამ გა.პ.პ.-მა განუმარტა რომ ვაუჩერები აღარ არის და 2010 წელს დაიწყება ვაუჩერების გაცემა, რამაც მათი გაღიზიანება გამოიწვია". ასევე: "ვიყავი ისტ-ის ტრენინგის მონიტორინგზე, რომელში მონაწილე მასწავლებლებიც უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ ვაუჩერების გაცემის შეწყვეტის გამო."; შიდა ქართლის მაგალითი იდენტურია სხვა რეგიონებთან. მონიტორინგის სპეციალისტების მიერ წარმოდგენილ ანგარიშებში ვკითხულობთ, რომ პედაგოგების მთავარი უკმაყოფილება გამოწვეულია ვაუჩერების არასაკმარისი ოდენობით.

2. ვაუჩერული დაფინანსების პროგრამის დროს ჩნდებოდა სხვადასხვა მოსაზრებები და ჭორები პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით. მონიტორინგის სამსახური სწრაფად რეაგირებდა მსგავს ფაქტებზე და ამოწმებდა მათ სიმართლესთან შესაბამისობას. ქობულეთის რაიონის, ლელვას სკოლის პედაგოგების აზრით: "პროვაიდერ "განათლების ინსტიტუტს" ლობირებს საქართველოს განათლების სამინისტრო. (არგუმენტი – მხოლოდ ეს პროვაიდერი აქტიურობს ქობულეთში)". ასეთი მოსაზრებები მრავლად იყო პედაგოგების, სკოლის დირექტორებისა და რესურსცენტრების მხრიდან, მაგრამ ეს ინფორმაციები ჭორები უფრო იყო, ვიდრე სინამდვილე. ჭორების გარდა საინტერესო მოსაზრებები ქონდათ პედაგოგებსა და დირექტორებს: გორის №7 საჯარო სკოლის პედაგოგები თვლიან, რომ "სანამ ასეთი სახის ტრენინგებში ჩაერთვებიან პედაგოგები, უნდა არსებობდეს საკანონმდებლო ბაზა სადაც დაფიქსირებული იქნება, რომ ვაუჩერული დაფინანსებით გადამზადებულ

პედაგოგს არავინ დააძალებს თავისი სურვილის გარეშე გაიაროს სასერთიფიკაციო გამოცდა". ბათუმის № 13 საჯარო სკოლის დირექტორის განცხადებით რესურსცენტრმა მას არ მიაწოდა პროგრამული ანოტაციები. რესურსცენტრში არსებული მიღება-ჩაბარების აქტით კი, სკოლის დირექტორს ხელმოწერით აქვს დადასტურებული ანოტაციების მიღება. მათხოჯის სკოლის დირექტორი ერკვეოდა გაუჩეროზაციის პროცესში, მაგრამ მაინც უცხო იყო მისთვის ეს პროგრამა.

**დაკვირვების შედეგად შეგროვებული მასალის ანალიზი -
ტრენინგ-პროვაიდერი ორგანიზაციები**

მონიტორინგის შედეგად აღმოჩენილი, პროგრამის განხორციელების პოზიტიური მხარეები:

1. ტრენინგის მსვლელობისას მონაწილეები უზრუნველყოფილი იყვნენ მასალებით. გამოკვლული პედაგოგების უმრავლესობა კმაყოფილი იყო ჩატარებული ტრენინგების ხარისხით: "მასწავლებლები კმაყოფილი იყვნენ ტრენინგებით, ტრენინგზე დარიგებული მასალებითა და თვალსაჩინოებებით" (განათლების ინსტიტუტი, ტრენინგი "რუსული ენის სწავლების მეთოდოლოგია"-ტრენერი - ლალი ლომთათიძე. დამსწრეთა რაოდენობა 30); ასევე, "მასწავლებლები კმაყოფილები იყვნენ ტრენინგებით და მოქმედი პროვაიდერი ორგანიზაციის საქმიანობას დადებითად აფასებდნენ". ტრენინგების შეფასება ყველა რეგიონში იდენტურია. იყვნენ უკმაყოფილო პედაგოგებიც, რომელთა მაგალითები ქვემოთაა აღწერილი;

2. ტრენინგებს უძღვებოდნენ კვალიფიციური ტრენერები: პედაგოგები კმაყოფილები იყვნენ ტრენერების კვალიფიკაციით: "ტრენერის ძლიერი მხარე არის ის, რომ ყველა საკითხთან მიმართებაში მას აქვს ორიგინალური სიტუაციური მაგალითები და თუ პედაგოგები ვერ ასახელებენ ნიმუშებს საკუთარი პრაქტიკიდან, ის აწვდის ასეთი ტიპის განსახილველ საკითხებს. ასევე, ტრენერს მოჰყავს სიტუაციის შესაბამისი ანეკდოტიც, რაც კარგი განტვირთვის

საშუალებაა და ჯგუფის მონაწილეთა განწყობაც მაღლდება" . ასევე: "ტრენინგი კარგად არის ორგანიზებული, - ტრენერი მეტად პასუხისმგებლობით ეკიდება მასზე დაკისრებულ საქმეს, აქტიურად და ენერგიულად ატარებს ტრენინგს, გასაგებად ხსნის, აქვს მაღალი ხმის ტემბრი და ახერხებს მასწავლებლების დაინტერესებას. ყოველ მათგანს საშუალებას აძლევს, ჩაერთოს მეცადინეობაში, იაქტიუროს და თავისი აზრი გამოთქვას ახსნილ საკითხებთან დაკავშირებით"; ასევე: "ტრენინგის მიმდინარეობის პროცესში ტრენერის მხრიდან ყველა დასმულ შეკითხვაზე გაცემულ იქნა ამომწურავი პასუხი, რამაც მასწავლებელთა ინტერესი კიდევ უფრო აამაღლა. ტრენინგში ერთნაირად აქტიურად იყო ჩართული ორივე მხარე: ტრენერიც და მსმენელიც, რომლებიც დიდი ინტერესით ისმენდნენ და აანალიზებდნენ მიწოდებულ ინფორმაციას. ტრენინგი მიმდინარეობდა საინტერესოდ, გამოყენებული იყო სხვადასხვა მეთოდები: კითხვა, პასუხი და როლური თამაშები." ;

3. რაოდენობრივად ბევრი ჯგუფის შეკრება მოახერხეს იმ ტრენინგ-პროვაიდერმა ორგანიზაციებმა, რომლებმაც ტრენინგები ჩაატარეს რეგიონულ დონეზე. საგანმანათლებლო ორგანიზაციებმა, რომელთაც იაქტიურეს რეგიონულ დონეზე უფრო მეტი ჯგუფები დააკომპლექტეს ვიდრე იმ ორგანიზაციებმა, რომელთაც მხოლოდ თბილისში ან რეგიონულ ცენტრებში ჩაატარეს ტრენინგები: "ფონდი "განათლების ინსტიტუტი" ერთადერთი პროვაიდერი ორგანიზაციაა ხობში, ამდენად მათ არ გაჭირვებიათ მსმენელთა ჯგუფების შეკვრა. ეს ორგანიზაცია გამოირჩევა იმით, რომ ადგილზე სთავაზობს ყველა რეგიონის წარმომადგენლებს ტრენინგების ჩატარებას, რაც ხელმისაწვდომია ადგილობრივი მასწავლებლებისათვის, ასევე, აღსანიშნავია, რომ ტრენინგებზე მსმენელი მასწავლებლების რაოდენობა მაღალია >...< ".

4. ტრენინგპროვაიდერმა ორგანიზაციებმა შეასრულეს დადებითი როლი ვაუჩერული დაფინანსების პროგრამის რეკლამირებასა და მასწავლებელთათვის ინფორმაციის მიწოდებაში. ტრენინგ-პროვაიდერი ორგანიზაციები აკეთებდნენ პრეზენტაციებს პედაგოგებისათვის, მათ უწევდათ მრავალ შეკითხვაზე პასუხის გაცემა, რომელიც მასწავლებლებს უზნდებოდათ ვაუჩერული დაფინანსების პროგრამის შესახებ: "რადგან სკოლის პედაგოგები ნაკლებად იყვნენ

ინფორმირებული მიმდინარე ვაუჩერიზაციის პროცესზე, პრეზენტაციებმა დაწვრილებით ისაუბრეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ვაუჩერული დაფინანსების პროგრამის შესახებ" ("სკოლა-ოჯახი- საზოგადოება", პრეზენტაცია ბათუმის №13 საჯარო სკოლაში);

5. ტრენინგპროვაიდერმა ორგანიზაციებმა ნაყოფიერად ითანამშრომლეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრთან. ყოველი ტრენინგის დაწყების წინ საგანმანათლებლო ორგანიზაციებს მოქონდათ მასწავლებელთა აღრიცხვის ფორმა და ტრენინგის ჩატარების კოორდინატები;

6. ჩატარებული ტრენინგების დროს ტრენინგპროვაიდერმა ორგანიზაციებმა დაიცვეს ხელშეკრულებით და აკრედიტაციით გათვალისწინებული მოთხოვნები. საგანმანათლებლო ორგანიზაციები შეეცადნენ დაეცვათ ის წესები და ვალდებულებები, რომელიც გათვალისწინებული იყო ხელშეკრულებით: "პროვაიდერი ორგანიზაცია იყენებს შეფასების ფორმებს, რომლებსაც ავსებენ მონაწილე პედაგოგები თითოეული ტრენინგის დასრულების შემდეგ. ტრენინგის დასრულების შემდეგ მონაწილე მასწავლებლები იღებენ სერთიფიკატს, მაგრამ მხოლოდ ისინი ვინც დაესწრო კურსის 70%-ზე მეტს და წარმატებით ჩააბარა ტესტი. ("დიდაქტიკა", საბაზო და საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, თბილისი); აღნიშნული მოთხოვნები ტრენინგის განხორციელებისას შეასრულეს ინგლისური ენის მასწავლებელთა ასოციაციამ, ილია ჭავჭავაძის სახელწიფო უნივერსიტეტმა, ფონდმა "უწყვეტი განათლება" ქუთაისში ჩატარებულ ტრენინგებზე. ასევე დიდაქტიკის მიერ ქარელში ჩატარებული ტრენინგი: "ტრენინგი მიმდინარეობდა მოწესრიგებულ გარემოში. დასწრების აღრიცხვა მიმდინარეობდა ყოველ ტრენინგზე. ტრენინგის მსვლელობისას გამოყენებული იყო ჯგუფური და ინდივიდუალური აქტივობები. ტრენერი ცდილობდა ყველა მონაწილის ერთნაირად ჩართვას ტრენინგში. ახლად გავლილი მასალის განსამტკიცებლად ქონდათ ტესტი. პედაგოგებმა შეაჯამეს განვლილი მასალა". ("განვითარებისა და სწავლების თეორიები და მათი გამოყენების პრაქტიკა სკოლაში", "დიდაქტიკა");

7. ტრენინგების უმრავლესობა ჩატარდა სკოლებში. შერჩეული იყო სამუშაოდ ვარგისი საკლასო ოთახები, ბიბლიოთეკები და დარბაზები. ტრენინგებისათვის,

შეძლებისდაგვარად, საქართველოში არსებული პირობებიდან გამომდინარე შეირჩა საუკეთესო საკლასო ოთახები, ბიბლიოთეკები და საკონფერენციო დარბაზები: "ტრენინგი ტარდებოდა 23-ე საჯარო სკოლის ერთ-ერთ საკლასო ოთახში, შესაბამისად გარემო იყო ტიპური გაკვეთილის შესაფერისი. დიდი და ნათელი ოთახი, ისე რომ ყველა მონაწილე კარგად ხედავდა დაფასაც და იოლად ურთიერთობდა ტრენერთან." ("დიდაქტიკა", საბაზო და საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, თბილისი). მონიტორინგის სპეციალისტების შეფასება საკლასო ოთახებთან დაკავშირებით ყველა რეგიონში იდენტურია.

მონიტორინგის შედეგად აღმოჩენილი, პროგრამის განხორციელების ნეგატიური მხარეები:

1. **ტრენინგპროვაიდერი ორგანიზაციების დაბალი აქტიურობა რეგიონალურ დონეზე.** გამოკვლეული სკოლების უმრავლესობაში პედაგოგებისა და სკოლის დირექტორების უკმაყოფილება ძირითადად ეხებოდა პასიურ პროვაიდერებს, რომელთაც არ გამართეს პრეზენტაციები და არ ჩაატარეს ტრენინგები რეგიონულ დონეზე.

2. **საგანმანათლებლო ტრენინგებისა და სასწავლო პროცესის დამთხვევა;** ყველა გამოკვლეული რაიონისა და სკოლის მონაცემების გაანალიზების შედეგად, დადგინდა, რომ "პედაგოგებს, სამუშაო გრაფიკებიდან გამომდინარე, უჭირთ ტრენინგებზე დასწრება, რაც მოქმედებს მათი მუშაობის ხარისხზე" , ასევე: "პედაგოგები აღნიშნავენ, რომ ტრენინგენისთვის გამოყოფილი საათები არ არის საკმარისი საჭირო მასალის ასათვისებლად. აღნიშნავენ, აგრეთვე, რომ ძნელად უთავსებდნენ საგაკვეთილო პროცესსა და ტრენინგებს ერთმანეთს".

3. **შენობაში, სადაც ტრენინგები მიმდინარეობდა, არ იყო სასადილო.**

4. **სასწავლო გარემოს არაორგანიზებულობა.** დაკვირვებისას აღმოჩნდა ტრენინგები, სადაც სამუშაო გარემო არ იყო მოწესრიგებული და შესაბამისი: "სასწავლო გარემო არ შეესაბამებოდა ტრენერის მიერ მიცემულ დავალებებს, რადგან მიკროჯგუფებში მუშაობისას, პედაგოგებს, მაგიდებისა და სკამების

განლაგების გამო, არ ჰქონდათ საშუალება, დამსხდარიყვნენ მოხერხებულად. ამ მოუხერხებელი გარემოების გამო პედაგოგები არ იცვლიდნენ სამუშაო ადგილს და მიკროჯგუფებში ხვდებოდა არათანაბარი რაოდენობის მონაწილე. ასევე, იყო ინსტრუქტაჟის პრობლემა, რადგან ტრენერი მიკროჯგუფებში აძლევდა დავალებებს და მათ არ ჰქონდათ ინფორმაცია, რომ ბოლოს ეს უნდა გადაეტანათ ფურცელზე და გაეკეთებინათ პრეზენტაცია. მათ არ ჰქონდათ სამუშაო ფურცლები და მარკერები, წერდნენ კალმებით პატარა რვეულებში, შესაბამისად, პრეზენტაციისას, ან ადგილიდან კითხულობდნენ, ან გამოჰქონდათ პატარა ფურცელზე კალმით ჩამოწერილი საკითხები, რის დაფაზე გაკვრასაც არ ჰქონდა მნიშვნელობა." ასევე: "შესვენების შემდეგ მსმენელები არაორგანიზებულად ბრუნდებოდნენ ჯგუფში, არ იყო ერთი კონკრეტული დრო შეთანხმებული, ამიტომ ტრენერმა ტრენინგი მცირერიცხოვან ჯგუფში განაგრძო, რაც არ იყო გამართლებული, რადგან ინსტრუქტაჟის მიცემა დაგვიანებული პედაგოგებიანთა დესტრუქციულად მოქმედებდა ჯგუფის სამუშაო დინამიკაზე."

5. პროვაიდერებმა უფლება მისცეს პედაგოგებს, ტრენინგებს ვაუჩერების გარეშე დასწრებოდნენ და მერე მოეტანათ ვაუჩერები. დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც საგანმანათლებლო ორგანიზაციამ უვაუჩერო პედაგოგს უფლება მისცა ტრენინგზე დასწრების, იმ პირობით რომ პედაგოგები შემდეგში მიიტანდნენ თავის კუთვნილ ვაუჩერს: "ტრენინგს ესწრება გლდანი-ნაძალადევის რაიონის 2 პედაგოგი, რომლებმაც გაიარეს რეგისტრაცია პროვაიდერთან და აღარ შეხვდათ ვაუჩერები. მათი საკითხი ღიად დარჩა, რადგან ჯერ არ იციან, აიღებენ ვაუჩერებს თუ მოუწევთ, თავად გადაიხადონ ტრენინგის ღირებულება."

6. მასწავლებლები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ ტრენინგების განრიგის გამო: "სოფელში მოღვაწე მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ ტრენინგის განრიგის გამო (დასრულების დრო), მათ ექმნებოდა პრობლემები ტრანსპორტთან". ("დიდაქტიკა", ჩოხატაურის №1 სკოლა, "ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება საბაზო და საშუალო სკოლაში");

7. პედაგოგები უკმაყოფილებას გამოხატავენ დროის სიმცირის გამო. ი. ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერის ცენტრის ტრენინგზე დამსწრე პედაგოგები თვლიან, რომ

ტრენინგების ხანგრძლივობა უნდა გაიზარდოს საკითხების სირთულიდან გამომდინარე. ასეთივე აზრი დაფიქსირდა უწყვეტი განათლების მიერ ქუთაისში ჩატარებული ტრენინგის განმავლობაში: "ძირითად პრობლემად აღინიშნა დროის სიმცირე, საკითხების სირთულე და ამ მცირე დროში უცხო ტექსტების აღქმა და გაანალიზება. მოთხოვნები იყო შემდეგი: მეტი დრო, მეტი კრედიტები და სახელმწიფოს დაფინანსების გაგრძელება გამოცდების დაწყებამდე, სასერტიფიკაციო გამოცდების გადავადება, მასალების, ტესტების დახვეწა და გამარტივება".

8. ტრენინგ-პროვაიდერი ორგანიზაციების მცდელობა სკოლის დირექტორებისა და რესურსცენტრის პასუხისმგებელი პირის გამოყენებით, მოეხდინათ მასწავლებელთა დარეგისტრირება თავიანთ პროგრამებზე, მასწავლებელთა სურვილის გათვალისწინების გარეშე: ახმეტის რესურსცენტრის პასუხისმგებელ პირს ერთ-ერთმა პროვაიდერმა, "სკოლა-ოჯახი-საზოგადოება", შესთავაზა: "რომ ისინი (სკოლა, ოჯახი, საზოგადოება) წაუღებენ მასწავლებლებს ვაუჩერებს და გაუიოლებენ საქმეს. ანუ მოხდება მასწავლებლების დაუსწრებლად ვაუჩერების გაცემა". ასევე, ბათუმის №1 საჯარო სკოლის დირექტორს: "დაუკავშირდა ერთ-ერთი პროვაიდერი (ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტი) და განაცხადა, რომ თუ დირექცია ჯგუფს დააკომპლექტებს მათი სკოლის მასწავლებლებისგან, ისინი ჩაატარებენ ტრენინგებს".

ვაუჩერული დაფინანსების პროგრამის განხორციელებისას, ტრენინგებზე გამოვლენილი ტენდენციები:

1. პედაგოგები პირადი ნაცნობობის საფუძველზე ირჩევდნენ პროვაიდერებს: პედაგოგები საგანმანათლებლო ორგანიზაციას ირჩევდნენ მისი ხელმძღვანელის ნაცნობობის საფუძველზე, მაგალითად: "გარდაბნის რესურსცენტრის უფროსს ვაუჩერების გაცემის დასაწყისში ეჭვი შეეპარა პროვაიდერისა (განათლების ინსტიტუტი) და პედაგოგების ურთიერთობაში, რადგან სულ ერთსა და იმავე ორგანიზაციაზე მოჰქონდათ მოთხოვნა. მაგრამ მერე გამოირკვა, რომ ეს, უბრალოდ, იმ პროვაიდერის მუშაობისა და პედაგოგებთან მისი ნაცნობობის

შედგენი იყო" . ეს ზემოთ ნახსენებ ტენდენციებსაც ეხმიანება. პედაგოგთა არჩევანი ხშირ შემთხვევაში განაპირობა არა საინტერესო ანოტაციებმა ან პრეზენტაციებმა, არამედ პირადმა ნაცნობობამ.

2. სკოლის მასწავლებლები ხშირად მოითხოვენ, რომ ტრენინგები ჩაუტარონ თბილისიდან მოწვეულმა ტრენერებმა;

3. ორგანიზატორებს უჭირთ ტრენინგებისათვის მკაფიო გრაფიკების ჩამოყალიბება, რადგან მასწავლებლებს აქვთ სხვადასხვაგვარი მოთხოვნები სასწავლო გრაფიკებიდან გამომდინარე. ხშირად პედაგოგები ტრენინგის პირველ დღეს ტრენერთან ერთად წყვეტენ მომდევნო დღეების თარიღებსა და სასურველ საათებს. თუმცა ეს გრაფიკიც შეიძლება შეიცვალოს, რომელიმე ტრენინგ დღის ბოლოს, ისევე მასწავლებელთა მოთხოვნიდან გამომდინარე;

4. რაოდენობრივად პედაგოგების დიდი ნაწილი დარეგისტრირდა იმ ტრენინგ-პროვაიდერ ორგანიზაციებში, რომელთაც იაქტიურეს რეგიონალურ დონეზე.

საინტერესო ფაქტები:

1. „მასწავლებელთა განწყობა იყო პოზიტიური, იგრძნობოდა კმაყოფილება პროგრამის მიმართ და პედაგოგები მაღლიერებას გამოხატავდნენ ტრენერთან დაკავშირებით. ასევე, საუბრობდნენ მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივებზე, ზოგიერთმა პედაგოგმა გამოთქვა სურვილი, თვითდაფინანსებითაც დაესწროს სხვა ტრენინგებს "


2. ფონდი "უწყვეტი განათლების" დირექტორის განცხადებით: "კარგი იქნება თუ მოეწყობა პროვაიდერების ერთობლივი და კოორდინირებული პრეზენტაციები ამა თუ იმ რეგიონალურ ცენტრებში, რათა თანაბარ პირობებში ხდებოდეს პროვაიდერი ორგანიზაციების წარდგენა-გაცნობა. საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან რაიმე მექანიზმის შემუშავება ამ კუთხით მათ დასახმარებლად".

კვლევა ჩატარებული ტრენინგებში მონაწილე და არამონაწილე მასწავლებლების ტრენინგებისადმი დამოკიდებულების შეფასების მიზნით:

2009 წლის სექტემბრის, ოქტომბრის, ნოემბრისა და დეკემბრის თვეებში უშუალოდ ჩატარებული ტრენინგების შეფასების მიზნით მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მონიტორინგის სამსახურის მიერ ჩატარებულ კვლევაში მონაწილეობა მიიღეს ტრენინგზე დამსწრე მასწავლებლებმა. მონიტორინგის სპეციალისტები დაესწრნენ 132 ტრენინგს და გამოკითხეს 2702 პედაგოგი. რეგიონების მიხედვით გამოკვლეული ტრენინგები შემდეგნაირად გადანაწილდა (იხილეთ პირველი დანართი, ცხრილი № 1) - აჭარა და გურია, კახეთი, იმერეთი და რაჭა, თბილისი, სამეგრელო, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, მცხეთა მთიანეთი

პედაგოგთა უმრავლესობა, 2556 პედაგოგი (95%) მდედრობითი სქესის წარმომადგენელია. ტრენინგზე დამსწრე მასწავლებლები, ასაკობრივი თვალსაზრისით, შემდეგნაირად გადანაწილდნენ:

გრაფიკი 1: ტრენინგზე დამსწრე მასწავლებლების ასაკობრივი რანჟირება



მასწავლებლების ყველაზე მეტი რაოდენობა (770 პედაგოგი (29%)) მოდის "39-49" ასაკობრივ ჯგუფზე, ხოლო ყველაზე ნაკლები (200 პედაგოგი (8%)) - "22-27" ასაკობრივ ჯგუფზე (იხილეთ პირველი დანართი, ცხრილი № 2).

პედაგოგებმა შეავსეს ტრენინგების შეფასების კითხვარები, რომელიც შედგებოდა ღია, ნახევრად ღია და დახურული შეკითხვებისაგან. ანგარიშში წარმოდგენილია მასწავლებელთა შეფასების კითხვარის ყველა დახურული და ნახევრად ღია შეკითხვის ანალიზი. ყოველი ტრენინგის ცალკე შეფასებისას გაანალიზდა ღია შეკითხვები და მასწავლებელთა რეკომენდაციები, რომელიც მონიტორინგის დაკვირვების ანგარიშში აისახა.

დებულებაზე: "მასწავლებელთა პროფესიული განვითარების გაუჩერებელი დაფინანსების პროგრამა ხელს შეუწყობს პედაგოგებს სერტიფიცირების გამოცდის წარმატებით ჩაბარებაში", ძირითადად დადებითი პასუხები დაფიქსირდა პასუხები დაფიქსირდა (იხილეთ პირველი დანართი, ცხრილი 3).


მონიტორინგის განმავლობაში მიღებული მონაცემები არ შეცვლილა. პედაგოგები ერთხმად აღნიშნავენ ტრენინგების სარგებლიანობის, ორგანიზებულობისა და ტრენინგების მაღალი კვალიფიკაციის შესახებ. იყო უმაყოფილებაც. პედაგოგების უმეტესობა კითხვარში არსებული რეკომენდაციების ბლოკში საუბრობდა ტრენინგების ხანგრძლივობისა და სერტიფიკაციის გამოცდისათვის მოსამზადებელი დროის სიმცირის შესახებ. პედაგოგებისათვის პრობლემას წარმოადგენდა გადაადგილება, სეზონური სამუშაოები და კვება ტრენინგის განმავლობაში. მათი აზრით, შემდეგ ეტაპზე საგანმანათლებლო ორგანიზაციებმა უნდა გაითვალისწინონ რეგიონის რელიეფური, სასოფლო-სამეურნეო და სეზონური მახასიათებლები. წინააღმდეგ შემთხვევაში მაღალმთიანი და რეგიონული ცენტრებიდან დაშორებით მცხოვრები პედაგოგებისათვის აზრი არ ექნება მსგავსი პროგრამების განხორციელებას.

დებულებაზე: "მსგავსი პროგრამები საჭიროა და ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიული დონის ამაღლებას", გაუჩერებელი დაფინანსების პროგრამის მსვლელობისას, ყოველი თვის შუალედში ფიქსირდებოდა მსგავსი პროცენტული მაჩვენებელი (იხილეთ პირველი დანართი, ცხრილი № 4)

როგორც დაკვირვებამ გამოავლინა ტრენინგ-პროვაიდერი ორგანიზაციების წარმატებაზე დიდი გავლენა მოახდინა აქტიურობამ რეგიონულ დონეზე და პირადმა ნაცნობობამ. იყო უკმაყოფილება ორგანიზაციებს შორის თუმცა ეს არ გადაზრდილა სერიოზული სახის დაპირისპირებაში.

შეკითხვაზე, თუ საიდან მიიღეს ტრენინგზე დამსწრე მასწავლებლებმა გაუჩერული დაფინანსების პროგრამის შესახებ ინფორმაცია, შემდეგი პასუხები დაფიქსირდა: პედაგოგების უმრავლესობამ პროგრამის შესახებ ინფორმაცია მიიღო საკუთარი სკოლის დირექტორისგან (80%), ასევე სატელევიზიო რეკლამიდან (41%), ადგილობრივი რესურსცენტრისა (28%) და სკოლის პედაგოგების საშუალებით (13%). ეს მონაცემები კიდევ ერთხელ ამყარებს მოსაზრებას, რომ სკოლის დირექტორებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს გაუჩერული დაფინანსების პროგრამის განხორციელებაში. მაგალითად, პედაგოგები ასე აფიქსირებდნენ, სად გაეცნენ პროგრამულ ანოტაციებს:

გრაფიკი 2: საიდან მიიღეს ტრენინგზე დამსწრე მასწავლებლებმა გაუჩერული დაფინანსების პროგრამის შესახებ ინფორმაცია



წყარო: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების გაუჩერული დაფინანსების პროგრამის მონიტორინგის სამსახური

როგორც დაკვირვებამ, ასევე რაოდენობრივად მიღებულმა მონაცემებმა აჩვენა, რომ პედაგოგების უმრავლესობამ პროგრამული ანოტაციების გაცნობა მოახერხა სკოლებში და სკოლის დირექტორის მეშვეობით (იხილეთ პირველი დანართი, ცხრილი №5).

დებულებაზე: ”სერტიფიცირების გამოცდისათვის მომზადებულად ვგრძნობ თავს”, საგნების მიხედვით რაოდენობრივი მონაცემები ისე გადანაწილდა, რომ უფრო დიდი პროცენტი (65%) ნაწილობრივ ეთანხმება, დასმულ შეკითხვას (იხილეთ პირველი დანართი, ცხრილი № 6).

მთლიანად მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ტრენინგზე დამსწრე პედაგოგების 30% (766) მზადაა სერტიფიცირების გამოცდისათვის და შესაბამისად, ეს რაოდენობა მიიღებს მონაწილეობას სერტიფიცირების გამოცდის პირველივე წლებში. თუმცა, შესაძლოა სერტიფიცირების გამოცდის პირველივე წელს იმ მასწავლებლების დიდი ნაწილი გავისულიყო, რომელიც გაივლიდა ვაუჩერული დაფინანსების პროგრამის ფარგლებში ჩატარებულ ტრენინგებს. მართალია, გარკვეული რაოდენობა შეიძლება თავს ვერ გრძნობდა სერტიფიკაციის გამოცდისათვის მომზადებულად, მაგრამ სხვა საშუალება ან შესაძლებლობა არ ჰქონდა მომზადების და ამიტომ ახლავე სცადოს გამოცდაზე გასვლა, იმის შიშით, რომ სამომავლოდ გადაღების შემთხვევაში ის მასალაც დაავიწყდება, რაც ტრენინგზე აითვისა.

კვლევის ანგარიში ასევე მოიცავს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ვაუჩერული დაფინანსების პროგრამის არამონაწილე პედაგოგების მიერ პროგრამის შეფასებასა და რეკომენდაციებს.

მონიტორინგის სპეციალისტების მიერ არამონაწილე პედაგოგების მოძიება დაიწყო 2009 წლის 1 ნოემბრის შემდეგ, ვაუჩერების გაცემის შეწყვეტისთანავე. მონიტორინგის გეგმაში შერჩევით გათვალისწინებული იყო დაახლოებით 1000 არამონაწილე პედაგოგის გამოკითხვა. საბოლოოდ მონიტორინგის რეგიონული სპეციალისტების მიერ გამოკითხული იქნა 979 პედაგოგი. რეგიონების მიხედვით გამოკითხული პედაგოგების გადანაწილება იხ. პირველი დანართის, №7 ცხრილში.

რეგიონებში გამოკითხული პედაგოგები თანაბრად გადანაწილდა რაიონული ცენტრების სიდიდის მიხედვით. პედაგოგთა უმრავლესობა, 909 პედაგოგი (93%) მდებრობითი სქესის წარმომადგენელია. გამოკითხული მასწავლებლები, ასაკობრივი თვალსაზრისით, შემდეგნაირად გადანაწილდნენ (იხილეთ პირველი დანართი, ცხრილი № 8): მასწავლებლების ყველაზე მეტი რაოდენობა (287 პედაგოგი (29%)) მოდის "50-60" ასაკობრივ ჯგუფზე, ხოლო ყველაზე ნაკლები (60 პედაგოგი (6%)) - "22-27" ასაკობრივ ჯგუფზე. 50 წელს გადაცილებული პედაგოგების ჯამმა საბოლოოდ 45% შეადგინა. ამ მაჩვენებელმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ შედარებით ხნიერი პედაგოგებმა თავი შეიკავეს ტრენინგებზე დასწრებისაგან.

პედაგოგებმა შეავსეს ვაუჩერული დაფინანსების შეფასების კითხვარები, რომელიც შედგებოდა ღია, ნახევრად ღია და დახურული შეკითხვებისაგან. ანგარიშში წარმოდგენილია არამონაწილე მასწავლებელთა შეფასების კითხვარის ყველა დახურული და ნახევრად ღია შეკითხვის ანალიზი. ყოველი ტრენინგის ცალკე შეფასებისას გაანალიზდა ღია შეკითხვები და მასწავლებელთა რეკომენდაციები. არამონაწილე პედაგოგების მოსაზრებები ხშირ შემთხვევაში თანხვედრაში მოვიდა მონაწილე პედაგოგების მოსაზრებებთან.

გამოკითხული პედაგოგებიდან ყველას სმენია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ვაუჩერული დაფინანსების პროგრამის შესახებ. ეს არის სკოლის დირექტორების, რესურსცენტრების, ტრენინგ-პროვაიდერი ორგანიზაციების მუშაობისა და სარეკლამო კამპანიის შედეგი, რომელიც მიმდინარეობდა პროგრამის მსვლელობასთან ერთად. ქვემოთ განხილულია არამონაწილე პედაგოგთა პასუხები შეფასების კითხვარში არსებულ შეკითხვებზე.

დებულებაზე: "მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ვაუჩერული დაფინანსების პროგრამა ხელს შეუწყობს პედაგოგებს სერტიფიცირების გამოცდის წარმატებით ჩაბარებაში" (იხილეთ პირველი დანართი, ცხრილი № 9), საკმაოდ მაღალი მონაცემი (51%) დაფიქსირდა, რაც საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ ქვეყანაში ზოგადად პედაგოგები დადებითად შეხვდნენ ვაუჩერული დაფინანსების პროგრამის განხორციელებას. ამ მოსაზრებას ცხადყოფს დებულებაზე "მსგავსი პროგრამები საჭიროა და ხელს უწყობს

მასწავლებელთა პროფესიული ღონის ამაღლებას" და ასევე დებულებაზე: "მსგავსი პროგრამები ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო ორგანიზაციების კონკურენტუნარიანი ბაზრის შექმნას" მიღებული მონაცემები (იხილეთ პირველი დანართი, ცხრილები № 10, 11).

შეკითხვაზე: "აპირებთ თუ არა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების გაუჩერებელი დაფინანსების პროგრამის შემდეგ ეტაპზე აიღოთ გაუჩერებელი", დადებითი პასუხის დიდი პროცენტი დაფიქსირდა (იხ. პირველი დანართი, ცხრილი № 12), ხოლო ასაკის მიხედვით, ყველაზე დიდი რაოდენობა 39-60 წლის ასაკის პედაგოგებზე მოდის (იხილეთ პირველი დანართი, ცხრილი № 13)

როგორც ჩანს, პედაგოგების უმრავლესობა ელოდება გაუჩერებლობის შემდეგი ეტაპის დაწყებას და მათი უმრავლესობა აპირებს მონაწილეობა მიიღოს პროგრამაში. პედაგოგების რიცხვი, რომელიც საერთოდ არ აპირებს მონაწილეობის მიღებას მათი ასაკის ზრდასთან ერთად იზრდება.

ღია შეკითხვების კლასიფიკაციის შემდეგ დადგინდა ის ძირითადი პრობლემები, რომლებმაც ხელი შეუშალა პედაგოგებს გაუჩერებელი დაფინანსების პირველ ეტაპზე აეღოთ და გამოეყენებინათ გაუჩერებელი. 979 პედაგოგიდან პრობლემა დაასახელა 725 პედაგოგმა. სულ დასახელდა 12 პრობლემა. (იხილეთ პირველი დანართი, ცხრილი № 14).

როგორც ვხედავთ ყველაზე მასშტაბური პრობლემა, რამაც ხელი შეუშალა პედაგოგებს გაუჩერებელის აღებაში არის გაუჩერებლის ნაკლებობა.


რაც შეეხება რეკომენდაციებს, კვლევის შედეგად პედაგოგებმა დააფიქსირეს შემდეგი რეკომენდაციები:

- ტრენინგები ჩატარდეს რეგიონებში, რაიონულ ცენტრებსა და სოფლებში;
- ტრენინგები ჩატარდეს არდადეგების პერიოდში;
- იაქტიურონ პროვაიდერებმა, ჩაატარონ რეგიონულ დონეზე პრეზენტაციები და ახლოს გაეცნონ პედაგოგებს;
- გაიზარდოს დაფინანსებული კრედიტების რაოდენობა;
- გარკვეულ პროგრამებზე თანხის დამატება აღარ იყოს საჭირო;
- ჩატარდეს უფრო მეტი ტრენინგი პროფესიულ უნარჩვენებში.

საგანმანათლებლო ორგანიზაციების წარმომადგენელთა და ტრენერთა ტრენინგებისადმი დამოკიდებულების შეფასება:

კვლევის ანგარიში მოიცავს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის გაუჩერული დაფინანსების პროგრამის მონიტორინგის ფარგლებში გამოკითხული საგანმანათლებლო ორგანიზაციების წარმომადგენელთა და ტრენერთა შეფასებას. გაუჩერული დაფინანსების პროგრამის მსვლელობისას მონიტორინგის სპეციალისტები დაესწრნენ 132 ტრენინგს და გამოკითხეს 148 ტრენერი. რესპონდენტებმა შეაფასეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების გაუჩერული დაფინანსების პროგრამის მონიტორინგის შეფასების რაოდენობრივი კითხვარები, რომელიც შედგებოდა ღია, ნახევრად ღია და დახურული შეკითხვებისაგან. დამუშავდა ღია შეკითხვები და მასწავლებელთა რეკომენდაციები, რომელიც მონიტორინგის დაკვირვების ანგარიშში აისახა და გამოყენებული იქნა პროგრამაში ჩართული მხარეებისათვის გაწერილ რეკომენდაციებში. ტრენერების უმრავლესობა, 133 ტრენერი (90%) მდებარეობითი სქესის წარმომადგენელია. ტრენერების შეფასება, პრობლემები და რეკომენდაციები განსხვავდებოდა პედაგოგებისა და სკოლის დირექტორების მიერ გაკეთებული შეფასებებისაგან. შეკითხვაზე: "დაესწრო თუ არა თქვენი ტრენინგის ყველა სესიას, ყველა ის მასწავლებელი, რომელიც წინასწარ დარეგისტრირდა თქვენს პროგრამაზე?" პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა:

გრაფიკი 3: ტრენერების პასუხი კითხვაზე დაესწრო თუ არა ყველა დარეგისტრირებული მასწავლებელი ყველა სესიას



უარყოფითი პასუხის შემთხვევაში ტრენერები ასახელებდნენ ძირითად ტენდენციებს, რის გამოც წინასწარ დარეგისტრირებულმა პედაგოგებმა აღარ გაიარეს მათ მიერ განხორციელებული ტრენინგები:

1. პედაგოგების გარკვეულმა ნაწილმა მოითხოვა ტრენინგებზე დასწრება ვაუჩერის გარეშე;
2. პედაგოგები წინასწარი დარეგისტრირების შემდეგ ცვლიდნენ გადაწყვეტილებას და რეგისტრირდებოდნენ სხვა საგანმანათლებლო ორგანიზაციის ტრენინგზე;
3. პედაგოგებს აკლიათ საბაზო ცოდნა (აქტივობები), მზად არ არიან ტრენინგზე განხილული საკითხების ასათვისებლად, ამიტომ იყო შემთხვევები, როდესაც აღარ მოდიოდნენ და აღარ ესწრებოდნენ ტრენინგებს;
4. პედაგოგები სრულად არ ესწრებოდნენ ტრენინგებს.

გარდა ამისა ტრენერებმა ჩამოთვალეს პრობლემები რომლებმაც ხელი შეუშალა პედაგოგებს ვაუჩერების აღებასა და გამოყენებაში. ყველაზე ხშირად დასახელებული პრობლემებია:

1. ვაუჩერების არასაკმარისი რაოდენობა;
2. არასაკმარისი დრო ვაუჩერის გამოსაყენებლად, ხშირად იყო შემთხვევა რომ პედაგოგებმა აიღეს ვაუჩერი მაგრამ ვერ ჩაეტივნენ ტრენინგის განხორციელების ვადებში;
3. მასწავლებელთა არაინფორმირებულობა; მასწავლებლები ვერ ერკვეოდნენ პროგრამასთან დაკავშირებულ საკითხებში ან ერკვეოდნენ არასწორად;
4. მასწავლებლებს მცირე დრო ჰქონდათ პროგრამების გასაცნობად;
5. მასწავლებელთა გულგრილობა, იყვნენ მასწავლებლები, რომლებმაც ვერ მოასწრეს წელს ვაუჩერის აღება, რადგან თავის დროზე არ დაუთმეს მას სათანადო ყურადღება;
6. ინგლისური ენის ცოდნის დაბალი დონე მასწავლებელთა შორის.

ტრენერებმა ასევე შეაფასეს ზოგადად პედაგოგების დამოკიდებულება და ტრენინგზე დამსწრე პედაგოგების ჩართულობა (იხ. პირველი დანართი, ცხრილი № 15).

საინტერესო გამოდგა ტრენერების მიერ მოცემული რეკომენდაციები, პროგრამის უკეთ განხორციელებისათვის:

1. მასწავლებლებისათვის დროული და ზუსტი ინფორმაციის მიწოდება პროგრამის განხორციელებისა და გაუჩერების ადმინისტრირების შესახებ. უკეთესი სარეკლამო კამპანიის დაგეგმვა და განხორციელება;
2. სოფლად მცხოვრები მასწავლებლებისათვის გადაადგილების საშუალებით უზრუნველყოფა, ტრენინგის ჩატარების გრაფიკის მოგვარება;
3. მეტი გაუჩერების მიწოდება რესურსცენტრებისათვის;
4. მასწავლებლებმა უფრო მეტი უნდა იმუშაონ დამოუკიდებლად;
5. კარგი იქნებოდა მასწავლებელთა საბაზო მომზადება. მომზადებული პედაგოგები უკეთ აითვისებენ ტრენინგზე განხილულ საკითხებსა და მასალებს. სკოლაში კათედრებმა უნდა იმუშაონ ამ მიმართულებით;
6. სასურველია ტრენინგი უფრო ხანგრძლივი იყოს, რათა სრულად მოიცვას ის პროგრამა, რომლის მიხედვითაც ჩატარდება მასწავლებელთა სერტიფიცირება.
7. სასურველია, ყველგან, სადაც ტარდება ტრენინგები აუდიტორიები იყოს შესაბამისად აღჭურვილი და კეთილმოწყობილი;
8. პროგრამა უკეთესად განხორციელდება, თუ სკოლებს, სადაც ტრენინგი ტარდება, დროულად მიეცემა უფლება სკოლის გარკვეული ფართის გაქირავებასთან დაკავშირებით.

წინამდებარე ქვეთავში მოცემულ შეფასებებში არაფერია ნათქვამი ზრდასრულთა ტრენინგების პრაქტიკოსთა წინასწარ მომზადების საჭიროების შესახებ. გარდა ამისა, ცალკე საკითხია, თუ რა მეთოდებს მიმართავენ ტრენერები და პროვაიდერი ორგანიზაციები მასწავლებელთა სწავლების პროცესში, არის თუ არა ეფექტური ეს მეთოდები და როგორია ცალკეული პროვაიდერი ორგანიზაციის მიერ დატრენინგებული პედაგოგების საგამოცდო შედეგები, რისი კვლევაც

დღემდე არ განხორციელებულა. ზოგი მათგანი წარმატებულია, ზოგი ნაკლებად. არ არის ჩამოყალიბებული კრიტერიუმები, რის მიხედვითაც შეიძლება გვემსჯელა ტრენინგების პროვაიდერი ორგანიზაციების წარმატებულ საქმიანობაზე. მაგალითად, 2011 წელს პედაგოგთა კავშირი „განათლება და სამყაროს“ ოფისმა ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს მხარდაჭერით გადაამზადა 20 პედაგოგი სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის პროფესიულ უნარებში, საიდანაც 9 მასწავლებელმა ჩააბარა გამოცდა წარმატებით პროფესიულ უნარებში⁸⁷.

აღნიშნული შედეგი დამაკმაყოფილებელია თუ არა და რა არის განათლებისა და მეცნიერების და სამინისტროს მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგად გამოკვეთილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის გზები, ამაში მომდევნო ქვეთავში იქნება საუბარი, კერძოდ, გაანალიზდება ზრდასრულთა ტრენინგებზე ზრდასრულთა განათლების პრინციპების გათვალისწინებულ მოდულირებული მიდგომის უპირატესობა. ხოლო ნაშრომის კვლევის მეთოდოლოგიის ნაწილში ვნახავთ, როგორ უნდა გაიზარდოს მასწავლებელთა ტრენინგის პოტენციალი, რათა რეალურად გამართლდეს ზემოაღნიშნული ერთერთი დებულება: „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების გაუჩერელი დაფინანსების პროგრამა ხელს შეუწყობს პედაგოგების სასერტიფიკაციო გამოცდების წარმატებით ჩაბარებას⁸⁸“.

⁸⁷ http://uteu.ge/news/masts'avlebelta_sasertipik'atsio_gamotsdis_shedegebi/2011-09-10-23

⁸⁸ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების გაუჩერელი დაფინანსების პროგრამის მონიტორინგის სამსახურის ანგარიში, 2009წ.

4.3. ზრდასრულთა სწავლების პროცესებში ზრდასრულთა განათლების პრინციპების გათვალისწინებით მოდულირებული მიდგომის უპირატესობა

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ მსოფლიო საზოგადოებაში უკვე გავრცელებული ზრდასრულთა განათლების ფორმების: „დისტანციური განათლება“, „განათლება სიცოცხლის მანძილზე“, „უწყვეტი განათლება“, „განათლება ყველასათვის“, „სახალხო სკოლები თუ სახალხო უნივერსიტეტები“ საერთო მახასიათებელი ზრდასრულთა განათლებაა.

ზრდასრულთა განათლების პროცესში ყველა ასაკის ზრდასრული ადამიანი შეიძლება იყოს ჩართული ე.წ. მიზნობრივ ჯგუფებში კონკრეტული საგნის ან უნარის შესასწავლად. თავად საგანმანათლებლო ღონისძიება შეიძლება იყოს სხვადასხვა ხანგრძლივობის და არ არის აუცილებელი, სრულდებოდეს რამე სახის საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემით. თითოეული მიზნობრივი ჯგუფის სწავლებისთვის უნდა შეიქმნას შესაბამის სოციალურ-პედაგოგიურ პრინციპებზე აგებული სასწავლო მასალები (მაგალითად, სამდონიან მიდგომაზე და ერთგვარ პროგრამულ-მიზნობრივ მეთოდზე აგებული სასწავლო მასალები, წარმოდგენილი მოდულების სახით⁸⁹).

რაც შეეხება მოდულირებულ სწავლებას, მას ხშირად მიმართავენ ახალი უნარების განვითარების მიზნით და იგი ითვალისწინებს ზრდასრულთათვის შესატყვის სოციალურ-პედაგოგიურ პრინციპებს. განათლებაში მოდულირებული სწავლების მიდგომა ნიშნავს ამა თუ იმ საგნის ან უნარების სწავლების გამარტივებულ მეთოდს, რაც გულისხმობს საგნის სწავლებას სასწავლო მასალის შინაარსის დაჯგუფების საფუძველზე, საგნის ეტაპობრივ ათვისებას მიზნობრივი ჯგუფის თავისებურების გათვალისწინებით.

ზრდასრულთა განათლების სპეციალისტმა წინასწარ, სწავლის დაწყებამდე უნდა დაგეგმოს სწავლის პროცესის ზოგადი სტრატეგია; განსაზღვროს, ჩამოწეროს და განმარტოს კონკრეტული თემის ან საგნის სწავლების მიზნები და შედეგები; დაასაბუთოს საკუთარი მოსაზრებები; მოიძიოს ის სპეციფიკური

⁸⁹ Numminen, U.; Blom, H. *Yhteistoiminta - oppilaitosten uusi toimintatapa. Kaytannon kokemuksia ja ratkaisumalleja. Kehittyva koulutus 6/1999*. [Cooperation - new methods of action at educational institutions. Practical experiences and solution models. Developing education 6/99]. Helsinki: National Board of Education, 1999.

ასპექტები, რომელზეც მსმენელები გულისყურით იმუშავებენ; გამოავლინოს მსმენელის სუსტი და ძლიერი მხარეები; შესთავაზოს მსმენელს გამოთქმული მოსაზრების ალტერნატივა; მოახდინოს მსმენელის პოზიტიური გამოწვევა; წინასწარ გაითვალისწინოს და განჭვრიტოს მოსალოდნელი შედეგები.

ჩვენ მიერ შესწავლილი სასწავლო მოდულები და მეცადინეობები ისეა აგებული, რომ მსმენელი ბიჰევიორული ცვლილების პროცესს განიცდის (ღირა სრინივასენის კონცეფცია). ბიჰევიორული ცვლილების პროცესის პირველი ეტაპი ინდივიდის პრობლემასთან გაცნობით იწყება, გადადის პრობლემის განხილვაში, შემდეგ გადადის მოცემულ პრობლემაზე ინფორმაციის მოპოვებაში და ბოლოს – იმ უნარების შეძენაში, რაც პრობლემის მოგვარებასა და გადალახვაში დაეხმარება მას. შემდეგ ეტაპზე ინდივიდი შეძენილ ახალ უნარს გამოცდის, ანუ გამოიყენებს პრაქტიკული სავარჯიშოს კეთების დროს, ხოლო ბოლო ეტაპზე ინდივიდი უკუკავშირის პროცესში საკუთარ წარმატებას აფასებს, ანუ საუბრობს მიღწეულ მიზანზე. ყველა ამ ეტაპს ზრდასრულთა არაფორმალური განათლების სპეციალისტი/პედაგოგი და მსმენელი ზემოთ აღწერილი პრინციპების გამოყენებით გაივლიან. პედაგოგი ვალდებულია, არ შეიტანოს ისეთი ცვლილებები, რომელიც ნეგატიურ დამოკიდებულებას გამოიწვევს მსმენელში, პირიქით, ყველა აქტივობა იმისკენ უნდა მიმართოს, რომ თვალი ადევნოს, თუ რამდენად ეფექტურად ხორციელდება სასარგებლო ცვლილებები მსმენელში. შედეგად გაიზრდება მსმენელის ყურადღების მოცულობა სხვადასხვა საკითხისადმი.

მოდულირებული სწავლების მიდგომაში ძალზე მნიშვნელოვანია პედაგოგმა გაიაზროს ბიჰევიორიზმის, კონსტრუქტივიზმისა და სოციალური კონსტრუქტივიზმის ძირითადი მახასიათებლები სასწავლო პრაქტიკასთან მიმართებაში.

პოზიტიური და ნეგატიური დამოკიდებულებების გარდა, რომელზეც უკვე ზემოთ ვისაუბრეთ, ბიჰევიორიზმში აქტიური, პასიური და ინდივიდუალური დამოკიდებულებაც იგულისხმება. პედაგოგმა უსათუოდ უნდა განსაზღვროს თავისთვის მსმენელთა კატეგორიები ამ სამი მახასიათებლის მიხედვით, რათა შემდეგში სპეციალური მიდგომები გამოიყენოს მათ მიმართ.

კონსტრუქტივიზმს რაც შეეხება, ძალიან მნიშვნელოვანია, პედაგოგმა ხელი შეუწეოს მსმენელს, დამოუკიდებლად იმოქმედოს და აავსოს თავისი ცოდნა და უნარ-ჩვევები საკუთარ გამოცდილებაზე; გამოიწვიოს მასში მაღალი დონის მოტივაცია და, შეძლებისდაგვარად, ადგილზევე მოახდინოს მიღებული ცოდნის პრაქტიკული რეალიზაცია.

სოციალურ კონსტრუქტივიზმში იგულისხმება ურთიერთდამოკიდებულება მსმენელსა და პედაგოგს შორის. ინტერაქტივის მეშვეობით უნდა განვითარდეს ურთიერთთანამშრომლობა სასწავლო გარემოში. ეს ორივე მხარისგან მაღალი დონის მზადყოფნას მოითხოვს, თუმცა ბევრი რამ არის დამოკიდებული პედაგოგზე. დიდი ქართველი განმანათლებელი ილია ჭავჭავაძე თავის დროზე წერდა:

“წურთვნა მიმართულია ხასიათის ზრდასა და განვითარებაზე და სწავლა კი – გონების გახსნასა და მსჯელობის გაძლიერებაზე... ზნე-ხასიათის წურთვნა დიდად დამოკიდებულია სწავლასა და ცოდნაზე.” (ი. ჭავჭავაძე, 1888 წელი).

თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ მასაჩუსეტსის ახალი ტექნოლოგიების ინსტიტუტის ლექტორი და ამერიკის შეერთებულ შტატებში “ორგანიზაციული სწავლების საზოგადოების” დამფუძნებელი პიტერ სანჯი წერს:

“ნამდვილ სწავლას გულის დადება სჭირდება. სწავლის პროცესში ჩვენ ვაყალიბებთ საკუთარ თავს. სწავლის პროცესში ჩვენ შევიძენებთ სამყაროს და ჩვენს დამოკიდებულებას მის მიმართ. სწავლის პროცესი გვიღრმავებს ახლის შექმნის ნიჭს და გვაძლევს ძალას, ჩავეერთოთ ცხოვრებაში. ჩვენში არსებობს ასეთი სურვილი” (Peter Senge, 1999).

მოდულირებული სწავლების მიდგომაზე დამყარებული ზრდასრულთა არაფორმალური განათლების, როგორც პედაგოგიკის ერთ-ერთი სამეცნიერო მიმართულების სპეციფიკა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მსმენელი გააზრებულად, საკუთარი საჭიროების მიხედვით თვითრეალიზაციაზე ორიენტირებული ითვისებს ახალ უნარებს, შემოქმედებითად უდგება საკითხს, იღრმავებს ნიჭს და ინდივიდუალურ დამოკიდებულებას იჩენს შესასწავლი საგნისადმი, რაც ზრდასრულთა განათლების საბჭოთა სისტემაში გათვალისწინებული არ იყო. არსებობდა ზრდასრულთა განათლების სისტემა,

მაგრამ არ არსებობდა პედაგოგიურ-სოციალური პრინციპები, რითიც ამ სისტემას უნდა ეხელმძღვანელა.

მოდულირებულ მიდგომაზე აგებული სწავლებისა და სწავლის აქტივობების ხუთი კატეგორია არსებობს:

- მზარდი, რომლის დროს მსმენელი დავალების შესრულების პროცესში იღებს ახალ პრინციპებს, იდეებს, კონცეფციებს და იძენს უნარ-ჩვევებს.
- რესტრუქტურიზებადი, რომლის დროს მსმენელი აკეთებს ახალ აღმოჩენებს წინასწარ შეძენილ უნარ-ჩვევებზე დაყრდნობით.
- ცოდნის გამოსაცდელი, რომლის დროს უკვე ნაცნობი იდეების, კონცეფციების, ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოყენება ხდება ახალ სიტუაციებში პრობლემის გადასაწყვეტად.
- პრაქტიკაზე დამყარებული, როდესაც პრაქტიკული სავარჯიშოების საშუალებით ნაცნობი იდეების, კონცეფციების, ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმტკიცება ხდება.
- გამეორებაზე დამყარებული, როდესაც ნაცნობი იდეების, კონცეფციების, ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამეორება ხდება გარკვეული დროის გავლის შემდეგ.

მოდულირებული სწავლების მნიშვნელოვანი ელემენტებია:

- ვერბალური ინფორმაცია (თეორიული ნაწილი);
- სწავლების ვიზუალიზაცია (თვალსაჩინო მასალები, სურათები, გრაფიკები, მოდელები, კლიპები, ფილმები);
- სავარჯიშოები (როლური თამაშები, ამოცანები, დავალებები, ექსპერიმენტები);
- დისკუსია (კითხვა-პასუხები, წყვილებში მუშაობა, ჯგუფებში მუშაობა, პროექტების განხილვა);
- აზროვნება, ფიქრი (პრობლემის გადაჭრის სავარჯიშოები, სიტუაციური ამოცანები, ჯგუფური განხილვები)

მოდულირებული სწავლების მიდგომაზე დაფუძნებული ზრდასრულთა ტრენინგები შემდეგი უპირატესობებით გამოირჩევა:

- ადვილად ხელმისაწვდომია და მცირე ხარჯებით არის ორგანიზებული. მიღწევის ზონა დიდია და ნაკლებია სასწავლო პროცესებისთვის გაწეული დანახარჯები.
- მიწოდებული მასალები შეესატყვისება მსმენელის გამოცდილებასა და ცხოვრებისეულ საჭიროებას. გათვალისწინებულია მიზნობრივი ჯგუფის ინტერესები.
- პედაგოგსა და მსმენელს შორის თანაბარფუნქციონირების დიალოგი მიმდინარეობს. ურთიერთობა აგებულია პატივისცემაზე.
- სავარჯიშოების შესრულება მოთხოვნი ჯგუფის პატარა ჯგუფებად დაყოფის პრინციპზეა აგებული.
- სწავლის პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დისკუსიებსა და ურთიერთშეფასებას.
- გამოყენებულია ისეთი აქტივობები, რაც საშუალებას აძლევს მსმენელს, დასახული დავალება გაიაზროს, აითვისოს და შეასრულოს.
- სასწავლო გარემო ეკოლოგიურად ვალიდურია, ანუ სასარგებლოა და არ აზიანებს მსმენელის ინტერესების სხვა სეგმენტს. გათვლილია რისკები და დაშვებები.

სწავლების მოდულირებული მიდგომა მიზნად ისახავს:

- მსმენელთა ჯგუფის მართვის გზების წინასწარ განსაზღვრას;
- ეფექტური სასწავლო გარემოს ჩამოყალიბებას;
- სასწავლო თეორიების კავშირს სასწავლო პრაქტიკასთან;
- თანამედროვე თეორიებისა და მეთოდოლოგიების გამოყენებას;
- ცოდნის შემოწმებისა და შეფასების დროს ურთიერთთანამშრომლობის პრინციპების გამოყენებას.

მოცემული კვლევისთვის საექსპერიმენტო ჯგუფთან ჩატარებული ტრენინგი შემდეგ პრინციპებზე იყო აგებული:

1. **ზრდასრულებს უნდა უნდოდეთ სწავლა** - ზოგიერთი სახელმწიფო პროგრამა თავისთავად მოითხოვს ზრდასრულთა განათლებაში მონაწილეობას – უნდა მოხდეს მათი მონაწილეობის საჭიროების განვითარება:
 - ზრდასრულებმა თავად უნდა გააკეთონ სასწავლო აქტივობებში მონაწილეობის არჩევანი დროისა და ადგილის თვალსაზრისით;
 - ზრდასრულები სწავლის ფაქტორების იდენტიფიცირებას თავად ახდენენ;
 - სწავლის ეფექტურობა და მიღწევები პირად მოტივებთან უნდა იყოს კავშირში.
 - სწავლის მნიშვნელოვანი ბარიერებია: ზოგს დაბალი თვითშეფასება აქვს; არ სჯერა საკუთარი შესაძლებლობების; მარცხის ან დაცინვის ეშინია.
2. **სწავლა ცვლილებაა** - დაუსახეთ ზრდასრულებს თვითრეალიზაციის პერსპექტივა:
 - სწავლა ინდივიდუალური პროცესია;
 - სწავლა ცვლის ქცევას;
 - ხდება ახალი ცოდნისა და უნარის შეძენა;
 - ახალი ცოდნისა და ინფორმაციის შეძენა ზრდასრული ადამიანის მოთხოვნილებაა და ისინი თავად ეძებენ მათი მიღების შესაძლებლობებს.
3. **ზრდასრულებს არა აქვთ დრო და მოთმინება, მიიღონ შეუსაბამო ინფორმაცია** - ისეთი ღონისძიებები უნდა დაიგეგმოს, რაც გარანტირებულად წარმატებით დამთავრდება:
 - ფოკუსირება რეალისტურ პრობლემებზე უნდა მოხდეს;
 - მიაწოდეთ ცოდნა და უნარები, რომელსაც მალევე გამოიყენებენ;
 - გამოიყენეთ სწავლისადმი ინდუქციური მიდგომა, განავითარეთ დასკვნები;
 - გამოკვეთეთ და განსაზღვრეთ პრობლემა; შესთავაზეთ ალტერნატიული გამოსავალი⁹⁰;

⁹⁰ Brundage, Donald H.; MacKeracher, Dorothy. “*Adult Learning Principles and Their Application to Program Planning*”. Ontario Government Bookstore, 880 Bay Street, Toronto, Canada M7A 1L2, 1980

IV თავის დასკვნა

ზრდასრულთა განათლების თანმხლები სოციალურ-პედაგოგიური პრინციპები ბევრი სხვა ქვეყნის განათლების სისტემაში ცალკე თეორიად ყალიბდება და იმ უმაღლესი სასწავლებლების პროგრამების საგნად იქცევა (მაგ. ჩრდილოეთ ამერიკისა და ევროპის ქვეყნებში, მათ შორის ბალტიისპირეთის ქვეყნებში და რუსეთის ფედერაციაში), რომლებიც ზრდასრულთა განათლების სპეციალისტებს, ტრენერებს ამზადებენ. ამ ქვეყნებში მთავარ გამოწვევად რჩება ზრდასრულთა განათლებაში მონაწილეობის გაზრდის აუცილებლობა. რეალობა გვიჩვენებს, რომ ზრდასრულთა სწავლება ხორციელდება უფრო ფორმალური სასწავლო გარემოს მიღმა, როგორც არაფორმალური, ისე ინფორმალური სწავლების გზით.

რეფორმები არ შეიძლება შემოიფარგლებოდეს მხოლოდ სტრუქტურების განახლებით და ახალი ტექნოლოგიების შემოტანით. საჭიროა ძველ სისტემაში მიღებული განათლების მქონე პირების ახალ საბაზრო ეკონომიკასთან, ცოდნის ეკონომიკასთან ადაპტაციის სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების ამუშავება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამის გაკეთება რეგიონებში (რეფორმა ქვემოდან), სადაც მოსახლეობა სოციალურ იზოლაციაშია მოქცეული. როგორც სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს, პროცენტულად ასაკოვანი ადამიანები არაინ ამ ცვლილებებით დაზარალებული. ცალკე საკითხია, რამდენად ხარისხიანად ხორციელდება ესა თუ ის პროგრამა. საჭიროა განათლების ახალი მიმართულების, ზრდასრულთა განათლების კვლევა და ქვეყნის უზარმაზარი საგანმანათლებლო და ინტელექტუალური პოტენციალის გამოყენება ამ მიმართულებით, რათა შრომის ბაზარზე პროფესიონალური მობილიზაცია მოხდეს.

ქვეყანაში კრიზისის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ხშირად დაკავშირებულია კულტურულ-საგანმანათლებლო მემკვიდრეობისა და ღირებულებების გლობალურ ცვლილებასთან. ხდება შემობრუნება პრინციპულად ახალი სოციალურ-კულტურული ტიპის საზოგადოებისკენ, რომელიც დაფუძნებულია გარკვეული ცოდნის სისტემაზე. ამ ცოდნის მობილიზაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საშუალებად განათლების სხვა სფეროებთან ერთად ზრდასრულთა განათლება უნდა იქნეს მიჩნეული, რომელიც აგებული იქნება შესაბამის სოციალურ-პედაგოგიურ პრინციპებზე.

V თავი: კვლევის ეტაპები და მეთოდოლოგია

5.1. კვლევის ეტაპები

კვლევა მიმდინარეობდა სამ ეტაპად:

კვლევის პირველ ეტაპი (2000 - 2002 წ.წ.) დაეთმო ზრდასრულთა განათლების პრობლემების გაცნობას და იმ არსებული ლიტერატურის, საერთაშორისო და ადგილობრივი დოკუმენტური მასალების შესწავლას, რაც მოიპოვებოდა ქვეყნის ეროვნულ და საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკებში.

1997-2000 წ.წ. გერმანიასა და სენეგალში გამართული CONFINTEA-ს საერთაშორისო კონფერენციების მასალები მთელ მსოფლიოში გავრცელდა და გამოქვეყნდა ნაბეჭდი ლიტერატურა ზრდასრულთა განათლების განვითარების თანამედროვე მიმართულებებზე. საქართველოში აკრედიტებული საერთაშორისო ორგანიზაციების საშუალებით ეს ლიტერატურა საქართველოშიც გავრცელდა. გარდა ამისა, ბევრად ხელმისაწვდომი გახდა ინტერნეტი, სადაც ლიტერატურის მოძიება ინგლისური ენის მცოდნე მკვლევარებისთვის იოლი გახდა. კვლევას მოეწია პრაქტიკული საქმიანობაც. პირველი ექსპერიმენტები ბევრად ადრე ჩატარდა, ვიდრე წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი საბოლოო სახეს მიიღებდა. **გამოიკითხა 3000-მდე სხვადასხვა ასაკის ზრდასრული ადამიანი.** გამოკითხვის საგანი იყო ზრდასრულთა არაფორმალური განათლების პოტენციური სოციალური იზოლაციიდან თავის დაღწევისა და თვითრეალიზაციის საქმეში (ლიკერტის შკალის მეშვეობით). გამოკითხვის ცდის პირები იყვნენ ქვემოთ ჩამოთვლილი ტრენინგ-სემინარების მონაწილე ზრდასრულები (25-70 წლის). ახლად შექმნილი არასამთავრობო ორგანიზაციების „მარტოხელა მშობელთა ასოციაცია“ და „ზრდასრულთა განათლების აკადემიური კვლევის ცენტრის“ ტრენერების მიერ ქალაქ რუსთავის (მე-13 საშუალო სკოლა), მცხეთისა (არმაზის დაწყებითი სკოლა) და თბილისის (მე-6 გიმნაზია) რამდენიმე საშუალო სკოლის მოსწავლეთა მშობლებსა და მასწავლებლებს (ანუ ზრდასრულთა კონკრეტულ მიზნობრივ ჯგუფს) ჩაუტარდა “მშობელთა უნარების განვითარების” ტრენინგები; ამავე ასოციაციების ტრენერების მეშვეობით ტრენინგები ჩატარდა ასევე მცირე

ოჯახური ბიზნესის განვითარების თემაზე, მცირე ოჯახური ბიზნესის მართვის, მარკეტინგისა და ბუღალტერიის საკითხებში; და ბოლოს, ქალთა მცირე ჯგუფებს ჩაუტარდათ სემინარი სამოქალაქო განათლების თემაზე. ამ ექსპერიმენტებს ერთჯერადი ხასიათი ჰქონდა. დაფინანსებისა და საკანონმდებლო მხარდაჭერის უქონლობის გამო, რა თქმა უნდა, აღნიშნული კურსები სახალხო უნივერსიტეტებად ვერ ჩამოყალიბდა, მაგრამ მოხდა ზრდასრულთა განათლების განვითარების იდეის გაღვივება. ჩატარებული ექსპერიმენტების ანალიზის შედეგად, მას შემდეგ, რაც აღმოჩნა, რომ ზრდასრულთა განათლებისადმი ინტერესი გაზრდილია, მიღებული იქნა გადაწყვეტილება ზრდასრულთა განათლების საკითხების ირგვლივ კვლევის გაგრძელების შესახებ, ზრდასრულთათვის სასწავლო პროფილების შერჩევისა და სასწავლო პროცესების შემდგომი სრულყოფის მიზნით, რათა ქვეყანაში ზრდასრულთა არაფორმალური განათლების ინსტიტუტების დამკვიდრებისთვის ნიადაგი მომზადებულიყო.

კვლევის მეორე ეტაპი (2002-2006 წ.წ.) მიმდინარეობდა წინამდებარე კვლევის ავტორის მიერ სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად ყოფილ სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტში (დღევანდელ ილიას უნივერსიტეტში) მაძიებლად გაფორმებისა და საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში (GIPA) მაგისტრის წოდების მოპოვების პერიოდში. ამ პერიოდში გადაიდგა კონკრეტული პრაქტიკული ნაბიჯები თემის აპრობაციის მიზნით და თითქმის დასრულდა სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობაც, რომელიც 2006 წლისთვის მზად იყო პედაგოგიური მეცნიერების ხარისხის კანდიდატის წოდების (განათლების სამინისტროს ძველი დებულებით) მოსაპოვებლად დაცვაზე გასატანად.

კვლევა დაეთმო საქართველოში სოციალური, კერძოდ, სიღარიბის დონის, დასაქმებისა და განათლების ურთიერთკავშირის პრობლემების შესწავლას. სოციოლოგიური გამოკითხვები ზრდასრულთათვის მათი ზრდასრულთა განათლებისადმი მოთხოვნის კვლევისა და სასწავლო პროფილების შერჩევის მიზნით, ექსპერიმენტის სახით, ამჯერად ქვეყნის რეგიონებში ჩატარდა (სვანეთი, აჭარა, მცხეთა-მთიანეთი, გურია, სამცხე-ჯავახეთი, თბილისი, რუსთავი). გამოიკითხა 3000-მდე რესპონდენტი. კითხვარები აგებული იყო რაოდენობრივ და

ხარისხობრივ ანალიზზე, ნომინალურ და კატეგორიებად ჩამოყალიბებულ საზომებზე⁹¹ (იმ ხერხებისა და საშუალებების გამოყენებით, რაც წინამდებარე ნაშრომის ავტორმა შეისწავლა კვლევის მეთოდისა და სტატისტიკის კლასში, საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესორის, რებეკა კატცის ხელმძღვანელობით). კითხვარები დაურიგდათ სოფლების, რაიონებისა და ქალაქის მოსახლეობის იმ კატეგორიებს, რომლებიც განიცდიდნენ ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური კრიზისითა და სახელმწიფოს რესტრუქტურიზაციის პირველი ეტაპით გამოწვეულ ნეგატიურ ზეგავლენას. ძირითადი ყურადღება სამ მომენტზე იყო გამახვილებული:

- როგორია მათი სოციალური მდგომარეობა;
- სმენიათ თუ არა რამე ზრდასრულთა განათლებისა და თვითრეალიზაციის შესახებ;
- რა შეიცვლებოდა მათ ცხოვრებაში პროფილის შეცვლის, ან რამე ახალი უნარების შეძენის შემთხვევაში;
- რა პროფილით არიან დაინტერესებული.

გამოკითხულთა თითქმის 35% უმუშევარი აღმოჩნდა, (მათ შორის დიდი ნაწილი დაკავებული იყო თვითდასაქმებით, სოფლად საკუთარი მეურნეობის წარმოებით, ხოლო ქალაქად, დღიური ვაჭრობით). დაახლოებით 60 პროცენტმა არაფერი იცოდა ზრდასრულთა განათლების შესახებ. ის ნაწილი კი, რომელმაც ასე თუ ისე იცოდა ზრდასრულთა განათლების შესახებ, აიგივებდა მას მხოლოდ საბჭოთა პერიოდის სტერეოტიპებთან. რაც შეეხება ახალ კვალიფიკაციებსა და უნარებს, ძირითადად გამოიკვეთა უცხო ენის, კომპიუტერული ტექნიკისა და ბაზარზე შემოსული ახალი ტექნოლოგიების გამოყენების შესწავლის სურვილი. უფრო დეტალურად კი მოთხოვნა იყო შემდეგ პროფილებზე: (1) სამეწარმეო საქმიანობის მენეჯმენტი, მარკეტინგი, ბუღალტერია (ანუ მცირე ბიზნესის მართვა). (2) მშენებლობის/რემონტის/ხელოსნობის ახალი ტექნოლოგიები; (3) ინფრასტრუქტურის განვითარების დასავლური გამოცდილება; (4) ბიზნეს-გეგმების

⁹¹ Kwang Kim Westat, Sean Creighton Education Statistics Services Institute, National Center for Education Statistics, November 1999 *Participation in Adult Education in the United States: 1998-1999*.

წერა; (5) საოჯახო მედიცინა და საოჯახო ეკონომიკა; (5) ღიზინის ესთეტიკა და ხელსაქმე; და სხვ.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი პროფილებისა, იყო მოთხოვნა კონკრეტული რეგიონისთვის არსებული ტრადიციული რეწვის აღდგენასა და განვითარებაზე.

მითითებულ პერიოდში გერმანიის სახალხო უნივერსიტეტების ასოციაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტის (IZZ DVV) ეგიდით თბილისში ჩატარდა ზრდასრულთა განათლების რამდენიმე კვირეული, სადაც მიწვეული იყო განათლების პროგრამებით დაკავებული სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაცია, განათლების სამინისტროს წარმომადგენლები და პროფესიული განათლების მესვეურები. დამსწრე საზოგადოებას წარედგინა მოცემული კვლევის მიერ ჩატარებული ექსპერიმენტების ანალიზის შედეგად მიღებული ინფორმაცია, რამაც დიდი მოწონება დაიმსახურა. მათ გამოხატეს გაწეული სამუშაოსადმი მხარდაჭერა. ამავე ეტაპს თან სდევდა საერთაშორისო გამოცდილების უშუალო გაზიარება ზრდასრულთა არაფორმალური განათლების მიმართულებით. 2003 წლის აპრილში ნაშრომის ავტორი მიწვეული იყო გერმანიასა (ქალაქი კილში, ევროპის თავისუფალი განათლების ფორუმის, ორგანიზაცია *effe-s* მიერ) და დანიაში (ქალაქი კოპენჰაგენში, ზრდასრულთა განათლების ცენტრის *AOF*-ის მიერ), სადაც მოვინახულეთ სახალხო უნივერსიტეტები და უშუალოდ დავესწარით ზრდასრულთა არაფორმალური განათლების სწავლების პროცესებს. ინტერესი ძირითადად ზრდასრულთა არაფორმალური განათლების ღირებულების, საკანონმდებლო ბაზასა და დაფინანსების წყაროებთან იყო დაკავშირებული.

კვლევის მესამე ეტაპი უშუალოდ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტზე, დოქტურანტურაში ჩაბარების შემდეგ განხორციელდა. კვლევა ზოგადად ზრდასრულთა არაფორმალურ განათლებაში ზრდასრულთა ჩართულობასა და ამ მიმართულებით ინფორმირებულობას შეეხო, ხოლო მისი ვიწრო სფერო 2010-2014 წ.წ. მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის მასწავლებელთა მოსამზადებელი ტრენინგების კვლევას წარმოადგენდა. იხ. მომდევნო ქვეთავებში.

5.2. ზრდასრულთა განათლებაში მოსახლეობის ჩართულობისა და ინფორმირების დონის კვლევა 2010-2014 წ.წ. მასწავლებელთა სერტიფიცირების წინა პერიოდში

ჩატარდა კვლევა – ”ზრდასრულთა განათლებაში (კურსები, ტრენინგები) მოსახლეობის ჩართულობა და მათი ინფორმირების დონე” პირისპირ ინტერვიუების საფუძველზე. ცდის პირი იყო ზრდასრული მოსახლეობა. კვლევის არეალმა მოიცვა საქართველოს 9 ქალაქი: თბილისი, ბათუმი, რუსთავი, გორი, ახალციხე, მესტია, მცხეთა, ოზურგეთი, ქუთაისი.

კვლევის განრიგი

შესასრულებელი სამუშაოები	ვადები
კვლევის ინსტრუმენტის (კითხვარის) დაგეგმვა	1 დღე
კითხვარის ტესტირება	1 დღე
კვლევის წერტილების განაწილება და რესპონდენტთა შერჩევის განსაზღვრა	1 დღე
ინტერვიუების ტრენინგი	1 დღე
კითხვარის ბეჭდვა	9 X 1 დღე
კვლევის მიმდინარეობა	9 X 3 დღე
მონაცემთა შეყვანა	9 X 1 დღე
მონაცემთა დამუშავება/ანალიზი	9 X 1 დღე
საპრეზენტაციო მასალის/ანგარიშის მომზადება	2 დღე

ინტერვიუების ტრენინგი:

1 ეტაპი:

თბილისისა და რეგიონების სუპერვაიზერებისთვის ჩატარდა ტრენინგი, მათ მიეწოდათ კვლევის ინსტრუმენტის (კითხვარის) შესაბამისი ინსტრუქციები. კონკრეტულად განხილული იყო ყოველი მოსალოდნელი არასტანდარტული შემთხვევა. სუპერვაიზერებმა მონაწილეობა მიიღეს მოდელირებულ ინტერვიუებში, როგორც რესპონდენტებმა და როგორც ინტერვიუებმა.

2 ეტაპი:

მონაცემთა ბაზა შეიკრიბა ტრენირებული ინტევიუერების (სტუდენტების, მარტოხელა მშობლების ასოციაციისა და მთიანი რეგიონის ქალების ასოციაციის წევრების) მიერ რესპონდენტთა ოჯახებში.

კვლევის მეთოდი

შერჩევის ზომა: = 3000 დასრულებული ინტერვიუ. მთავარ ჯგუფს წარმოადგენდა თბილისისა და საქართველოს 8 ქალაქის (რუსთავი, გორი, ქუთაისი, ზუგდიდი, ბათუმი, თელავი, ახალციხე, ოზურგეთი) 45 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობა. კვლევა ჩატარდა რესპონდენტთან სახლში, პირისპირ ინტერვიუს მეთოდით 45 წლის ზევით მოსახლეობაზე.

განაწილება: თბილისში ჩატარდა 360 ინტერვიუ. შერჩევის დარჩენილი მოცულობა რეგიონულ ცენტრებზე გადანაწილდა თანაბრად. თითოეულ ქალაქში ჩატარდა 330 ინტერვიუ.

შერჩევის ეს მოცულობები უზრუნველყოფს, რომ თითოეულ ქალაქში გამოკვლევით მიღებული შედეგების ცდომილება 95%-იანი საიმედოობით არ აღემატებოდეს 5.4 %-ს. ინტერვიუერებს თითოეულ შერჩევის ერთეულში მიეცათ განაწილების შესაბამისი ათვლითი წერტილების რაოდენობა, ინტერვიუს განსაზღვრული ოდენობით (ცხრილი №1), (ცხრილი №2).

მიღებული შედეგების მთელ ერთობლიობაზე აგრეგირების მიზნით განხორციელდა მონაცემთა დამუშავება რესპონდენტთა სქესისა და ასაკის გათვალისწინებით.

შერჩევის მეთოდი: ე.წ. "შემთხვევითი შერჩევის (ხეტიალის)" მეთოდი. გამოკვლევისათვის გამოყენებულ იქნა სამ საფეხურიანი შემთხვევითი კლასტერული შერჩევა:

- *სასტარტო (პირველი) ოჯახის მოძებნა:*
 1. კერძო დასახლებებში სასტარტო ოჯახი საწყის წერტილთან მდებარე უახლოესი ოჯახი, გამოკვლევის მარშრუტის მიმართულებით.
 2. საწყის წერტილში მრავალბინიანი კორპუსი - პირველი გამოსაკითხი ოჯახის ნომერი ემთხვევა კითხვარის ნომრის ბოლო ციფრს.

3. საწყის წერტილში "იტალიური" ეზო - მარჯვენა მხრიდან ვითვლით ოჯახებს და პირველ ოჯახს ვირჩევთ კითხვარის ნომრის ბოლო ციფრის დამრგვალებული ნახევრის ბიჯით.

- ოჯახი შეირჩა წინასწარ დაწესებული ბიჯის შესაბამისად:

1. ათვლის წერტილიდან ყოველი მე-3 კორპუსი, კორპუსში ყოველი მე-7 ოჯახი.

2. ყოველი მე-5 კერძო სახლი.

3. "იტალიურ ეზოში" 2 ინტერვიუ. თუ ეზოში ცხოვრობს 6 ოჯახზე ნაკლები, გამოიკითხა ერთი ოჯახი.

- ოჯახში რესპონდენტის შერჩევა:

1. ოჯახის წევრებს შორის, ვისაც 45 და ზემოთ ასაკის ადამიანი

- ინტერვიუზე უარი:

1. შესაბამისი რესპონდენტის არყოფნის, ან უარის შემთხვევაში შემდეგი ინტერვიუ ტარდებოდა დაწესებული ბიჯით, მომდევნო ბინაში/ოჯახში. (ცხრილი №3)

ველის კონტროლი: ველის კონტროლი განხორციელდა კოორდინატორებისა და კონტროლის ჯგუფის მიერ.

ცხრილი № 1: გამოკითხულთა განაწილება:

	ქალაქი	ინტერვიუს რაოდენობა	შერჩევის წერტილების რაოდენობა	შერჩევის წერტილში ინტერვიუების რაოდენობა
1	თბილისი	360	3	120
2	ბათუმი	330	3	110
3	რუსთავი	330	3	110
4	გორი	330	3	110
5	ახალციხე	330	3	110
6	მესტია	330	3	110
7	მცხეთა	330	3	110
8	ოზურგეთი	330	3	110
9	ქუთაისი	330	3	110
სულ		3000	27	

ინტერვიუს ხანგრძლივობა – საშუალოდ 60 წთ.

ცხრილი №2: ინტერვიუების რაოდენობა შერჩევის წერტილებში

ქალაქი	ინტერვიუების რაოდენობა	ინტერვიუს რაოდენობა ერთი ინტერვიუებისთვის	ველის ხანგრძლივობა	ინტერვიუს საშ. რაოდ. დღეში
თბილისი	3	120	3 დღე	120 X 1 ინტ. დღეში
ბათუმი	3	110	3 დღე	110 X 1 ინტ. დღეში
რუსთავი	3	110	3 დღე	110 X 1 ინტ. დღეში
გორი	3	110	3 დღე	110 X 1 ინტ. დღეში
ახალციხე	3	110	3 დღე	110 X 1 ინტ. დღეში
მესტია	3	110	3 დღე	110 X 1 ინტ. დღეში
მცხეთა	3	110	3 დღე	110 X 1 ინტ. დღეში
ოზურგეთი	3	110	3 დღე	110 X 1 ინტ. დღეში
ქუთაისი	3	110	3 დღე	110 X 1 ინტ. დღეში
სულ	27	3000	27 დღე	

ცხრილი №3: არ შემდგარ ინტერვიუთა პასუხების რანჟირება

პასუხების რანჟირება	შემთხვევა %
მისამართი არ არსებობს	0%
უარი ინტერვიუზე	20.8%
რესპონდენტს არ შეუძლია პასუხი ავადაა, ნასვამია, სმენითი პრობლ. და ა. შ.	21.7%
ასაკოვანი რესპონდენტი არ არის სახლში	34.2%
არავინ არ არის სახლში	23.3%
სულ	100%

ველის კონტროლი: დაახლ. 30% თითოეულ ქალაქში.

კონტროლი ჩატარდა სამი მიმართულებით:

1. 11 % - კონტროლი, ინტერვიუს შემდგომ კოორდინატორების მისვლით
2. 10-11 % - კონტროლი, ინტერვიუს შემდგომ მაკონტროლირებელი პირებს მისვლით.
3. 10-11 % - ინტერვიუს შემდგომ მაკონტროლირებელი პირების მიერ სატელეფონო კონტროლი.

ცხრილი №4: სქესთა მონაწილეობა გამოკითხვაში

სქესი	ქალაქი									სულ
	თბილისი	ბათუმი	რუსთავი	გორი	ახალციხე	მესტია	მცხეთა	ოზურგეთი	ქუთაისი	
კაცი	43,3%	44,5%	46,0%	43,5%	47,8%	43,4%	44,4%	42,4%	44,7%	43.8%
ქალი	56,7%	55,5%	54,0%	56,5%	52,2%	56,6%	55,6%	57,6%	55,3%	56.2%
სულ	100%	100%	100%	100%	100%	100%	100%	100%	100%	100%

მონაცემთა ბაზა: მიღებული მონაცემები კოდირებულია, გაწმენდილია და დამუშავებულია ნინო შარვაშიძის მიერ SPSS for Windows, version 10.0.-ს გამოყენებით.

კვლევის შედეგები: როგორც ჩატარებულმა გამოკვლევამ ცხადყო, გამოკითხულთა მხოლოდ 5% აქვს გავლილი მოკლევადიანი პროფესიული მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების კურსები, მოსმენილი აქვს ლექცია-სემინარები და ტრენინგ-პროგრამები და ამდენივეა ჩართული კომპიუტერისა და ინგლისური ენის შესწავლის უფასო კურსებში.

რესპონდენტთა დიდ უმრავლესობას (დაახლოებით 75%) ცოტა რამ, ან საერთოდ არ სმენია ზრდასრულთა არაფორმალური განათლების შესახებ და გამოკითხულთა მხოლოდ 15%-ს წაუკითხავს ზრდასრულთა არაფორმალური განათლების შესახებ სპეციალურ ლიტერატურასა და მედიის საშუალებებში.

მოსახლეობის ძალიან მცირე ნაწილი აკავშირებს თავის ცოდნას ზრდასრულთა არაფორმალურ განათლებასთან. კითხვაზე, თუ როგორ უყურებენ

ისინი შრომის ახალი ბაზრის საპასუხოდ ახალი ან დამატებითი უნარების შეძენის შესაძლებლობას, 84%-მა გამოხატა დადებითი დამოკიდებულება, 1% უარყოფითი, ხოლო 15% - გაურკვეველი.

წინამდებარე კვლევის ჩატარებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ თვალსაზრისით, რომ დაგვედგინა ქვეყანაში ზრდასრულთა განათლების წილი ინფორმირებული (მცოდნე) საზოგადოების (Knowledge Society) ჩამოყალიბების საქმეში. კვლევის შედეგების ანალიზმა და შედარებამ სხვა, გარდამავალ (რეფორმების) საფეხურზე მყოფ ქვეყნებში არსებულ მდგომარეობასთან დაგვანახა, რომ საქართველოში ბევრია გასაკეთებელი ზრდასრულთა განათლების განვითარების საქმეში, რათა რეფორმები ბევრად ეფექტურად და წარმატებით განხორციელდეს.

ზრდასრულთა განათლების განვითარების მნიშვნელობასა და მის როლზე სხვა განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში ბევრი ვისაუბრეთ ნაშრომის შესავალში, კვლევის აქტუალობისა და ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილში (იხილეთ წინა თავები), ხოლო დადასტურებას კონკრეტულად, ზრდასრულთა განათლების მთავარი პრინციპების გათვალისწინების მნიშვნელობისა 2010-2014 წ.წ. მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის მოსამზადებელ ტრენინგებში, მოცემული ნაშრომის საბოლოო კვლევაში, დასკვნებსა და რეკომენდაციებში ვნახავთ და განვიხილავთ (იხილეთ ქვეთავი 4.3. და მე-5 თავი).

5.3. ზრდასრულთა ტრენინგის პოტენციალის ზრდისა და ზრდასრულთა განათლების პრინციპების გამოყენების მიზან-შედეგობრივი კავშირის კვლევა მასწავლებელთა ტრენინგების მაგალითზე

კვლევის მეთოდოლოგია

მიზანი და კვლევის მთავარი კითხვები:

კვლევის მიზანი იყო გაერკვია, თუ როგორ შეიძლება გაზარდოს ზრდასრულთა განათლების პრინციპებზე აგებულმა ტრენინგმა მასწავლებელთა დადებითი დამოკიდებულება მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის დაფინანსებული ტრენინგების მიმართ. კერძოდ კი მკვლევრმა სცადა, პასუხი მიეღო შემდეგ კითხვებზე:

- 1) როგორია მასწავლებელთა მიერ ტრენინგების აღქმა და სწავლის მოტივაცია: ასრულებს თუ არა ზრდასრულთა ტრენინგები მნიშვნელოვან როლს მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და თვითრეალიზაციის საქმეში.
- 2) რა დამოკიდებულება და მოლოდინები აქვთ მასწავლებლებს ვაუჩერული პროგრამის ფარგლებში მიმდინარე ტრენინგებთან დაკავშირებით, ტრენინგის დაწყებამდე და შემდეგ.
- 3) ახდენს თუ არა დადებით გავლენას ზრდასრულთა განათლების პრინციპებზე აგებული ტრენინგის კონტენტი ტრენინგის შედეგებზე.

პოპულაცია და ცდის პირის შერჩევა:

კვლევის ცდის პირს წარმოადგენს საქართველოს საშუალო სკოლის მასწავლებლები, რომლებმაც 2010-2014 წ.წ. მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდები უნდა ჩააბარონ, ხოლო გამომცდებამდე მონაწილეობას იღებენ სახელმწიფო ვაუჩერული პროგრამის ფარგლებში გამოცდებისთვის მოსამზადებელ ტრენინგებში. მასწავლებლების ასაკი 25-75 წელი. მასწავლებელთა რაოდენობა $n=320$ (გადაწყდა, ამ კვლევაში გამოკითხულთა რაოდენობა განსაზღვრულიყო ზრდასრულთა განათლებაში ჩართულობის კვლევის დროს გამოკითხულთა დაახლოებით ერთი მეათედით).

კვლევის თვისობრივი მონაცემები შეიკრიბა მასწავლებლებთან პირისპირ ინტერვიუს საფუძველზე ტრენინგების ადგილზე. ინტერვიუების მიზანი იყო მასწავლებლების მიერ ტრენინგების აღქმის, მათი კმაყოფილებისა და უკმაყოფილების მიზეზების, თვითრეალიზაციის სურვილისა და სწავლის მოტივაციის დადგენა. ტრენინგის მიმართ დამოკიდებულებისა და მოლოდინების რაოდენობრივი მონაცემები შეიკრიბა ლიკერტის შკალის კითხვარის საშუალებით. პირისპირი ინტერვიუები ჩატარდა და კითხვარები დარიგდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელთა მხარდაჭერის ცენტრის ტრენერების დახმარებით. კვლევა წარმოებდა ტრენინგებამდე და ტრენინგების დასრულების შემდეგ.

ზრდასრულთა განათლების პრინციპებზე აგებული ტრენინგების მათ შედეგებზე დადებითი ზეგავლენის შესახებ ნულოვანი ჰიპოთეზის უარსაყოფად ან შესანარჩუნებლად გამოყენებული იქნა ე.წ. "სტუდენტის" (უილიამ გოსეტის ზედმეტსახელი) *T-test-ი* ტრენინგის შედეგების შემოწმების შემდეგ.

მოცემული კვლევა განხორციელდა საქართველოს ოთხ ქალაქში: ქუთაისი, ზუგდიდი, ზესტაფონი და ხობი.

პირველი ცხრილი წარმოადგენს კვლევის მონაწილეთა განაწილებას ტრენინგების ადგილზე საქართველოს ოთხ ქალაქში ტრენინგების მიმართ დამოკიდებულებისა და მოლოდინების რაოდენობრივი მონაცემების შესაკრებად.

ცხრილი № 1: კვლევის მონაწილე მასწავლებელთა განაწილება

ქალაქი	მასწავლებელთა რაოდენობა (n=320)
ქუთაისი	80
ზესტაფონი	80
ზუგდიდი	80
ხობი	80
	320

იმის გასარკვევად, ახდენს თუ არა დადებით გავლენას ზრდასრულთა განათლების პრინციპებზე აგებული ტრენინგის კონტენტი ტრენინგის შედეგებზე, შედარების მიზნით ტრენინგების დროს შეიქმნა ორი ჰომოგენური ჯგუფი:

“საექსპერიმენტო” ჯგუფი (n=80) და “საკონტროლო” ჯგუფი (n=80). ტრენინგის თითოეულ ადგილზე მოხდა მასწავლებელთა ჯგუფების შემთხვევითი შერჩევა აღნიშნული საექსპერიმენტო ჯგუფებისთვის.

საექსპერიმენტო ჯგუფებისთვის სატრენინგო მასალა (ინფორმაცია და პრაქტიკა) შეირჩა ზრდასრულთა განათლების პრინციპებზე აგებული მოდულირებული სწავლების მიდგომის გათვალისწინებით. **საკონტროლო ჯგუფში** მეოფთ არ მიუღიათ ინფორმაცია ზრდასრულთა განათლების პრინციპების შესახებ და არც ტრენინგის კონტენტი ყოფილა აგებული ამ პრინციპებზე.

საექსპერიმენტო ჯგუფში ზრდასრულთა განათლების პრინციპების საგანზე ინფორმაციის მიწოდებით კვლევის მიზანი იყო, როგორც ზრდასრულთა განათლების ღირებულებების გავრცელება, ასევე ჯგუფის წევრებს შორის ზრდასრულთა განათლების პრინციპებზე **დისკურსის ინიცირება**. კარგად გვესმოდა, რომ ამით გარკვეულ მიკერძოებას ვიჩენდით, მაგრამ რამდენადაც ტრენინგი განათლების თეორიებს ეხებოდა, ეს ინიციატივა გამართლებულიც კი იყო. საექსპერიმენტო ჯგუფში ზრდასრულთა განათლების პრინციპების გამოყენების შემდეგ მკვლევარმა მოახდინა აგრეთვე შერჩეულ მონაწილეთა ტრენინგზე შეხედულების ცვლილების გაზომვა, შეადარა მათი ტრენინგამდე და ტრენინგის შემდგომი დამოკიდებულებები ტრენინგისადმი.

მონაცემების შეგროვება და ანალიზი:

კვლევა სამ ფაზად წარიმართა. პირველ ფაზაზე მოხდა ცდის პირების პირისპირ ინტერვიუება და ლიკერტის შკალით გამოკითხვა ტრენინგამდე; მეორე ფაზაზე ექსპერიმენტული და საკონტროლო ჯგუფის მონაწილეებმა გაიარეს ტრენინგი; მესამე ფაზაზე მოხდა იმავე მონაწილეთა ხელახალი გამოკითხვა ლიკერტის შკალის იმავე კითხვარებით ტრენინგის შემდეგ.

როგორც აღინიშნა, იმის დასადგენად, თუ რა გავლენას მოახდენდა ზრდასრულთა ტრენინგები სკოლის მასწავლებლების დამოკიდებულების შეცვლაზე სასერტიფიკაციო გამოცდებისა და მისთვის მოსამზადებელი ტრენინგების მიმართ, მოცემულ კვლევაში რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდების კომბინაცია იქნა გამოყენებული. თვისობრივი ანალიზი მიმართული

იყო ორი რამის დასადგენად. (1) შეუძლია თუ არა ზრდასრულთა ტრენინგს ზოგადად მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს პროფესიულ განვითარებისა და თვითრეალიზაციის საქმეში; და (2) როგორია ვაუჩერული დაფინანსების პროგრამის ფარგლებში ჩატარებული ტრენინგისადმი მასწავლებელთა მოლოდინები, ანუ ამ ტრენინგების მეშვეობით სასერტიფიკაციო გამოცდებს მასწავლებლები წარმატებით ჩააბარებენ თუ არა (იხილეთ კვლევის შედეგები).

როგორც ზემოთ აღინიშნა, ოთხ სხვადასხვა ქალაქში, ტრენინგის ადგილზე 320 (4 X 80) მასწავლებელს ჩაუტარდა პირისპირ ინტერვიუ და დაურიგდა კითხვარი კვლევის ამ ორ მთავარ კითხვაზე პასუხის გასაცემად (მონაცემები და მათი ანალიზი ქვემოთ, №2,3 ცხრილებშია მოცემული). შემდეგ ჩატარდა ტრენინგები (პროფესიულ უნარებში) საექსპერიმენტო ($n=80$) და საკონტროლო ჯგუფებში ($n=80$) და ბოლოს, შედარებით მცირე ზომის ჯგუფებში შემოწმდა სხვაობის ნულოვანი ჰიპოთეზა. ორი დამოუკიდებელი ჯგუფისთვის t -test გამოყენებისას ნულოვანი ჰიპოთეზის უარსაყოფად ან შესანარჩუნებლად სხვაობის პარამეტრები .05-ით აღინიშნა.

ტრენინგის შედეგების შემოწმების მიზნით, ჩატარდა ტესტი ექსპერიმენტულ და საკონტროლო ჯგუფებში მიღებული ქულების ადრიცხვის მეთოდით (იხ. ცხრილი № 4). მოხდა ცდის პირების ტრენინგზე მიღებული შედეგების შემოწმება და შედარება. ამ მიზნით აღებული იქნა ტრენინგის დასრულების შემდეგ ცოდნის შესამოწმებლად შესრულებული ტესტები იმ მსმენელთაგან, რომლებიც წარმოადგენდნენ შემთხვევით შერჩეულ 10% -ს ($n=8$) საექსპერიმენტო ჯგუფიდან (რომელიც ტრენინგზე ტრენინგის კონტენტთან ერთად გაეცნო ზრდასრულთა განათლების პრინციპებს, ხოლო მათი ტრენინგის კონტენტი აგებული იყო ამავე პრინციპებზე) და - 10% ($n=8$) საკონტროლო ჯგუფიდან (რომელმაც მხოლოდ ტრენინგის არსებული კონტენტი მოისმინა).

ტესტის მიზანი იყო, შემოწმებულიყო მიღებული ცოდნის დონე ორ განსხვავებულ ჯგუფს შორის და დაგენილიყო სხვაობის კოეფიციენტი. t -test -ი t -test კალკულატორის (შეიქმნა 1908 წელს უილიამ გოსეტის მიერ, რომელიც დაიქირავა გინესმა, როგორც ოქსფორდისა და კემბრიჯის ერთ-ერთი კურსდამთავრებული თავისი ინდუსტრიის ბიოქიმიური და სტატისტიკური

კვლევების ჩატარების მიზნით) საშუალებით აღგენს, არის თუ არა ორი ჯგუფის საშუალო მნიშვნელობას შორის სტატისტიკური განსხვავება და გამოიყენება შემთხვევით შერჩეული ორი ჯგუფის პოსტ-ტესტირების მიზნით.

t -test-ის კალკულატორში (იხილეთ ცხრილი №5) შეყვანილი იქნა ორი დამოუკიდებელი ჯგუფის მონაცემები, რათა განსაზღვრულიყო, იყო თუ არა მნიშვნელოვანი სხვაობა ტესტის შედეგებს/ქულებს შორის ჯგუფის შემადგენლობის მიხედვით (საექსპერიმენტო და საკონტროლო). ანუ, მკვლევარის მიზანი იყო დაედგინა, მნიშვნელოვანი t – სტატისტიკა, რაც მიუთითებდა სხვაობაზე საექსპერიმენტო და საკონტროლო ჯგუფებს შორის და ამ სხვაობის მნიშვნელობაზე, რითაც დაადასტურებდა ჰიპოთეზას, რომ ზრდასრულთა განათლების პრინციპების ჩართვა პროფესიული მხარდაჭერის ტრენინგებში დადებით გავლენას მოახდენს მის შედეგებზე და იქნება ეფექტურობის გარანტი.

კვლევის შედეგები

ქვემოთ მოცემული ცხრილები კვლევის შედეგებს წარმოადგენს.

ცხრილი №2 და ცხრილი №3 პასუხს სცემს კითხვაზე, ასრულებს თუ არა მასწავლებელთა (ზრდასრულთა) ტრენინგები დადებით როლს მათი პროფესიული მხარდაჭერის საქმეში. კითხვა დასმული იყო ტრენინგების დაწყებამდე და ტრენინგების შემდეგ:

ცხრილი № 2: ტრენინგის მონაწილეთა პასუხები ტრენინგამდე

პასუხები	მასწავლებელთა რაოდენობა (n=320)	პროცენტული მაჩვენებელი სულ = 100%
სრულიად არ ვეთანხმები	0	0
ნაწილობრივ არ ვეთანხმები	32	10
არც ვეთანხმები და არც არ ვეთანხმები	16	5
ნაწილობრივ ვეთანხმები	96	30
სრულიად ვეთანხმები	176	55

ცხრილი № 3: ტრენინგის მონაწილეთა პასუხები ტრენინგის შემდეგ

პასუხები	მასწავლებელთა რაოდენობა (n=320)	პროცენტული მაჩვენებელი სულ = 100%
სრულიად არ ვეთანხმები	8	2.5
ნაწილობრივ არ ვეთანხმები	16	5
არც ვეთანხმები და არც არ ვეთანხმები	8	2.5
ნაწილობრივ ვეთანხმები	64	20
სრულიად ვეთანხმები	224	70

გამოკითხულთაგან უმეტესობა ტრენინგამდე და ტრენინგის შემდეგაც მიიჩნევს, რომ ზრდასრულთა ტრენინგი დადებით გავლენას მოახდენს მათ პროფესიულ განვითარებაზე. კატეგორიულად დადებითი პასუხების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა ტრენინგის შემდეგ (კონტრასტი = 15%). ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ ტრენინგების შემდეგ მცირედ, მაგრამ მაინც იმატა კატეგორიულად უარყოფითი დამოკიდებულების რაოდენობამაც. თუ რის ხარჯზე მოხდა ეს ცვლილებები, გამოჩნდა ტრენინგების შედეგების შემოწმებისა და შედარების შედეგად, მას შემდეგ, რაც მოხდა ჯგუფების დიფერენცირება ექსპერიმენტის ჩატარების მიზნით.

მოცემული კვლევის კრიტიკულ კითხვაზე პასუხის გასაცემად – ახდენს თუ არა დადებით გავლენას ზრდასრულთა განათლების პრინციპებზე აგებული ტრენინგის კონტენტი ტრენინგის შედეგებზე - შედარებით მცირე ზომის საექსპერიმენტო და საკონტროლო ჯგუფებიდან ($n=80$) შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შეირჩა რვა-რვა ცდის პირი და მოხდა მათი სატრენინგო ტესტების შედეგების შეტანა t -test კალკულატორში. ქვემოთ მოცემული ცხრილები გვიჩვენებს შერჩეული ცდის პირების ტესტებში მიღებულ ქულათა მონაცემებს 1-დან 10-მდე და მათ შორის სხვაობის კოეფიციენტის დაანგარიშებას.

ცხრილი №4: საექსპერიმენტო და საკონტროლო ჯგუფების ცდის პირების ტესტში მიღებული მონაცემების (ქულების) შედარება

ტესტებში მიღებული ქულები								
საექსპერიმენტ. ჯგუფი (X)	6	7	9	8	9	7	6	8
საკონტროლო ჯგუფი (Y)	8	2	4	6	5	4	1	2

ცხრილი №5: ტესტის მონაცემთა t-test კალკულატორით დაანგარიშება

x	$(x-M_x)^2$	y	$(y-M_y)^2$
6	2.25	8	16
7	0.25	2	9
9	2.25	4	0
8	0.25	6	4
9	2.25	5	4
7	0.25	4	0
6	2.25	1	9
8	0.25	2	4
$\Sigma x=60$	$\Sigma(x-M_x)^2=10$	$\Sigma y=32$	$\Sigma(y-M_y)^2=46$
$M_x=7.5$	$S_x^2=1.428671$	$M_y=4$	$S_y^2 = \frac{46}{7} = 6.571$

ზემოთ მოცემულ ცხრილში მიღებული მონაცემები მნიშვნელოვან t – სტატისტიკას გვთავაზობს, რაც მიუთითებს დიდ სხვაობაზე საექსპერიმენტო და საკონტროლო ჯგუფებს შორის ($t(14) = 3.5$, $p < .05$). კვლევის ასეთი შედეგი უარყოფს ნულოვან ჰიპოთეზას და ადასტურებს მეკვლევარის ჰიპოთეზას, რომ ზრდასრულთა განათლების პრინციპების გათვალისწინება მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერის ტრენინგებში დადებით გავლენას ახდენს მათ შედეგებზე.

ამგვარად, ზრდასრულთა ტრენინგის პოტენციალის ზრდისა და ზრდასრულთა განათლების პრინციპების გამოყენების მიზან-შედეგობრივი კავშირის კვლევა მასწავლებელთა ტრენინგების მაგალითზე ორი ნაწილისგან შედგებოდა:

კვლევის ერთი ნაწილის შედეგად გაირკვა, რომ სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ ვაუჩერული პროგრამის ფარგლებში მიმდინარე ტრენინგებთან დაკავშირებით მასწავლებლების დამოკიდებულება და მოლოდინები ტრენინგის დაწყებამდე და ტრენინგის შემდეგ განსხვავებული იყო. ტრენინგის შემდეგ საგრძნობლად გაიზარდა კატეგორიულად დადებითი დამოკიდებულება და შემცირდა ნაწილობრივი და ნეგატიური დამოკიდებულება, თუმცა, ამავედროულად, მცირედ, მაგრამ მაინც გაიზარდა კატეგორიულად ნეგატიური დამოკიდებულება. გარდა ამისა, პირისპირ ინტერვიუებში ტრენინგების შემდეგ გაიზარდა თვითაქტუალიზაციის სურვილის გაცნობიერება და თვითრეალიზაციისკენ ლტოლვა მასწავლებლებში.

კვლევის მეორე ნაწილის შედეგად კი დადასტურდა, რომ ზრდასრულთა განათლების პრინციპების გათვალისწინებით მოდულირებული სწავლების მიდგომის გამოყენების შემთხვევაში ტრენინგების შედეგები ბევრად ეფექტურია.

დაშვება, რომ ტრენინგის შემდეგ დადებითი დამოკიდებულებისა და მოლოდინების მქონეთა რიცხვის ზრდა კვლევის მეორე ნაწილში საექსპერიმენტო ჯგუფებთან ზრდასრულთა განათლების პრინციპების გათვალისწინებით მოდულირებული მიდგომით სწავლების შედეგად მოხდა, გამართლებულია. ამას ჯგუფების ტესტირების შედეგებს შორის სხვაობის კოეფიციენტი ადასტურებს. ტრენინგის ტესტების შედეგებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დადებითი დამოკიდებულებისა და მოლოდინების მქონე მასწავლებლების რიცხვი საექსპერიმენტო ჯგუფების მონაწილეთა ხარჯზე გაიზარდა.

V თავის დასკვნა

მოცემული კვლევა შესწავლის ხასიათს ატარებს. ის წარმოადგენს რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდების კომბინაციას იმის დასადგენად, თუ რა გავლენას მოახდენდა ზრდასრულთა განათლების პრინციპებზე აგებული ზრდასრულთა ტრენინგები სკოლის მასწავლებლების დამოკიდებულების შეცვლაზე სასერტიფიკაციო გამოცდებისა და ტრენინგების მიმართ; და შეუძლია თუ არა ზრდასრულთა ტრენინგს ზოგადად მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს საზოგადოების ინფორმირებულობის, პროფესიული მხარდაჭერისა და თვითრეალიზაციის საქმეში. ამ კითხვებზე პასუხის გაცემის მიზნით ჩატარდა მოსახლეობის ზრდასრულთა განათლების პროცესებში ჩართულობის კვლევა; სკოლის მასწავლებლების, როგორც ზრდასრულების გამოკითხვა პირისპირ ინტერვიუების გამოყენებით; და ბოლოს, მოხდა მათი ტრენინგებამდე და ტრენინგების შემდეგ გამოკითხვა სტატისტიკური მონაცემების მისაღებად იმის თაობაზე, არსებობს თუ არა სხვაობა ექსპერიმენტების მონაწილეთა შედეგებს შორის. ექსპერიმენტების ანალიზისა და კოეფიციენტების დაანგარიშების შედეგად მკვლევარმა მიიღო დადასტურება ზრდასრულთა განათლების პრინციპებზე აგებული სწავლების მიდგომის უპირატესობის შესახებ.

კვლევის შედეგებიდან ზოგადი დასკვნა კი ასეთია: ზრდასრული მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილია ჩართული ზრდასრულთა განათლების ისეთ მიმართულებებში, როგორიცაა ზრდასრულთა არაფორმალური განათლება, სწავლა სიცოცხლის მანძილზე, დისტანციური განათლება და სხვ. საზოგადოება ნაკლებად არის ინფორმირებული ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების, მათ შორის სკოლის მასწავლებელთა სერტიფიცირების მიზნების, სარგებელისა და შედეგების შესახებ. ინფორმირებულ საზოგადოებაზე (Knowledge society) დაფუძნებული ცოდნაზე აგებული ეკონომიკა (Knowledge Economy) ბევრად წარმატებული და ეფექტური იქნებოდა ეკონომიკური და სოციალური გამოწვევების წინაშე. თავის მხრივ, წარმატებული ეკონომიკა კი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს საზოგადოების წევრების პროფესიული მხარდაჭერისა და თვითრეალიზაციის საქმეში.

VI თავი: კვლევის ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები

„როგორც კი საკუთარი თავის პატივისცემას იგრძნობთ, იოლად გეღარ დაგამარცხებენ,“ – აბრაჰამ მასლოუ, 1954 წ.

გასული 20 წლის განმავლობაში მომხდარმა სამმა მნიშვნელოვანმა ცვლილებამ საქართველოს ეკონომიკას სახე უცვალა და ბევრი გამოწვევის წინაშე დააყენა. ეს ცვლილებებია: (1) დამატებით ღირებულების მომსახურების, ტექნოლოგიებისა და ცოდნაზე დაფუძნებული წარმოების გაჩენა ქვეყანაში; (2) ტრადიციული მატერიალური კაპიტალიდან (ფიზიკური კაპიტალი: მანქანა-დანადგარები და შენობები) არამატერიალურ, ადამიანურ კაპიტალზე გადასვლა (პროგრამული უზრუნველყოფა და ადამიანური რესურსები); (3) მაღალკვალიფიციურ ადამიანურ კაპიტალზე მოთხოვნისა და იმავდროულად უმუშევრობის დონის ზრდა.

ადამიანური კაპიტალი ინოვაციური ეკონომიკისა და ცოდნის ეკონომიკის (Knowledge Economy), როგორც განვითარების შემდგომი მაღალი დონის ფორმირებისა და განვითარების მაღალი ფაქტორია⁹². ადამიანური კაპიტალის ცნება განიხილება, როგორც ინვესტიციების ერთობლიობა ადამიანში, რომელიც მის შრომის უნარს აძლიერებს. ესაა განათლება და პროფესიული ჩვევები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების მთავარი და უპირველესი ამოცანა მაღალკვალიფიციური მუშახელის, ადამიანური კაპიტალის განვითარება გახდა. ამ თვალსაზრისით ქვეყნის განათლების სექტორში მიმდინარე რეფორმის მასშტაბებსა და ამბიციურობის ზრდაზე ზრუნვა რომ აუცილებელია, ეს ეჭვგარეშეა. ამ მიმართულებით რეფორმების წარმატებით განხორციელების გზაზე ყველაზე კრიტიკულ მომენტს მასწავლებლის პროფესიული განვითარების საკითხი წარმოადგენს.

კვლევის მიზნით ჩატარებული ექსპერიმენტის დროს, მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის მოსამზადებელ ტრენინგებზე მათთვის პროფესიული უნარების სწავლებისა და სწავლის პროცესებში აპრობაცია

⁹² მერაბ ჯუღაყიძე, ეკონომიკის ადაკედმიური დოქტორი, “თანამედროვე ეკონომიკაში ადამიანური ფაქტორის როლი სულ უფრო იზრდება” 2010, წ. გაზეთის “ბანკები და ფინანსები” № 98.

განიცადა ზრდასრულთა განათლების პრინციპებმა და მასზე აგებულმა სწავლების მოდულირებულმა მიდგომამ. ჩატარებული ტრენინგების შედეგებისა და ინტერაქტივების ანალიზმა აჩვენა, რომ ზრდასრულთა განათლებაში წარმატების ერთ-ერთი საწინდარი სწორედ სასწავლო პროცესებში ზრდასრულთა განათლების პრინციპებზე აგებული მოდულირებული სწავლების მიდგომა იყო.

საშუალო სკოლის მასწავლებლები, რომელთა უმეტესობამ ავტოკრატული და ცენტრალიზებული განათლების სისტემა გამოიარეს, წინამდებარე ნაშრომის კვლევის ცდის პირებად იმ მიზნით შეირჩნენ, რომ პროფესიული განვითარების მიმართულებით ტრენინგებზე მათზე გამოგვეცადა ზრდასრულთა განათლების პრინციპებზე აგებული მოდულირებული სწავლების მიდგომა, რაც თავის მხრივ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტად განისაზღვრა განათლების სისტემის რეფორმაში.

კვლევაში გამოყენებული ექსპერიმენტისა და გამოკითხვის შედეგებიდან გამომდინარე ჩამოყალიბდა შემდეგი დასკვნები და რეკომენდაციები:

1. ზრდასრულთა განათლების პრინციპებზე აგებული ზრდასრულთა ტრენინგები დადებით გავლენას მოახდენს სკოლის მასწავლებლების დამოკიდებულების შეცვლაზე სასერტიფიკაციო გამოცდებისა და ტრენინგების მიმართ;
2. ზრდასრულთა განათლების პრინციპებზე აგებულ ტრენინგს მნიშვნელოვანი როლი შეუძლია ითამაშოს მასწავლებლების პროფესიული მხარდაჭერისა და თვითრეალიზაციის საქმეში;
3. ზრდასრულთა განათლების პრინციპების გათვალისწინებით მოდულირებული სწავლების მიდგომის გამოყენების შემთხვევაში ტრენინგების შედეგები ბევრად ეფექტური იქნება.

ზრდასრულთა განათლების პრინციპები უნდა გამოვიყენოთ იმისთვის, რომ გავზარდოთ მასწავლებელთა თვითაქტუალიზაციის შესაძლებლობები. ზრდასრულთა განათლების დანიშნულებაა ისეთი გრძნობების გაღვივება გარდამავალ პერიოდში მცხოვრებ ადამიანში, როგორიცაა საკუთარი თავის პატივისცემა, თავდაჯერებულობა, კომპეტენცია, თვითაქტუალიზაცია, დამოუკიდებლობა, თავისუფლება. ამ გრძნობების განვითარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სკოლის მასწავლებლებში, რომლებიც მომავალ თაობას ზრდიან და ქვეყნის ინფორმირებული (მცოდნე) საზოგადოება (Knowledge Society) უნდა ჩამოაყალიბონ. ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი უნდა იყოს ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა ქვეყანაში, სადაც ცენტრალიზებული განათლების სისტემა გვერდს უვლიდა განათლების ისეთ ელემენტებს, როგორიცაა ინდივიდუალობა, ინტერაქტივი, თვითრეალიზაცია და სხვა. სახელმწიფო განათლების სტრუქტურებში ამ ახალი ინიციატივისა და ინსტიტუტის შექმნა განათლების სისტემასა თუ სხვა სფეროებში რეფორმების ეფექტური განხორციელების მიზნით ძლიერი საძირკველის ჩაყრის ტოლფასია.

წინამდებარე ნაშრომში განხილული საკითხები შეესაბამება ქვეყნის განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის პარადიგმას.

მოსახლეობის ზრდასრულთა განათლებაში ჩართულობის კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ ზრდასრულთა განათლების წილი ინფორმირებული საზოგადოების (Knowledge Society) ჩამოყალიბების საქმეში მნიშვნელოვანია და ამდენად, ნაშრომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეკომენდაცია სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ხელი შეეწყოს ზრდასრულთა არაფორმალური განათლების განვითარებას.

აღმოსავლეთ ევროპის რიგ ქვეყნებში 1990-იანი წლებიდან მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა ზრდასრულთა განათლების თანამედროვე მიმართულებების განვითარების სფეროში. თუმცა განვითარების პროცესები არათანაბარი იყო და ზოგიერთი ქვეყანა გარკვეული თვალსაზრისით ჩამორჩა. წინამდებარე კვლევაში გამოიკვეთა, რომ ამ მიმართულებით განვითარების დაჩქარება შესაძლებელია საქართველოში სახელმწიფოს დაფინანსებით მიმდინარე ვაუჩერული პროგრამის ფარგლებში ორგანიზებული მასწავლებელთა ტრენინგების პოტენციალის გაზრდით.

ზრდასრულთა ტრენინგის მაღალი ხარისხით ჩატარების უზრუნველყოფის გარანტია არ არსებობს, მაგრამ არსებობს მისი გაუმჯობესების გარკვეული პირობები. კერძოდ, კვლევის ავტორის რეკომენდაციაა, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს პროფესიული განვითარების მიმართულებით ორგანიზებულ მასწავლებელთა ტრენინგებზე ზრდასრულთა განათლების პრინციპებზე აგებული მოდულირებული სწავლების მიდგომის გამოყენებას, რის საფუძველზეც სკოლის მასწავლებლებს საშუალება მიეცემათ, საკუთარი პედაგოგიური რწმენებისა და პრაქტიკის ტრანსფორმირება მოახდინონ.

ზრდასრულთა განათლების პრინციპების გამოყენება შეიძლება განხილული იქნეს, როგორც ფაქტორი, რომელიც ხელს შეუწყობს სკოლის მასწავლებლებს, გაიგონ საკუთარი თავის რეალიზაციისა და თვით-აქტუალიზაციის მნიშვნელობა. ეს კი, თავის მხრივ, დაეხმარება მათ, შეიცნონ მასწავლებლის ჭეშმარიტი ფუნქცია და როლი ქვეყნის განვითარების საქმეში.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, ზრდასრულთა განათლების პრინციპების გამოყენებას არა მარტო ეფექტურ ტრენინგებამდე მიყვავართ, არამედ თვით-აქტუალიზაციამდე და კეთილდღეობამდე, რაც იმას ნიშნავს, რომ მასწავლებლები ბევრად მეტ სარგებელს მიიღებენ, როდესაც ტრენინგები აგებული იქნება ზრდასრულთა განათლების პრინციპებზე, ხოლო განათლების მესვეურთათვის ამ პრინციპებთან გაცნობის ვალდებულება ტრენინგების პროვაიდერმა ორგანიზაციებმა, მათ შორის უნივერსიტეტებმა უნდა აიღონ თავის თავზე. მათი ვალია, აღჭურვონ პედაგოგები არა მარტო პროფესიული უნარებით, არამედ იმ ინსტრუმენტებითაც, რაც მათ ამ პროფესიული უნარების წარმატებული განვითარებისა და მოდერნიზაციის საშუალებას მისცემს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართველი პედაგოგები მარტონი არ არიან ამ საკითხში. სავარაუდოდ, უნდა ვირწმუნოთ, რომ მოცემული კვლევის შედეგები საყურადღებო იქნება სხვა გარდამავალ ეტაპზე მყოფი ქვეყნების მასწავლებელთა განვითარების პროგრამებისთვისაც. ზრდასრულთა განათლების პროგრამების რეალური არსებობა მნიშვნელოვანწილად იმ ადამიანების ცოცხალ, პრაქტიკულ საქმიანობას წარმოადგენს, რომლებიც სხვადასხვა ტიპის კურსების, სასწავლო პროგრამებისა და სემინარების ორგანიზებას ახდენენ. ამდენად, ზრდასრულთა

განათლების პრაქტიკოსების პროფესიული მომზადება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. უნდა შეიქმნას პერსპექტივა, რომ ზრდასრულთა არაფორმალური განათლება პედაგოგიკის ერთ-ერთ სამეცნიერო მიმართულებად ჩამოყალიბდეს და უნივერსიტეტებს გააჩნდეს ზრდასრულთა განათლების პრაქტიკოსების მომზადების ბერკეტები. საქართველოს განათლების სამინისტროს აქტიური ჩართვა ზრდასრულთა განათლების განვითარების სფეროში, რაზეც მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის მოსამზადებელი ტრენინგების არსებული გაუჩერული დაფინანსების პროგრამის არსებობაც მეტყველებს, ქმნის ახალ შესაძლებლობებს ქვეყნის განვითარების საქმეში და სახელმწიფოს მხრიდან ამ მიმართულების ფინანსური მხარდაჭერის წინაპირობას იძლევა.

ქვეყანაში მიმდინარე რეფორმები, რომელმაც ქვეყნის თანამედროვე და მომავალი პოტენციალი უნდა განსაზღვროს, შექმნას მსოფლიო საგანმანათლებლო და ეკონომიკურ სივრცეში შესვლის ყველა პირობა, წარმატებას მიაღწევს იმ შემთხვევაში, თუ გათვალისწინებული იქნება ზრდასრულთა განათლებისადმი ახლებური მიდგომა; გააზრებული იქნება ზრდასრულთა სწავლების ახლებური შინაარსი და მიმართულებები; მეცნიერულად დასაბუთებული იქნება ამ სისტემის სწორი მართვისა და შეფასების ხერხები. ამდენად, კვლევის ძირითადი დებულებებია:

- ახალი სოციალურ-პროფესიული სიტუაციისა და რეფორმების პირობებში, არსებული შრომის ბაზრის თავისებურებებიდან გამომდინარე, საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა ითხოვს ზრდასრულთა განათლების განახლებული სისტემის ფორმირებას;
- ზრდასრულთა განათლების მიზნების, ამოცანების, პრინციპების, შინაარსობრივი მიმართულებებისა და მეთოდების ჩამოყალიბება, ფსიქოლოგიური საკითხები, სისტემისადმი ზოგადი და კონკრეტული მიდგომების დიალექტიკა და მასთან დაკავშირებული ფინანსური ასპექტები მოითხოვს კვლევის გაგრძელებას.
- ზრდასრულთა განათლების ახლებური სისტემის ფორმირება, რომელიც გულისხმობს მოქნილი, მრავალდონიანი და მრავალფუნქციური სისტემის შექმნას, რომელიც კონკურენტუნარიანობასა და პროფესიონალურ

მობილურობას უზრუნველყოფს, მოითხოვს ქვეყნის პედაგოგიურ წრეებში არსებული მატერიალურ-ინტელექტუალური რესურსების მობილიზებას, არსებული სასწავლო-მეთოდური მასალების აღწერილობას, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას და ბოლოს, ზრდასრულთა განათლების ახალი კონცეფციის ჩამოყალიბებასა და მის თეორიულ დასაბუთებას.

- საქართველოს ზრდასრულთა განათლების სისტემა თანამედროვე ეტაპზე საჭიროებს არაფორმალური განათლების დამკვიდრებას, ხოლო ამისთვის განკუთვნილი მიზნობრივი, სატრენინგო პროგრამები მოითხოვს გამარტივებულ და მოქნილ, ე.წ. მოდულირებული სწავლების მიდგომას, რაც თავის მხრივ აგებული იქნება ზრდასრულთა განათლების პრინციპებზე.
- ზრდასრულთა ტრენინგები, რომლის სასწავლო პროცესები იყენებს არსებულ მეცნიერულ ცოდნასა და გამოცდილებას, ბევრად უფრო წარმატებულია, ვინაიდან იგი შედარებით მცირე დანახარჯებით იძლევა გაცილებით მეტ სარგებელს, ანუ წარმატების მიღწევის ზონა ბევრად დიდია, ვიდრე მისთვის გაწეული დანახარჯები.

ნაშრომში წარმოდგენილი ზრდასრულთა განათლების თეორიული საფუძვლების კვლევისა და სტატისტიკის მიმოხილვის შედეგად კი გამოიკვეთა შემდეგი ზოგადი დასკვნები:

1. საქართველოს განათლების სისტემის საერთაშორისო (ბოლონიის 1998 წლის და პრადის 2001 წლის) დეკლარაციებთან მიერთებამ ზრდასრულთა განათლების სისტემის რეაბილიტაცია და განვითარება შესაძლებელი გახადა.
2. ქვეყანაში არსებული საგანმანათლებლო და სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის გადალახვის ერთ-ერთ მძლავრ, ქმედით ინსტრუმენტად ზრდასრულთა განათლება უნდა იქნეს მიჩნეული.
3. ზრდასრულთა განათლების სისტემის განვითარების მოცემულ ეტაპზე უპირატესობა ზრდასრულთა არაფორმალურ განათლებას ენიჭება.

4. ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერის შემთხვევაში შესაძლებელი გახდება საქართველოს რეგიონებში, სათემო დონეზე, ზრდასრულთა არაფორმალური განათლების ადგილობრივი ცენტრების შექმნა-განვითარება.
5. მოცემული კვლევის პერიოდში ქვეყანაში გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯები ზრდასრულთა განათლების განვითარების მიმართულებით. აღნიშნულ პროცესებში, სასურველია, უნივერსიტეტების აქტიური ჩართვით მოხდეს არსებულ ინტელექტუალურ რესურსებზე დაყრდნობით დადგენილი სასწავლო საგნების პროფესიულ-პედაგოგიური ბაზის დახვეწა-მომზადება.

საქართველოში მოსახლეობის სოციალური დაცვის ერთ-ერთ მძლავრ, ქმედით ინსტრუმენტად ჩაითვლებოდა ძლიერი სოციალურ-პედაგოგიური ინფრასტრუქტურისა და საგანმანათლებლო სისტემის შექმნა სათემო დონეზე (რეფორმა ქვემოდან). ზრდასრულთა განათლების სისტემის საკანონმდებლო ბაზა არაერთგვაროვანია და ამ სისტემის მართვა სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა სტრუქტურის პრეროგატივაა. ზოგან მას მართავს კანონი განათლების შესახებ, ზოგან ზრდასრულთა განათლების რომელიმე ორგანიზაციის წესდება, ზოგან ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის დებულება და ა.შ. საერთაშორისო გამოცდილებიდან კარგად ჩანს, რომ ზრდასრულთა განათლების სისტემის მატერიალურ-ინტელექტუალურ რესურსებს შემდეგი წყარო გააჩნია:

- სახელმწიფო დაწესებულებები (სამინისტროები, სახელმწიფო საწარმოები და ადგილობრივი თვითმმართველობა);
- განათლების სისტემა (უნივერსიტეტები და პროფესიული სასწავლებლები);
- კერძო სტრუქტურა (ბიზნესმენი, ფერმერი, მეწარმე);
- სამოქალაქო სექტორი (არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციები).

ჩატარებული კვლევის შედეგად აშკარად გამოიკვეთა, რომ ზრდასრულთა განათლება არის პედაგოგიური, სოციალური და ეკონომიკური აქტივობების ინტეგრაციული პროცესი; რომ ჩვენს ქვეყანაშიც იხინა თავი ახალმა, ინოვაციურმა ტენდენციებმა ამ სფეროში და, რომ მოცემულ სადისერტაციო

ნაშრომში განხილული საერთაშორისო გამოცდილება გვაძლევს საფუძველს, გვეჯეროდეს, ზრდასრულთა განათლების როლი მცოდნე (ინფორმირებული) საზოგადოების (Knowledge Society) ჩამოყალიბებაში ძალიან მნიშვნელოვანია.

კვლევაში მიმოხილული ლიტერატურა იძლევა საკმაო ინფორმაციას, რათა მკითხველი დარწმუნდეს, რომ ზრდასრულთა განათლების საქმეს უშუალო კავშირი აქვს შრომის ბაზარსა და მასთან დაკავშირებულ საკითხებთან. დასაქმება, სოციალური დაცვა, თვითრეალიზაცია, ჯანმრთელობის მდგომარეობის მოგვარება, დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობა და სხვ. ამ პრობლემების მოგვარებას მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ზრდასრულთა განათლების სხვადასხვა აპრობირებული მიმართულება ემსახურება.

სამწუხაროდ, ახლად შექმნილ დამოუკიდებელ სახელმწიფოებში პოსტსაბჭოთა პერიოდში ზრდასრულთა განათლების სისტემის განვითარებას სათანადო ყურადღება არ ეთმობოდა არც მთავრობის, არც საზოგადოების მხრიდან. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში მომხდარი ცნობილი მოვლენების შემდეგ, როცა რეფორმების ტემპები დაჩქარდა და ქვეყანა ახალი სტრუქტურული და შინაარსობრივი ცვლილებების წინაშე დადგა, გაჩნდა ინტერესი ზრდასრულთა განათლების მიმართაც. გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯები ამ მიმართულებით, მაგრამ შედეგები ჯერ კიდევ არ არის საკმარისად ეფექტური.

მაშინ, როცა თითქმის მთელ მსოფლიოში გამუდმებით ვითარდება ზრდასრულთა განათლების სხვადასხვა მიმართულება [ტრენინგები სხვადასხვა უნარებში (Training in Different Skills), დისტანციური განათლება (Distant Learning) და სხვ.], საქართველოში მეტწილად საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით და სამინისტროების დონეზე ხორციელდება მსგავსი პროგრამები, რომლებიც მხოლოდ რამდენიმე მიზნობრივი ჯგუფისკენ არის მიმართული. ზრდასრულთა განათლების კურსების ის მცირე რაოდენობა კი, რაც ადგილობრივი იურიდიული ან კერძო პირების მიერ შეიქმნა, ძვირადღირებულია და რეგიონებში მოსახლეობას მათზე ხელი არ მიუწვდება⁹³.

⁹³ “საქართველოს ზრდასრული მოსახლეობის განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების კურსები” – მონაცემთა ბაზა. მოამზადა და გამოსცა ორგანიზაციამ IZZ-DVV, 2004 წელს. ISBN 99928- 995- 4- 9

დამოკიდებულება შრომის ბაზარს, დემოკრატიულ ინსტიტუტებსა და განათლების სისტემას შორის ამ მიმართულებით დღეისთვის დადგენილი არ არის. განათლების კანონმდებლობაც მოითხოვს გარკვეულ ცვლილებებს თანამედროვე საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისად. მასში გარკვევით უნდა ჩანდეს ზრდასრულთა განათლების როლი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სირთულეების გადალახვისა და ამ მიზნით მცოდნე (ინფორმირებული) საზოგადოების მნიშვნელობის გაცნობიერების საქმეში. მოცემული კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ქვეყნის განვითარების დაჩქარების მიზნით საჭიროა ფუნქციების გადანაწილება სახელმწიფოსა და შრომის ბაზარს შორის და რომ ამაში მნიშვნელოვანი როლი სწორედ ზრდასრულთა განათლების სისტემას უნდა დაეკისროს.

ზრდასრულთა განათლების თემაზე ორგანიზებული საერთაშორისო კონფერენციების მთავარი მოწოდება მდგომარეობს შემდეგში: “აქტიური და ინფორმირებული (განათლებული) მოქალაქეების გარეშე შეუძლებელი იქნება მსოფლიოში არსებული გლობალური რისკების, ეკოლოგიური რისკების, ჯანმრთელობისთვის საშიში გაგრძელებული დაავადებების, კულტურისთვის საშიში მოვლენების (რასიზმი, ქსენოფობია) თავიდან არიდება”⁹⁴.

კვლევის უმნიშვნელოვანესი მიზანია ზრდასრულთა განათლების პრინციპების მნიშვნელობის პოპულარიზაცია, მხარდაჭერის მოპოვება ამ მიმართულებით განვითარების გზაზე და იმ საგანმანათლებლო ქსელის შექმნა, რომელიც ქვეყანაში ზრდასრულთა განათლების მიმართულებების გაფართოებას, ხარისხის გაუმჯობესებასა და დამკვიდრებას მყარ საძირკველს ჩაუყრიდა. ყოველივე ეს კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ინფორმირებული საზოგადოების ჩამოყალიბებას ქვეყანაში.

ზრდასრული ადამიანისთვის განათლების მიღებისა და თანამედროვე შრომის ბაზართან მორგების საკითხის მოსაგვარებლად, დაუსაქმებლად და უმუშევრად დარჩენის შიშთან დაკავშირებული პესიმიზმისა და უსამრატლობის განცდის პრევენციის, თვითრეალიზაციის შესაძლებლობის გაჩენისა და ინფორმირებული

⁹⁴ CONFINTEA V-VI materials : www.unesco.org/education/uiie/confintea/

საზოგადოების ჩამოყალიბების მიზნით, ნაშრომში წარმოდგენილია შემდეგი ზოგადი რეკომენდაციები ზრდასრულთა განათლების მესვეურებისთვის:

- ზრდასრულთა განათლების სისტემა არაფორმალური განათლების მიმართულებით უნდა განვითარდეს, რაც ქვეყნაში მიმდინარე რეფორმებში უნდა იქნეს გათვალისწინებული.
- მიმდინარე რეფორმების დროს ზრდასრულთა განათლების პრინციპების გათვალისწინებით მოდულირებულ მიდგომაზე აგებულ მეთოდს აშკარა უპირატესობა უნდა მიენიჭოს ზრდასრულთა არაფორმალური განათლების პროგრამებში. ეს არის პედაგოგიური მეცნიერების ის ახალი მიმართულება, რომლის პრაქტიკული განხორციელებაც დაკავშირებულია შედარებით მცირე ხარჯებთან.
- ზრდასრულთა განათლება ორიენტირებული უნდა იყოს სამუშაოზე და მოსახლეობისთვის ახალი უნარ-ჩვევების შეთავაზების საშუალებით უნდა პასუხობდეს საბაზრო მოთხოვნებს.
- ზრდასრულთა განათლების გზით მოსახლეობაში უნდა მოხდეს წარმატების მოტივაციის აქტუალიზაცია.

ზრდასრულთა განათლების ზოგადთეორიული საფუძვლებისა და სტატისტიკური მონაცემების კვლევის შედეგად ნაშრომში კარგად გამოიკვეთა, რომ განვითარების მოცემულ ეტაპზე საქართველოში განათლების მესვეურებმა უნდა გამოიყენონ უკვე არსებული მეცნიერული ცოდნა ზრდასრულთა განათლების მიმართულებების შესახებ, დანერგონ ის სოციალურ პრაქტიკაში, გადააქციონ სასწავლო დისციპლინად და მიაწოდონ მოსახლეობას სასწავლო პროცესების სახით.

კვლევის ავტორს დიდი იმედი აქვს, რომ უნივერსიტეტების აქტიური მონაწილეობით შესაძლებელი გახდება საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ ზრდასრულთა განათლებასთან დაკავშირებულ ინდივიდუალურ გეგმაში სტრუქტურული და შინაარსობრივი ცვლილებების და სხვა შესაბამისი ევროდირექტივების წარმატებული განხორციელება, რისთვისაც სთავაზობს შემდეგ რეკომენდაციებს, ხელი შეუწყოს:

- ცოდნის ეკონომიკისა და ინფორმირებული საზოგადოების ჩამოყალიბების საქმეში ზრდასრულთა განათლების მნიშვნელობის აღიარებას;
- ზრდასრულთა განათლების მენეჯმენტის შექმნასა და განვითარებას;
- მასწავლებელთა (ზრდასრულთა) ტრენინგისა და მათი პოტენციალის გაზრდის მიმართულებით უფრო მკაფიო ხედვის ჩამოყალიბებას და წინსვლას ამ მიმართულებით;
- ზრდასრულთა ტრენინგის პროვაიდერთა საქმიანობის ხარისხის მართვას და აღიარებას;
- რეგიონებსა და მუნიციპალიტეტებში ზრდასრულთა განათლების ცენტრების შექმნას და ამ მიმართულებით კონკრეტული საქმიანობის მართვასა და თანამშრომლობას სათემო და მუნიციპალურ დონეზე;
- ზრდასრულთა განათლებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციებში აქტიურ მონაწილეობას და მათ ორგანიზებას საქართველოში;
- ანდრაგოგიკის კვლევასა და პოპულარიზაციას.

ზემოთ აღნიშნული დასკვნები და რეკომენდაციები მომავალ მკვლევარებს დაეხმარება იმაში, რომ იმუშაონ ზრდასრულთა ტრენინგების გამოკვლევისა და ზრდასრულთა განათლების პრინციპების დანერგვის მიმართულებით.

VII თავი: ნაშრომის რეზიუმე ინგლისურ ენაზე: **The Role of Adult Learning in Developing of Knowledge Society** (Adult Training and its Potential for Professional Support of School Teachers)

Abstract: *“Belem Frameworks of Action” the main document launched at the Brazilian Belem City Adult Education Conference, CONFITEA VI, declared Adult Education’s priority importance and urge all World Authorities to follow CONTINTEA’s Resolutions (Brazil, May 2009). “It is time to act, because no acting costs a lot” – stated the Final Resolution, ratified by the representatives of 156 countries and Georgia among them (CONFITEA VI, Final Report, 2009). The content, management and delivery of adult education and the accessibility of learning opportunities for adults need improvements and new studies to be involved. This study reports data gathered from schoolteachers about their perceptions of the compatibility of the certification training (Georgia, 2010) with principles of adult learning and the identification of the learning motivation, level and sources of satisfaction and dissatisfaction held for this training by the teachers. This study was carried out to reveal the causal effect of adult education principles on the attitudes of schoolteachers towards preparatory training for certification tests and the interaction quality between the adult learning and the transform of the pedagogical beliefs and practices of Georgian schoolteacher in transition period; and to research the role of the adult education in forming Knowledge Society.*

Knowledge is an Engine for Social Changes – Nico Stehr, 1986

Adult education has visible economic implications, contributes to the growth of Knowledge Society, helps bring about change, and improves the quality of life for the individual. Adult learning is all about change - change in attitude, change in knowledge, change in behavior, change in a skill, change in how we think, and change in productivity (Korsgaard, 2002). The major processes experienced by adults, such as a search for self-fulfillment and individual change, are related explicitly to their decision to enroll in adult education courses and trainings. Likewise, the benefits of adult education are constructed in terms of reframing identity, well-being, self-growth, and rather than responding to purely extrinsic motives.

From a life-stage perspective, the motivation of adults (in this study school teachers undergoing certification tests) to enroll in a training program is different but the meaning they attach to adult education is very much dependent on cultural aspects of their country. For example, adults may face issues with completion of courses, including personal obstacles: health, money issues, job pressure, family pressure, lack of perseverance, a problem with internal motivation. But all professionals may face the necessity to improve and/or change their qualifications due to reforms undergoing in the country. This is the case in Georgia.

The current professional development reforms promise to reintroduce adult education in Georgia as a significant field of study in the capacity building reforms of the nation (National Report for COFINTEA VI, 2009). This study offers one example of how adult education can be applied to teacher professional development.

